ასპარეზიდან.

ამაოდ ცდილობთ,

გზებითა და

მტრებით გათიშოთ.

მალლა მიჭირავს საზეიმოდ ჩემი ლექსი და

ვფიცავ —

მიყვარხარ

ერთგულად და სამარადისოდ!

თარგმანა ვახტანგ ჯანაშიაძე





ქალაქ ქარაბული

პირე აღმოსაქმს

ქარი ივარცხნის ხეების კარკებს,
ტყე მიირხევა და იფიფქება...
მე როცა წავალ, შენ უნდა დარჩე, —
სხვა ქარი მოვა, ტყეც სხვა იქნება...

მე როცა წავალ, შენ უნდა დარჩე,
შენ უნდა ნახო, სხვა თოვლის თოვა...
და ახლა როცა სიარულს გაჩვევ, —
მე იმას ვშველი, — მერე რომ მოვა...

ს ი ხ ა რ უ ღ ი ს ა

ბროლის ფიალა მიპყრია,
წყარო მამიდის ლაღისა,
დაბლა ბალახი მიგია,
ზედ შუქი მსურავ მთვარისა.
საიფქლეს იფქლი მომიდის,
საქერეს ყანა ქერისა,
ტყის ქარი მოვა, მომინდეს,
მომინდეს — ქარი ველისა.
გვერდს მისხედს ძმა-ძმიშვილები, —
თვალს ავატირებთ მტრისასა...
ღვინო მაგვიდის მიღებით,
პურსა ვჭამთ თავთუხისასა.
ჩვენს კარს თუ მოვა, მზე მოვა,
დასწვიმს ბროლ-ლაღის წვიმასა

ჩვენ წინ თუ მოვა, ღლე მოვა,
ღამე ჩვენი მტრის წინასა.
სკამს ოცი ძმანი დავისხენ,
ველს ჭერებდნენ ოცი ღისასა.
ყანას თაველი დაუსხამს
ოც-ოცი მამულისასა.
ნეტავი ძმათა მრავალთა
მზე ცხრაგნით ამაუხდება,
ვერვინ წაართვამს მამულსა,
ვერცვინ კარს შამაუხდება.
თუ მოვა, ჩვენთან მზე მოვა,
ნათელს ვინათებთ მზისასა.
გვერდს მისხენ ძმანი ბევრანი,
პურსა ვჭამთ თავთუხისასა.

ბ ა მ ო რ ე ვ ა

ყანა თუ იყოს ასარჩევი,
ყანა იფქლისა აირჩიე.
წყალი თუ იყოს ასარჩევი,
წყალი წყაროსა აირჩიე.

სიყვარულია ასარჩევი,
ეგ მამულისა აირჩიე.
სიხარულია ასარჩევი,
ღაბადებისა აირჩიე.

ვატკაცთა შორის ასარჩევი, —
ქალუნდაური აირჩიე.
გლოვა თუ იყოს ასარჩევი,
დამარცხებისა აირჩიე.
ზარზეშია ასარჩევი,
გამარჯვებისა აირჩიე.

ქალი თუ იყოს ასარჩევი,
ძუძუკოკორი აირჩიე.
ცხენი თუ იყოს ასარჩევი,
ცხენ კოჭმალალი აირჩიე,
სიკვდილ თუ იყოს ასარჩევი, —
ჯგ მამულისთვის აირჩიე.

ეროვნული
გინგლირთუქა

გიორგი გიგაური

კახი — სოფელი

ვეძღვნი ნაჩაურ ვაგაურს, რომელმაც
არ მიატოვა მშობლიური ბლო.

შენ ბლოში მარტო დაგტოვეთ კომლად,
სოფელი სოფლობს შენი კაცობით,
იცი შენება,
შენახვა,
მოვლა,
უცნობ-ნაცნობი.

იარაღს ვანგი არ გააკარე-
ამაყი მთების ამაყი შვილი
გაკიდებისარ ჯიხეთა ნაკვალევს.

თესაე და იმკი,
თიბაე და მწყემსაე,
მთებს ასმინებს ბუბუნი ბულის,
გაქვს საკუთარი ზედაშე, ხეშსი,
არ გასრჩობს ცხელი ასფალტის ბუდი.

თლი და აბეავებ დაგრეხილ ყანწებს,
ჩაჩაურ, წუთით არა გაქვს მოცლა,
გაგიჭირდება,
ხარივით გასწევ,
გაიყოლიებ მეუღლის ლოცვას.

სამშობლოს უზრდი შვილებს ჯიშინას,
გზიბლავს ყოველი ვაეის გაჩენა
და შენთვის დიდი დანაკლისია
უმეზობლიოდ და უძმოდ დარჩენა.

თავზე ველები ჩვენს ნააკვნარებს
და ბლო კვლავ ბლოობს შენი ამაგიით,
მთებს ერთგულება ველარ აკმარე,
ლამის ჩაისხა მკერდში არაგვი.

დამნას აფხავებ,
ტალს უცვლი ხირიმს,

იქნევ ცელსა და ნამზრეკვი გძინავს,
სიზმრად ჩაგვსმის დედის ლოცვანი,
მე, ძმაო, შენს ბედს შევნატრი ხშირად,
რაა ამაში გასაოცარი.

ჩემ სახლში თოვნი გავარდა იხვ

1.

მამამ მშირალმა მაღალი მთიდან
ოთხკერ გაკვეთა ღამე თოფის ხმით,
გულში იმედს და სიხარულს ზრდიდა
ხევსური კაცი ძის მოლოდინში.

წამოაფრინა სამი ასულიც,
სამი როჭო თუ სამი ქედანი,
ის არის ჩემი დიდი წარსული, —
მომავლისაკენ გადამხედვარი.

2.

ვარ ნაბოლარა,
მეშვიდე შვილი
და მამა მხოლოდ ერთი შვილისა,
ვალმოუხდელი და ფერმიხდილი,
ფრთამოკეცილი,
ფრთაგაშლილიცა.

შენ მაპატიე მშობელი მიწაჲ,
რომ დაგაკელი ხითლი აკვანთა,
დაფად გაგიშლი გულმკერდის ფიცარს
და დიდ სიყვარულს ლექსად აკვანძაჲ

3.

მომეპრა დამის ოცნებას
თვალის მოხუტება არ დამაცალა,
ჭერხოში თოფი გავარდა ისევე,
ხირიში ჩემმა შვილმა დაცალა.

მწვერვალებს ამცნო შეტენა ვაეის
და ზურე მზიან გზაზე გავიდა...
გამიორკეცდა სიცოცხლის აზრი,
ცხოვრების აღმართს ვიწყებ თავიდან.

ტ ა ვ უ მ ა ბ შ რ ი შ ვ ი ლ ი

მ ა ს ი ყ ვ ა რ უ ღ ე

სიკვდილს შეირედიც
დააცდევინე,
სული ლექსებში
ჩამაქცევინე;
ცოტახანს კიდევ
მახანებინე,
მოყვასის გული
მახარებინე;

კიდევ მატირე
და მაზეინე,
ეს პატარები
დამაზრდევინე.
სად გაგმცვეი,
მერევე მომნახავ...
მასიყვარულე
მამულს ცოტა ხანს.

• • •

წინანდებურად
მღერის გული
სიხსლის სიხავესით;
ვწევარ მინდორში.
შარიშურობს მოლი ხიზინა,
ვუხმენ მუხიყას...
და ცხადიდან
ნანატრ სიხმარში
ჩემი ხარბი და გაბანგული
სული მიფრინავს.

თითქოს გაჩერდა,
აღარ ბრუნავს
ხანი — დოლაბი,
ფიჭრის მდინარით
აფსუბულა შუბლის ღარები...
მოგონებები
მონუნუნებს ნაკადულეზად
და მე ვირწყვები
სიხარულით და მწუხარებით....



სანამ სულს დაღვეს...

მზეს დაფასწარით
 მე და მამამ
 და ჩალას ვწვინავთ.
 ჰო, ჰო, რა ცაა,
 რანაირად ღუის და ბზინავს!
 მთელ აღმოსავლეთს
 სპილენძისფრად
 გააქვს ვარვარი,
 გაღუმბულია
 გამთენიის ცვარში მთა-ბარი.
 გაცისფრებულა
 ღურჯი ნამით

მოლი ფოფინა,
 სივრცეში კვამლად
 შეშის მოთქმა
 მიფრინ-მიფრინავს.
 ღმერთო!
 სინათლე
 დაუბრუნე
 უჩინო თვალებს
 ეს ცა,
 ეს მიწა დაანახვე,
 სანამ სულს დაღვეს.

სულიკო დიასკავიძე

ს ა ძ ა რ თ ე ე რ ო ს

ბევრჯერ დარეკა შენი ყოფნა — არყოფნის
 ზარმა,
 შენი ჩუქურთმა ქვაში თალა აქ
 ოპიზარმა,
 შენ გიგალობდნენ, გიმლეროდნენ ბრძენი
 მგოსნები.
 შენა ხარ წყარო სიბარულის, ლხენის,
 ოცნების.
 შენ განიცადე მტრისგან რბევა და
 აოხრება,
 მაინც შესძელი ჭირთა ძლევა, ძალთა
 მოკრება.
 ვფიცავ, მახარებს შენი წინსვლა, შენი
 ვარდობა,
 შენი გულადი, კუნთმაგარი ახალგაზრდობა.
 ვინაც ამუნებს ურყევ რწმენით მომავალს
 დიადს,
 ვინც თვალთაშუქით წაშლის ყველა უკუნს
 და წყედიადს,
 იყოს დღევრძელი, იყოს ქველი, იყოს
 ლომგული,
 მის სადიდებელს წკრიალებდეს ჩვენი
 ჩონგური.

არგაზის ხეში

სახსოვარი ლევან კოთლას

ეს — უკვდავების კლდეთა ხეგია,
 სიკვდილს არ ძალუძს აქ შენი ძლევა:
 მარჯვე ადგილი აგირჩევია
 საასპარეზოდ, ძვირფასო ლევან!

კაცე საქმითა თვისით იცნობა,
 უამი განკითხვის დარგეავეს ოდეს.
 აქ მტკერის ცისფერი მარადისობა
 ელამუნება თანგისფერ ლოდებს.

გმირთა ვარამის მურვევ, სიბრძნით
 ყურთ მიუპყრობდე უამთა სვლის გუგუნს!..
 წინ სერაფიტას აწრდილი გიძღვის,
 მიანათებ და მიაბრდევე უკუნს.



მეიშე ჰჰარი

რომანი

ვიგნი პირველი

XVII

ბატონიშვილების შესახედრად კორბელს გაგზავნილი ქაიხოსრო წერეთელი — მეფის ცხენოსანი ჯარის სარდალი, სახლთუხუცესი და ოკრიბის ბატონი ქაიხოსრო აგიაშვილი, რომელთაც თან ორასი მხედრისაგან შემდგარი მცველი რაზმი გაიყოლეს, მასხალეებით გაჩირადნებულ მოდინახის კარს ნანათლევს შოადგნენ. მხედრებს მთელი დამე შეუსვენებლივ ველოთ. ცხენები ძლივსლა მავრდებოდნენ ფეხზე. უკეთესი დღე არც თვით მხედრებს დასდგომოდათ.

მიტროპოლიტი და არჩილ ბატონიშვილი ქართლის საზღვრამდე იასე ქსნის ერისთავს მოეცილებინა კარგადი ამალით. დამხედურნი რომ გორაძირს ავიდნენ, ელჩიონი უკვე იქ იდგა და მეფის კაცების გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდა.

იოსებისა და არჩილის მობრძანება მეფეს სუფრაზე აუწყეს. სოლომონმა მძების მოპატიეება ბრძანა. ცოტა ხნის შემდეგ ორივე ქაიხოსრო და ლომკაც ჯაფარიძე შემოვიდნენ და მეფის ნე-

ბართვით სუფრას შემოუსხდნენ, მიტროპოლიტმა კი დიდი ბოდში შემოთვალა, გზამ ძალიან დაგვალა და, თუ არ გაგვირისხდებით, მოსვენება გვეჭირვებაო.

ლხინი გავრძელდა. ახალი წევრების შემომატებამ სუფრას ახალი შნო და ლაზათი მისცა. სოლომონს გუნება გაუფუქდა. მისი უღიმამო შემონათვალა ავის მომასწავებლად ენიშნა. ჩანს, არც ისე კარგად იყო საქმე, როგორადაც ის თავდაპირველად იმედოვნებდა. მაინც შეეცადა, ფიქრი გულში ჩაეხვია და თავისი ჯაფარი და მოუთმენლობა თანამეინახეებისათვის არ შეემჩნევიდნენ. ღვინოს მიეძალა, ჩიხურა საფერავის ღვინო მოტკბო, ცოტათი ძელგი დასალევი იყო და დალევის უმალვე ერთბაშად ძარღვებში მიდიოდა. მეფემ მხარი აუბა ლხინს. სხვებთან ერთად მღეროდა, იცინოდა და, როგორც შეეძლო, თავდავიწყებას ეძლეოდა. მგალობელი ძმები — საყვარელიძეები და ის დამე გაასხენდა, ლევან ბაბუასთან კაცს მიმავლებმა ალისუბანში რომ გაათიეს. ვინ იფიქრებდა, თუ ასე მალე ის დროც კი სანატრელი გაუხდებოდა. ღვერთო, რა სათ-

ნო და ლამაზი იყო იმ ღამეს თინათი, რარივ მოხიბლა ყველა...

სოლომონი ფიქრში ვაერთო. ისე წაიღო მოგონებამ, ვერც კი შენიშნა, ცხადი სისმირად როგორ გადაექცა. სისმირად ის კვლავ აღისუბანში იყო, გვერდით ბროწეულის ყვავილისფერი მარმარის კაბაში გამოწყობილი თინათი უჭდა და საყვარელი ქალის სიახლოვე გულს ისე სიამით უმჯერებდა, უნდოდა ზეზე წამოვარდნილიყო და არაპცთუ მარტო თინათი, მთელი ქვეყანა, ყოველივე სულიერი და უსულო, გულში ჩაეკრა. უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე თეთრყაბალახიანი ჰარმავი ბერიკაცი გამოჩნდა. ეს ყაბალახი სოლომონს მგონი სადღაც ენახა. ნუთუ კაცო ჩიჩუას ეხვია თავზე? ბერიკაცს ჩაცმულობასა და ზვიად მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, რომ ვიღაც დიდებულთაგანი უნდა ყოფილიყო. შემოსულმა ზედაც არ შეხედა სოლომონს, არც სხვას ვისმე, ხელი, რომლის საჩვენებელა თითზე ძვირფასთვლიანი ბეჭედი ეკეთა, თინათისაკენ ვაიშვირა და თავის მზღებლებს, საყვარელიძეების ოდის აივანი რომ აავსეს, მუახე ხმით რაღაც უბრძანა. ეს ოდიშის მთავარ ბატონი ოტია დადიანი იყო. აქ საიდან გაჩნდა? შიგ შუაგულ იმერეთში რა ესაქმებოდა? ანდა როგორ ბედავდა თინათის შეურაცხყოფას თვით სოლომონის თანდასწრებით? სოლომონი ზეზე წამოხტა და ხმაზე გაისეა ხელი. აქ კი სიმწრის ოფლმა დაასხა: ხმალი არ ჰქონდა. მამაპაპის მიერ დადგენილი ჩვეულებისამებრ ის ხომ დიასახლისს ჩააბარა სუფრაზე დაჯდომის წინ! როდესაც გამოერკვა და საკუთარი უღონობისაგან გატანჯული მიხვდა, სულ ერთი წუთით ჩამძინებიაო, ოფლში ცურავდა.

— ხომ არ მოისვენებდი, მეფე? — მოესმა და თვალები ზეასწია. თავს თმაწვერვაქალარავებული პაპუნა წერეთელი დასდგომოდა და მოწიწებით ელოდა პასუხს. სოლომონი წამოდგა.

პაპუნას ხელის წაშველება უნდოდა. მეფემ მხრის ოდნავი შეჭმუნებას დასწინობინა, ნუ წუხლებიო ზღა... ნასწორობის შენარჩუნება უჭირდა, დაწინაურებულ მასპინძელს კედლის გასწვრივ, ციხის დასავლეთი ნაწილისაკენ მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა.

— ჩემი ძმა წევს თუ ზეზე? — უჩვეულოდ დაბოხებული ხმით იკითხა მან, როცა წელში ოდნავ მოიხარინენ და მამხალეებით განათებულ ყრუ ტალანში შევიდნენ.

პაპუნა წერეთელი მიხვდა, მეფე დესპანად ნამყოფ შუათანა მძას კითხულობდა და უპასუხა:

— ზეზე, ბატონო მეფე, თქვენს მობრძანებას ელოდება.

ტალანში ათიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარეს. პაპუნა კედელში ღრმად ჩადგმული კარის წინ შეჩერდა, დააკაუნა, მუხის მძიმე კარი კრიალით შეაღო და მეფეს ფაქიზად მოფარდაგებულ მომცროს საკანში შეუძღვა. კარის მოპირდაპირე სქელ კედელში საკანს ერთადერთი ვიწრო სარკმელი ჰქონდა, საიდანაც დღის სინათლე შემოდოდა და ლურჯი ცის ნაქერი მოჩანდა. იოსები კართანვე მოეგება მეფეს, ჯვარზე ამთხვეინა, შემდეგ გადაეხვია და მარჯვენა მხარზე ეამბორა. პაპუნა ერთგული ქვეშევრდომის ალღოთი მიხვდა, აქ მისი ადგილი აღარ იყო, წამი შეარჩია, ბოდიში მოიხადა, მე, თუ შეიძლება, სუფრას მიეხედავო, და მამინევ ტალანში გაბრუნდა.

— ბიჭო, არჩილ! — მიტროპოლიტმა საკნის იმ კუთხეს ვაძხედა, სადაც ხის განიერი ტახტი იდგა და ზედ წითელი აბრეშუმის საბანში ვახვეულ არჩილ ბატონიშვილს ეძინა. — აი, შეგირცხვა თავი, ახლა არ მელაპარაკებოდი? გიციოდა ვითომ, — ახლა მეფეს მიმართა. — სოლომონის შემოსვლამდე არ დავიძინებო.

სოლომონს საწირე და ძიძის ქონხი გაახსენდა და ღიმილი მოერია. თვით მიაშურა დიდად გარჯილ პატარა ძმას,



საბანი გადაუწია და ტახტზე ჩამოუვცდა. არჩილს ღრმად ეძინა, ცხვირი წაერგო ბალიშში, ჩაეკმუტუნა და ისე გემოიანად ფშვინავდა, სწორედ საცოდაობა იქნებოდა მისი გამოღვივება. სოლომონს პირზე ღიმილი არ შიარღებოდა, შეაქმულყოფით აჰხედა შუათანა ძმას, ამ ძილისგულდა დესპანს უყურეო, არჩილს საბანი ფრთხილად წაახურა და ასევე ფრთხილად წამოდგა.

— სუფრასე რატომ არ მოხვედა, იასე?

— ამდენ შივრალ ხალხში... — მიტროპოლიტმა ხალიჩით მოგებულ ქვის იატაკზე მოიყვება, წითელი ხავერდის ღიდ მუთაქას ნიდაყვით დაეყრდნო, მეორე მუთაქა ძმას შესთავაზა. — თინათი თან ხომ არ წამოგვიყვანია? — და გაიღიმა. — კარგ დროს არ გეკითხები?

— სხარტალში დავტოვე.

— ისევე სხარტალში ხართ?

— მაშ რა ვქნა ყველგან თან ხომ ვერ ვატარებ! — სოლომონის თითოეულ სიტყვას გაღიზიანება და მოუთმენლობა ემჩნეოდა. მას რამდენიმე წუთის წინ ნანახი სიხშირე ვაასხენდა და გული ყრუ ტკივილმა შეუტოკა. ნეტა რა ჯანდაბამ და დონანამ დაასიხშირა ეს წყველი ოტია დადიანის იქნებ სიხშირე ოსებებისათვის მოეყოლა და ამით ოდნავ მაინც შეეშუბუბქებინა თავისი ტკივილი? — მაღლობა ღმერთს, მშვიდობით მოხვედი, გზაში მარცხი არაფერი მოგივიდა. — თქვა ამის მავიერ. — იქით რაღა არის საქმე? — თავი გორაძირისაკენ გაიქნა.

— ოსმალების მხრივ — არაფერი, მაგრამ ლეკებისაგან მოსვენება არა აქვთ უბედურებს. დღეს რომ კახეთს დაეცემიან და აგერ ყვარელს ან ვრემს მოაოხრებენ, ხვალ მუხრანში ან გორაში ამოყოფენ თავს. ერეკლე მეფე, ღმერთმა აკურთხოს იმისი მარჯვენა, დღე და ღამ ცხენზე ზის და ხან გატეხილი ხილიდან განაგებს ქვეყანას და ხან...

— გმირ და ქვეიან მეომარს ამბო-

ბენ... — სოლომონი დაჯდა და ძმას ცნობისმოყვარეობითა და მარტოობისაგან ღობით აღგზნებული სახე-მანიერებითა

— ნადირ-შაჰის გამოწერთნილია. ლაშქრობებში ვეერდიდან არ იშორებდა. ვინ მოსთვლის, რამდენ ღიდ ოქში ისახელა თავი. ყანდაარში ვინდა, ავღანისტანში, ინდოეთში... — მიტროპოლიტმა ძმას თვალეში შეხედა, გულლიად გაუღიმა და ჯანსაღი თეთრი კბილები გამოაჩინა. — ტანად პატარა კაცი ყოფილა. ასე, ჩემი ტანის... მარა რკინას კენეტს. ბიჭი ხარ და წინ დაუდგები! მტერს თვალით აფუქებს თურმე. აბა! დაუფასა კიდევაც შაჰმა ერთგულება: მამას — ქართლი, შვილს — კახეთი. ესუმრები?

— მართალია, ქართლელებს არ უყვართო? მამა ამბობდა...

— ვერ იტყვი მაგას, სოლომონ. მარტო ვიცი ამილახვარი და ორიოდ სხვა მისი ამყოლი ქართლი ხომ არ არის. მეფემ ამილახვარი სურამის ციხეში მოიპყვდია, კარგა ხანს ალყაში ყავდა. თეიმურაზს მართლა მთელი ქართლი ახლდა თან. უამრავი სისხლი სულ ტყუილად დაიღვარა. ახლა, რადი ციხიდან მშვიდობით გამოვიდა და თეიმურაზს ნებაყოფლობით ჩაბარდა, ვიეიც დაშოშინებულია და დიდკაცურად ცხოვრობს ტფილისში. აუგად ნუ ჩამოიპართმევ, ძეო და... მიუდგომელი კაცი ვერც საწყალ მამაჩვენს დაუჭერებ. მამა, თავად მოგეხსენება, ვახტანგ მეექვსის ჩამომავალი იყო ნეტარსხენებული ბებიაჩვენის მხრიდან. ვახტანგი ვახტანგის კარზე გაიზარდა ისანში. მერე, ბაბუა რომ თხმელისციხეში მოკლეს, იმერეთის ტახტზეც ვახტანგ მეფის შემწეობით ავიდა და რალა გასაკვირია, თუ თეიმურაზს ყოველთვის ქართლის ტახტის მოცილედ და მიმტაცებლად თვლიდა.

— ტახტი მაინც ვახტანგის ჩამომავალს უნდა მიედო. თუ წესი და კანონია, წესი და კანონი იყოს!

— მიელო მერე, წაართვა ვინმემ თუ?

— შენ, გეტყობა, გვარიანად მოუხარშისარ ერთსაც და მეორესაც. სანამ იქ წახვიდოდი, აქ სულ სხვანაირად ჭიკჭიკებდი.

იოსებს აშკარად ეწყინა ძმის ამდაგვარი გაშინაურება და ეს წყენა არც დაუმალავს, ჩვეულებისამებრ პირდაპირ მიახალა:

— შენ ახლა ცოტა ნასევამი ხარ, სოლომონ, გამოგვიძინა, დაგვსვენა და სალაპარაკოდ მერე დაემსხდარიყავით...

მეფემ აღმაცერად გაიღიმა, იოსებს თვალი აარიდა. ამით თითქოს ბოდიშს იხდიდა დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვების გამო. მცირე დღემილის შემდეგ შემრიგებლურ კილოზე თქვა:

— ავრე ხომ მეც შექმელო, ისე, გადავსულიყავი და თავი ქართლის მეფედ გამომეცხადებინა. როგორ ატყობ, არ დამიძახებდნენ ტახტის მოცილებს და მიმტაცებელს?

— ჩვენ სხვა ვართ, სოლომონ...

— რატომ სხვა, ბატონო, ბაგრატიონობა ვინ ჩამოგვართვა? თუკი თეიმურაზმა ვახტანგის სიძობა იკმარა და მცხეთაში ქართლის მეფედ ეკურთხა, მე და შენ უფრო ახლო ნათესაეებად არ ვერგებოდით ვახტანგ მეფეს?

— შენ მაინცდამაინც ვინდა შენი ვაიტანო და დამარწმუნო, რომ რასაც საწყალი მამარვენი ამბობდა, მართალი იყო და შენც მართალი ხარ. არა ხარ მართალი, სოლომონ. ეს თავდაც იყო და ტყუილა რისთვის მათათებ! თეიმურაზი რომ ქართლის მეფედ ეკურთხა, დაგავიწყდა, ქართლი რომ უმეფოდ იყო? ვახტანგი და ბატონიშვილები მოსკოვს ბრძანდებოდნენ. არ მომკვდარიყო ფრანციის მეფე ლუდოვიკო, ჩამოეტანა სულხან-საბა ორბელიანს დაპირებული ფცლათი ათასი ეკიუ, დამიჯერე, მაშინ საქმე სხვაგვარ წარიმართებოდა, სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა ქართლის და მთელი საქრისტიანოს ბედი, მაგრამ მოკვდა ის სულგანათლებული, ყელი გამოგვჭრა თავისი უღრთო სიყვდილით. ეს რომ ასე არ

მომხდარიყო, ვახტანგი, ლაშქარს შეკრებდა, დაქცეულ ქვეყნებს წამოაყენებდა. გვიმტყუროს ზღაპრები. ზორბელიანს წყალში ჩაუტყვიდა ამდენი ხნის ცდა და გარჯა. სამშობლოში ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა. რაღა ექნა ვახტანგს? რა გზა გამოენახა? შიშველი ხელებით ნაკვერცხლებს გამოყრი კერაზე? აბა, სინჯე! ვერც იმან გამოყარა. ადგა, მოაგროვა თავისიანები, ვინც კი ვაცლა მოინდომა და, როგორც ნოეს კიდობანს წარღვნის დროს, ქართველთა თესლის გადასარჩენად ერთმორწმუნე რუსეთს მიაშურა. მეფის შვილი და ძირი საქართველოში აღარ დარჩენილა. ნუ დაგავიწყდება, სოლომონ, ამ დროს გამოჩნდნენ სწორედ ბატონი თეიმურაზი და მისი ძე ერეკლე...

სოლომონი გაფიცდა, მაინც არ დათმო:

— ვახტანგ მეფეს ძმა დარჩა, იასე ბატონიშვილი. თუ ვახტანგის შვილი და გასაგისი ყველა გადაიხვეწა, ტახტა იასეს უნდა მიეღო.

— თუ არც იასე იყო ამ დროს საქართველოში? თუ არც იასე იყო? ნადირ-შაჰის კარზე მსახურობდა. ეს ერთი. მეორე: ეითომ თათრის რჯულზე შემდგარი იასე ბატონიშვილი ქრისტიან თეიმურაზზე უკეთესი მეფე იქნებოდა? ეგ კიდევ არაფერი, სოლომონ. კიზ მოკცემს, მე გეკითხები, ტახტს, თუკი ირანის შაჰს არ უნდინარ? იასე ახლაც ბევრს ფაფხურობს თურმე, სპარსეთის არეულობით უნდა ისარგებლოს და ქართლში მოვიდეს. მაგრამ საიშედო მომხრეები არა ჰყავს და თეიმურაზისა და ერეკლეს შიშით თეირანიდან ცხვირი ვერ გამოუყვია. სურამში გივი ამილახერის დამარცხების შემდეგ მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მეფე თეიმურაზი და მისი ვაჟიშვილი კახბატონი ერეკლე ქართლსა და კახეთში დიდ საქმეებს ატრიალებენ. ეს მე საკუთარი თვალებით ვნახე. სოლომონ, სხვის მონაყოლს კი არ გეტუბნები. ქვეყანა მოლონიერებულია, ხელახლა შენდება

და მშენებდა. ლეკები, მართალია, ძალიან აწუხებენ, დღესდღეობით ბოლო ამსაც მოეღება. მეზობელი სახანოები, ადრე რომ შიშის ზარს სცემდნენ ყველას, ახლა მორჩილებას აცხადებენ და მამა-შვილს ხარკსაც კი აძლევენ. აღირომ გავიარეთ, მთელი ხეობა კვამლით იყო სავსე. ერთმანეთს ვეღარ ვებდავდით. ცოტა კიდევაც შეგვეშინდა. ლეკების შემოსევა გვეგონა. ვიკითხე, რა არის-მეთქი. საკირეებია, კირს წვავენო. წვავენ და მერე რამდენს წვავენ! თეიმურაზი გორის ციხეს აახლებს, სხვაგანაც აახლებენ ციხეებს, ზოგან ახლებსაც აშენებენ. ერეკლე მორიგე ლაშქრის შეკრებას აპირებს....

— მორიგე ლაშქრის? — მეფემ თვალები მოკრულა და ზურგით ციხის კედელს მიეყარნო. — ეგ რა მორიგე ლაშქარია?

— სახელი თავად გვეუბნება, სოლომონ, ორი-სამი თვით გაიწვევს, გაწრთენის და საზღვრებზე დააყენებს, ნაწილი თან ეყოლება...

— მშვიდობიანობის დროს?

— სწორედ მშვიდობიანობის დროს! დაქმული ვადა რომ გავა, ძველებს, ვინც უკვე იმორიგა, ახლით შესცვლიან. ამით ორი საქმე კეთდება. ჯერ ერთი: მცირერიცხოვანი მტრის დასახვედრად მეფე ყოველთვის მზად არის და მეორე: ყველა უბრალო მოლაშქრე, გლეხი თუ აზნაური, ორ-სამ თვეში გაწრთენილ მეომრად იქცევა და ომის დროს მეფის ჯარი ერთიორად ღონიერდება. ტფილისში თოფხანა მოუწყვიათ. ზარბაზნებს და ზამბულაკებს ასხამენ, მეზარბაზნებსაც იქავე ასწავლიან იარაღის მოხმარებას. თეიმურაზს თავისი ოსტატებიც ჰყავს და უცხოებიც მოუყვანია. რომელი ერთი ჩამოგიტვალო, სოლომონ. ამიტომაც ქართლი მხარში უდვას ბატონ თეიმურაზს. ხალხი მხსნელს და სამშობლოს მამას უძახის. არ დაუძახებ? ამდენი ურჯულო ყიზილბაში მმართველის შემდეგ ბატონი თეიმურაზი პირველი ქრისტიანე მე-

ფეა, ვინც ძველი ქართული წესით და რიგით სვეტიცხოვლის მძღვენიწაღწეაში — შეგვეწიოს მისი მადლი! — ეკურთხა. იასე ბატონიშვილი დღეს აღარავის აგონდება. მისი კანონიერი უფლება მემამბოხე გივი ამილახვარმაც კი დაივიწყა.

— მაგრამ თვით იასეს ახსოვს...

— არა მგონია, მაგას რაიმე მნიშვნელობა ექნეს, სოლომონ. ქართლი თავის მეფეს არ უღალატებს და მის წინააღმდეგ სხვას არავის მიემხრობა, თუნდაც ეგ სხვა ვათათრებული იასე ბატონიშვილი იყოს!..

— მაშ, შენ ამბობ, მაგათხე ალალია ქვეყნის პატივი და დიდება?

— ჭეშმარიტად, სოლომონ, თუ გინდა, ხატზე დაეფიციებ. ჯერ კიდევ სადა ხარ! თეიმურაზი და ერეკლე, თუ გამჩინმა ღმერთმა ჯანი მისცათ და გაუმართლათ, ბევრ სიკეთეს იზამენ და ქვეყანას გამოაბრუნებენ.

— უმთავრესს რატომ არ მეუბნები? ამდენი ხანია ვსაუბრობთ და შენ გარეშემო უფელი უმთავრესს სათქმელს. რა მიზეზია? თუმცა, რა დავიმალო, მე უთქმელადაც უკვე ვხვდები...

იოსებმა ძმას თვალი თვალში გაუყარა, გამბედაობა მოიკრიბა და, როგორადაც შეეძლო, დარწმუნებით უთხრა:

— სხვაფრივ უნდა გავღონიერდეთ, სოლომონ. ბატონმა თეიმურაზმა და ერეკლემ ყველა სიკეთე მოგვაგეს, რაც კი მათ ხელთ იყო.

— რა სიკეთე მოგვაგეს! — სოლომონი მოიკმუტუნა, მის ხმაში სასოწარკვეთა და გამკილავე კილო გაისმა.

— წიგნები გაახლეს, ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადს დახმარების აღმოჩენას სთხოვენ... შენთვის.

— მაგათი წიგნები მე რას მარგია, იასე, სრულ ჭკუაზე ხარ? მე ჯარი მინდა, ადამიანო, იარაღი მინდა, ფული მინდა, რომ მხედრობა დავიჭირავო და არა წიგნები. წიგნები! წიგნს, თუ გინდა, ათს დაწერ. ჩემს წამხდარ საქმეს წიგნები უშველის?

— გული რატომ მოგდის, სოლომონ, ისე მსაყვედურობ, თითქოს რაღაც უკეთესს მაძლევდნენ და მე კი არ გამოვართვი.

— საქმეც ეგ არის სწორედ, — თავისდა უნებურად ხმას აუწია მეფემ და თვალბეზზე სიმწრის კურცხლები მოაღვა. — არაფერს მაძლევდნენ და არც არაფერი მოგცეს, არ აიტყვიეს აუტყვიარი თავი!

— გაპირებულები მართო ჩვენ ხომ არა ვართ, სოლომონ, ჩვენზე ნაკლებ იქნება არც სხვას უჭირს. ყური დამიგდე. ძმა ხომ ვარ შენი! საქმე გონივრულად ავწონ-დავწონოთ და საბოლოო გადაწყვეტილებაც მერე მივიღოთ. მე რომ მედავო და უკადრებელი მაკადრო, მაგით რას გამორჩები. ქართლი და კახეთი დიდი ომის გადასახდელად ემზადებიან. ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა წვრილ-წვრილი თავდასხმები აღარ იკმარა და რაკი ამ გზით ქართველებს ბევრი ვერაფერი დააკლო რა, ნუხის, განჯის და ერევნის სახანოებს მიმართა. სახანოები საიდუმლო კავშირის შეკვრას და გაერთიანებული ლაშქრით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ გამოსვლას ამირებენ. თუ ამით დაკავშირება მოახერხეს და ერთმანეთს შორის უთანხმოება არ მოუვიდათ, ქართლ-კახეთის ბედი ბევრზე დაეკიდება. ჩვენ, აქაურები, თუკი რამე შევიძელით, იქით უნდა მივეხმაროთ ერეკლესა და თეიმურაზს, იმათი დახმარების იმედი რაღანაირად უნდა ვიჭონიოთ! ასეა საქმე, სოლომონ. ამისთანა დროს ორცეცხლშუა ჩავარდნა ყველაფერზე უფრო საშიშია. თუ სახანოებს ომს უმართავ, აქეთ ზურგი მავარი უნდა იჭონიო...

— მე რა ზურვის გამაგრება შემიძლია, იასე!

— ვერ მიმიხვდი, მე სულ სხვა რამეს გეუბნები. ორივე მეფე დიდად მეგობრობს ახალციხის ფაშა ჰაჯი-ამადს. ხშირ-ხშირად მოყვარულ წიგნებს სწერენ და მდიდრულ საჩუქრებსაც

უგზავნიან. ფაშაც, რაღა თქმა უნდა კმაყოფილია გაძლიერებულ მხარეებთან სამეფოებთან კეთილმშობლობით და მდიდრულ საჩუქრებს არც თავად იშურებს...

— მერე მე რას მარგებს მაგათი მტლამატლუში?!

— ეს, შეიძლება, მტლამატლუშიც იყოს, სოლომონ, მაგრამ თუ დაუკვირდები, ორივე მხარე ჭკვიანურად და წინდახედულად იქცევა. ერეკლე და თეიმურაზი ხელებს იხსნიან გაერთიანებულ სახანოებთან საომრად, რაკი ზურგი მავარი ეგულებათ, ხოლო ოსმალეთი, თავის მხრივ, ევროპაში დატრიალებულ ამბებშია გართული და კავკასიაში ზედმეტი მხედრობის დასაბანდებლად არა სცალია.

— გამოდის, რომ ორივე მხარე ერთმანეთს ატყუებს?

— გამოდის კი არა, ავრეა! ხომ გავივონია, გაპირება მიჩვენე და გაქცევას ვიჩვენებო? ჰაჯი-ამადი, სულთნის სახელით, ძღვენს ძღვენზე აგზავნის მეფეების კარზე, თანაც ჩუმ-ჩუმად აწუხრისა და ყველის ციხეებს ამავრებს. თუ ვინცილობაა, ქართლ-კახეთის მეფეები თავიანთი ძველი სამფლობელოს — სამცხის შემოერთებას მოიწადინებენ, ის აქ მომზადებული უნდა დახედეს და შიგა ოსმალეთიდან მაშველი ჯარის მოსვლამდე საფაშო შეინარჩუნოს. ფაშას შიში უსაფუძვლო როდია. თუ მამა და შვილი სახანოებს გაუსწორდნენ და სპარსეთის შინაური ამბებიც მათ სასარგებლოდ მოგვარდა, მეორე-მესამე დღესავე პირს სამცხისაკენ იზამენ...

— რას მირჩევ ახლა? — სოლომონმა, აქამდე რომ ვარინდებული უსმენდა ძმას და გულში აღფრთოვანებულად იყო მისი შორსმჭვრეტელობით, თავი ასწია და იოსებს პირდაპირ თვალბეზში შეხედა. — პა, რას მირჩევ?

იოსები არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— გზა ერთი გვაქვს, სოლომონ...

— რომელი?

— ხვალავე უნდა შეჯდე ცბენზე და ახალციხეს წახვიდე... ორივე მეფის წიგნს ბეგლარბეგს შენი ხელით ვაღას-ცემ და დახმარებას შეევედრებ. ფაშა შეფეებს ხათრს ვაუწევს. არა მგონია, ხელცარიელი გამოგიშვას...

— ჩემს სამეფოს ოსმალთა ჯარით შემოვესიო? რას ამბობ, იასე? მეგონა, მართლა რაიმე გონიერულს მირჩევიდი...

— ახლა ეს არის, სოლომონ, ტახტის დაბრუნების ერთადერთი გზა. თეიმურაზმა და ერეკლემაც ეს დამაბარეს და მირჩიეს, რომ წუთი არ დაეკარგოთ, ისედაც დაგვიანებული ვართ.

— მე მაგას ვერ ვიზამ, იასე, ვინც არ უნდა შემომითვალოს. მირჩევიანია, ახლავე უკან გავბრუნდე და ბატონ ბაბუაჩემს და ბიძაჩემებს ჩემივე ნებით ჩავბარდე. ოსმალთა შემოვიყვანო? ეჰ, თქვენო მეუფებო... მაგას მართლა მეუბნები? ღმერთის შიანც აღარ გეშინია? ვის ვეომო მერე? მე ავარიანის მხარეზე დავდგე და ჩემი სისხლი და ორცი მტრის საჭიჯგნად ვაგვადო? ხომ დამწყველეს, იასე, შემამჩვენეს...

— ჩვენდა სავალალოდ, არც პირველი ხარ, ძმაო, არც უკანასკნელი. ყველა მეფე, რომ გაუჭირდებოდა, დამხმარე ხელს ოსმალებში ეძებდა. რაღა შორს წაივდი და ძველი მოვიგონოთ. ვაიხსენე მტრის ხელით დაღუპულა ბაბუაჩემი გიორგი და სამარცხვინოდ შეგინებული მამა აღექსანდრე...

— ოჰ, ღმერთო ძლიერო! — დაიგმინა სოლომონმა, თავი უკან ვადავდო და თვალები დახუჭა. — დღეს და ხვალ მაცალებო, იქნება რაღაცა მოვიდებირო...

XVIII

14 აპრილი, ორშაბათი, მიცვალებულთა ბსენების დღე — ოქონობა იყო. მთელი საწერეთლო, ვინც კი ღამის შინ ათევედა და განძრევა შეეძლო, დილითვე სასაფლაოებზე გაიკრთა. დიდსა და პატარას სათუთად თავდასურულ ხელკალათში გაეყარა მკლავი და

საკურთხი მიჰქონდა. მწვენივლი ვინაჟმეზე შეფენილი სასაფლაოებზე საფრიალი დედაკაცებითა და საგარეო ძველმანებში გამოწყობილი ბავშვებია ვაივსო. გამვლელ მამაკაცს, ყმა იყო თუ ბატონი, ქალები ასლობლის საფლავეზე ეპატიებოდნენ და მიცვალებულის სულის საცხონებლად კათხა ღვინის გამოცლას სთხოვდნენ. აქა-იქ გამუდმებული გლოვით ხმაჩახლეჩილი და თავის შავ დღეს რის ვაივაგლახით შეგუებული ქირისუფლის მოთქმა-გოდება ისმოდა.

საკურთხი წერეთლების სასახლეშიაც ვაკეთდა. კარის ეკლესიაში წირვა დაიწყო... წირვაზე, რაღა თქმა უნდა, მოდინახეში შეხიზნული სოლომონი, ბატონიშვილები და მათი თანმხლები დიდებულებიც მობრძანდნენ. თავ-თავიანთი მიცვალებულების სულის მოსახსენიებლად სანთლები აანთეს და გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით მაცხოვრის წმინდა ხატთან მუხლი მოიდრაკეს.

სოლომონი გულამღვრეული იყო. ამ ხალხის წინაშე, ვარს რომ გუნდად ეხვია და იმედის თვალთ შემოსცქეროდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა. რას არ მისცემდა სანაცლოდ, ოღონდ რაიმე ძალას ეხსნა ამ გასაჭირისაგან, უჩინარი და უხორციო ვაგვანდა. გულის-გამაწვრილებელ სინდისის ქენჯნას ისიც ზედ დაერთო, რომ უღვთოდ დაღლილი და მოთენთილი იყო. ბალიშზე თავის წადება და თვალის მოტყუება მხოლოდ გარიგრაჟზე მოახერხა. დარბაზის ერთ მთელ დამეს ბჰობდა და, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, მეფეს იმასვე ურჩევედა, რაც მიტროპოლიტ იოსებ გენათელისა და არჩილ ბატონიშვილის პირით ქართლისა და კახეთის მეფეებმა შემოთვალეს. მეფის ყოყმანი და გაჭიქება ორთავე წერეთელს, სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძეს, წულუკიძესა და აგიაშვილს, რომელთაც თვით მეფის ძმა იოსებო და ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძეც მხარს

უპირდნენ, მოსვენებას უკარგავდა. სოლომონის პასუხზე და ამაღამ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დიდად იყო დამოკიდებული თითოეული მათგანის ყმა-მამულის, სახლელისა და თვით მათი ბედი. თუ ვინცობაა, ტახტდაკარგული მეფე ვაუბედაობას, სიჯიუტესა და ხასიათის სისუსტეს ბოლომდე გამოიჩენდა და დაყოლიება არ მოხერხდებოდა, დიდებულებს თვით უნდა ელონათ რამე, რათა ამაშიძის, ერისთავისა და გურიელის შურისძიებისაგან როგორმე თავი დაეფარათ. თათბირის დროს, რომელიც მასპინძლების რჩევით მოდინახეშივე გაიმართა, სწორედ ამიტომ დარწმუნებისა და იძულების ყველა ხერხს მიმართავდნენ — მეფეს არამცთუ სთხოვდნენ და ემუდარებოდნენ, დაუყოვნებლივ ახალციხეს წასულიყო და ტახტის დასაბრუნებლად იქიდან მასველი ჯარი მოეყვანა, შიგადაშიგ შეფარულად ემუქრებოდნენ კიდევ... ნაშუალამევს, როგორც იქნა, სოლომონი გატყდა, ხელი ჩაიქნია, მოხდეს, რაც მოსახდენიაო, დარბაზის წევრთა შეგონება ერის ხმად მიიღო და მორჩილება გამოაცხადა. დიდებულებმა შევებით ამოისუნთქეს. ერთმანეთს უსიტყვოდ ულოცავდნენ საქმის კეთილად დაგვირგვინებას და გულში თავთავის გეგმებს აწყობდნენ...

გადაწყდა, სოლომონი და მისი მსლებლები ახალციხის გზას ოქონობის მეორე დღეს, სამშაბათ დილას დასდგომოდნენ. მაგრამ რომელი გზა აერჩიათ? ამაზედაც სხვადასხვა აზრი გამოითქვა. საწერეთლოდან სამცხისაკენ ორი გზა მიემართებოდა: ერთი — ლევან ამაშიძის საბატონო არგვეთის გავლით თხმელისციხისაკენ, ხოლო მეორე — ქერათხევისა და აღის გავლით ტაშისკრისაკენ, საიდანაც სამცხის გზა მტკვრის ხეობას აღმა ასდევდა.

მეფეს მეორე, უფრო გრძელი გზა უნდა აერჩია. სააბაშიოზე მიმავალი გზა, ისევე როგორც ერისთავის მიერ უკანონოდ დაკავებული ჭრუჭულის


ხეობა, საშიში იყო და სასწაულიც რომ მომხდარიყო და არგვეთი უხუცესთოდ გაეცლოთ, თვით ომსაღმრთის მხარეს გამაგრებულ თხმელისციხესთან და მთელ ხანისწყლის ხეობაში ამაზე მეტი საშიშროება ელოდა.

დიდი ამალის ზღედა საქირო არ იყო. მეფეს ახალციხეში ერთადერთი მრჩეველი — ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და აზნაური როსაფე მაქავარიანი უნდა გაჰყოლოდნენ. მაქავარიანი ასი რჩეული მხედრისაგან შემდგარ რაზმს უწინამძღვრებდა და მეფეს გზაში მძარცველთა მოულოდნელი თავდასხმისაგან დაცავდა.

სოლომონს გულზე მძიმედ აწვა გიორგი წულუკიძისა და დათუნა ნაფიჩვაძის ამარა სხარტალში დატოვებული თინათის დარდი. ჭალს, ალბათ, თვალეში გამოუღამდა ლოდინში და ყოველ მომსკლელს სოლომონის ამბავს ვკითხებოდა. ვის რა ნუგეში უნდა ეცა საცოდავისათვის, თუკი არაფერ არაფერი იცოდა...

თინათის მოსანახულებლად სხარტალს გადასვლა მეფეს, სულ ცოტა, ერთ კვირას მაინც წაართმევდა. ამას გარდა, გზა სახიფათო იყო. ამჯერად კი შესძლეს და უვნებლად დაუსხლტნენ როსტომ ერისთავის მზირებს ჭრუჭულის ხეობაში, მაგრამ კოკა წყალს განაყოველთაის მოიტანდა. სოლომონს ესლა დარჩა: ახალციხეში თინათის უნახავად უნდა წასულიყო და ცოლთან შეხვედრა თავისი პირველი ომის შემდგომი დროისათვის ვადაედო. ამ აზრს როგორღაც შეეჩეოა. არც დარბაისელთ გაჰკვირვებიათ, როდესაც თავისი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოაცხადა და სამცხეში ვასამგზავრებლად მომზადება ბრძანა.

მეფის ძმები — გენათელი მიტროპოლიტი იოსები და ბატონიშვილი არჩილი — ჯერ რძალს მოინახულებდნენ სხარტალში, მერე კი იოსები გელათს დაბრუნდებოდა კათალიკოს ბესარიონისათვის თვალყურის სადევნებლად,



ანდა დედოფალთან და არჩილ ბატონი-
შვილთან ერთად სხარტალში მოიციდი-
და, ვიდრე სანდო კაცების პირით სო-
ლომონი ახალციხიდან თავის ამბავს არ
შემოთვლიდა.

ბატონიშვილების კვლდაკვალ რაჰვან
გაბრუნდებოდნენ ლომკაც ჯაფარიძე,
ბერი წულუყიძე და ქაიხოსრო ავაშივი-
ლი. ამათ ხალხი უნდა მოეშადადებინათ
და შემოვიდოდა თუ არა სოლომონი
იმერეთში ფაშას მიერ გამოტანებული
ურუშის ჩართ, მყისვე მას შეერთე-
ბოდნენ. სახლთუხუცესმა სხვა დავა-
ლებაც მიიღო: ის ფარულად უნდა
შესვედროდა ორივე მენაპირე თა-
ვას — ბერი ლორთქიფანიძესა და
ზურაბ მიქელაძეს და მეფის განხრახვა
შეეცდებინებინა. ომის პირველსავე
დღეს მიქელაძესა და საჩინოს მფლო-
ბელ ჩიჯავაძეს საიშედოდ უნდა ჩაე-
კეტათ გურიის სასღვარი და ყველა
ღონე ეხმარათ, რათა თანამზრახველე-
ბის მოსაშველებლად დაძრული მამია
გურიელი აქეთ ვერ წამოსულიყო, სო-
ლო გვიშტიბის ციხის პატრონ ბერია
ლორთქიფანიძეს კვლავ ცხენისწყალსა
და ვერავ დადიანზე უნდა სკეროდა
თვალი. ოტია დადიანის გამოსვლა ამ-
ჯერად ყველაზე ნაკლებ იყო მოსა-
ლოდნელი, მაგრამ დადიანს ხომ და-
დიანობას ვერ მოაშლევიებდი და
ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებდათ.

მასაინძლებს — ზემო მხრის სარ-
დალ ქაიხოსრო წერეთელს და მის უფ-
როს მძას პაბუნას — ჯარი უნდა შეე-
ყარათ და მეფისაგან დათქმული ნიშ-
ნის მიღებისთანავე კაცბ, დასცემოდ-
ნენ. იგდებდნენ თუ არა ზელთ ლევიან
აბაშიძის სასახლეს, სასახლის ყველა
მცველი და შინამოსამსახურე, ვინც კი
ცოცხალი ვადაურჩებოდათ, დიღვეშო
უნდა ჩაემწყვდიათ და უმალვე ჩხა-
რისაკენ დაძრულიყვენენ მეფის მხედ-
რობასთან შესაერთებლად.

ყველაფერი თითქმის უკვე მზად
იყო, როსაფ მაქავარიანმა, მესთატე-
ხისმაგვარი ხმის პატრონმა ტლანქა

შესახედობის ბრვე ვაეკაცმა, სადი-
თაოდ ჩამოუარა მცველ-
რებს, რომლებსაც წყნ-
ეზოში, ასწლოვანი კომიტის ქვეშ მოე-
ყარათ თავი და გულდასმით შეამოწმა,
ხომ არაფერი აბრკოლებდათ, შემდეგ
კი ოცდახუთი მხედარი გაიყოლა და
ბატონების ბრძანებისამებრ გზას პირ-
ველი დაადგა, რათა სოლომონსა და
დანარჩენ მხედრონს სამეფოს სამზ-
რეთ საზღვარზე — გორაძირში დახ-
ვედროდა. ვიდრე სოლომონი და მისი
მხლებელნი სამშაბათ საღამოს ან
ოთხშაბათ დილით გორაძირს ააღწევდ-
ნენ და იქ პურის გასატეხად შეისვე-
ნებდნენ, მაქავარიანს ალის ციხის
მოურავის მონახულება უნდა მოეწრო
და იმერთა მეფის სახელით ტაშისკრი-
საკენ ჩართუბრთ გავლის ნებართვა გა-
მოეთხოვა.

ამინდი მზიანი დაიჭირა. უკეთესს
კაცი ვერც ინატრებდი. ეშში შესული
გაზაფხულის ერთი იმ დღეთაგანი იყო,
ცხოველყოფელი წვენით გაეღწეო-
ლი დედამიწა რომ საკინძეს იხსნის და
ახალი სიცოცხლის ჩასახვისათვის ემ-
ზადება.

მეფე და დიდებულები ჯერაც ისევ
დილის წირვას იხმენდნენ კარის გე-
ლესიაში, როცა ვარედან ქალებისა და
მამაკაცების ხორხოცი და წივილ-კივი-
ლი შემოესმათ. მღვდელს წირვა არ
შეუწყებია. სხვებმა პირჯვარი გადაი-
სახეს, ღმერთო, მშვიდობა პქენო და
უკან მიიხედეს, საიდანაც ავის მომას-
წავებელი გაურკვეველი ხმები მოისმო-
და. საყდარში ვილაც ეღაღწობიანი
შავგვრემანი ახალგაზრდა გლეხი შე-
მოვარდა, ფაფანაკი კარშივე მოიშე-
ლიბა, იქაურობას დაფეთებული მხერა
მოავლო, საყდრის ოთხკუთხა ბურჯ-
თან დამოქილ წერეთლებს მოჰკრა
თვალი და იქით გაექანა. ეტყობოდა,
შორიდან იყო მოსული, ცხენიც დაუ-

ზოგადად ეშენებინა, ტყავის შავტარიანი მათრახი ისევე ხელში ეჭირა. მოისმინეს თუ არა რაც გლეხმა ორიოდ სიტყვით უთხრა. პაპუნა და ქაიხოსრო ზეზე წამოცვიდნენ და უმაღლე კარს მიაშურეს, მაგრამ შემდეგ, ალბათ, ორივეს ერთბაშად გაახსენდა, რომ მეფე აქ, საყდარში, იყო და საკურთხევლისავენ გატრიალდნენ; რომლის წინაშე სოლომონს მუხლი მოეყარა და მოწყალე ღმერთს მფარველობა და შემწეობის ევედრებოდა. მეფე წამოდგა, მოღეღლია საკინძე შეიბნია და თვითონვე შეეკითხა ახალი ამბის შეტყობით ცოტა არ იყოს დაბნეულ და ფერწასულ წერეთლებს.

— რა მოხდა? გლახა ამბავია?

— ლევან აბაშიძე შემოგვესია, ბატონო... — მოახსენა პაპუნამ და მაღალ შუბლზე დვარად წამოსული სიმწერის ოფლი კრელი ბაღდადით მოიხოცა. — აგერ ქორეთამდე მოსულა, რაღა გვეშველება! აქეთ თუ შოდის...

მეფეს ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე, მარჯვენა თვალის ქუთუთო აუპარპალდა.

— ვინ არის ეს კაცი, ვინ მოიტანა ამბავი? მოვიდეს აქ!

ქაიხოსრო მიბრუნდა, რათა ავი ამბის მაცნე გლეხი მეფესთან მოეხმო, მაგრამ ის უკვე სოლომონის წინ იყო დაჩოქილი.

— ვინა ხარ, კაცი? — ჰკითხა მეფემ.

— ბაქუა სოფრომამე გახლავარ, დიდებულო მეფეო, — თამამად და გაბუნდულად მიუგო მოსულმა. — სოფელ გორისიდან...

— შენი თვალით ნახე ლევან აბაშიძის ჩარი?

— კი, ბატონო. ჩემი თვალით ვნახე. ბატონმა როსაფშაც ნახა, ყველამ ვნახეთ, მარტვა მე კი არა და უკან დამაბრუნა.

— შენ მე ახალციხეში მომყევებ?

— კი, შენი ჰქირიშე, ბატონო, მოგყვები, თუ ღმერთმა ხელი მოგვიყვარა.

— დილია აბაშიძის გეგმე შენს ლეკებია და შენ აბაშიძე მოგელანდა!

— არა, ბატონო, მოხარშულს ვიცნობ. აბაშიძის ყაჩაღებია! ბევრი არიან. დღე გამოგვიჩიეს. სასაფლაოზეა დიდი და პატარა. ჭალებს და ბოვშებს საფლავებზე იჭერენ, ხელ-ფეხს უკრავენ და მიყავთ, ჩემო ბატონო, შენი რისხვა ნუ დამატყდება. ჭრისტეს ტირილია...


პაპუნა წერეთელმა წუთიერი სიჩუმით ისარგებლა და სოლომონს კრძალვით მიმართა:

— მეფე ბატონო, შეუნდე ამ ბრყვის თავბედობა. წესიერი სიტყვა-პასუხიც არ უცის. მე მოკურიგდები. დაყოვნების დრო აღარ არის. თუ არ გაასწარიო, ეკლესიაში შემოგვიცივიან; ჰკუა კი არ დაუშლით. ერთჯერ მოგვტომიან თუ ორჯერ! გვეციოთ პატივი... — მან სულით ხორცამდე აღშფოთებულ მიტროპოლიტ იოსებს, არჩილს, ებისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს და დარბაისელთ მოაელო შეწუხებული მასპინძლის მშტრა. — თქვენ და ბატონი სტუმრები ციხეში შებრძანდით. მე და ქაიხოსრო წავალთ და, თუ ღმერთმა არ გაგვირია, ვეცდებით მალე გაახლოოთ. გაგვიძეხი ბიჭო! — უკანასკნელი სიტყვები პაპუნამ შინისაგან მოკუნტულ ბაქუა სოფრომამეს მიუგდო.

— არც ჩვენა ვართ საპყრები, თავადო, ხმალი ჩვენც ვვიჭრის! — თქვა სოლომონმა. — უბრძანე, მოგვართვან ცხენები!

ჯაგრისაგან ისედაც უზომოდ შეწუხებული და ფერწასული პაპუნა წერეთელი კიდევ უფრო გაფითრდა, ხელეზი გასაფსავა და იქ მყოფ დიდებულებს უმწეო მუდარით შეხედა, მიშველეთ რამე, ბატონ ხელმწიფეს ომში ნარევა გადათქმევინეთო.

— ნუ იზამ მაგას, მეფე, — იოსებმა იგრძნო პაპუნას გასაქირი, მღელვარება დაიოჯა და მის მტკიცედ, თითქ-



მის ყვედრებით მიმართა: — შენი ქვე-
წევრობი თავადები თავის შინაურ
საქმეებს თვითონ გაარიგებენ. შენგან
არ მიკვირს? რომელი გონიერი მეფე
ეროდა ქვეწევრობების შინაურ საქ-
მეებსში..

მიტროპოლიტის რჩევა დადებულებს
ქუაში დაუჭდათ, მეფის ძმას სიტყვა
დააწიეს.

— მე აქა ვარ, იცის, — სოლომონი
მინც გაცეცხლებული იყო, სახეზე აღ-
მური მოსდებოდა. — ის კი თავის ავ-
ღებას მინც არ იშლის!..

უფროსი კაცის და ისიც ღვიძლი ბა-
ბუის უდიერად მოხსენიება, თუმცა ის
მოსისხლე მტერი იყო, არავის მოეწო-
ნა. ეს ყველაზე მეტად იოსებს მოხვდა
გულზე, მაგრამ მეფის ნათქვამი უყუ-
რადღებოდ დასტოვა და რაკი ძმას
ომში ჩარევა დროზე გადაათქმევინა,
ისევ წერეთლებს მიუბრუნდა:

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე!
სისხლისღვრას მოერიდეთ. ჩვენ ციხე-
ში მოვიცდით...

გარეთ რომ გამოვიდნენ, თვალს სა-
შინელი სანახაობა წარმოუდგა. მთე-
ლი საშხერე, დიდიან-პატარიანა, ყავ-
რით, ისლითა და კრამიტით გადახუ-
რული ქოხებიდან გამოსულიყო და
ერთის მხრივ მოღინახის გორის საშხ-
რეთ ფერდობსა და მეორეს მხრივ ჩი-
ხა-სხვიტორისა და კვერეთის გზებს
მოსდებოდა. ვისაც ცხენი, ჯორი, ან
ხარ-ურემი არა ჰყავდა, ვაწყობილი
აკვანი ან სხვა ავლადიდება ბურგზე
წამოკეიდა და მტრისათვის მიუდგო-
მელ ადვილზე თავის შესაფარებლად
წერილშვილ იჭახს წინ მიუძღოდა.
დაცლილიყო მუდამ მოყაყანე და ხალხ-
მრავალი ურიების უბანი, აყრილიყო
უხსოვარ დროს აქ ჩამოსახლებული
სომხობაც. სახლ-კარი და ხარჩო-საბა-
დებელი მიეტოვებინათ, ყველას მიუ-
ვალ მთებისაკენ ექნა პირი...

ვილაცამ წერეთლების კარის ეკლე-
სიიდან გამობრძანებული მეფე და დი-
დებულები იცნო, იცნო და გაბმული

ხმით რაღაც დაიწვილა. აზიკებულ
ბავშვებისა და ქალების ბრძოლა-
დან გამოსულ დიდებულთა —
დღო პირთა მცირე ჯგუფს უმაღ გარს
შემოეხვია. სოლომონი მზღებლებს
მოაცილეს, დაიხოქეს, ფილაქანზე და-
ემხნენ და ხელები ცად აღაპყრეს.

— გვიშველე შენს გახარებას, მეფეო,
შეგვეწიე, დაგვიფარე აბაშიძისაგან,
შენც ჩვენსავით ქრისტიანე არა ხარ?

— გვიშველე, გვეცი ბრძანება!

— ცეცხლად და არიად ჩვენი ნო-
ხარი!

— გვიშველე, მეფეო, მოგვეხმარე!..

სოლომონი აჯანკალდა. შიმში თუ
რომელიღაც სხვა გრძნობამ კრიჷა შე-
უკრა და ხმის ამოღების უნარი წაართ-
ვა. უელში ბურთი აწეებოდა. რამდენ-
ჯერმე წამოასლოყინა და თვალებს ნა-
პერწყლები გასცვივდა. ბრბო გადა-
რეული იყო. თანდათან იზრდებოდა
და არავინ უწყოდა, ერთი წუთის შემ-
დეგ რას მოიმოქმედებდა. სოლომონს
ლონე არ შესწევდა საქვეყნოდ გამო-
ეცხადებინა, უძლური ვარო, რომ მთე-
ლი ეს ცოდვისკითხვა მისი ნების წინა-
აღმდეგ ხდებოდა და რომ რისამე
შეცვლა თვით მის, მეფის, ძალას აღე-
მატებოდა. ყურსაც გერავინ დაგიგ-
დებდა. ჭირი კარზე იყო მომდგარი და
ასხნა-განმარტების ნოსისმეჩად აბა ვი-
სასცხელოდა!..

აზვითებულ ბრბოს მკველები წინ
გადაელონენ, ძლიესძლიავობით უკან
დაახევინეს, იქნებ თავისიანებისაგან
მოწყვეტილ სოლომონს როგორმე გზა
მიეცეთო და როცა ჯეწნა-მუდარამ
არ გასკრა და ხალხის აბალი ნაკადი
მეფეს უფრო მკიდროდ შემოეხვია,
ლობებზე მიბმული ცხენები აუშვეს,
თვალის დახამბაჰებაში ზედ მოახტნენ.
ჰაიტო, დასკვივლეს და მათრახები
ააზუშუნეს.

— ღვიწი უკან დიხიჯ უკან, დე-
მოკლე ხელები, არ გესმის შეინ? —
წამდაუწუმ ისმოდა ქალების ვანუწ-
ვეტიელ კივილსა, კაცების ბრძღვი-

ვასა და ბავშვების მოთქმა-გოდებაში. ვილაციმ ქვა ისროლა. ქვამ სოლომონს ზედ ყვრიმალთან გაურბინა და შუაგულ ხალხში ჩაეარდა. „ესლა მაკლდა!“ — გაიფიქრა მან და ხელი თავისდაუნებურად შეზღზე იტაცა. სისველე მოჰყვა. ოფლი იყო თუ სისხლი? ყელში ისევ აწვებოდა ბურთი და თავს რეტი ესხმოდა. არ გაუგია, ციხეში ამავალა გვირაბის კარს როგორ მიიღწია. უკან ხალხის თავაწყვეტილი ღრიალი მოსდევდა. იგი უკვე აღარ ჰგავდა კეთილმოსურნე და მშვიდობიან ლიანგს, საწერეთლოში შემოსვლისას ჩრუტულის პირზევე რომ შეხვდა, ახალგაზრდა მეფის დანახვას გულწრფელად რომ შეჰხაროდა და დიდებულ სტუმარს ფეხქვეშ ფიანდაზს უგებდა. ეს უკვე სხვა იყო — იმედგაცრუებული, გამწყვრალი, გამხეცებული, დაუნდობელი ბრბო, არაფრის წინაშე რომ არ შედრკება და წარბს არ შეიხრის. ხალხმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ეს მესი სწორედ მეფის სტუმრობის გამო დაატყდა თავს, რომ პირძალი ლევან აბაშიძე შვილიშვილს მოსაკლავად დასდევდა და აღვირახსნილ ორთაბრძოლას უდანაშაულო ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ეწირებოდა.

„ახია! — გაიფიქრა სოლომონმა და ტუჩი მოიკენიტა. — რატომ უარესიც არ დამპირეთეს! მეფე ვარ და ჩემი ხალხისათვის მარტოოდენ უბედურება მომაქვს. ეს კიდევ რა არის! ცოდვისკითხვა და ჭოჭოსებით მაშინ უნდა იხილო, როცა ახალციხიდან მოვბრუნდები და სისხლისაგან დაცლილ საკუთარ სამეფოს ურჩულო წარით შემოვესვები..“

მაგრამ ვგონებ წერ კიდევ არ იყო გვიან, ვგონებ კიდევ შეიძლებოდა შეურცხვენელი სახელისა და ქვეყნის გადარჩენა. ლევან აბაშიძე თავისი ფეხით მოვიდა საწერეთლოში, ურჩ შვილიშვილს ფეხდაფეხ მოჰყვა. ახალციხეში წასვლასა და ზურგზე ახალი ცოდვის მოკიდებას იქნებ ლევანს მი-

გებება და ფარ-ხმალის დაყრა აწობებოდა?

არქანდელი

უკანასკნელ წაშენებულ სასახლეში აღმართულ სტატიკა და პირლია გვირაბში უბოდიშოდ შეეგდო. ეს მგონე ნიკოლოზა ნაფიჩვაძე იყო. რკინის ანჯამებზე მბრუნავი ქვის ვეება კარკრიალ-კრიალით დაიკეტა. ხმაური უეცრივ მოიკვეთა და მეფე და მისი მზღებლები ციხესა და ბნელ მიწისქვეშეთში აღმოჩნდნენ. სოლომონმა ვადმოცემით იცოდა, რომ მოღინახეს საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, რომელსაც წერეთლები მხოლოდ შიშინაობის დროს იყენებდნენ, სხვათა კი ცხენდაცხენ აიჭრებოდნენ ხოლმე ციხეზე. ამჯერად მეფესა და მის მცირე ამაღას ბრბომ ცხენებამდე მისვლა და ამხედრება არ დაეცალა. უფრო და უფრო აწვებოდა და ავიწროებდა. მცველი რაზმის კაცებმა ამიტოვად იმარჯვეს და გარდაუვალ საფრთხეში ჩაეარდნით ბატონები აქ შემოიყვანეს.

მაგრამ გარეთ, ღვთის ანაბარა დარჩენილი უიარაღო ხალხი? რა დღე ეწეოდა, თუ მტერი უცაბედად თავს წამოადგებოდა და გასაქცევ გზას მოუჭრიდა?

— ვინა ხართ აქ? გააღეთ კარი! — მთელი ხმით დაიყვირა მეფემ. თავისივე ხმამ გააკვირვა. არ ეგონა, თუ დაყვირებას შესძლებდა. ადვილიდან არაფერ დამჩუღა. ვილაც ტალ-კვეს! ანჯაყუნებდა ბნელაში და ნაპერწყლის გასაღვივებლად აბედს სულს უბერავდა. — არ გესმით ჩემი სიტყვა? — ახლა უფრო ხმაძალია გაიმეორა სოლომონმა და ნოტიო კედელს ხელი მოუფათურა. კარს ეძებდა. აალებული აბედით ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ ზეთის პრაქს მოუყიდა, თავს ზემოთ ასწია და გვირაბში მყოფებმა ერთმანეთი დაინახეს. — სად წავიდნენ მცველები?

— ყველა გარეთ დარჩა, ბატონო, — დიდებულების მაგიერ მიუგო მეფეს ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ. — კარის გაღება ახლა არ ივარგებს. ხალხი შემო-

ვარდება... ვაითუ ერთმანეთი დააშა-
ვონ.

— რა ვქნათ აბა, ბიჭო?

— არაფერი, ციხეზე უნდა ევიდეთ.

— იცის ვინმემ გზა?

— გზა ერთია, ავყვებით და თავად
ავგიყვანს...

— აბა, გაგვიძეხი!

გვირაბი ნესტიანი, დაბალი და ცი-
ცაბო იყო. ქვის ვიწრო საფეხურებზე
ფეხი ცურავდა. პრაქის შუქი სადღაც
წინ მიიწვოდა. წალიც-წალიც მიმავა-
ლი ადამიანები ერთმანეთს ეფარებოდ-
ნენ და უამისოდაც ძნელად სავალი
გზის გარჩევას აძნელებდნენ. ნიკოლო-
ზა ნაფიჩვაძის შემდეგ გვირაბში არ-
ჩილ ბატონიშვილი მიამიჯებდა. მესამე
მეფე იყო. ეკვითა და სულის მღრღნე-
ლი ორჭოფობით შეპყრობილმა სო-
ლომონმა პატარა ძმისადმი რაღაც უც-
ნაური სინაზე იგრძნო. არჩილი ომებ-
ში გამობრძმედილი ვაკეცივით უძ-
ლებდა ყველა განსაცდელს, არ წუწუ-
ნებდა, არ საყვედურობდა და ამით
უფროსი ძმის გამოუთქმელ მაღლიერე-
ბასა და სიყვარულს იმსახურებდა.
უპაერობისა და ნესტის გამო პრაქი
ძლივს ბეუტავდა და გზის გაგნება უფ-
რო და უფრო ძნელი ხდებოდა. ნო-
ტიო კედლებსა და ჰერზე თოვლის
ნაქურთვით ცივი წყალი მოკნავდა.
საფეხურები სველი და მოსრიალებუ-
ლი იყო. გზა უზომოდ გაკვიანურდა,
თითქოს დასასრულიც აღარ ჰქონდა...

წინ არჩილი შეჩერდა. დაიღალა, თუ
ნიკოლოზამ ანიშნა რამე? მეფე თავა-
დაც შედგა, სული მოითქვა და უკუნ
სიბნელეში მოკიაფე ნათელ წერტილს
თვალი გააყოლა, მერე კი ძმას ასძახა:

— რად ვაჩერდით, არჩილი?

არჩილმა საქმიანად უბასუხა:

— ციხიდან ბაწარი ჩამოგვაწოდეს.

ამ სიტყვებზე მან ფეხი მოინაცვლა,
შებრუნდა და მეფეს თოკის გორგალი
გადასცა, რათა იმასაც თავის მხრივ
უკან მომავლისათვის გადაეცა.

— მოეციდე, მოეციდე, სოლომონ,
ასე უფრო ადვილია ამოხსნა...
კანაფის მსხვილმა თოკმა, რომელიც
შიგაციხიდან ჩამოეშვით, მართლაც
დაუფასებელი სამსახური გასწია თუმ-
ცა თოკიც სულ მალე დასველდა, დამ-
ძიმდა, გაილიბა და თითქმის გამოუსა-
დეგარი გახდა.

XIX

მოდინახის ქონგურებიდან გულის-
მომწყვლევი სანახაობა გამოჩნდა.
მთელი გაღმა მხარე, სადამდეც კი თვა-
ლი სწვდებოდა, სქელ კვამლს დაეფა-
რა. კვამლი დიდ-დიდ ბოლქვებად ზე-
ვით-ზევით მიიწვებდა და ცისკიდურზე
ჩამოწოლილ ლევა ღრუბელს უერთდე-
ბოდა. სოფლებს შიგადაშიგ ცეცხლი
ეკიდა. ეტყობოდა, რაკი ქაიხოსრო
და პაპუნა დროზე ვერ მიეგებნენ და
უკან ვერ გააბრუნეს, ლევან აბაშიძის
მარბიელმა ლაშქარმა ძალი მოიკა და
ზოდაბუნებსა და გაღმა სოფლებს კა-
ლიასავით მოედო. სოლომონი ეკლებ-
ზე იჯდა. გალიაში დამწყვდეული ნადი-
რით ბორკავდა და აქეთ-იქით აწყ-
დებოდა. რამდენჯერმე სცადა ციხიდან
გასვლა და მცირე მკველი რაზმის
თანხლებით ომში ჩარევა, მაგრამ არც
ახლა გაუშვეს, ძმებმა და დიდებულებ-
მა გზა ვადაულობეს და გარეთ გასვ-
ლის საშუალება არასდიდებით არ
მისცეს. სოლომონმა თავადაც იცოდა:
ძმთამკლეტ ომში ჩარევა მისი მხრივ
სრული უაზრობა იყო, მაგრამ თავს ვე-
ლარ ერეოდა და, ნებაზე რომ მიეშვათ,
ვინ იცის, რა სისულელეს არ ჩაიდენდა.
თხოვნითა და შეგონებით რომ ვერას
გახდა, თავის საკანში ჩაიკეტა და ძიძი-
შვილს უბრძანა, შიგნით არავინ შემო-
ეშვა. ყველა საქმეში დინჯ და წინდახე-
დულ იოსებს შეეშინდა, ამისთანა გა-
საქირისა და სასოწარკვეთის წუთებში
საწყალმა თავს არაფერი აუტენოსო,
რისთვის აღარ მოერიდა, საკანში დაუ-
კითხავად ეახლა და ფიცით სთხოვა,

წერეთლების დაბრუნებამდე მე და არ-
ჩილიც შენთან ვიწვებით. თუ არ გინ-
და სამუდამოდ გული გვატკინოთ. მე-
ფერ დომო. ძმები საკანში შემოქმედა...

ბინდზე პაპუნას გამოგზავნილი კაცი
მოიჭრა. საცოდავი ისე იყო დაღლილი
და მილასლასებულა, სიტყვა სიტყვაზე
ძლივს ვადაბა. ციხის მოურავეს გაქირ-
ვებოა გააგებინა, ვან იყო და აქ რა
საქნის. გულისათვის გამოგზავნათ.
შტეერში ამოვანგლული და ტანისამოს-
შემოძენქილი მალე მსრბოლი უმაღლე
მეფეს მიჰგვარეს.

— რა ამბავი მრიტანე, ბიჭო?.. — კა-
რებშივე მიაგება სოლომონმა და ბრძო-
ლის ველიდან მოსული კაცის შესახვედ-
რად თუითონ წამოვიდა.

ნადრევედ შექალაქებულ ჯერ კი-
დედ ახალგაზრდა გლეხს, როგორც კი
მეფესა და მიტროპოლიტს თვალი ჰკი-
და, თითქოს ამასდა ელოდაო, დაღლი-
ლობა ერთბაშად გამოეყარა. კუჭყიანი
ფაფანაკი მან მკერცხლად მოიშვლი-
ბა. მტხლებზე დაემსო და იოსებს მი-
მართა:

— შენდობა მიბოძე, მამაო!..

იოსებმა ჯვარი გადასახა, ყელზე და-
კიდებულ გიშრის პაწაწინა ჯვარზე
აქოცნინა. მხოლოდ ტუჩებით წაიჩიფ-
ჩიფა მოკლე ლოცვა და მოსულს ახლა
თავად უთხრა:

— მოახსენე ბატონს, რას იტყობინე-
ბიან სარდლები.

— ღვთის და ბატონი მეფის შეწვე-
ნით ვაგვიმარჯვდა.

სოლომონი დაიხარა, გლეხს მხრებ-
ში ჩასქიდა ორივე ხელი.

— გააზრუნეთ ამაშივე?

— ნამუდამდევს თავად იბრუნა პირო,
მეფევე...

— ტყვეები ვერ დააყრვერნეთ?

— ზოგი, ბატონო, ზოგი ვერა.

— მოკლული ბევრია?

— იმათგან ორმოცო ან ორმოცდათ-
თი იქნებაო. ჩვენიც — ღმერთო, ნათე-
ლი დაადგინ — ასე გამოვა...

იოსებმა თვალები შეხუჭა და, რა-
ღაცეა უნდა იქნებოდა, თან დაეცა.

დაც წაიბურტყუნა. თან სანთლის სიფ-
რიფანა თითებით ქარფურქმულსანს
მარცვლავდა.

გინგლირთუქა

— დაპირილიც ბევრი გახლავს... —
განაგრძო გლეხმა — ზოგი ვაგვიარიდეს,
ზოგი დარჩა.

— მოტაცებული?

— ვინ იცის, მეფეო, სანამდი ხალხი
სახიზრებიდან არ გამოსულა, რას გეი-
გეფ კაცი

— ბატონებს ხომ არაფერი გაუქირ-
დათ?

— მე, აქით რო მოვდიოდე, შენ ხარ
ჩემი ბატონი, პაპუნა კალვათაში დაე-
ტრევე. მარჯვენა ფეხი იღრძო ბარძაყში
და არტანუბში ჩოტსეკს. ჯერ მოტე-
ხილი ეგონათ. შეიძლება, ტკონი
აეარდა ძვალზე. დიდი ბოდში შემო-
გითვალა, მეფეო. იქნება ამაღამ, თუ
ტკიელმა უტია და დაანება, ქე ამევი-
დეს ციხეზე და ვიახლოს. ქაიხოსრო
მდედარში წვეიდა და ახლა ნიგოზეთში
იქნება...

— არსად შეიტყუოს იმ გველშაპ-
მა! — ეს უფრო თავისთვის თქვა მე-
ფემ, თვალი იოსებისაკენ გააპარა, ხომ
არ გაიგონათ და მალე მსრბოლს, რომე-
ლიც ისევ დამოქილი იყო, მზერა და-
აღვა. — შენი სახე შემცნაურა. ვინა
ხარ, კაცი?

— ამ დილას არ ვიახელი, ბატონო,
სასტარში? გორახელი კაცი ვარ, სოფ-
რომაძე. ამაშიძის შემოსევის ამბავი მე
მოგიტანე.

— უპ. ბაქუა! — სოლომონს, აქამ-
დე რომ დანა კბილს არ უხსნიდა, თვა-
ლები ისე გაუბრწყინდა, თითქოს დიდი
ხნის უნახავ და მონატრებულ სიყრმის
მეგობარს შეხვედროდეს. — რით და-
ვანაჩუქრო ახლა, რომ არაფერი მაქვს?
ლატაკი ვარ შენსათვის!

— შენ კარგად იყავი, მეფეო, ღმერ-
თმა ნუ გაგაღატაკოს. მეფე რო ლატაკი
იქნება, ყმაც ლატაკი ეყოლება. ჩვენი
მტერი იყოს ლატაკი და უქონელი!..

სოლომონს გაეღიმა. მიხვდა, გლეხი
ეშმაკობა, სემახარობლს მიუღებლავ

არ ამირებდა აქედან წასვლას. ტაში შემოკრა. კარი იმ წამსვე გაიღო და ზღურბლზე თმაწვერგაბანჯკელული ნიკოლოზა ნაფინავაქ გამოჩნდა.

— ცხის მოურავი მონახე, ნიკოლოზა და უთხარი ჩემი სახელით, ბაქუა სოფრომამეს ერთი ხელი ჩონახალუხი და ახალი წულა-მესტი უწყალობოს.

— შენი თავი გეციცხლოს, მეფეო, წყალობაც ნუ მოგეკლოს. იხარე და იძირელე! შეგეწიოს გორიჯვრის წმიდა გიორგის მადლი!..

— წადი, ნიკოლოზა, რაღას გვიყურებ?

— მოურავი არ გახლავს აქ, ბატონო. თურმანიძის მოსაძებნად წვივდა. პაპუნა წერეთელს მალამო შემოუთვლია...

— მაშინ ჩემი ნაქონი მიეცი. ნახშიარი, მართალია, მაგრამ, სამავიეროდ მეფის გამონაცვალა.

ბექუს მოზიარის ხელგამლილობით აშკარად უკმაყოფილო ნაფინავაქ გატრიალდა, ვახარებელი ბაქუა სოფრომამე კი სოლომონს დაედრიჯა:

— იმაში ხელს რავე გოვეყრი, ბატონო, რა ღმერთი გამიწყრება, სხვენში დავკიდევ და, თქვენი სიკეთით, შეიღსა და ძირს სანახსოვროთ შოფუნახავ!

— აგრე ქენი. შენ ქონებას შენ გაატრონე. შეილი რამდენი გყავს, ბაქუა?

— თონი, ბატონო.

— სულ ბაქეები თე?

— სამა ბაქეა, ბატონო, და ერთი გოვო.

— ღიდებია?

— უფროსი ბიჭი წრეელს პირველად შეავდა ღიდელთან, წმიდა აღსარებაზე...

— მოვსწრებინ და ეგ არის. გაჩერდი, მეტს აღარ ამირებ?

გლუხმა თავი გააქიციხა, გაიღიმა:

— რაღა დროს ჩემი ეგ არი, ბატონო, დავებრდი.

— აი შე შეჩვენებულო, თვალებზე ვეტყობა, რაცა ხარ! შენი თევე ჩემზე იყოს. ჯვარს ღლით აღრე შემატყობინე!

— იცოცხლე, მეფეე, შენგან წყალობა და ამაგი არ გვაკლია.

— ჯერ რა გახსოვს ჩემგან, არ გვაკლიაო, რომ იძახი?

— აგერ ჩონახალუხი და წულა-მესტეები ხომ მიბოძე, ბატონო, გული ისე რავე გიზამს, რა ამაზე დამაყენო...

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი წასკდათ. არჩილ ბატონიშვილი აქამდეც კისკისებდა. გლუხის ყოველ სიტყვაზე კურცხლებს იწმენდდა და უცნაურად გამზიარულეპული კისკისებდა და კისკისებდა. მეფე დაიხარა, ბაქუას მხარზე დაადო ხელი, წამოაყენა და მეგობრულად შეაწვრიხა.

— ახალციხეში ხომ მოდიხარ?

— კი, ბატონო, დიღას არ ვითხარი?

— წადი, წადი ახლა, ტანზე გამოიცივალე, ცხენსაც მოუარე და...

— დიდი მადლობა მომიხსენებია, მეფეო, მამაზეციერმა გადაგიხადოს. მშვიდობით ბრძანდებოდე. ჩემო ბატონო!..

— მაქავარიანი თქვენთან იყო, თუ გორაძირში იცდის?

— გორაძირში მეგულემა, ბატონო, იქ უნდა მოეცადა.

— ჰო, კარგი, წადი.

— ღმერთი შეგეწეია, ასე იოლად მაიარა ყველაფერმა. — თქვა იოსებმა, როცა ბაქუა სოფრომამემ საყნის მძიმე კარი გაიხურა და ძმები კვლავ მარტო დარჩნენ ერთმანეთის პარასპირ. — მე სულაც ლეკები მეგონა.

ბაქუას წასვლისთანავე მეფემ ერთბაშად მოიწყინა, დაღვრემილ სახეზე წუთის წინანდელი ლაღობას ნიშანწყალიც აღარ ემჩინეოდა.

— ქართველი კაცი, თუ წახდა, იასე, ლეკზე უარესია. ცოტა მოითებნება ამის მავალით? მოსრეს, გააპარტახეს აჭაურობა. ან ღმერთს რა პასუხი გავცეთ, ან კაცს. ასე გულხელდაკრეფილი ყოფ-

ნა უკვე აღარ შეიძლება. ხალხი ჩვენ გვთვლის ყველაფერში დამნაშავედ და მართალიც არის. ერთი შენ იყო! არ ეტყვი, თუ მეფობ, ბატონო, იმეფე, თუ არა და მოშორდი აქაურობას. შენს მტრებს ქვეყანას მაინც ნუ გააოხრებინებო? ახლა ვრწმუნდები, რომ შენ ცამდე მართალი იყავი, როცა ფაშასთან წასვლას მაძალებდი. დღეს გულჩვილობისა და წუწუნის დრო არ არის, დავა ხმალი უნდა გადაწყვიტოს!

— ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩვენს ახრზე მოხვედდი, ძმაო სოლომონ, — თქვა მიტროპოლიტმა. — თუ კაცს შენი სიმართლე არა გწამს, ისე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. რას იზამ, წახვალ ბარემ ამდამ თუ დაუტევი პაპუნას და ჭაიხოსროს მობრუნებას?

— მოვიცადო ვითომ? ყოველი წუთი საუკუნედ მიღირს...

— მოსულიყვენენ მაინც, რაც უნდა იყოს, მასპინძლები არიან, საქმეს თავისებურად გამოაწყობენ. მზღებლები გინდა, ხარჯი გინდა, ხელცარიელი ხომ არ წახვალ?

— ისინი იქნება ხვალ ამ დროსაც ვერ მოვიდნენ, იასე. დრო არ იცდის. აქედან ორმოც კაცზე მეტს აღარ გავიყოლებ. მაჰკავარიანი ოცდახუთი ცხენოსნით მიცდის გორაძირში. მეტრამე მგონია, არ დამპირდეს. თუ ცა ჩამომემხო და თავათ აჯი ჩალაბი დამეცა, ვერც ასი და ორასი კაცით გავაწყობ რამეს. ასე არ არის? ერთი ეს სირცხვილი არ დაგემართნოდა და გაუმაძღარ ბაბუაჩენს არ დავედუპეთ!.. ამას მართლა ლეკების შემოსევა ჯობდა. ღმერთმა იცოდეს, იასე, არ მინდოდა, ჩვენს შორის შუღლი და მტრობა ჩამოგარდნილიყო. დღეს დილას, წირვაზე წასვლის წინ, რა დაგიმალო, კიდევ ვიმედოვნებდი — დამიჭერებ? — იქნება შეერიგდეთ მეთქი. ახლა ვხედავ, გადაწყდა, ყველაფერი გათავებულია — კუზიანს სამარე გაასწორებს. ან მე უნდა ვიქნე, ან ბაბუაჩემი. სხვა გზით ეს აშლილი ქვეყანა არ დაწყნარდება.

— რა გითხრა მაგაზე, ძმაო, მე რომ რამე შემეძლოს, ღმერთს ვმცხდარა. არ დავიზოგავდი და არც დავსწრებდი სულის წაწყმედის ფასად მორიგებას შევეცდებოდი.

— შენგან მიკვირს სწორედ, იასე, ახლა ჩვენს მორიგებაზე ლაპარაკი შეიძლება? სხვა რომ იყო, ვერ დაგიმალავ. შენს ერთგულებაში ემეი შემეპარებოდა.


— ავრე რატომ მსჯელობ! მორიგება ყოველთვის შეიძლება, თუკი ორივე მხრივ კეთილგონიერება გაიღვიძებს...

— ლამაზი სიტყვებია! მე, მაგალითად, რა შემიძლია, იასე? თუ სისხლის დაუღერელად რაიმე შემიძლია, მზად ვარ! ამ წუთში გუბნებოდი: ფაშასთან შენი და დარბაზის ერის ბრძანებით მივდივარ. საქმეს ისე ნუ გამოიყვანთ, თითქოს ყველა მამა აბრამის ბატყნები იყოთ და მხოლოდ მე ერთს მინდოდეს მოყვასის სისხლი დაეღვარო!..

— ავრე რად ამწავებ, სოლომონ? — იოსები არ მოელოდა თუ ძმა უდროოდ დროს გაფიცდებოდა და მისმა მოულოდნელმა გაცხარებამ თავადაც გული ჩასწყვიტა. — რომ რამე შემეძლოს, მორიგებას შევეცდებოდი მეთქი. განა ეს დანაშაულია. მე ამას ჩემი საღმრთო მოვალეობა მაკისრებს. ასეა თუ ისე, უმცროსი ხარ — შვილიშვილი, სისხლი და ხორცი. ბაბუაზე ხელი აღმართაო — ეგ არც ღმერთს გაუხარდება და არც კაცს. ყველა ამას გატყვის, ვისაც შენთვის სიკეთე უნდა. ბატონი დედაც რომ ბაბუას არ უდგეს მხარში...

მეფე ეჩენილივით გაწითლდა. დედის გახსენებამ, რომელზე ფიქრსაც ის მთელი ძაღლივით გაურბოდა, ყველა ძველი ტყვილი აუშალა.

— რას მირჩევ მაინც? საქმე უომრად მოგვარდება? ბატონი ბიძაჩემი მიტაცებულ ტაბტს უომრად დათმობს? რავე გგონია, იასე, მე ყველაფერი ვიფიქრე. შენ და არჩილიც მაგიტომ გაგსარჩეთ და შორი გზები მოგატარეთ,



მეგონა, სხვა საშველი გამოჩნდებოდა და უსისხლოდ ამ საქმეს შემოვუვლიდი. ვერ შემოვუვარე, იასე. დღეს ვხედავ: არაერთი სხვა გზა არ არის. ამას შენც ხედავ და ჩვენს მოსისხლე მტერ ფასთან წასვლას მიჩვენე. სხვებიც ხედავენ და ამასვე მიჩვენენ. რა ვუყო? მოვიცადო? როდემდე? ვის ვუყოლო? ყოველი უქმად დაკარგული დღე, შენგან ვიცი, მტერს აძლიერებს და მე მასუსტებს. ვინც ჩემი ერთგულია, ახლა გამოჩნდება, გაქირვებაში, თუარა წელი თუ წამოვწიე, ღმერთი ისე როგორ წამახდენს, საქმეს ვერ წავეუძღვე!..

— გამჩენმა და იესო მაცხოვარმა ხელი მოვიმართოს, სოლომონ, ყველა მაგის მსურველი და მლოცველი ვიქნებით!

— გავეცილს გატეხილი სკობია: რისთვის წამოიწყე ეგ სიტყვა?

— ჩემს ერთგულებაში ეპვი ვეპარება?

— არა! ღმერთმა დამიფაროს!

— აბა, რას მეკითხები!

— ნუ გიკვირს, იასე. პირდაპირ გეტყვი: მეშინია, სხვის ვავლენაში არ მოექცე და ის არ იფიქრო, რაც არ არის საფიქრებელი. ჩვენ, მეც და შენც, მით უფრო არჩილი, ყმაწვილკაცები ვართ. გამოცდილებაც გეაკლია და... რა ვუყოთ შერე! ცხოვრება წინ არის, ყველაფერს მოვესწრებით, ოღონდ ქვეყნის ერთგულება და ერთმანეთის დედამამიშვილური სიყვარული შევიინარჩუნოთ...

მეფეს თვალზე ცრემლი მოადგა და მხერა დაებინდა. მარჯვენა თვალის ქუთუთომ ახირებულად დაუწყყო თამაში. სიტყვა ძლივს დაამთავრა. ცხელი კურცხალი დაწვე გდმოუვარდა და იქვე, წვერზე აუციმიკიდა.

— გატყობ, ჩემგან ერთგულების ფიცს მოითხოვ. — დინჯად თქვა იოსებმა, რომელიც გვირგვინოსან ძმამე უკეთ ინარჩუნებდა შინაგან წონასწორობას. — მზადა ვარ, სოლომონ, ყოველგვარი ეპვი უნდა გაიფანტოს.

— მეც დავიფიცებ! — წაიკითხა დაუწყებია მეფემ.

— მეც! — ორივესათვის მოეფიქრა ნელად წამოიძახა არჩილმა და ქვეყნის საკირბოროტო საუბარში გართულ ძმებს ახლავა მოაგონდათ, რომ ისიც აქ იყო. სამივეს გული აუჩუყდა. ქვეთინს ძლივს იმაგრებდნენ. მიტროპოლიტმა ხელი მოახვია უმცროს ძმას და საკნის კუთხისაკენ მიაბრუნა, სადაც ბზის შტოებით მორთულ ხის თაროზე ღვთისმშობლის მომცრო ხატი იყო დასვენებული. მუსლი ერთად მოიდრიკეს. დაიხოქა მეფემაც...

XX

მალალი ვახშმობა კარგა ხნის გადასული იქნებოდა, ოცდაათიოდე შეიარაღებულმა მხედარმა რომ ყვირილას ფონი გაიარა, რიყეზე გავიდა და გეზი გორაძირისაკენ აიღო. მხედრებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი მეფე სოლომონი იყო, მთელი ღამე ისე იარეს, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. მეფეს დანა პირს არ უსხნიდა. ჭერ იყო და სხარტალში აუსვლელად და თინათის მოუნახულებლად მოუხდა გამოვგზავრება. როდისღა შესძლებდა შინ მობრუნებას, ანდა ნამდვილად მობრუნდებოდა კი? ამ დარდს ზედ სხვა უსიამოვნებაც დაერთო. დამკრის წინ მოდინახეში წერეთლების მიერ დატყვევებული მარგველი მოლაშქრეები მოიყვანეს. ტყვეებთან მიტროპოლიტი გამოვიდა და ყველა სათითაოდ დაპკითხა, მეფემ კი თავი აარიდა მათთან შეხვედრას. აცოდა, ამ შეხვედრიდან ახალი ვულისტკენის მეტი არაფერი გამოვიდოდა. მარგველები, რალა თქმა უნდა, თავს უდანამულოდ გამოიყვანდნენ და მთელ ბრალს ღვთისა და მეფის წინაშე თავიანთ ბატონ ლევან აბაშიძეს დასდებდნენ. ეს ასეც იყო და არც იყო ასე. ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო ლევან აბაშიძეს პასუხისმგებლობა არ ასცდებოდა, მაგრამ და-

ნაშულის გარკვეული წილი მისი ყოველი მოლაშქრის სინდისს ამძიმებდა. სხვა დროს, გზაზე რომ არა მდგარიყო, სოლომონი დიამბეგებს მოუხმობდა საქმეს ძირისძირობამდე გამოიძიებდა და სამართალს გააჩენდა. დღეს ამისა არც დრო ჰქონდა და არც საშუალება. ამიტომ თავი შორს დაიჭირა და ტყვე მარგველების დაკითხვა მღვდელმთავარ ძმას მიანდო...

მხედრები მხოლოდ ერთხელ შეაჩერეს სადღაც გორისის მიდამოებში. ვინაობა გამოიკითხეს და გზის განგრძობის ნება მხოლოდ ამის შემდეგ დართეს. დამხედურნი ქაიხოსრო წერეთლის თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული კაცები აღმოჩნდნენ. მათ თავადისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, დღე-ღამის ყოველ დროს საქარავნო გზაზე თვალი დაეჭირათ და ყველა საქვეო მგზავრი დაეკავებინათ. მეფის მსლებლებმა სწორედ ამათგან შეიტყვეს, რომ თვით ქაიხოსრო, რომელიც აბაშიძის მარბიელ ლაშქარს თითქმის ძირულის პირამდე მიჰყოლოდა და ვატაცებულ ტყვეების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეტოვებინებინა, ახლა მოკლე გზებით მოემართებოდა მეფესთან შესაერთებლად და, შესაძლოა, სოლომონს გორაძირშიაც დახვედროდა. სოლომონმა მადლობა გადაუხადა კეთილი ამბის მომტანთ და გზის განგრძობა ბრძანა.

გორაძირში ქაიხოსრო წერეთლისა არაფერი იცოდნენ. ჩანდა, ის სხვა გზით წამოვიდა, ანდა ჯერ კიდევ ვერ მოედწია აქამდე. სამაგიეროდ, მეფესა და მის მსლებელთ როსაფ მაქავარიანი შემოეგება და ცოტა ხნით ჩამოქვირთება სთხოვა.

გათენება მოაბლოებულ იყო. ცას მოეწმინდა. ბრდღვიალა ცისკრის ვარსკვლავი, ლურჯ ცაზე ჩირადღანივით რომ ემოცივებდა და მგზავრებს გზას უნათებდა, გადახრილიყო და მთებს იჭით ჩასვლას აპირებდა. განიერი და მიხვეულ-მოხვეული საქარავნო გზა აქამდე უპირატესად აღმართს მოსდევ-

და. გორაძირში შემოსვლამდე, ვინ იცის, რამდენი დიდი დეკორაციული გამოიარეს. აქა-იქ მდგარი მსხვილავდა ჩამწვარი-ჩანაცრებული ხის სახლები, საბძლები, ქოხ-ბოსლები და ადგილები, სადაც ჯერ კიდევ შეუადლისას ნაზამთალი ჩალს ზეინები იდგა. ღამის ბინდბუნდში აღამიანები დაბორიალებდნენ და ახალი თავდასხმის შიშით დაფეთებულნი ყორეების, ქიშკრებისა და უნებლად გადარჩენილი ნამწრალეების უკანიდან ადევნებდნენ თვალს აჩქარებული თქარათქერით მიმავალ უცხო მხედრებს.

— ხალხი სად არის? — ცხენიდან ჩამოსვლელად ჰკითხა სოლომონმა როსაფ მაქავარიანს, რომელსაც უღალი ყაბალახი მოეხადა მხარზე გადაეგდო და ქალარა თმაში ორივე მხრიდან შექრილი მადალი შუბლი აღესილი ნაჭახის პირივით ულაპლაპებდა.

— ავერ გახლავს, ბატონო, ტყეში. თუ მიბრძანებ, ახლავე ფეხზე დავაყენებ ყველას.

— რამდენი კაცია?


— თვრამეტი, მეფეო, სხვები შინ გავეშვი, ველი და ჯერ არ მიბრუნებულან.

— რისთვის გაუშვი მერე, აქ როდემდე უნდა ველოდოთ, ლოდინის დროა?

— ზოგს სახლი დაუწვევს, ბატონო, ზოგს ჭალაბი და საქონელი მოტაცეს. მეც კაცი ვარ, ვეღარ შევაკავე, შენო რისხვა ნუ დამატყდება. ამისთანა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვართ გაჩენილი. გათენებამდე ყველა მოვა, თუ...

— აბა, ჩვენ ვეგლით და დაგვეწიეთ, — მაქავარიანის საწყალობელმა პასუხმა სოლომონს ფარ-ხმალი დააყრევინა, ეს თითქმის დარცხენილად თქვა და გაოფლილ ცხენს დეზი ჰკრა. — საუხუმე ჯერ აღრეა, როსაფ, აღში გავჩერდებით.

ამალამ სადავეები მიუშვა ცხენებს და თავდაღმართში დაწინაურებულ მეფეს ჰენებ-ჰენებით გამოუდგა. ვიწრო ხეობაში რომელშიც ისინი დაეშენენ,



ადრიაინი დილის ნიაცი ჰქროდა და ახრჩოლებული გოგირდის თუ რაღაც სხვა მკვეთრი სუნი მოჰქონდა. სოლომონს ძმასთან საუბარი გააბსენდა. თეიმურაზ მეფის განთქმული საკირეები, იოსებმა რომ მოიგონა, ეტყობოდა, სადღაც აქ ახლას იყო. მოუთმენლობა დაუფლავა, ცხენი ააჩქარა. უხაროდა, რომ საკირეებს, ძმამ რომ ისე სახარბიელო ფერებით აუწერა, საკუთარი თვალით ნახავდა...

ნეტავი თეიმურაზს! მეფობის სადავეც ხელთ უპყრია და ხალხიც კმაყოფილი და ერთგული ჰყავს. ქართლი დიდი ქვეყანაა. ურმისა არ იყოს, აქ საკირეც უთუოდ დიდი და ბარაქიანი ეცოდინებათ! მას ორი ფინჩა კირის გამოსაწვავი იმერული საკირეები დაუდგა თვალწინ. მთელს იმერეთში, ოდიშსა და გურიაში საკირეს დღესაც ისევე აწყობდნენ, როგორც მრავალი ასი და ათასი წლის წინათ. ღრმა ორმოს ამოთხრიდნენ, ქარისაგან დასაცავად ირგვლივ მალალ მიწაყრილს შემოაყოლებდნენ და მხოლოდ ერთი მხრიდან დაუტოვებდნენ შეშის ან ნახშირის შესატან ბილიკს. დასაწვავი ქვა ზემოდან ეწყობოდა რკინის მსხვილი ჭოსებით გადასურულ ქურას, ქვემოდან კი გამოუნელებელ ცეცხლს უნთებდნენ. სხვადასხვა ღროს საკირეები სხვადასხვა ადგილას ეწყობოდა. ამიტომაც ნასკირალ ორმოებს მთასა და ბარში კველვან შეხედებოდა...

თეიმურაზ მეფემ ეტყობა, საქმე სულ სხვანაირად წარმართა. კირის გამოწვის მოხელებს თავი ერთ ადგილას მოუყარა, ხალხი მიანმარა, სავანგებო საკირეები ააგებინა და ციხეებისა, ეკლესიისა-მონასტრებისა და სასახლეების ასაშენებლად თუ შესაკეთებლად კირის მუდმივი მარაგი გაიჩინა.

აი, რა მოსდევს ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობიანობის ჩამოვლებას და ერთმეფობას! — ფიქრობდა სოლომონი და თავის უმწვეო მდგომარეობას გულში ქართლის ძღვეამოსილი მეფის

თეიმურაზის, მდგომარეობას აღარებდა. ის ამ ფიქრში იყო გაჭრეპნული, წინიდან ცხენების წიხვნით და მიჭრეპნული ფეხისხმა შემოსემა. სოლომონმა სადავე მოზიდა და ცხენი ყალყზე შეაყენა. «ლეკებია? — გაუელვა წამით. — რა უმარჯვო ადგილზე მოგვამწყვდიეს ამ ძალიშვილებმა. მაქაეარიანი მაინც არ ჩამომრჩენოდა!» თითქოს მეფის გულში ატეხილი შფოთის გაფანტვას ესწრაფებინათ, სწორედ ამ დროს მოაქუნეს ცხენები დაწინაურებულმა ნიკოლოზმა ნაფიჩვამემ და ბაქუა სოფრომამემ და სოლომონს უადრესად სასიხარულო ამბავი აუწყეს: იმერეთის მეფეს ქართლის მიწა-წყალზე შემობრძანებისთანავე თავიანთი ღრმა პატრივისცემის გამოსახატავად გეგმებოდნენ აღის ციხის მოურავი აზნაური პებია ხაჩიძე და თეიმურაზ მეფის მიერ გორიდან საგანგებოდ გამოგზავნილი დიდებულო, ქართლის სამეფო საბჭოს წევრი თავადი იასე ქსნის ერისთავი.

ქსნის ერისთავს, რომელიც მეფე ალექსანდრეს გაქირვებაში, ემიჯალბაშ კონსტანტინე ჩოლოყაშვილთან ერთად, იმერეთს ღესსანად გადმოვიდა, სოლომონი ძველ ნაცნობად და კეთილისმყოფელად თვლიდა და მისი სახელი რომ გაიგონა, გული იმედით და სისარულით აევსო. მალე თვით თავადიც მობრძანდა. ცხენი ათიოდე ნაბიჯის მოშორებით შეაჩერა, როგორც ღირსებით უმცროსს შეზღერის, ჩამოკვეითდა, სადავე მხლებელს მიუგდო და მეფისაკენ გამოემართა. ეს რომ დაინახეს, სხვა დარბაისელი ქართლელებიც ჩამოხდნენ ცხენებიდან.

«ალბათ, მეც უნად ჩამოვიდე!» — გაიფიქრა სოლომონმა. დახმარება არავისი ეკირებოდა. მაგრამ ნამუსის მოსაწმენდად ნიკოლოზამ უზანგი დაუქირა და ისიც მკვირცხლად გადმოვიდო უნაგირს. ქსნის ერისთავი მივახლა, ჯერ მარჯვენა მხარზე ეამბორა, შემდეგ ხელზე და სასურველი სტუმრის დანახვით გახარებული მასპინძლის ვულითადობით მიმართა:

— კეთილი იყოს შენი ფეხი და მობრძანება, ბატონო მეფე, შენი ღვიძლი და მარადეამს თანამდგომი ღვინაქართლის მიწაზე. ნება მიბოძე გადმოგვცე სრულიად საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის, ანტონის, ლოცვა-კურთხევა და ჩვენი დიდი მეფის, ბატონი თეიმურაზის, ძმური სალამი. მეფე გულისტყვივლს გამოთქვამს, რომ გარემოებამ ხელ-ფეხი შეუკრა, ნება არ მისცა, სამეფოს საზღვარზე პირადად შევხვედროდა იმერთა დიდებულ ბატონს და შენი უმაღლესობის საკადრისი პატივი მოეგო. მეფემ და ღვინაქალმა მე მომანდეს, ბატონო სოლომონ, ბრწყინვალე ამაღლაში გვახლოთ და, რაკი ასე ჩქარობა და ჭერჭერობით არ შევიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობით, საათბაგოს საზღვრამდე მიგაცილოთ...

ეს თქვა თავადმა, მარჯვენა ხელი, რომელშიაც ორად მოკეცილი მათრახი ეჭირა, გულზე მიიდო, ქალარა თავი დაბლა დახარა და დაუმატა:

— თუ თქვენი უმაღლესობის ნებართვაც იქნება.

სოლომონი აღფრთოვანებული იყო. სიხარულის ცრემლები აბრჩობდა და საპასუხო სიტყვის სათქმელად ხმის ამოდება ამინებდა. ერისთავს გადაეხვია და გულში ღვიძლი შვილივით ჩაეკრა. „ვაშაა!“ — ერთხმად შესძახეს ორივე კუთხის შვალეებმა, რომლებიც აქედან მეფეს ახლდნენ, იქიდან კი ერისთავს და ერთმანეთს სათითაოდ მიესალმნენ. სოლომონი ამგვარ დიდებულ, წრფელ დახვედრას სწორედ რომ არ მოელოდა. გულში როსაფ მაკავარიანის მადლიერი იყო. როსაფმა, ეტყობა, დროზე ადრე გააფრთხილა აღის ციხის მოურავი ბეპია ხაჩიძე, რაკი იმან გორს კაცის გაგზავნა და იქ მყოფი თეიმურაზ მეფისათვის ამბის შეტყობინება მოასწრო.

იასე ქსნის ერისთავის სიტყვა, რომელიც ამჯერად ქართლ-კახეთის მეფეთა ნებასა და სურვილს გამოჰხატავდა,

მრავალმხრივ საგულისხმო იყო, იგი საგულისხმო იყო უპირველესად ქველვისა იმით, რომ თეიმურაზი ქსნის ერისთავს, რაღა თქმა უნდა, ერეკლეს, სოლომონს იმერეთის ერთადერთ კანონიერ მეფედ მიიჩნევდნენ და ამას საქვეყნოდ აცხადებდნენ. გარდა ამისა, გვირგვინოსანი მამა-შვილი იმერეთის სამეფოსთან მკიდრო კავშირისა და ძმური თანადგომის ნაცად გზას იდგა. დაბოლოს, რაკი თავისიანების მზაკერობით ტახტიდან ჩამოგდებულ იმერთა კანონიერ მეფეს ქართლი ასე სიამტკბილობით ხედებოდა, იგივე ქართლი, თუ მას სურდა სოლომონთან მეგობრული ურთიერთობა მუდმივი და მტკიცე ყოფილიყო, იმერეთის ახლანდელ განმგებლებთან — ტახტის მიმტაცებელ გიორგი ბატონიშვილთან და არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძესთან — მსგავსი ურთიერთობის დამყარებას გულშიაც არ გაივლებდა.

სოლომონმა შინაგანი მღელვარება დაიოკა და დაშხვდურთ მოკლე საპასუხო სიტყვით მიმართა. იასე ქსნის ერისთავი პირად მეგობრად და თავისი ოჯახის ძველ გულშემატყვირად აღიარა. როდესაც მეფე ამას ამბობდა, სჯეროდა კიდევ, რომ ეს ასე იყო, გული კვლავ აუჩუყდა და ხმა აუკანკალდა. სიტყვის დასასრულ ზენაარს მხურვალედ შეევედრა, ოდესმე მაინც შემაძლებინე, ქართლის დიდებულ მეფეს, მამად სახად ბატონ თეიმურაზს და მიუღს მუსულმანურ აღმოსავლეთში სახელგანთქმულ ძეს მისას, კახაბატონ ერეკლეს, ჩემი ძმური ერთგულება და ქართველობა საქმით დაეუმტკიცო.

ყველა ჩინებულ გუნებაზე დადგა. ერთის მხრივ მეფისა და მეორეს მხრივ ქსნის ერისთავის მხლებლებმა დამბახები იძრეს და მტრის გულის გასაგმირად ჰაერში დააქუსხეს. შემდეგ, როგორც ერთი კაცი, თოფისწამლის კვამლით თუ უეცრად ატეხილი გრგვინით გადარეულ ცხენებს მოახტნენ, ერთმანეთს შეერივნენ და ხეობაში გზა სრო-

ლითა და ყოყინით განაგრძეს. ამასობაში უკან ჩამოტოვებულ მაკეაზარისადაც მოეტანებინა და ასაბიას ნელი ნავარდით მოსდევდა. პაწაწინა, მღვრიე მდინარის გაღმა, ზმირ მურყნაში რომ მოიკლანებოდა და გზას ხან მარჯვნივ მოექცეოდა და ხან მარცხნივ, მთის კალთაზე შეფენილ მალალ წიფლებს ამომავალი მზის პირველი სხივი დასცემოდა და დამეულ ძილში განაბული ხეობაც თითქოს თვალებს იფშვინებდა და იღვიძებდა.

მეფე და ერისთავი მსარდამბარ მიაპუნებდნენ ცხენებს. მათ კვალდაკვალ მისდევდნენ ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე და ალის ციხის მოურავი პეპია ხაჩიძე, რომელსაც თავი იმერული ყაბალახით პქონდა წაკრული, შემდეგ კი თავ-თავისი გვარიშვილობისა და მღვთმარობის კვალობაზე სხვა მხედრებიც მოაგვლეებდნენ პატარა ტანის, კატასავით მოქნილ სწრაფ ცხენებს.

სოლომონი უზომოდ აღზნებული და ხალისიანი ჩანდა. წუხანდელი უგუნებობისა კვალიც კი აღარ ემჩნეოდა. მოსწონდა და ხიბლავდა ყოველივე, რასაც ირველივ ხედავდა. მზად იყო, თითოეული ხე და ბუჩქი გულში ჩაეხუტებინა. ზედინედ ჩაიჭროლეს მდინარის გაღმა-გამოღმა სერებზე წამოდგმულმა ქვითყირის პატარ-პატარა სადარაჯო კოშკებმა. კოშკებზე მზირები იდგნენ, ხელი მოეჩრდილათ და აქეთ იყურებოდნენ. სოლომონი წელში გაიმართა, მზირებს ხელი დაუქნია. იმათაც დაუქნიეს ხელი, თან მთელი ზმით რაღაცას ეძახდნენ. უთუოდ შორიდან მიესალმებოდნენ იმერთა ახალგაზრდა ბატონს. ფოთლოვან ტყეში გამოკატეული ახოები, ახალი დახნული თუ დაფარცხული საყანებები და ძეძვით შემოღობილი ბოსტნები და ვენახები ერთმანეთს წაებნენ. თავი შიგ შეაგულოკრიბაში, რაჟამი ან არგვეთის ხევსუვებში გეგონებოდა. ალაგ-ალაგ მწვანე ჭეჭილი და თოვლის ქვეშ გამოზამთრებული პრასის კვლები ბიბინებდა.

მდინარემ, აქამდე რომ ვრთოვრთნებდა ზხრიალებდა, დამდორებუ კლდეებსა და ხეებზე ბამ კი გაფართოება იწყო. ჯერ სოფელს მთელი საათის სავალი გზა ამორებდათ, როცა მარჯვნივ ალაგ-ალაგ ჩამოშლილი ფრიალო კლდეების ძირას, მრგვალი, რკინის სალტეებით შეკრული და ზემოთ და ზემოთ თანდათან მოეფრობებული ქვიტყირის შენობები დაინახეს. შენობებს თავზე ყომრალი კვამლის გორგალი ადგა. მღვრიე ბოლქვებად ამომავალი სქელი კვამლი ზევით-ზევით მიიწევდა უღრუბლო ცაში, იქ იშლებოდა და ასე გაშლილი და გაშქრქალებული მიდამოს ეფინებოდა. ეს ალის განთქმული საკირეები იყო. სოლომონი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. საკირეებს თვალმოუშორებელივ მისჩერებოდა და თითქოს საკუთარი გულის აჩქარებულ ფეთქვას უსმენდა. აი, საქმე! აი, ნახელავი! ამის შემსედვარე მტერსა და ავის მდომელს რატომ თვალი არ დაუდგებოდა...

„მართლაც საარაკო არ ყოფილა? — ვაიფიქრა სოლომონმა. — დღეში თუ გინდ ათასი ფუთი კირი დასწვი, განა ამ კლდეებს და საშეშე ტყეს რამე მოაკლდება?“ მას არამართო სიდიდე, საკირეების კედლების მკვიდრი ნაშენობაც აკვირებდა. ასე საშვილიშვილოდ იმერთში მხოლოდ ეკლესიებსა და ციხეებს აშენებდნენ, სხვა ყველაფერი კი თითქოს ღროებით, სადღეხვალიოდ კეთდებოდა.

„ბოლო უნდა მოეღოს ამნაირ უყაართობას! — გადაწყვიტა მეფემ. — ერთხელ და სამუდამოდ გამართული საქმე, მართალია, ძვირი ჯდება, მაგრამ მერე და მერე მოგებასაც ერთი ორად მტეს იძლევა. მოწამეთას გორაზე ბევრია საკირის ქვა. იქ ძველი ნასაკირალიც მინახავს. სამი-ოთხი ამნაირი საკირე რომ გამართო კაცმა და ნახშირით ან შემით მოამარაგო, კირი იმდენი გექნება, თუ მოინდომებ, მთელ სამეფოს ჩინეთის კედელს შემოავლებ!“

ალის ციხეში ზარბაზანი არ იყო. რუ-

სეთის სანაპირო ციხე-სიმაგრეებიდან გადმოღებული ჩვეულებისამებრ მეფესა და მის ამაღას დოღების ვაბმული ბრავუნით, ძელის კვრითა და ჭავიარების სროლით შეხვდნენ. მეციხოვნეები და ხალხი ციხის შესასვლელის ორივე მხარეს იდგნენ და მხედრობის ვაშას ძახილით მიესალმებოდნენ. ციხიდან სხედასხვა ფერისა და მოხაზულობის ბაირაღებიც გამოეტანათ და წვეტიან ტარზე დამაგრებულ ფარჩას თუ ატლასს ქარი ატკაცუნებდა.

სოლომონი უკვე შეეჩვია ამგვარ დახვედრას. ცხენი ნაბიჯით მოჰყავდა და მეციხოვნეებსა და ხალხს, ციხის მისადგომები, შესასვლელი და ყველა გამოსახენი ადგილი რომ იეცო, გულმხურვალედ მიესალმებოდა. ცხენებიდან მხოლოდ ბრტყელი ქართული აგურით ნაგებ, აქა-იქ კედლებდამზარულ ციხის ეკლესიის წინ ჩამოხდნენ და სტუმრებიცა და მასპინძლებიც ეკლესიაში შევიდნენ. მაქსიმე აბაშიძე ღამისთევასა და გზას დაეღალა, მაგრამ წირვა მიიწე თავს იღო. სამგზავრო ტანსაცმელი არ გამოუცვლია, ასევე მიეხალა საღებავგადაქრცილი ძველისძველი ხატებით მორთულ კანკელს, მღვდელსა და ორ ახალგაზრდა მთავარდიაკონს, რომლებიც წირვის დროს მის თანაშემწეობას სწევენ, ხელზე მთხვევის ნება დართო და ჯიბის ოთხთავი ჩაეცილ ადგილას გადაშალა. ეპისკოპოსს ხმა მალალი და რბილი ჰქონდა. მათეს სახარების იმ მუხლებს, სადაც თავის გარშემო შემოკრებილ მოციქულებს ქრისტე პირველი ქადაგებით მიმართავს, სვენებ-სვენებით, ოდნავი წამღერებით კითხულობდა და შემდეგ, თითქოსდა სულის მოსათქმელად, მგალობელთა გუნდის ამოძახილს: უფროს დებდა.

სანთლებით გაჩირადდებული საყდარი ხალხით იყო სავსე. ყველას, დიდსა და პატარას, გულით მოეწადინებინა, საყუთარი თვალთ ენახა იმერთა ტახტ-დაკარგული მეფე, ქართლს რომ შემწე-

ობის სათხოვნად მოდიოდა, და თავისი ყურით მოესმინა, როგორ შეხვდნენ ჩვერელი ეპისკოპოსი...

სტუმრები გზას ადგნენ. აქ ერთ ან, სულ ბევრი, სათანახევიარს თუ გაჩერდებოდნენ. თეიმურაზ მეფის ნება-სურვილის აღმსრულებელ ისეც ქსნის ერისთავს ეს გარემოება ყურად ეღო და მასი ბრძანებისამებრ პეპია ხაჩიძეს სახელდახელო სუფრა ციხის ვალაყანშივე გაეშალა. ღვინით საეცე კასრის ამოტანა შეაჯვიანდათ. ხილზე გადმოსვლისას ურემს ხის ღერძი გასტბოლა და ვიღრე მომხმარე ხალხი აქედან იქ ჩაეღა და კასრი სხვა ურემზე ციმციმ გადაიღო, გვარიანმა დრომ გასტანა. მასპინძლები შესამჩნევად მოუსვენრობდნენ. ერთი წამოდგომა თვით დარბაისელი ერისთავიც კი წამოდგა და ციხის ქონგურიდან ქვემოთ, სოფელში გადაიხედა. ბოლოს, ეტყობა, ურემში, რომელზედაც კასრი იდგა, ციხეს ამოაღწია და ქართლის თაქარა მზით გასუხულმა ახალუხისამარა ყმაწვილმა ბიჭებმა სისხლივით წითელი ღვინო კოკებითა და თუნგებით შემოარბენინეს. გზაში მოსიებული ხალხი მშრაღად მოხარულ ძროხის ხორცსა, ოხრაბუშმოყრილ კირკაც ლობიოსა და ზედამესავეთ ღვინოს მიეძალა.

— ადრე თუ სადმე შეხვედრიხარ, ბატონო სოლომონ, ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადს? — ხმადაბლა, მოკრძალებულად, ისე, რომ არავის გაეგონა, ჰკითხა ერისთავმა მეფეს, რომელმაც სატრაპეზოში დაჯდომა არ ინება და ღია ცის ქვეშ, ხალხთან ერთად არმია პურმარხლის მიღება.

— არა, ბატონო, — მიუგო მან. — მამაჩემი, ალექსანდრე მეფე, კი იცნობდა ძალიან კარგად.

— იქნება, მისი მეუღლეა ეპისკოპოსი... — ისეც მეფის მხარმარჩენივ მჯდომ მაქსიმე აბაშიძეს მიაპყრო წამიერი მზერა.

— არა, ბატონო ისეც, არც ეპისკოპოსი. მე, ჩემდათავად, გოლა-ფაშას მეტი ახალციხეში არავინ ვიცი. გოლა-

ფაშას რაიმე დახმარების იმედი მტერს ექნა. ორ გროსად გამოვიდა. ამეამად, მგონი, იქ არ უნდა ბრძანდებოდეს. სმა მოვიდა, ბულგარეთში გაამწესესო. თქვენ უკეთ გეცოდინებათ...

— ვერაფერს მოგახსენებთ, ბატონო მეფე. ეგ ამბავი, უნდა გამოგიტყდეთ, ახლა პირველად გავიგონე. ისე საგულლისხმოდ კი შეჩვენება. გოლა-ფაშა გამოცდილი და მამაცი სარდალია. აგერ ოცი-ოცდობით წლის წინათ უბრალო იანიჩარი იყო. დღეს ფაშობას მიაღწია. მაგ ვაჟბატონს ყოველთვის იქ აგზავნიან, საიდანაც სულთნის კარს მტერი საფრთხე მოელის. ეტყობა, ვეროპაში უკუღმა წაუფიქრებდათ საქმე. ჩვენთვის აგრე ადვილად ვეღარ მოიცილიან. მოსალაპარაკებლად კარგ დროს მიზრძანდებით, მეფე, პაჯი-ამადს, ეტყობა, უქირს და მისი დაყოლიება ვგონებ არ გაგიძნელებთ.

— დმერთმა ქნას, ბატონო ისე. თეიმურაზისა და ერეკლეს წიგნებზე დიდ იმედს ვამყარებ, — აქ მეფემ უცებ შესცვალა საუბრის კილო, ერისთავს მტერი მოწინააღმდეგე მიმართა: — თქვენთან და ბატონ ჩოლოყაშვილთან დიდი ბოდიში მაქვს მოსახდელი. ჩემი საქმე ისე აირია, აქამდე ესეც ვერ შევიძლები და იმედიც არ დამძრახავთ.

— რა სათქმელია, ბატონო! — გაუადვილა ერისთავმა. — კარგად გვეყოლებოდა და ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის გავუგებთ. მართალი მოგახსენიოთ, ჩვენ, მე და ბატონ კონსტანტინეს, დიდხანს არაფერი გაგვიგია. ვისივე გამოკითხვის საშუალება არ იყო. ვერც თავად შევიკადრეთ. დიდად გავცვირდით ორივე, რაც მართალია, მართალია, ბატონებიც ძლივს დავაჭერეთ...

— გათხოვთ პატივი დამდოთ და წრფელი მადლობა გადასცეთ ჩემგან. მათი ძმური დახმარება და უანგარო მხარში ამოდგომა კუბოს ფიცრამდე მტხრომება და თავს მუდამ ვალდებულად ჩავთვლი, სამაგიერო სიკეთე მივაგო, რითაც კი შევიძლებ...

— ჩვენს ბედკრულ დედა-საქართვე-

ლოს თქვენი ერთობა და ურთიერთ-

ნდობა დიდად ეპირვება.

— მე შიშად ვარ, ბატონო!

— ისინიც შიშად გახლავან...

სოლომონი წამოდგა და როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდა, თანამეინახეთ ქართლისა და კახეთის მეფეების — თეიმურაზისა და ერეკლეს, სადღეგრძელო შესთავაზა. სუფრამ ფრთაშობილი ფრინველივით შეიფრთხილა და ერთბაშად წამოიშალა. სოლომონს მხნეობა მოემატა, სმას აღწია, სადღეგრძელოში მთელი სული და გული ჩააქსოვა. სუფრა სულგანაბული უსმენდა, ყოველ სიტყვას ხარბად იქერდა და ახალგაზრდა მეფის მწერმეტყველებით აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მაქსიმე აბაშიძემ და ქსნის ერისთავმა ერთმანეთს გადასედეს. ორივე უაღრესად კმაყოფილი იყო. ხალხის აღფრთოვანებას ისინიც უყოყმანოდ იზიარებდნენ. სოლომონმა ყანწი მოიყუდა და ფაშას გრიალში სულმოუთქმელად დაეწაფა. სადღეგრძელომ რომ ჩამოიარა და ყანწები ტოლუმბაშს დაუბრუნდა, ერისთავმა ხალხმრავალი სუფრისათვის ეგზომ დამახასიათებელი სმაურით ისარგებლა და მეფეს გადაულაპარაკა:

— მამ, გოლა-ფაშას არ მოინახულებდით, ახალციხეში რომ ყოფილიყო?

— არა, ბატონო, რასა ბრძანებთ! — სოლომონმა ვერცხლის ფრიალა თეფშის ფარფლზე ფაფურის სამარხილიდან წყობით მარლი ვადმოყარა და გულხათხრობილად უპასუხა. — ეგ არც მიფიქრია. მე და გოლა-ფაშა, მხოლოდ თქვენს გასაგონად ვამბობ, ხმალმა უნდა გავგასწოროს. თუ ყინმათმა გამოიჭრა და მისი სისხლი დაველიე, ხომ კარგი, თუ არა და, რა გავწყობა, დეთის განგებას ვინ სად გავეძევეთ!

— გულს ნუ გაიტებ, მეფეო, დმერთი მოწყალეა, დაილოცოს იმის სახელი, უნუგეშოდ არ დაგვტოვებს. პაჯი-ამადს განათლებულ და ურჯულოს კვალთაზე ლმობიერ კაცს ამბობენ. ჩვენი ბატონი მეფისაგან გამოიგონია...

სოლომონი ხელახლა განიცოცხლდა,

ყურები სცქვიტა, ყმაწვილური ცეცხლით ავიზგიზებული თვალები ერისთავს შეანათა.

— მეც აგრე მსმენია, ბატონო იასე.

— მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია თურმე რაბათში...

— ეგ რაბათი რაღას ქვია?

— ციხეა დიდი, ციტადელი. აი, როგორც ქუთაისში, ან ჩვენი ისანი და მეტეხი ტფილისში. ჭალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან გადმოჰყურებს. იქ დგას ბეგლარბეგის ყველა სასახლე, ქსენონი, ტრაქტირი, ჯარის სადგომი, პარამხანა და მეჩეთი... ამბობენ, უკეთეს სახილველს ვერაფერს ნახავს კაცის თვალიო.

— თავად გინახავს, ბატონო?

— არა, სხვის ნაამბობს მოგახსენებ. პაჩი-აჰმადმა მეჩეთი კონსტანტინოპოლის აია-სოფიას თარგზე ააგებინა საბერძნეთიდან მოწვეულ ოსტატებს. შეხვალ და გამოსვლა აღარ გინდა, იქვე მოუწყვია დიდებული წიგნსაცავი. აშურბანიალის ბიბლიოთეკა გეგონება. საიდან არ აგროვებს სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნებს! თუ კაცს გინდა, დიდი პატივი სცე და თავადაც პატივისცემა დაიმსახურო, თურმე ძვირფას ყდებაში ჩასმული წიგნები უნდა მიაართვა...

— მაჰმადის რჯულის აღმსარებელი რა თავში იხლის ჩვენ ქრისტიანულ წიგნებს!

— წიგნი წიგნია, ბატონო მეფე, რა რჯულსაც არ უნდა ჭადაგებდეს. გაგებულმა კაცმა, ჩემგან არ გესწავლება, ყველა უნდა წაიკითხო და იცოდეს. დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის წიგნსაცავებში რა ჯურისა და რა ენაზე დაწერილ წიგნებს არ ნახავდი. ამბობენ, ბევრი ვანიაედა, მაგრამ გულათში დღესაც ბევრია შემორჩენილიო...

სოლომონმა დუმილით აარიდა თავი პირდაპირი პასუხის გაცემას. ენოთირა. ქართლელმა დიდებულმა რომელიღაც იცოდა გელათის წიგნსაცავის ამბავი, ვიღარე თვით მან, იმერეთის მეფემ და


ამიტომაც მოინდომა სკულტურულად საგანზე გადაეტანა. მხარდობისთვის აშლისას მიხვდა, ქუთაისმა და ალღო-ინმა მასპინძელმა რაბათის წიგნსაცავი თუ რა მიზნით გაიხსენა. ერისთავს უნდოდა შეფარულად შეეტყო, იმერეთის მონასტრებიდან წამოღებული რაიმე იშვიათი ხელნაწერი ხომ არ მიჰქონდათ ახალციხის ფაშა პაჩი-აჰმადის გულის მოსაგებად და როდესაც დაწამუნდა, ეს განზრახვა თავშიაც არავის მოსვლიაო, სოლომონს თვით შესთავაზა რამდენიმე ძვირფასად შემკული წიგნი, რომლებიც თან ჰქონდა წამოღებული და, როგორც მან თქვა, უამისოდაც აპირებდა მეფისათვის ძღვნად მიართმევას.

წიგნი სულ ოთხი იყო. აქედან სამი ბერძნული და ერთიც ქართული — შიომღვიმელი ბერების მიერ ეტრატზე გადაწერილი და საკვირველი ხელოვნებით შემკული „ქილილა და დამანა“.

— რა დაგიმალო, მეფეო, მენანება, — სიცილით თქვა ერისთავმა. — მაგრამ რას იზამ, როცა ძალა აღმართა ხნავს. მე ბევრად კმაყოფილი ვიქნებოდი, თუ ჩემ წიგნებს თქვენს პირად წიგნსაცავში დავიგულებდი...

სოლომონი უსახლვროდ მადლობელი დარჩა. გამეღავენებით ამის ნახვეარის გამეღავენბაც ვერ მოახერხა. ეშინოდა, მადლიერების სიტყვები ზედმეტ ქათინაურებად არ ჩამოერთმიათ. გულით სწუხდა, რომ ამჯერად არ შეეძლო ბევრის მნახველი და, ალბათ, სულთანივით მდიდარი ერისთავი რაიმე მნიშვნელოვანი საბოძვართ გაეკვირვებინა. სამაგიეროდ, თავს პირობა მისცა, როგორც კი საქმეს საკეთილოდ შემოატრიალებდა, არც ამ კეთილშობილი დარბაისელის ერთგულება და უანგარო ამაგი დაევიწყებინა.

იასე ქსნის ერისთავის ქართლელი მხედრებისაგან შემდგარი მცველი რაზმის შემომატების შემდეგ სოლომონის მხლებელთა რიცხვი თითქმის ერთი სამად გაიზარდა. ახლა მოთარეშე ლეკთა საფარზე წაწყდომის შიში აღარ



იყო, მაგრამ ამ ამბავს სხვა უარყოფითი მხარე ჰქონდა: ჯარი ყველას ყურადღებას მიიქცევდა და ხალხში ათასნაირი ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვაერცვლდებოდა. ეს ხმები, შესაძლოა, ხელზე დაეხვიათ ქართლ-კახეთის მეფეთა კრიშაში მდგომ ავის მოსურნეებს და ერთის მხრივ თეიარაშა და მეორეს მხრივ კონსტანტინოპოლში თავის სასარგებლოდ გადაკეთებულ შელაპაშებულ მიეტანათ.

მეფემ ღამე ტაშისკარში გაათია. უკვე გვიანი იყო და ხალხსა და ცხენებს დასასვენებლად და ძალის მოსაჯრებად სამი-ოთხი საათივ აღარ რჩებოდათ. ტაშისკარშივე გადაწყდა, როსაფ მაჰაჯარიანის მცველი რაზმი ორ ნაწილად გაეყოთ. ერთი ნაწილი გარეგრაჟზე გავიდოდა ტაშისკარიდან და ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს გაჰყვებოდა, ხოლო მეორე — მხედართა უფრო მოზრდილ ჯგუფს — თვით მეფე დაიტოვებდა. ეპისკოპოსი, როგორც მეფის დესპანი და მრჩეველი, პირველი უნდა ხლებოდა ფაშას და სოლომონთან მომავალი შეხვედრისათვის ნიადაგი მოემზადებინა.

ისე ირიტრატა, ნაბაღზე გაუხდელად მიწოლილ სოლომონს თვალი არ მოუხუტავს. კარავში გულაღმა იწვა და აღიღებულ მტკვრის ჩუმ დუღუნს უფრს უგდებდა. კარვის კარის ჭუჭრუტანაში წერილი ვარსკვლავი ციმციმებდა. სოლომონმა რამდენჯერმე გასწიგამოსწია სასთუმლად დაღებულ უნაგირი, იქნებ აბეზარ ვარსკვლავს თავი დაეაღწიოთ, მაგრამ ის, თითქოსდა ჯობრზე, კვლავ იმავე ადგილას იჯდა და კარის ჭუჭრუტანაში არხენინად იჭერებოდა. სოლომონი წამოდგა, კარვის დანოტიავებული კალთა ასწია და გარეთ გაიხედა. ირგვლივ ლურჯი ღამე მეფობდა. სადღაც მარჯვნივ თუ წინ აღიღებულ მტკვარი დუღუნებდა და ხეობიდან თითქოს მისი სული — ძვალრბილის გამოთოშავი ნიავე უბერავდა. სოლომონს გააერთოლა. მინდორი, სადაც ბანაკი დაეცათ, ჩალისა და ლო-

ბიო-პარკის ზენიებით აჩონჩხილ კალოს მიამსგავსა. ასეთი რამე არასდროს ენახა. ხოტევეში, წულუქარაშენის ქვეყანაში კალოზე, კევარში შეხებული ლომა ხარები მკათათვეში ქერასა და ხორბალს რომ ლეწდნენ, ძნის ჩერგილები, ხოლო ნართელებს ლობიო-პარკისა და ჩალის ზენიები გაჩნდებოდა ხოლმე. პაერში ხმელი ჩალისა და ლორა-კეახის მოტებო სენი ტრიალებდა. ეს ზენიები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ვსაყვების ვაშშული კრული მოჭადოებულებით გარინდებულ სოლომონს ოცნების ბურუსში ხვევდა და ბალობიდანვე შეჩვეულ ნაცნობ მიდამოს გონებისათვის მიუწვდომელ უცხო სამყაროდ წარმოუდგენდა.

მეზობელ კარავში კვეს-აბედი გააჩხაკუნეს. სადღაც ცხენმა დაიჭიხენა და ამას ღამის მზირების გამამჩნევებელი შეჭახილი მოჰყვა. მეფე კარვის კარს მოსცილდა და ისევ ნაბაღზე დაეშვა. ესმოდა, როგორ აღვიძებლენ ერთმანეთს მაქსიმე აბაშიძის მხლებლები, შემდეგ როსაფ მაჰაჯარიანის თავშეკავებული წყრომაც გაიგონა და კვლავ სინუშე ჩამოვარდა. ძილმაც სწორედ ამ დროს წაართვა თავი. თვალები რომ გამოახილა, კარის იმ ჭუჭრუტანაში, წუხელ რომ მოციმციმე ვარსკვლავი იჭვრიტებოდა, დღის მტრედისფერი სინათლე ჩამომდგარიყო. ბანაკში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნუთუ ჯერ ისევ ყველას ეძინა? დადარაჟებულნი ნიკოლოზა ნაფიჩვაძე და მისი ახლადშექმნილი ძმაცაი ბაქუა სოფრომძე ამ დროს კარს უკან იღვნენ და კარვა ხანს მოთმინებით ელოდნენ, როდის ინებებდა გამოლვიძებას მეფე-ბატონი. ნიკოლოზამ შეატყო, დროაო, კარვის კალთა მორიღებულად ასწია და შიგნით შეიხედა.

— რატომ არ გამალვიძე, ბიჭო? — მისალმებაც აღარ დააცალა, ისე უსაყვედურა ძიძიშვილს მეფემ, წამოდგა და მისრესილ-მოსრესილი კაბა-ჭუბა ჩაიბერტყა.
— გუნებეირად გეძინა, ბატონო, შემეცოდე.

— თუ შენ გეძინა გუნებებერად!
 — მეც ჩამძინებოდა...
 — ეპისკოპოსი წასულა?
 — კაი ხანია, ბატონო, მას აქეთ სამ-
 ჯერ იყილეს მამლებმა.
 — რა გაქ მა სურაში?
 — წყალი მევიტანე, პირს არ დეი-
 ბან?

— ნეტა შენ დაგებანა ჯერო რას გე-
 ხარ, ბიჭო, ამისთანა მულეხი სად გამო-
 ვაჩინო?

— დევიბანე მე, სოლომონ, აგერ
 ბაჰუას კითხე!

— ისე დაგიმშვენდა ცხვირი! მელამ
 თავისი კული მოწმედ მოიყვანაო. მოი-
 ტა ეგ წყალი აქ!

— ცივა, ბატონო, ვერ ხედავ, რაე-
 რი სიცივეა?

— გაინძერი და გამოგეყრება სიცი-
 ვე. რამ წავახდინა, ვაუკაცი არა ხარ?
 დაიკაპიწე ხელეში! ცოცხლად! ბუტ-
 ბუტს თავი დაანებე, სულ ერთია, ეგ
 არ გიშველის!

ნიკოლოზამ უმწეოდ მიიხედ-მოიხე-
 და, თითქოს მართლა მშველელს ვისმე
 ეძებსო და როცა დარწმუნდა, პირის
 დაბანა არამც და არამც არ ამცდებოა,
 ჩოხის სახელოები გადაიკალთავა და
 ცივი წყლით საესე სურას ისე საწყა-
 ლობლად შეუშვირა ბანჯველიანი კისე-
 რი, როგორც ქალათის ცულს.

X X I

აგერ მესამე კვირა მიიწურა, რაც
 „ბაშიაჩუკების“ გარდაცვლილი მე-
 ფის — ალექსანდრეს ძეს, მამისეული
 სახლიდან გაძევებულ და დევნილ სო-
 ლომონს, ახალციხეში მოელოდნენ. მე-
 დამ ასე ზღვებოდა: მტერმორეული იმ-
 ერთა მეფე ან მეფის მძლავრობით შე-
 ვიწროებული დიდებული, თუ სხვა გა-
 საძირავი ღონე არა ჰქონდა, საჩიველ-
 ლად და დამხმარე ჯარის გამოსათხოვ-
 ნად ახალციხეს მოაშურებდა ხოლმე.
 აქ ყვილას, მტყუანსა და მართალს,
 ხელს ერთნაირად უმართავდნენ. ტახტ-
 დაჯარგული მეფე, განმდგარი დიდებუ-

ლი ან ტახტის მოცილე, ბატონიშვილი
 შინ ურუმის ჯარს წამსურებდნენ და
 იწყებოდა ახალი კვლავ და ტყვეება,
 მარცვა და აწიოკება. ზმირად ფაშები
 თავად აწყობდნენ ისე, რომ ისედაც
 გაპარტახებულ „ბაშიაჩუკების ქვეყანა-
 ში“ შეჭრის, ადგილზე ხარკის აკრეფის,
 იქაურობის უწყალო მოოხრებისა და
 ოსმალეთის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდი
 ქალ-ვაჟების შოვნის ახალი საბაბი ჰქო-
 ნოდათ. გარემოებათა მორიგი მსხვე-
 რბლი — სოლომონი — აგვიანებდა.
 ამგვარი შეგვიანება ახალციხეში ცუ-
 დად ჰქონდათ დაცდილი. იგი იმის
 უტყუარი ნიშანი იყო, რომ იმერთა ტი-
 ხტდაჯარგული მეფე „ბრწყინვალე პო-
 რტის“ მორჩილებას გაუბრბოდა და
 სხვა, უფრო სასურველ მფარველს ეძე-
 ბდა მტერთაგან მიტაცებული მამა-პაპე-
 ული ტახტის დისაბრუნებლად. ჰაჯი-
 აჰმადის მრჩეველი ბეგების ვარაუდი
 მაშინ გამართლდა, როცა ქართლ-კახე-
 თის მეფეებთან მიიწინაღა მსტოვებებმა
 რაბათში მიტროპოლიტ იოსებ გენათე-
 ლისა და ბატონიშვილ არჩილის ელჩო-
 ბის ამბავი მოიტანეს. ჩილდირისა და
 ახალციხის ბეგლარბეგი ამ ამბის შეტ-
 ყობას დიდად არ გაუკვირებდია, რად-
 გან ქართლ-კახეთის მეფეთა პირველი
 ნაბიჯი — ალექსანდრეს დაკრძალვაზე
 თავიანთი წარმომადგენლების გაგზავ-
 ნა — მეორე ნაბიჯსაც, იმერთა საპა-
 სუხო დარბაზობასაც გულისხმობდა.
 მთელი ეს მისვლა-მოსვლა და თვითნე-
 ბობა არ შეიძლებოდა ორი მუსულმა-
 ნური ქვეყნის — ოსმალეთისა და ირა-
 ნის საშინაო საქმეში ჩარევად არ ირე-
 ელო. თეიმურაზი და ერეკლე, ეს მამაკე-
 მეომარი და მამკადაიანური სამყაროს
 დაუძინებელი მტერი მმართველნი, რო-
 გორც ჩანს, საკუთარი სამფლობელო-
 ების მოღონიერებით არ კმაყოფილდე-
 ბოდნენ და ხელს ღიხს ვადმოდმა, ოს-
 მალეთის უმადნაფიცი ქვეყნებისაკენ
 იწვდიდნენ. იდგა თუ არა ვინმე მათ
 ზურგს უკან, ჯერ კიდევ გამოსარკვევი
 იყო, მაგრამ ის, რაც უკვე მოხდა, ფაშას
 ფიქრისა და შემფოთების საფუძველს

აღსრულდა. ჰაჯი-აჰმადს ბევრი ცნობა დაუგროვდა იმის დასამტკიცებლად, რომ თვით ბრწყინვალე ნადირ-შაჰის მიერ აღზევებული და ქართლისა და კახეთის მეფეებად დამკვიდრებული თეიმურაზი და ერეკლე ლალატის გზას აღგნენ, საიდუმლო ქსელს აბადინენ ჩრდილოეთის დიდ ვეშაპ რუსეთთან და აზრეშუმის ქიასავით გაუმადლარ იმპერიას სამხრეთისაკენ გზას უხსნიდნენ. ამ ძნელ ღროს, როცა ევროპის პერი თოფისწამლის სუნით გაიღვინთა, ისმალეთი იძულებული იყო ძველი მტრობა დაევიწყებინა და თავისი საქმეელი მეზობლის — შიიტური ირანის კეთილდღეობისათვის ეზრუნა...

დიდი ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის საქმეები ისევ აწეწილი იყო. ტახტი ხან ერთ მამიებელს ეპყრა, ხან მეორეს. ყმადანაფიცმა ქვეყნებმა თავი აიშვეს. ძალდი პატრონს ვერა სცნობდა. ვიღრე იმპერიაში ამგვარი არე-დარევა სუფევდა, სპარსეთს თავის ყმადანაფიც ქვეყნებში ბატონობის აღდგენაზე ოცნებაც არ შეეძლო. მამა-შვილი — ქართლისა და კახეთის მეფეები — მხოლოდ სხვათა ვასაფონად აღიარებდნენ თავს ირანის შაჰის უმდაბლეს ყმებად, ისე კი ორივე დამოუკიდებლობას იჩემებდა და მეზობელი სახანოების წიწვა-გლეჯის გზით იქით ემუქრებოდა ოდესღაც მთელი აღმოსავლეთის რისხვას — სპარსეთის იმპერიას. ჰაჯი-აჰმადი იძულებული იყო შექმნილი ვითარებისთვის ანგარიში გაეწია და წელ-მომავრებულ გურჯ მეფეებთან, სიტყვით მაინც, საქმით თუ არა, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა.

ბრწყინვალე ოსმალეთის უზენაეს ხელისუფალს, ბედნიერ სულთანს, აჰმად არ ძალუძდა ყურადღება ჩრდილო საზღვრებისაკენ მოეპყრო და ქართველთა ქვეყნებში თავისი განუყოფელი გავლენის ბედი იარადის ძალით გადაეწყვიტა. ბოსფორსა და დარდანელს გაღმა, ევროპაში, დიდი სისხლისღვრის მომასწავებელი დამაბულობა სუფევდა და ჯერ კიდევ არაგინ უწყოდა, ხმაღს

ვის ვის წინააღმდეგ იმიშვლებდა. უცხო სახელმწიფოთა დესპანები, ანგარიშები და რეზიდენტები ბუზნივით ირეოდნენ სულთანის სასახლის პალატებში. პრუსიის ძლევაშისილი ხელმწიფე ფრიდრიხი, რომლის გარეშემო მოქიშვე სახელმწიფოების რკინის რკალი შეიკრა, საიდუმლო მოციქულების პირით სულთანს თანადგომას სთხოვდა და ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდა. თავისი სარგებლობისათვის იღწვოდა კონსტანტინოპოლში მუსულმანური აღმოსავლეთის ხვალინდელი რისხვა — რუსეთიც. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს უძლიერესი სახელმწიფო, ოტომანთა იმპერია, მას ფრიდრიხ დიდის მოწინააღმდეგეთა ბანაკში უნდა შეეყვანა და შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელი სრუტეები ძველი და სანუყვარი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა. ყველა საიდუმლო მოლაპარაკების შედეგი ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი. კონსტანტინოპოლი ყოყმანობდა. ვის მხარეზე იქნებოდა ძალა და გამარჯვების სრული შესაძლებლობა მომავალ ომში? ვინ რას დაჰყარავდა და ვინ რას შეიძენდა?

ასე იყო თუ ისე, ოსმალეთს ახლა მარჯვე შემთხვევის — ძველი მოსისხლე მტრის, სპარსეთის, შინაგანი არეულობის გამოყენება და ქართველთა ქვეყნებში თავისი განუყოფელი ბატონობის დამყარება დღესდღეობით არამც და არამც არ შეეძლო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წინასწარ არ იცოდა, ვის მხარეზე მოუწყევდა ომში ჩაბმა და ამას გარდა: ვის მხარეზეც არ უნდა გააოსულოყო ზურგში, მართალია, თავისივე უღონობით დამარცხებული, მაგრამ მაინც საშიში და დამარცხების გამო შურისძიებით შეპყრობილი სპარსეთი ეყოლებოდა.

ამბები ისე დაიხლართა, ჯავრით შეპყრობილ ფაშა ჰაჯი-აჰმადს მთელი დანიები არ ეძინა. თუ გურჯ მეფეთა ვერაგობა მათთვის სასურველ შედეგს გამოიღებდა და რუსხელმწიფე ბუნებრივი ზღუდის — კავკასიის ქედს აქით გად-

მოაბიჯებდა, საუკუნეების განმავლობაში ერთიმეორის წინააღმდეგ ნაომარ ირანს და თურქეთს ერთ სანგარში ჩადგომა და ერთი საერთო მტრის მოგვრება მოუხდებოდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჰაჯი-აჰმადი ასე გაფაციცებით აღევნებდა თვალს ქართლ-კახეთის მეფეთა ყოველ ნაბიჯს და გულუხვად დაჯილდოებულ მსტოვარს მსტოვარზე აგზავნიდა ახალი საგულისხმო ცნობების მოსაპოვებლად. ეს მას, გამოცდილ აღმოსავლელ დიპლომატს, ხელს არ უშლიდა, გარეგნულად უდრტყინველი გამომეტყველება შეენარჩუნებინა და მეფეთა თვალში თავი ქართველობის გულითად მეგობრად და კეთილისმყოფლად დაესახა...

სასახლის მცველი იანიჩრების მინბაშმა ფაშას ქალაქში სოლომონის მიერ დესპანად გამოგზავნილი მაქსიმე აბაშიძის შემოსვლა მოახსენა. დესპანი ეპისკოპოსი უმორჩილესად ითხოვდა მიღებას და ამავე დროს მძლეობაშლე ათაბაგს ატყობინებდა, ხვალ არა ზეგ, თუ თქვენი აღმატებულების მაღალ ნებართვას ველირსენით, იმერთა პატრონი და მბრძანებელი სოლომონიც გეახლდება.

— მაღლობა დიდ ალაჰს! — თქვა ფაშამ და გაეღიმა. იმერთა პატრონი და მბრძანებელი! ნეტავი როდის გადაეჩვევიან ეს გაჭირვებულები ამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების რაზარუხს! მე რე სიმივით გაჭიმულ მინბაშს მიუბრუნდა და ჰკითხა, თუ გაიგე, ბაშიაჩუკები რომელი გზით მოვიდნენო. მინბაში შეცბა, რადგან ეს არ იცოდა და უმაღ კაცი ჩაგზავნა ამბის შესატყობად. ქართლის გზით, ალითა და ტაშის-კარით გზლებიანო, რომ აღუწყეს, წითელი ატლასის საღამურ ხალათში გამოინაკეთულმა ჰაჯი-აჰმადმა კოპები შეპყარა და მინბაში პასუხის გაუცემლად დაითხოვა. ფაშა ფიქრში გაერთო. მსტოვრების მიერ მოწოდებული ცნობები ერთხელ კიდევ დასტურდებოდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, აბა, როგორ მოახერხებდა სოლომონი ქართ-

ლის გზით აქ მოსვლას, მინბაშმა კატარებდა!

გეგმაზ ჯანაშია

ფაშამ ნათლად წარმოიდგინა მოსალოდნელი მითქმა-მოთქმა, რაც, შესაძლოა, გურჯი მეფეებისა და მათი დესპანების თვითნებურ წაწწალს მოჰყოლოდა. კონსტანტინოპოლის საელჩოში სპარსელები, როგორც არაერთჯერ მომხდარა, ნოტას შეადგენდნენ და საგარეო საქმეთა უწყებას მოაგონებდნენ, რომ უკვე დროა ბოლო მოეღოს სპარსეთის საბატონო ქვეყნებში ოსმალთა ქვეშევრდომი პირების დაუსჯელ პარპაშს, რომ დაზარალებული მხარე, სპარსეთი, უკეთუ ხსენებული პირნი ჭეროვანად არ დაისჯებიან, იძულებული ვახდება თვით დაიკვას დიდი ალაჰის მიერ ბოძებული უფლება...

ჰაჯი-აჰმადმა მხოლოდ მეორე დღეს, დილის ნამაზის შემდეგ ბრძანა ბაშიაჩუკების მეფის დესპანი და მისი მხლებელნი რაბათში ამოეყვანათ და დესპანისათვის შესაფერისი პატივი მიეგოთ. დღის დარჩენილი ნაწილი და მთელი ღამე ფაშამ პარამხანაში გაატარა, სრულ თავდავიწყებას მიეცა, სპარსეთის საელჩოს მოსალოდნელი ნოტა ერთხელაც არ მოგონებია და თავისი მშვენიერი ცოლების შარბათივით ტკბილი ალერსით ისე მოითენთა, არაფრის ღონე არა ჰქონდა.

ჰაჯი-აჰმადი სამოც წელს მიტანებულნი, ხორცსავსე, ჭერ კიდევ კვლავინდებურად ძლიერი და ყოველგვარ საქმეში მოუღლეელი მამაკაცი იყო. ამით შიგადაშიგ კიდევაც ამყობდა და თავის ვაჟკაცურ უპირატესობას სხვების წინაშე თითო-ოროლა გადაკრული სიტყვით ამქლავებდა. ალაჰმა დიდი დღე მისცეს, სწორედ დაუბრებელი კაციო, ჩურჩულებდნენ მლიქნელი კარისკაცები, ოღონდ ამას ისე ოსტატურად სჩადიოდნენ, რომ ზურგსუკან ჩურჩულით ნათქვამ სიტყვას როგორმე ფაშას ყურამდე მიეღწია...

კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ მოწვეულ ქვითხუროებს ჰაჯი-აჰმადმა პარამხანა ამავე ოსტატების ხელით აგე-

ბულ მეჩეთთან ააშენებინა და ღვთის სახლიდან ამქვეყნიური განცხრომის სახლში შესასვლელად ათი-თორმეტი ნაბიჯის გადადგმაც არ სჭირდებოდა. უკვე ხორცმოჭარბებული და სავარნობლად ტანდამიმებული ფაშა პარამხანიდან გულამღვრეული გამოდიოდა და ვაი იმის შავ დღეს, ვისაც ამ დროს მისი შეუკავებელი მეფური რისხვა დაატყდებოდა. ფაშას ყველაზე საშიში და ნაკლებ სანდო მესაიდუმლენი ცოლები იყვნენ, მაგრამ ისინი ნამუსსაც უნახავდნენ და დამინებულნი თვით ფაშასაც საწყენს არას უმხელდნენ.

კარზე მომდგარი სიბერის გარდაუვალ შიშს პაჯი-აჰმადი შინაგანად მოედუნებინა და აღრე თუ გვიან, ეს, ალბათ, სხვებისათვისაც საცნაური გასდებოდა. პაჯი-აჰმადი, როგორც ყველა ხანშიშესული მამაკაცი, ცდილობდა ამაზე ცოტა ეფიქრა და მთელი დრო ნადირობასა, ნადიმებსა და სახელმწიფო საქმეების გარიგებაში დაეხარჯა. ზოლოს ყველა გზა შინც პარამხანისაკენ მიდიოდა, სადაც ერთიმეორეზე მომხიბლავი და ვნებადაუოცებელი ახალგაზრდა ცოლები კვირობით და ხშირად თვეობითაც ელოდნენ. ფაშა ექვიანად ჩამოივლიდა ყველა ოთახს და დარბაზს, ყველგან შეიჭვრეტდა და როცა დარწმუნდებოდა, აქ უკანასკნელი ყოფნის შემდეგ ყოველივე ხელუხლებელიაო, რომელიმე ბედნიერ ცოლს ამოირჩევდა, განმარტოვდებოდა და ნეტარების უკიდევანო ოკეანეში შეტოპავდა. მისი აღმატებულების წასვლისთანავე საჭურისები ურდულებით ჰკეტავდნენ პარამხანის კარს, თუმცა რაბათის გოდოლებში რჩეულ იანიჩართა მცველი რაზმი იღვავდა და ვნებააშლილი პატრონის ხელახალ მოსვლამდე ფაშის სარეცლის სიწმინდეს მათთვის დამახასიათებელი ერთგულებითა და გულმოდგინებით დარაჯობდნენ.

ვიდრე ებისკაპოს მაქსიმე აბაშიძეს პირადად შეხედებოდა, ფაშამ ბრძანა,

იმერთა გარდაცვლილი მეფის, ალექსანდრეს, უმრწემესი ძმის, მამუკას, მე თეიმურაზი მოეყვანათ. გულამღვრეული გულის ბიძაშვილი თეიმურაზი, თითქმის მისი კბილა, კარგა ხანი იყო, რაც ათაბაგის კარზე ცხოვრობდა. ის და სოლომონი ერთმანეთს მხოლოდ შორიდან იცნობდნენ. პატარა ბიჭობაში თეიმურაზი ჯერ მძევლად მოპვდარეს ფაშას, როცა ოდიშის მთავარმა ოტია დადიანმა თავის ნანატრ სიმესს—ბატონიშვილ მამუკას, თეიმურაზის მამას, იმერეთის ტახტი უშოვნა და კანონიერი მეფე ალექსანდრე ქართლს განდევნა. შემდეგ, როდესაც იმავე ათაბაგის შეწვევით ტახტი კვლავ ალექსანდრემ დაიბრუნა, ძმა კი შემოირიგა, თეიმურაზი თავისი ნებით დარჩა სამცხეში, რათა ოდესმე ღონე მოეკრიბა, ურუშის ჯარით იმერეთს დასცემოდა და, როგორც ტახტის კანონიერ მემკვიდრეს და სულთნის კაცს, მხრებზე ბისონი წამოესხა...

მას აქეთ მტკვარში ბევრმა წყალმა ჩიარა. საიდუმლოებით მოცულ რაბათში ფაშა ფაშას სცვლიდა, დაპირება კი დაპირებად რჩებოდა — ბატონიშვილი თეიმურაზი კვლავ ამაოდ ელოდა ტახტს... იმერეთის მეფეთა სისხლით ნათესავ ყმაწვილკაცს, სულთნის ხორცამდე ბავრატონს, რომლის ბავშვობამ და ყრმობამ საქრისტიანოს შერიგებელი მტრების გვერდით განვლო, თავი ვერასაგზით ვერ დაეჯერებინა, თუ ახალციხის ფაშების ხელში უბრალო სათამაშო თოჯინა იყო. ფაშები მას მარჯვე შემთხვევისათვის ინახავდნენ, როგორც უბეში ნაგულვებ ალესილ ხანჯალს ან სხვა რომელიმე მოწამლულ იარაღს. თეიმურაზის მომავალი მეფობა თუ სამუდამო გულის აცრუება სწორედ ამ შემთხვევაზე ეკიდა. ბედნიერი სულთნის ნებართვით ფაშა მხოლოდ მაშინ გასცემდა მეფობის რაყამს, თუ თავისი მეფობით თეიმურაზი „ბრწყინვალე პორტას“ და თვით მას, ფაშას, სხვა შესაძლო მეფე-

ზე მეტ სარგებლობას მოუტანდა. თეიმურაზი დიდი ხანია მზად იყო, ყოვლის შემდეგ ჰაჯი-ამჰადის სურვილი გულთმისანიებით წინასწარ გამოეცნო და მაღალი ღმერთის სწორი სულთნის უყოყმანო ერთგულება დაემტკიცებინა.

ღვთისაგან და კაცისაგან გადავიწყებული ბატონიშვილი, რომელიც ამ დარბაზობას საქლღველი ბიძის, მეფე ილექსანდრეს, უცნაური დაბრმავებისა და გარდაცვალების დღეებშივე მოელოდა, ფაშამ თავისი განთქმული წიგნსაცავეს ერთ პატარა სენაკში მიიღო. ჰაჯი-ამჰადს სხვა არაფერ მოუწყვევია. მოლაპარაკებას თუ მეგობრულ საუბარს მხოლოდ მრავლის მომსწრე, დიდი თამარის ასულის რუსუდანის დროინდელი კედლები უგდებდნენ ყურს. ფაშა ამრეზილი იყო. პარამხანიდან თავისი ჩვეულებრივი უჯუნებობა მოჰყოლოდა...

ზომიერად ჩაუსკვნილი, ტანმორჩილი, ცოტათი ფერმკრთალი თეიმურაზი რაღაც მოუხელთებელი შინაგანი თუ გარეგნული ნიშნებით თავის ღვიძლ ბიძაშვილ სოლომონს ჰგავდა. სახის ნაკეთებები, მისრა-მოსრა თუ ლაპარაკი ორივეს სხვადასხვანაირი ჰქონდა, მაგრამ ამ ორი ახალგაზრდა კაცის იერსა და სახის გამომეტყველებაში რაღაც ახლობლური და ნათესაური მინც გამოსკვივოდა.

თეიმურაზი აქ მოსვლამდეც ზომავზე მეტად აღელვებული იყო, უკირდა წონასწორობის შენარჩუნება. რისთვის, რა საქმის გულისათვის დაიბარა ფაშამ? ამკერად რა სწადდა? რას სთავაზობდა?

სხვათა სელის წემყურე ახალგაზრდა ბატონიშვილს თავისმა ერთგულმა კაცებმა წინაღუდესე შეატყობინეს, რომ ქალაქში საქლღველი სოლომონის ღესპანი მოვიდა და თვით სოლომონის გამოჩენასაც დღე-დღეზე ელოდნენ. მაღლე ისიც აცნობეს, რომ იმერქთიდან ღესპანის მოსულას ფაშა მინცდამინც

დიდი ხალისით არ შეწყვედოდა. კვისკობისმა დამე ციხის ეკლესიაში, კერძო ტრაქტირში ფიქრობდნენ უწყობდა, როდის ინებებდა ფაშა მისი მაღალსამღვდელოების მიღებას. თუ ამ ამბების მისედევით იშკვლებდი, არც თვით სოლომონს ელოდა აქ დიდი პატივი. რა ედო გულში ფაშას? დღესა თუ ხვალ ვის მხარეზე გადაიხრებოდა მსახურალი ბედის სასწორი?

მთელი ღამის უძინარი და ნასევამი ჰაჯი-ამჰადი ახალგაზრდა ბატონიშვილს მაინც მოწყალედ შეხვდა. თავს ძალა დატანა, ხვედრგადაკრულ ღრმა სავარძლამდე მიაცილა და, თუმცა ყმაწვილი კაცი გააფთრებით ესევევობოდა, თქვენ დაბრძანდით, მე ფებზე ვიდგომეზი, ასე მირჩვენიაო, თვით ჩასვა შივ და მოპირდაპირე სავარძელი მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავა. უმაღ თრიაქით გაწყობილი გრძელტარიანი ყალიონი მოართევს. მეზობელი ოთახიდან ქალურად ჩაცმული საქურისი ბიჭი შემოვიდა, სტუმარ-მასპინძლის შორის ფებზემოვარაყებული ექსკუსთა ტაბაკი ჩადგა, უკანვე გაიღალა, რამდენიმე წამის შემდეგ ხელახლა შემოვიდა და ტაბაკი ტბილი სასმელებითა და ნამცხვრებით აავსო. ფაშა თვით ასხამდა ნივგზის ზეთივით სქელ შარბათს ვენეციური ბროლის ქიქებში, სტუმარს ბატის ფრთით დანვრეტილი რბილი ნაშუქიც თავად გადმოუღო...

თეიმურაზს ციებანივით გააქრკოლა. თავისდა უნებურად კანკალმა აიტანა. ფაშას ეს არ გამოჰპარვია. სტუმარის მღვთმარეობა ართობდა და სულში გაჩენილ სიცარიელეს ავიწყებდა. თვე ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ვამჩნევო და საქციელწამხდარ ბატონიშვილს ხან რას ევითხებოდა და ხან რას. პასუხს არ უცდიდა, თრიაქს სროტინით ქაჩავდა, ახლგაზრდა კაცს გამომცდელად ზომავდა თავიდან ფებებამდე და დროდღრო უცნაური ბუყბუყით იცინოდა. ეს ხმა მისი მკვრივი სტომაქიდან ამოდიოდა და თეიმურაზს ზარავდა.

თემურაზი მთელ თავის სულიერ ძალებს ძაბავდა, ცდილობდა გაეგო, რა აზრები იყო მის თავს — აქ რისთვის მოიხატავს, ან რამდენიმე წუთის შემდეგ რას უპირებდნენ. ნუთუ ვინმე მის ცოდვაში ჩადგა და ფაშასთან დააბუნლა? ფიქრში ნაცნობი სახეები წარმოიღვინა. რომელი იზამდა ამას? ვინ გამოიმეტებდა? მალე ეკვი ათი ათასი გველივით შემოეხვია ტანზე და ხელფეხი შეუკრა. ფაშასათვის ვის რა უნდა ეთქვა, ვის რა უნდა მოეტანა, თუკი ბედნიერი სულთნის ორგულობა ძილშია არ დასიზმრებია? მართალია, მეჩეთში დიდი ხალისით არ დიაარებოდა და ყურანის ყველა სურა ზეპირად დღესაც არ იცოდა, მაგრამ განსაკუთრებულ გულმოდგინებას ამ მხრივ არც სხვები, მათ შორის თვით ფაშა, იჩენდნენ. ჰაჯი-აჰმადი არც განრისხებული ჩანდა. პირიქით, თავის ახალგაზრდა სტუმარს მეგობრული აღერსითაც კი ეპყრობოდა, როგორც ტოლი ტოლს და შარბათს აძალებდა. თემურაზს ყელში ამოსდიოდა ეს ტკბილი და ლუყურტი სასმელი, ამდენი წლის მანძილზე ვერასჯნით რომ ვერ შეეჩვია. ერთი ორჯერ გულის არევისაგან თავი სასწაულებრივად შეიკავა და შემოთავაზებული სასმისი სუნთქვაშეგუბებულმა დასცალა. ამასობაში დროის ანგარიშიც აერია. სულის შემსუფთველი სურნელებით გამოტენილ ქურღმულში დღის სინათლე არსაიდან შემოდისოდა. მაშ, რით ანათებდნენ აქაურობას?

გაოცნებული, სიმწრის ოფლში გაწურული და ათას ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრის აბლაბუდაში პეპელასავით გახლართული თემურაზი რომ სასახლიდან გამოვიდა, მზე გადახრილი იყო მან ვეღარ მოიგონა. აქ როდის მოვიდა და იმ საშინელ ქურღმულში რამდენ ხანს აწვა გულზე მაჭლაჭუნა. მთავარი კარიბჭის მცველი ბანიჩრები რკინის გორგოლაქებზე შეყენებულ ციხის დიდ ალაყაფის ქიშკარს აღებდნენ. უცნობ მხედართა შორის, რომლებიც გა-

ლავანში ცხენდაცხენ შემოვიდნენ, თემურაზმა ჩაცმულობითა და სახის იერით იცნო თავისი მტრის მსოფლიონის — დესპანი, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, იცნო და სახეზე ცეცხლი მოეკადა. ეპისკოპოსს კოჭებამდე ჩამოშვებული, ფაშაფაშასხელოებიანი შავი ანაფორა ეცვა, თავზე ასეთივე ქსოვილით დაფარული მაღალი კუნკული ეხურა და გულზე ძვირფასთვლებიანი ჭვარი უბრწყინავდა. თემურაზს მთელ ტანში ყრუანტელმა დაუარა და ერთ წაშს თვალთ დაუბნელდა. აცახცახებული მაჩვენებელი ალაბუდზე იპოვნა ხანჭლის ტარი. „ო, არა, არა!“ კინაღამ ხმამალა შეუძახა მან საკუთარ თავს. ზედმეტი სიფიცხე და მოუთმენლობა საქმეს უფრო გააფუჭებდა. თვით ფაშაც კი არ მოუწონებდა სულსწრაფობას. თემურაზმა ალღოთი იგრძნო: მისი აქ ყოფნა ქრისტიან ქართველებს მგონი არ შეუშინევიათ. კიდევაც რომ დანახათ და ყურადღებაც მოექციათ, ვერც ვერავინ იცნობდა. გულში ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა იბრძოდა. ერთი სიხარული იყო, ამდენი ხნის მონატრებული მიწაწყლიშვილების დანახვას რომ გამოეწვია, სოლო მეორე რისხვით ავსებდა და კვლავ შურისძიებისაკენ უბიძგებდა.

„სისულელეა! — გაიფიქრა მან. — ერთი საცოდავი ხეცესი გინდა მოგიკლავს და გინდა ცოცხალი დაგიტოვებია. ეს არაფერს შეცვლის, მხოლოდ მე დამაზიანებს...“

ეპისკოპოსი რუსუდანიისეული სასახლის განიერ კიბესთან ჩამოხდა ცხენიდან, სადავე მსლებელს შეატოვა, სვეტებად დაშვებული ანაფორის კალთები აიკრიფა და საფეხურები მხნედ, თავდაჯერებული სიღინჯით აიარა. აქ ბრჭყვიალა ფარჩებში და ოქრომკერდით მოსირბულ ჩაქურებში გამოწყობილი კარისკაცები და საფაშოს დაბალი მოხელები ელოდებოდნენ. ამათ თავიანთი ოსმალური წესით საპასუხო სალაში მიუგეს იმერეთიდან მოსულ ბაშიაჩუ-

ეებს და სასახლის მიძიმე კარი გაუღეს. სასოწარკვეთილი თეიმურაზი ფილანს გაჰყვა. გული ყელზე ებჯინებოდა. თვალეზზე მომდგარი სიმწერის ცრემლები ყურთმაჯით მოიწმინდა და სულის მოსათქმელად მეჩეთში შევიდა.

X XII

არა თუ თეიმურაზ ბატონიშვილმა, ჰაჯი-აჰმადის ნამდვილი ზრახვები თვით ფაშასთან ყველაზე უფრო დაახლოებულმა პირებმაც კი არ იცოდნენ. ყველა იძულებული იყო თავი ისე დაეკვირა, თითქოს მოწყალე ათაბაგის გულისნადებს დიდი ხანია მიმხედარია და ახლა იმხელა ზრუნავს, ამ გულისნადების აღსრულებას ყოველი ღონით ხელი შეუწყოსო. ნაშუადღევს რაბათში უკვე იცოდნენ, რომ ბაშაიჩუთა მეფე სოლომონი ქალაქში შემოვიდა, ხიდისყური შეუჩერებლივ გამოვლო და მსლებლებითურთ ციხის აღმართს შემოუღდა. ახლა მას მხოლოდ ათიოდე მხედარი ახლდა. დანარჩენები, აზნაურ როსაფ მაჰმადიანის თავკაცობით, აწყურში დარჩნენ და ბატონს იქ უნდა დალოდებოდნენ, რადგან აწყურის ციხის მოურავს ჰაჯი-აჰმადის წერილობითი განკარგულება მიეღო, რომელშიაც ზუსტად იყო განსაზღვრული ახალციხეს სტუმრად მომავალი სოლომონ მეფის მსლებელთა რიცხვი. იანიჩართა ასისტავი, ფაშის ბრძანებისამებრ, ნიშანს მისცემდა და მეფის ღირსეული დახვედრის აღსანიშნავად რაბათის ციხის თორმეტსავე გოდოლზე ზარბაზნებს დააქუხებდნენ. ასისტავი ოკრიბელი კაცი იყო, გვარად ობოლაძე, აგი-აშვილების ნაყმევი. სამწყემსურიდან გატაცებული გლახუნა ობოლაძე ოდესღაც ყულევის ტყვეთა ზარბაზნებზე იყო, შემდეგ ათას ომსა და დაეიდარაბაში გამოვლილს დაწინაურება მიეღო და ახლა თვით მწყალაბეღ ფაშას ემსახურებოდა. ასისტავი დღეს განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა, არც სათანადო განკარგულების გაცემა დაუყოვნებია.


ახალციხის ცა შესძრა ზარბაზნების გრიალმა.

ფაშა ჰაჯი-აჰმადი თვით განმძრავებდა ციხის გალავანში და „მის უმაღლესობა ბაშაიჩუთების მეფეს“ კარიბჭესთან შეეგება. სოლომონის მსლებელთა შორის ყველაზე უფრო იმედიაინიც კი არ მოვლოდნენ, თუ ქედმაღალი მესხი დიდებული, ოსმალთა სამსახურში ძალაუფლების უმაღლეს საფეხურზე ასული ბეგი ჰაჯი-აჰმადი იმერთა მეფის წინაშე ამგვარ დავმდაბლობას გამოიჩინდა. ვითომ ქართლისა და კახეთის მეფეების მეგობრულმა წიგნებმა გასჭრა? თუ იასე ქსნის ერისთავის წინასწარმეტყველება მართლდებოდა?

პარამხანის კამაროვანი ფანჯრების უკან, რომლებიც მეჩეთსა და ციხის გალავანს გადმოჰყურებდნენ, ფარდები შეიჩხა. ფაშის ცოლებს, ეტყობა, აღრევე შეეცყოთ იმერთა ახალგაზრდა მეფის მობრძანების ამბავი და ყველა ფანჯრებს მოაწყდა, მხოლოდ ფარდის გადაწევა და გალავანში გადმოხედვა კი ვერავის გაებდა. ჰაჯი-აჰმადის ერთგულ საჭურისებს არ ეძინათ. გალიაში გამოშწყვედილ საბრალო ქალებს მაინც ეშმაკათ და აუხდენელი ნატვრით გულაძგერებულნი ფარდებს უკან დამალულიყვნენ.

შუა გალავანში საიდუმლოდ გამოწყობილი იანიჩართა ასეული გაეშჰკრივებინათ. ხელიხელგადახვეული ფაშა და იმერთა ყმაწვილი მეფე რომ აქეთ წამოვიდნენ, მწყობრის წინ გაკიმულმა გლახუნა ობოლაძემ თურქულად რაღაც დასკვივლა, ლაპლაპა ხმალი იძრო, მკლავზე გადაიწვინა და მამალი ინდაურივით გაფხორილი ჰაჯი-აჰმადისა და სოლომონისაყენ გამოემართა...

სანახაობას უამრავი ხალხი მოეზიდა. შავოსანი მოლები მეჩეთიდან გამოსულიყვნენ, გულხელი დაეკდოთ და, რადგან მზე შიგ სახეში სცემდათ, გალავანში გამართულ ცერემონიალს თვალეზ-მოჭრული უყურებდნენ. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზარბაზ-



ნების ჩამოსასხმელი საამქროს უკან, რაღაც გრძელი სახლი, ალბათ, ჯარის ახალი სადგომი შენდებოდა. ხარაჩოებსა და ფიცრულ კბიეებზე შემდგარ ქვითხურობებს ბრჭყვიალა ქაფჩებით თვალი მოეჩრდილა და აგრეთვე მეჩეთის წინ გამართულ სანახაობას გადმოჰყურებდნენ.

შორი გზიდან მოსულ და გადატანილი მღელვარებით უფრო გაწამებულ, ვიდრე დაღლილ სოლომონს გულზე ესაღბუნა, როცა ფაშა სასახლეში ფეხის შედგმისთანავე გამოეთხოვა და შეხვედრა მხოლოდ ორი-სამი საათის შემდეგ აღუთქვა. ორი-სამი საათი დიდი დრო იყო. ახალ საქმიან შეხვედრამდე მეფე ხელ-პირის დაბანვას, მტკრიანი ტანსაცმლის გამოცვლას და აბნეულ-დაბნეული აზრების ასეთესე მოწესრიგებას მაინც მოასწრებდა. მოსასვენებლად სამი ერთიმეორეში გამავალი, ძვირფასი ხალიჩებით მოფარდაცხებული ოთახი დაახვედრეს რუსუდანისეული სასახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, აქ უფრო ადრე დაბინავებული მაქსიმე აბაშიძის მეზობლად...

შესვლისთანავე სოლომონს თვალი ღია სარკმელისაკენ გაექცა. იგი ხილს გადაჰყურებდა. აქედან ტაფობის ფსკერზე გაბნეული და ციხის ფერდობზე შემოფენილი ვიწრო ქუჩაბანდები, მტკვრის ვალმა ვაშლილი ტრიოლი მინდვრები და ღაღას მთების ლურჯი რკალი მოჩანდა. მარჯვნივ, შუა ქალაქში, ქრისტიანული ეკლესიების წიწილა სამრეკლოები და მუქ-ლურჯად შედებილი ვუმბათები აღმართულიყო. ერთი საყდრის სამრეკლოზე უნებლად გადარჩენილი ჯვარი გააჩნია. ამ კურთხეული მიწის უძველეს მკვიდრთაგან ზოგს, ეტყობა, ჯერ კიდევ არ დაიწყებოდა მამა-პაპური სარწმუნოება, თუმცა ოსმალ ბატონებთან ერთად მეჩეთში დაიარებოდა და მოყვასისათვის ჯვარცმული ღმერთის მავიერ ალაჰს აღიდებდა...

ხილისყურში რაბათის ციხის ზურჯებთან, შორეული საქარეფროვებში მოსულ თუ ადგილობრვად ცხოვრობდა პრელ-პრულა კარეები დაეცათ, ფილაქნით მოკირწყალულ მოედანზე გრძელი დახლები გაემართათ, ქულბაქები საქონლით აევსოთ და ბაზარში მოზიშშიმე მყიდველთ და თვალის სეირის მოყვარულთ მაცთუნებელ ეგვიპტურ აბრეშუმს, ჩინურ ფარჩას, იტალიურ შუშასა და ბროლს, საქსონურ ფაიფურს, შოტლანდიურ ტილოს, რუსულ სიასამურს, სპარსულ ხალიჩებს და დედამიწის ყოველი კუთხიდან მოზიდულ ოქრო-ვერცხლსა და ფასდაუდებელ თვალ-მარგალიტს აწონებდნენ. აქვე, ბაზრის ბოლოში, იყიდებოდა ყაბარდოული ლომა ხარები, ლეკური ცხენები, ჩერქეზული უნაგირები, ვიწრო-თიანეთიდან მორეკილი ცხვარი და ყველაზე უფრო იაფად ღირებული საქონელი — ღაღას მთის გადაღმა მოტაცებული ან ხელმოკლე თავისიანების მიერ დასაკარგავად გამომეტებული ტყვე გოგო-ბიჭები...

სანამ ციხის აღმართს ამოუდგებოდნენ, სოლომონმა და მისმა მზღებლებმა შუა ბაზარი გამოიარეს. ტყვეებმა და ნახვისთანავე იცნეს საქარისტანოდან მოსული მიწაწელიშვილები და გულის-მომწყვლელი მოთქმა-ზიჯი ასტეხეს. სოლომონმა თვალზე ხელი აიფარა, უნებლიეთ ცხენი ააჩქარა. სხევამაც მეფის კვალდაკვალ ააჩქარეს ცხენები. აქ თუნდ ერთი წამით შეყოვნება უთუოდ რაღაც გამოუწირობებელ ხიფათს შეამთხვევდათ. დრო, ალბათ, კიდევ ბევრი გაივლიდა, ვიდრე იმერთა ახალგაზრდა ბატონი, თავადაც საშობლოდან განდევნილი და კარიდან კარზე მონებიალ, ამ უბედურების გამოხსნას და თავისი მეფური კალთის ქვეშ შეფარებას შესძლებდა...

სოლომონი მოეშხადა. ფაშასთან დარბაზობის დრო უკვე ახლოედებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ხმა შემოესმა და ფანჯარას მოსცილდა. ათბავის

მესტუმრე ეახლა და მასპინძლის შემონათვალი აუწყა. ფაშას რაღაც სასწრაფო საქმე გამოსჩენოდა. დიდად სწუხდა, რომ თავისი საპატიო სტუმრის მონახულება დიღამდე უნდა გადაედო. სოლომონმა მსრები ჩამოყარა. ეს ამ ვაებატონის ჩვეულებრივი ფანდი იყო. შეხვედრას უძნელებდა, რათა შემდეგ თავისი მოწყალებისათვის რაც შეიძლება მეტი ფასი ღებოდო. რა გაეწყობოდა, რაკი ფაშამ ასე ინება, სოლომონსაც უნდა მოეცადა, ვიდრე მდგომარეობის ბატონ-პატრონი მასპინძელი თვით არ ინებებდა ბჭობად დაჭლომას. მაგრამ მისი ხალხი და ცხენები სად მოათავსეს? სოლომონმა ახლალა შენიშნა, რომ თავის სადგომში კვლავ მარტო იყო. ტაში შემოჰკრა, იქნებ ვინმე შემოვიდესო. არავინ გამოხმაურებოდა. მაშ, სულ მარტო დასტოვეს? ეს საპყრობილეა, თუ... როგორ ვაეგო, სად მოათავსეს მისი ხალხი და ცხენები, ან ღესპანად გამოგზავნილი მაქსიმე აბა-შიძე სად ათევედა ღამეს? ლოდინი დიდხანს არ დასჭირებოდა, ჭერ მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა და შემდეგ ოთახში საჭურვის ბიჭი შემოვიდა. ბიჭმა ეტყობა, კარგად იყო, ვინც იყო სოლომონი, დაიხოქა, მდებლად თავყარი სცა და ოდნავ შელანძლული ქართულით, რომელსაც ქვემოთმერული კილო დაჰკრავდა, ჰკადრა, სამხარს მოგართმევდით, თუ მიბრძანებთო.

გასაკვირი და გასაოცებელი აქ არა იყო რა, მაგრამ სოლომონს შინც გაუკვირდა. საჭურვის ჰკითხა:

— ვინა ხარ ბიჭო, ქართველა ხარ?

— კი, შენი ჰკირიმე.

— სადაური?

— იმერელი ვარ. ბატონო, მადლაკიდან.

— აბა, ბერი ლორთქიფანიძის ნაემგი ყოფილხარ!

— არ ვიცი, ბატონო, არ მახსოვს...

— შენი ბატონი არ გახსოვს? რამ გამოგატყინა!

— პატარა ვიყავი... ცოტა ლაპარაკი

ჭე დამაგიწყდა. ხანდახან ჩვეულებურებს ვნახულობ. აქ გასაყიდა მარტო მარტო ველაპარაკები. შინაღობის ამბავს უბნებთან...

— აქ საიდან მოხვდი? ვინ გადმოგიყვანა?

— ბატონმა გამყიდა. თერთმეტი ვიყავით მადლაკელები. რვა ბიჭი და სამი გოგო. სუთ თვეს ერთხელა გვამყოფეს. მერე იმათ მუშტრები გამოუჩინდა და თათარში წიყიყანეს. მე და ორი ძღაბი დავრჩით.

— ძღაბებიც ფაშას ემსახურებიან?

— არა, პარამხანაში გახლავან, ბატონო. თავიდან მეც პარამხანაში ვიყავი. თქვენთან ბოდიში და... ღამის ქოთნებს მაზიტინებდნენ. მერე ხელება დამაწყებინა და აქეთ გამომაგდეს. ძღაბებს ვეყოლებოდი, შეგხვეწენ ფაშას, იყოსო. არ ქნა ფაშამ. ახლა ცოტა უკეთ შევიქენი, აღარ მახველებს, მარა... შენ კი ნუ შეგეშინდება, ბატონო, იმისთანა კი არაფერი მქარს...

— შინ ვინ დავრჩა, ბიჭო?

— საცოდავი ბებია და ბაბუა იყვენ. ღედა და მამა აღრე გამოიყიდა ბატონმა თათარში. მე არც ერთი არ მახსოვს. აკვანში ვიწვევი. ახლა საწყალი ბაბუაჩემი ჭე მამკედარა და ბებია აგლია მარტვა...


— ეაი, თქვე საწყლებო! — სოლომონმა აკანკალბული ყბა მოისრისა და პატარა საჭურვისს უცნაურად მორბილებული სახე მოარიდა. — ეგ არის თქვენი სიოცხლე?

— რა ვუყოთ, ბატონო, ღეთის ნება ასე ყოფილა, დეილოცოს იმისი მადლი!

— ქრისტე გწამს, ბიჭო, თუ შენც გავათათრეს?

— ჩუმად მწამს, ბატონო, — ბიჭმა უბეზე გაიკრა ხელი, წვრილი ძალით კისერზე დაკიდებული პაწაწინა ჭვარი ძლივს იპოვნა და მეფეს აჩვენა. — ამისი მადლი შეგეწიოს...

სოლომონმა თავი დახარა და პირჯვარი უხმოდ გადაიწერა. ერთი წუთის შემდეგ მან საჭურვისი ბიჭისავან შეიტ-



ყო, რომ ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე სულ ასლოს ბრძანდებოდა და მოუთმენლად ელოდა მეფესთან შეხვედრას. ისინი მხოლოდ მწუხრის წირვის დაწყების წინ შეიყარნენ. ეპისკოპოსს ციხის მკველ იანიჩართა მინაში და სამი ჯარისკაცი შემოაკეცა მეფის სადგომში. ჩანდა, ფრთხილმა და წინდახედულმა ფაშამ მეფეს თავისი მსლებლები უკლებლივ ჩამოაცილა და მათ მავიერ გათათრებული შესხები და საკურთისი ბიჭები მიუჩინა. ეს უკვე დატყვევებას ჰკავდა. ნუთუ იმ დიდი ზარ-ზეიმის შემდეგ, რითაც სოლომონი რაბათში მიიღეს, ამგვარი რამ კიდევ მოსალოდნელი იყო?

გალაქანში რომ გამოვიდნენ, აქ დაინახეს შეკანშული, რომ ცხენები და კიდევ ხუთი იანიჩარი ელოდათ. ყველა ამათ ჭრისტიანე მეფე და ეპისკოპოსი ეკლესიის კარამდე უნდა მიეცილებინათ, ქალაქის გაღმა უბანში და იქ მანამდე მოეცადათ, სანამ ბოშაიანუცი ბატონები წირვას ბოლომდე არ მოისმენდნენ და ღამის გასათევად კვლავ უკან წამობრძანებას არ იწყებდნენ. მაჰმადიანი ათაბაგის მხრივ ეს ყურადღებისა და სხეთა სარწმუნოების შეწყნარების უმადლესა გამოხატულება იყო. უთუოდ ამასაც გულისხმობდა იასე ქსნის ერისთავი, როდესაც აღის ციხეში ჰაჯი-ამჰადის საქებარი სიტყვები დახარჯა. თუ ფაშა მართლაც ასეთი იყო და აღმოსავლური ჩვეულებისამებრ არ ეშმაკობდა, მაშ რაღასთვის სპირდებოდა თავისი სტუმრების დატყვევება?

იმერეთიდან მოყოლილ მსლებელთაგან არც ციხის გაღმაში ჩანდა ვინმე. სად გააქრეს ყველა? სად მიმალნობაღეს? ნუთუ თვით ნიკოლოზმააც კი ვერაფერი გააწყო და მეფეს შორიდან მაინც ვერ დაეხანება?

სოლომონმა მხოლოდ საყდარში შესძლო მაქსიმე აბაშიძესთან გამოლაპარაკება, ოღონდ აქაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა. თათრები, მართალია, ეკ-

ლესიაში არ შემოპყობიან, გიორგი დარჩნენ, მაგრამ თავისი ერთ-ერთი მსტოვრები ჰაჯი-ამჰადის მსტოვრებთან შორისაც ცოტა როდი ეყოლებოდა.

ეპისკოპოსმა მაინც მოახერხა და მეფეს აცნობა, რომ გუშინ, ფაშასთან შეხვედრის წინ, რაბათის ციხის გაღვაწში ბატონიშვილი თეიმურაზ მამუქას ძე დაინახეს და რომ სვალ, მოლაპარაკების დროს, ვერაფერი ათაბაგი ორმაგ თამაშს გაუმართავდა.

სოლომონი აენთო. სიმატლე რომ ითქვას, თავისი გაგარეულებული ბიძაშვილი სულაც აღარ ახსოვდა და აბა როგორ წარმოიდგენდა, თუ ის აქ, ახალციხეში იყო და იმერეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა.

მეფეს ეპისკოპოსისათვის არაფერი უბასუხია. ისინი კათოლიკურ ეკლესიაში იმყოფებოდნენ, გაკათოლიკებულ ქართველთა და უცხოელთა შორის. სოლომონმა შეამჩნია თუ მოეჩვენა, რომ ორ თუ სამ მლოცველს ყური სულ აქეთ ჰქონდა მოპყრობილი და ბატონების მღვდელთმასხურებას მხოლოდ ცალყბად უსმენდა.

„ტახტის მოცილე თეიმურაზი ფასის ასაწყევად სპირდება მოწყალე ფაშას, — გაიფიქრა მეფემ და სახე დამცინავმა ღმილმა გადაუსერა. — უნდა, დახმარებას ცეცხლის ფასი დაადოს და ყურმოკრილ მონად გამოხადოს. სად წაუხვალ, ძალა მაგის ხელშია! იქნებ ზარბაზნებიც ამიტომ გაისროლა? ჰმ, ამით თეიმურაზს აუწია მხარის დაქერის ფასი!“

რიერაქზე მუყრის ყვირილმა გამოაღვიძა. ნაცნობ საკურთისს სარკმელი ღია დეიტოვებინა და ნიავს ოთახში დილის ცინცხალი სივრილე და აღიდებული მტკრის ყრუ დუღუნი შემოჰქონდა. მოლა გულის გამგმირავი ერთფეროვანი ხმით შეჰყიოდა ცას, ამოჩემებულად და ტინიანად თითქოს რაღაცას მოითხოვდა. მალე საკურთისი ისევ გამოჩნდა, მოკლე-მოკლედ დაპირილი შეშა შემოიტანა, ბუზარში ცეცხლი მოანთო, შემდეგ

გაიმართა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავეინ მითვალთვალესო და მეფეს ეპისკოპოსს მაქსიმე აბაშიძის მიერ გამოგზავნილი საიდუმლო წიგნი მიართვა. სოლომონი შეუყოყმანდა, არ აპირებდა წიგნის გამორთმევას, ეს უბედური მოჩენილი არ იყო, მაგრამ როდესაც საკურისის მორჩილ, განუსაზღვრელი ერთგულებით აღსავსე სახეს თვალი შეაგლო, წიგნი გამოართვა და ჰკითხა:

— სახელი რა გქვია, ბიჭო?

— ნატრია, შენი ჳირიმი, — თითქოს რაღაც აჩუქესო, ისე სიხარულით მოუგო საკურისმა.

— კართან დადექი, ნატრია, მოულოდნელად არავეინ შემოვიდეს.

— შიში ნუ გექნება, ბატონო, მე აქ ყველას ფეხისხმას ვცნობ.

„შენ თვითონ კი სანდო ხარ ვითომ?“ — საკურისის ვასაგონად უნდოდა ეთქვა სოლომონს, მაგრამ აღარ თქვა. იცოდა, სწორ პასუხს ვერ მიიღებდა, ბიჭს კი გულს მოუკლავდა და თავის წინააღმდეგ ამხედრებდა. წიგნი გახსნა. პირველი პუკარების წაკითხვისთანავე ელდა ეცა. მაქსიმე აბაშიძე კიდევ ერთ სამწუხარო ამბავს ატყობინებდა: მეხუთე თუ მეექვსე დღე იყო, ახალიცხეში, ფაშას კარზე იმყოფებოდნენ და სოლომონის წინააღმდეგ მოქმედებდნენ სრულიად იმერ-აფხაზთა კათალიკოს ბესარიონისა და როსტომ რაჳის ერისთავის მიერ გამოგზავნილი ნაბერალი მეთოდე და მისი უფროსი ძმა სარდალი გიორგი. ერისთავი შევიღებს, რომლებიც აქ უთუოდ სხვა შეთქმულთა დავალებასაც ასრულებდნენ, რამდენიმე მარგველი აზნაური ახლდათ თან და, რადგან საქმე უკვე მომთავრებულად მიჩნდათ, დღე-დღეზე უკან გაბრუნებასაც აპირებდნენ.

სოლომონმა წიგნი ბოლომდე ჩაკითხა და მღელვარება ნელ-ნელა დაუცხრა. აქ ვასაკვირი და შესაშფოთებელი არა იყო რა. ტახტის მიმტაცებელი გიორგი ბატონიშვილი და მისი

მზრის ამბეღლი, ლევან აბაშიძე თუ რაჳის ერისთავი როსტომი უნდა იყოს, რომ ჳირის დღესავე მისი მხარეა, რაღა თქმა უნდა, თავისას ეცდებოდნენ, იქნებ ამაზე უარესიც მოემოქმედათ. მაგრამ მისი უწმიდესობა კათალიკოსი რამ ვადარია და ვადაშალა? ასე უშინოდ და ულაზათოდ რატომ ერეოდა საერო საქმეებში? ნუთუ ტვინი გადაუბრუნდა და გულით სწამდა, რომ სიმართლე გიორგი ბატონიშვილის, ლევან აბაშიძის, როსტომ რაჳის ერისთავის, მამია გურიელის, ბატონ დედასა და სხვათა და სხვათა მხარეზე იყო? თუ ასეა, სისხლისმსმელ ვოლა-ფაშას თანდასწრებით მეფედ რატომღა აცურთხა და „ბედნიერი სულთნის“ ერთგულებაზე რისთვისღა დააფიცა? კათალიკოსის ზურგსუკან მისივე ლეარძლიანი ძმა როსტომი მოქმედებდა, ხოლო თვით ბესარიონის ძარღვეებში, ეტყობა, მოღალატე ერისთავთა ნაშიერის ბინძური სისხლი სჭარბობდა ეკლესიის წმინდა მამის სისხლს. თუმცა... თუმცა ესეც გამოსარკვევი იყო. შესაძლოა, მაქსიმესაც ფარული დოყი ალაპარაკებდა ეკლესიის საკეთმპყრობლის წინააღმდეგ. მაქსიმეს მართალია პატიოსანი და უანგარო კაცის სახელი ჳქონდა ვავარდნილი, მაგრამ ადამიანური სისუსტე თვით მაცხოვრის მოციქულებსაც ზომ აღმოაჩნდათ...

რა პასუხით ისტუმრებდა იმერეთიდან ვადამოსულ ჳეყენის ვამყიდველთ ჳაჯი-ამყადი? რა ვზას ადგა ფაშა? მას ან მწვადი უნდა დაეწვა ან შამფური— ან სოლომონისათვის უნდა გაეწვდინა დამხმარე ხელი, ანდა წყალი ღვთით კანონიერი მეფის მოსისხლე მტრების წისქვილზე უნდა დაესხა.

ახლა ზოგი რამ, რასაც სულ რამდენიმე წუთის წინ არავეითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, სოლომონისათვის ცხადი და ვასაგები გახდა. ზარ-ზეიმით მიღებაში, აქ რომ მოუწყვეს, მეფე უკვე ათბავის შეფარულ პასუხს ხედავდა. ჳაჯი-ამყადს პირველი წუთებთანვე თა-

ვი ისე ეჭირა, თითქოს იმერთა სამეფო სახლში მომხდარი ამბისათვის ყურიც არ მოეკრას და არც სოლომონის ტახტიდან ჩამოგდების ამბავი სცოდნოდეს.. ამიტომაც მოავო მას შეფური პატივი. რაღა თქმა უნდა, ჰაჯი-აჰმადის საქციელში არცთუ ძნელად მისახვედრი აზრი გამოსჭვიოდა: სოლომონთან შეთანხმებას და მისთვის ტახტის დაბრუნებას ის შეუძლებლად არ თვლიდა, ოღონდ ძლევაამოსილი ათაბაგის საბოლოო პასუხი და მოწყალება თვით სოლომონის დამყოლ ხასიათზე იქნებოდა დამოკიდებული.

— შენ კიდევ აქა ხარ? — მიმართა მეფემ საჭურისს, როდესაც კითხვას მორჩა, მაქსიმე აბაშიძის ლამაზი მსედრულით ჩაკეციწიწებული წიგნი ორად გახია და ბუხარში ნაკვერჩხლებზე დაავდო.

— მეფის პასუხი მომიტანეო, ბატონო, მამა მაქსიმემ...

— ეინ შეატყობინა ეს ამბავი, თუ იცი? — სოლომონმა თავი ნაკვერჩხლებზე ერთბაშად მოხრუჯულ და ამრიალებულ ქალაღდებისაკენ გაიქნია.

— მე, ბატონო...

— შენ? გატყობ, ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, გულში მამულის სიყვარული არ გავნელებია. თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა არც ჩვენ დავრჩებით ვალში, სიკეთეს სიკეთით მოვიზღავთ. ახლა ეს მითხარი, ნატრია, ჩემი ხალხი სად ათევს ღამეს?

— შუა ბაზარში ერთი გათათრებული სომხის სახლია, მეფევ, იქ შერევეს ყველა, კარში იანიჩრები დოუყენეს ყე და გარეთ ვერ გამოდიან... ხომ არაფერს დამაბარებ, ბატონო?

— ჯერ არა, თუ რამე დამჭირდა, გეტყვი. გიორგი სარდლისა და ნაბერალ მეთოდესი სხვა რა იცი?

— სხვა არაფერი, მეფეო. რაც ვიცოდი, ყველა მამა მაქსიმეს მოვახსენე. კიდე თუ რამეს მოეკარი ყური...

— ისე, როგორ გუნებაზე არიან?

— გუშინ საღამოს, მამა მაქსიმეს

მოზრძანება რომ შეიტყვეს, ჩხუბი მოუვიდათ, კიღამე დაკლეს...
თი. ნაბერალს წასვლა უნდა...
არ მიყვება.

— ჩემს მოსელასაც, ალბათ, გაიგებდნენ.

— კი ბატონო. წუხელი კიდევ მოუვიდათ ლაპარაკი. იანიჩრებმა გააშველეს. მე გარეთ ვიყავი. ხმა კი მესმოდა, მარა გაგებით ვერაფერი გევიგე.

— შეგიტყვია თავი. ყმაწვილი კაცი აგრე რამ დაგაყრუა!

— აწი ვეცდები, ბატონო. რა ვიცოდი. თუ... — საჭურისი იატაკზე დაემხო და აღმოსავლური წესისამებრ მეფეს ფეხისწვერებზე კოცნა დაუპირა. სოლომონმა არ დაანება, მხარში ხელი სტაცა, ზეზე წამოავდო და თვლებში გამოიმცდელად ჩახელა:

— მოჩენილი არ იყო, შე წყეულო, ხომ იცი, ცოცხალი ვერ გადამირჩები, წიწილასავით შუაზე გააწიწნი!

შეშინებულმა ნატრია საჭურისმა დიატური ხმით რაღაც დაიკნავლა, ხელი უბეზე იტაცა და იქიდან კისერზე დაკიდებული პაწაწინა ჯვარი ისევ ამოიღო.

— მრისხოს ამისმა მადლმა!..

— კარგი, ნატრია, მჯერა. ჰკუთით მოიქციე. არავინ შეგიტყოს, თუ ჩვენ სასარგებლოდ მოქმედებ. გესმის? ძელზე გაგსვამენ.

— კი, ბატონო მეფევ, ჩემი თავის მტერი ხომ არა ვარ? მამა მაქსიმეს რა ამბავი მიეფტანო?

სოლომონმა პასუხი აღარ გასცა. ბიჭი მიხვდა, ბატონი თავისმა ფიქრებმა შეიპყროო და გახარებული, ღლეს რა ბედნიერ ფეხზე ავმდგარავარო. ოთახიდან უჩუმრად გავიდა.

XXIII

ისევე, როგორც იმერთა ტახტის მოცილე თეიმურაზ ბატონიშვილი და შემდეგ მეფის დესპანი ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, ფაშა ჰაჯი-აჰმადმა თვით მეფევ თავის განთქმულ წიგნსაცაეში მიიღო. სოლომონს თვალი მოს-

ტაცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და ღია თაროებზე გამწვანების პოლიტიკის განხორციელებაში და მოყვანილობის ხელნაწერმა და ნაბეჭდო ნაწარმებმა. აქ სადაურ და რა ყაიღის წიგნი არ ნახავდი თაროებზე თავს იწონებდნენ ძველებრად, ბერძნული და ლათინური ხელნაწერები, მილანოს, რომის, კონსტანტინოპოლის, ბუქარესტის და მოსკოვის სტამბებში დაბეჭდილი საერო და საეკლესიო წიგნები, სპარსული, ჩინური და იაპონური მინიატურებით მოხატული აღმოსავლური თხზულებები. წიგნსაცავის ზღაპრულმა სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ სოლომონს წამით თავისი უსასო მდგომარეობაც კი გადავიწყა და ყოველივე ამის პატრონი, საკუთარი ხვედრით უსახდვროდ კმაყოფილ და ამაყ ათაბაგს წიგნებით დამამიყვებულ განვითარებას და თაროებს შორის ნუკრით გატყუებული დაჰყვებოდა. ფაშას არ გამოჰპარვია: ბაშიაჩუყების ახალგაზრდა მეფისათვის, რომელსაც ამ გამოზავებულზე თვით გაუგზავნა მამამისისეულ ტახტზე ასვლის რაყამი, შემდეგ კი თვითვე წაუყრუა ტახტიდან მის ჩამოგდებას, წიგნი ახალი და უცხო ხილი არ იყო. ორჯერ თუ სამჯერ მოკუტული თვალებით გვერდიდან გაჰხედა ყმაწვილ კაცს, ვისი ბედიც ხელთ ეპყრა და თაროდან ვეებერთელა, ოქროთი მოსველებულ ტყავის ყდაში ჩასმული წიგნი გადმოიღო. სოლომონი და მაქსიმე აბაშიძე მიეშველნენ, წიგნი ერთად მიიტანეს კუთხეში მიდგმულ მრგვალ მაგიდასთან და იქ დაასვენეს. ფაშამ კარგა ხანს, თითქოს სხვა საქმე არც არა ჰქონოდა, მოჯადოებულებით უცქირა საკვირველი ოსტატობით მოსველებულ ყდას, შემდეგ ის სასობით გადაშალა და ალტაცებისაგან ენაჩავარდნილ მეფესა და ეპისკოპოსს წიგნის თავფურცელი აჩვენა.

ეს იყო ძველთაძველი ქართული ნუსხა დაბადებისა, რომელიც ფაშას არმალანად მიეღო თეიმურაზ ქართლის

მეფისაგან და თავისი წიგნსაცავის ერთ-ერთ მშვენიერად თვლიდა. ნუსხა ამ ხუთასი თუ ექვსასი წლის წინააღმდეგეობით ზედანხელ ბერებს და მერე დიდხანს მცხეთის საკათალიკოსო წიგნსაცავში ინახებოდა. ამ დიდებული ხელნაწერის არსებობა პაჭი-ამჰადს ჯერ კიდევ ნადირ-შაჰის დროს ქართლში ნაცხოვრები კაპუჩინელი ბერისაგან შეეცუო და, როგორც კი საშუალება მისცემოდა, სავანებო მოციქულის პირით თვით ეთხოვა თეიმურაზ მეფისათვის, ზედანხისეული დაბადება მისი წიგნსაცავის დასამშვენიერად გამოემეტებინა. ანტონ კათალიკოსი და მეფე თეიმურაზი სამ თვეს ემდურდნენ თურმე ერთმანეთს ამ წიგნის გამო. ბოლოს, ასე იყო თუ ისე, ზედანხელი ბერების ნახელავ დაბადებას დაეტოვებინა მუდმივი ადგილსამყოფელი და ფაშას ვულის გასაპარად და თავის მოსაწონებლად რაბათის წიგნსაცავში დაედო ბინა...

სოლომონს აღდომ უკარნახა, უფეთის წუთი ჩემი დარბიული ძღვენის გადასაცემად აღარ დამიდგებაო და ფაშას უღარესი მოწიწებით მიმართა:

— მოწყალეო ბატონო, ვით შევკადრო თქვენს აღმატებულებას... მცირე რამ მოვართვით... მოგტყუებთ, რაც ნეტარსხენებული მამაჩენი მეფე აღექსანდრე მიიკვალა და ჩვენ თქვენის წყალობითა და ბრძანებით იმერეთის სამეფო ტახტი მივიღეთ, არც გელათს, არც მღვიმეის არც ჭრუჭის, არც ხონის და არც ქუთაისის სამეფო წიგნსაცავებთან მიდგომის საშუალება აღარ გვაქვს. ის ვახლეთ, რაც აქეთობას თან გვქონდა და, ეიმედოვნებ, არ ვაგვირისხდები...

ამ სიტყვებით სოლომონი მაქსიმე აბაშიძეს მიუტრიალდა, იასე ქსნის ერისთავის მიერ აღის ციხეში ნაჩუქარი წიგნები გამოართვა, ზედ გადაფარებული ფარჩა სათუთად გადასწია და პაჭი-ამჰადის წინ მრგვალ მაგიდაზე დააწყო.

ფაშა სულწასულად მიეტანა წიგნებს. ამას, შესაძლოა, სტუმრების გულის გასაქეთებლად შერებოდა. ჯერ ერთი გასინჯა, გადაფურცლა, შემოწმდა, მერე მეორე. „ქილილა და დამანა“ კარგა ხანს ატრიალა ხელში. გადაწმურისა და მომხატველის უზადო ხელოვნება აღტაცებას ჰვერიდა. თავისი მადლიერება იმით გამოხატა, რომ ტაში შემოპყრა და ბატონის დაქაბილზე წიგნსაცვამა შემოსულ პირველსავე მსახურს უბრძანა, მისი უმადლესობისათვის ფაშების მოწყალებისა და გულუხვობის ნიშანი — შეირფასი ხალათი მოერთმით. ხალათი ეპისკოპოსს მაქსიმე აბაშიძესაც ებრძანა...

სოლომონს გული მოეცა. თვალი მაქსიმესაკენ გააპარა. ფაშა დღეს ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა და თანაც თავისი საყვარელი წიგნების გარემოცვაში იყო. სოლომონის მიერ მორთმეული წიგნები მან თვალსაჩინო ალაგას მოათავსა, მანამდე კი სტუმრებს პატივი დასდო და „ქილილა და დამანას“ სხვა წესებზე აჩვენა. ეს ძველი სპარსული პოემა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ხალხის ენაზე იყო გადათარგმნილი და ამ თარგმანებს ახლა თვით ვახტანგ მეფის და სულხან-საბა ორბელიანის ქართული თარგმანიც მიემატა. ხვალივით წავიკთხავო, ბრძანა ფაშამ, სულხან-საბას სიბრძნის ამბავი მსმენია და ეს წიგნიც უთუოდ საამო საკითხავი იქნებაო. მერე მეფის მრჩევლს მიუბრუნდა:

— ვიპურ რუსებში გაგვეცალა ბერმა. ვახტანგ მეფესაც გზა იმან აუბნია. ახლა მგონი ცოცხალი აღარ უნდა იყოს?

— მოსკოვ-ქალაქში მიიცივალა, დიდო ბატონო, — მიუგო ეპისკოპოსმა და მეფეს ანიშნა, ჩემს ნათქვამს შენც რამე დაურთეო.

— ვახტანგ მეფე, მგონი, შენ გენათესავებოდა, — ფაშა ახლა სოლომონს მიუბრძანა. — ხომ არ მეშლება?

სოლომონმა სიტყვა ხალხთა ჩამოართვა:

— არ გეშლებათ, მოწყალებულნი, ბებიაჩემი ხორეშანი, ნეტარსენებელი მამაჩემის დედა, ვახტანგ მეფის დეიძლი ასული გახლდათ...

— ვიცი, ვიცი, ჩემო სოლომონ, — გააწყვეტინა ფაშამ და სავარძელზე ანიშნა, უკან მიიხედა, თავისთვის სავარძელი გამოსწია და როგორც კი სტუმრები დასხდნენ, თვითონაც დაჯდა. — მე მინდოდა, ევ შენთვის გამესენებინა. მე ისიც მახსოვს, რომ თეიმურაზი და მამამენი აღუქსანდრე დანასისხლად იყვნენ, ერთმანეთს ისე უყურებდნენ, როგორც ძაღლი და კატა.

— მართალია, ბატონო...

— დიახ, მართალია. ვიცი. მერე შენ რა დაგემართა? გვონია, თეიმურაზს გულზე ძალიან ეხატები? ამას სხავანირად ნუ ჩამომართმევ. ილაპის მადლმა, მამაშვილურად გეუბნები...

— შენი სიტყვა ჩვენთვის კანონია, ბატონო!..

— პოდა, ყური დამიგდე, სოლომონ. ქართლ-კახეთისაკენ ხელების ტურტურს, თუ გიყვარდე, თავი დაანებე. მე არ ვმალავ: თეიმურაზი და ერეკლე ჩემი ყონალები არიან, დეიძლ ქმებში არ გაეარჩევ, მაგრამ შენ... შენ, სოლომონ, მაინც ჩემი ხარ და...

ფაშამ კიდევ კარგა ხანს ილაპარაკა. ყოველ სიტყვას გულიდან მომდინარე ნაღველს აყოლებდა. ძნელი იყო, ცთუნებას არ აპყოლოდი, ყოველივე, რასაც ის ამბობდა, უყუყუმანო ქეშმარიტებად არ მიგველო, ხოლო თვით ფაშა სოლომონის კეთილისმყოფელ მამად არ დაგესახა. ჰაჯი-ამხადმა შენიშნა, ჩემი სიტყვები სასურველ შემოქმედებას ახდენენო. სოლომონი სულგანაბული უსმენდა და სახეზე მადლიერება და სასიოება ეხატებოდა. საუბარი სადად და უბრალოდ აეწყო. ფაშას ეს ახარებდა, მხოლოდ თავს იმის გამო სტუქსავდა, რომ სოლომონთან განმარტობულ შეხედრას შესაძლებელი იქნებოდა, საქმეში თორქ



დიპლომატებზე არანაკლებ გამოცდილი ეპისკოპოსის მაქსიმე აბაშიძე დაასწრო. უიმისოდ მორიგება ბევრად უფრო გააღვივლებოდა. თვით იმ აბაშასაც კი, რომ ფაშა სოლომონზე ასაკით უფროსა, მამის ტოლი კაცი იყო, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბუნებით ზრდილ და მოკრძალებული ხასიათის მქონე სოლომონს ზოგი რამ უბრალო თავაზიანობის გამო უნდა დაეთმო. მაქსიმეს აქ ყოფნა ფაშას უპირატესობას როგორღაც აქარწყლებდა და მეფეს ყოველ წამს საღი განსჯის უნარს უნარჩუნებდა. აბაშიძის დათხოვნა ახლა გვიანი იყო. სოლომონი ექვს აიღებდა და ამ წუთიდან კიდევ უფრო ფრთხილი და ანგარიშიანი გახდებოდა. ფაშა იძულებული გახდა მოლაპარაკება განეგრძო და საქულველი ეპისკოპოსის აქ ყოფნას როგორმე შერიგებოდა. ამ მოლაპარაკებაზე ბევრი რამ იქნებოდა დაფუძნებული. თუ სოლომონისათვის ტახტის დაბრუნებას საჭიროდ და შესაძლებლად მიიჩნევდა, ჰაჯი-ამჰადს ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებს შორის როგორმე უთანხმოება ჩამოეგდო, ხოლო ეს საქმე ისე სუფთად უნდა მოემოქმედა, რომ თეიმურაზთან და ერეკლესთან მის მეგობრულ დამოკიდებულებას არავითარი ზიანი არ მოსვლიდა. ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე მიჩენილმა მსტოვრებმა დილაადრიან ახალი საგულისხმო ცნობები მოაწოდინეს. ეს ცნობები, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. ადვილი როდუ იყო, შექმნილი ვითარება მათი საშუალებით სრულად და შეუქმედარად წარმოგედგინა. მხოლოდ ერთი რამ არ იწვევდა ექვს: დიდი ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე საშიშროების ახალ კერას ჰქმნიდა სპარსეთის დაცემის კვლადკვალ მომძლავრებული გურჯების ქვეყანა...

შარშან, როდესაც შაჰი-შარვანის ხანმა აჯი-ჩალაბმა თავი მოუყარა კაცი-

სა და განჯა-ყარაბაღის ხანებს და მუსულმანთა გაერთიანებულ ძალებს შორით ქართლ-კახეთის შეერთებულ ძალებს შორით დაამარცხა განჯასთან, ჰაჯი-ამჰადს იმედი ჩაესახა: ვათავებდებოდა კახეტონი ერეკლე და მამამისი თეიმურაზი, ეს ბებერი ტურა, იქნებ ახლა მაინც მოგებოდნენ გონს და მოსახლერე მუსულმანურ ქვეყნებში თავიანთი შეუზღუდველი ბატონობის გავრცელებასზე ერთხელ და სამუდამოდ ხელი აეღოთ. ერევნის ახლოს, ყარახულახთან, გამაგრებული ადარბადაგანის ბეგლარბეგის, სპარსეთის ტახტის მოცილე აზატ-ხანის, სასწაულებრივი დამარცხებით ერეკლემ ხელახლა მოითქვა სული და თავის ძველ მესისხლეთ — ლეკებს, თურქმანებსა და განჯა-ყარაბაღის სახანოებს მოუტრიალდა.

მსტოვრები ფრიად შემამოფოთებელ ამბებს იტყობინებოდნენ: ერეკლემ და თეიმურაზმა ყაზახ-შაშადილის საზღვართან სძლიეს აჯი-ჩალაბს და ურჩხმა სახანოებმა კვლავ გაანახლეს გურჯებისათვის ხარკის მიცემა. არაქნს გადაღმა გადაღენილ აზატ-ხანს სწორედ ზუთი თუ ექვსი დღის წინ ერეკლე მეფისათვის დესპანები გამოეგზავნა, დიდძალი ძღვენი მოერთმია და ზავი ეთხოვა...

რამდენად სარწმუნო იყო ეს ხმები? რა ძალას ფლობდა აჯი-ჩალაბი და აპირებდა თუ არა ქართლ-კახეთის მეფეთა წინააღმდეგ გამოსვლით ერთხელ კიდევ ეცადა ბედი? წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. ერთ-ორ-სამ წელიწადში, თუ ხელს არ შეუშლიდი, გურჯები ისე მოლონიერდებოდნენ, ისე ღრმად გაიდგამდნენ ფესვებს მიწაში, ისეთნაირად გაამაგრებდნენ ქვეყნის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელს, ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ადვილიდან ვეღარ დასძრავდი.

ჰაჯი-ამჰადს, ბუნებრივია, საფაშოს ბედი ადარდებდა. ქართლელებს ჯერაც ვერ მოენელებინათ ძველი სამცხის დაკარგვა და, თუ გარემოება ხელს შე-

უწყობდათ რაღა თქმა უნდა, იმერეთთან დაკავშირებასა და საფაშოში შემოჭრასაც არ დააყოვნებდნენ. აი, რის წინააღმდეგ უნდა ებრუნა დღეს ჰაჯი-აჰმადს...

ფაშა ქართულს თითქმის ჴედმიწევნით ფლობდა, ლაპარაკის დროს მხოლოდ ალაგ-ალაგ ურთავდა თურქულ ან არაბულ სიტყვებს. სოლომონი მოხიბლული და განცვიფრებული იყო. ჰაჯი-აჰმადის გონების ელვარების წინაშე, მიუხედავად ამ კაცის ხანდაზმულობისა, თვით ყოველმხრივ განსწავლული და რამდენიმე ენის მცოდნე მაქსიმე აბაშიძის სიტყვაჰქვერობაც კი აღარაფერი ჩანდა. ფაშას უტყუარმა აღლომ უკარნახა, რომ ბაშიაჩუგების ახალგაზრდა ბატონი, ჳერაც პირზე რძეშეუშრალი ყრმა, მისდამი ღრმა მოკრძალებით განიშჰქვალა და უბირ, გაურყენელ ყმაწვილ კაცისადმი მამაშვილურ სიყვარულთან მიმსგავსებული რაღაც გრძნობა გაუჩნდა. ამას მაინც არ შეუშლია ხელი, ვარეგული გულგრილობა შეენარჩუნებინა და ქვეშევრდომული შეწვევის მავედრებელთათვის თავისი ყოვლისშემძლეობა და თვით „ბედნიერი სულთნის“ მიერ მონიჭებული შეუზღუდველი ძალაუფლება ეჩვენებინა...

XXIV

რუსუდანისეული სასახლის დიდ პალატში, სადაც კვირაში ორჯერ დივანის სხდომებს მართავდნენ ხოლმე, ფაშას უკვე უცდიდნენ სასახლეში მოწვეული ვილიეთის უზენაესი ყადი სელიმი, ჳაყელების უმეტროსი შტოს წარმომადგენელი, სახედამქცნარი კაფანდარა მოხუცი, რომელსაც ინიით შეღებილი ჳადარა წვერი მოკლედ შეეკრიჰა და თავზე უბრალო მუყრის რბილი ფესი ეხურა, ჳერთვისის, ფოცხოვისა და შავშეთის სანჯაყ-ბეგები, საფაშოს ხაზინადარი და გადასახადების განმგებელი — მალ დეფთერდარი, ასპინძის, ოლთისისა და ლივანას ალაი-ბეგები და „შნათობი“, № 6

სახენაყვაილევი დივანის ეფენდო, რომელსაც, თუ საჭირო გასდებოდა, თურქინობა უნდა გაეწია. ბეგლარ-ბაშის უკლებლივ, სამცხის ძველ თავადთა და აზნაურთა ნაშვირები იყვნენ, სისხლითა და ხორციით ქართველნი, მაგრამ მთელი სიოცოცხლე სულთნის სამსახურში იმყოფებოდნენ და თავისი კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით ოსმალური ჳნე-ჩეგულებების მიმართ თვით ოსმალელებზე უფრო მეტ გულმოდგინებასა და ერთგულებას იჩენდნენ.

ფაშა იგვიანებდა. აჰ მყოფთ სწორედ მისი არყოფნით ესარგებლათ, წყვილ-წყვილად განმარტოებულნი იყვნენ, დარბაისლურ ბოლთას სცემდნენ და თითქოს ეკრძალებათ, გამეფებული მუედროება არ დააჩლიონო, ჩურჩულით საუბრობდნენ.

საუბრის საგანი დარბაზის ყოველ კუთხეში ერთი და იგივე იყო. ოსმალეთის იმპერიაში, კიდით კიდემდე, ამ ბოლო დროს შემაშფოთებული ხმები გაერეულა. ამბობდნენ, ბედნიერ სულთანს უკვე გადაუწყვეტია, ქვეყნის ყველა სანჯაყში, მათ შორის, რასაკვირველია მოსაზღვრე ვილიეთებში დანაწევრებული ძველი სამცხის სანჯაყებშიაც, მიწათმფლობელობის ოსმალური წესები შემოიღოსო. ამაზე უარესსა და თავზარდამცემს ვერც ვერას მოიგონებდი და ვერც ვერას დასწერდი. ოდესღაც ქართლის მეფეთა ქვეშევრდომი სამცხის ათბაგების სამფლობელო მიწებს სულთნები აჰამდე ხელუხლებლივ სტოვებდნენ და შათ ამ გადაწყვეტილებას თავისი მიზეზი და გამართლებაც ჰქონდა. ნილდირის საფაშო იმპერიის ნაბირი ვასლდათ, კავკასიის ნიადავ მშფოთვარე ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლების მოტრფიალე ხალხებს ესაზღვრებოდა და ურიგო როდი იქნებოდა, თუ შეღავათებითა და გამორჩეული პატივის მიგებით მის შესვეურებს ოქროს ჳაჰკვით დაბამდნენ და მუდმივ მორჩილებაში იყოლებდნენ...

თუ მწყალობელი სულთანს თავისი

ახალი გადაწყვეტილებების განხორციელებას მართლაც ინებებდა, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან მიწათმფლობელობის ახალი წესი ქვეყნის შიგა ვილაიეთებში კარგა ხნის წინათ გატარდა, მომხდელი ბატონების პირველი მოთხოვნისთანავე გაათავებულ-გადარჩულებული ყველა ქართველი ალა, ბეგი და ალაი-ბეგი, სანჯაყ-ბეგი და თვით ფაშაც კი, ყმა-მამულისა და საუკუნეების მანძილზე მოპოებული უპირატესობების გარეშე დარჩებოდა. ზოგნი ამბობდნენ, ეს ამბავი მართალს არ იქნება, მუსულმან გურჯთა იმედი ზედნიერი სულთანი თავის ერთგულ ქვეშევრდომებს აგრერიგად არ გამოიმეტებსო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ხმები მით უფრო დაკინებული და სარწმუნო ხდებოდა. ხვალინდელ დღეზე ფიქრით აფორიაქებული ბეგები და ალაი-ბეგები ყველაზე შორეული სანჯაყებიდანაც კი ჩამოდიოდნენ ახალციხეში, ვინძლო სიმართლე თვით მწყალობელი ფაშას პირით მოესმინათ. რაღა ეღირებოდა მათი ცხოვრება, თუ მამულებს დაკარგავდნენ, თუ მიწა-წყალსა და ყმა-გლეხობას თვით სულთანი დაეპატონებოდა? მაშ, ამიერიდან ვაშლსაც ველარავენ მოსწყვეტდა მამაპაპულ ბაღში, იმის უფლებაც კი აღარ ექნებოდა, გაქირავების დროს ხელის მოსანაცვლებლად საკუთარი ყმა გაეყიდა, ანდა საკუთარი მამა-პაპის შიერ დანატოვარი მამული დაევირავებინა. განა ამისთვის უარეყოთ ქრისტეს რჩული, ამისთვის დაეწვათ საზარება, ამისთვის დაეწვიათ ეკლესიები, ამისთვის წაეწყმიდათ სული და საქულევლი ისლამი ამისთვის ეღიარებინათ? ნუთუ ეს იყო ყველა იმ სამსახურისა და თავდადების საზღაური, მესხ დიდებულებს თურქული ნახევარმთვარის სადიდებლად რომ გაეწიათ?

საერთო დარტყნისა და მოუსვენრობას მხოლოდ ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმი არ იზიარებდა. მოხუცს კუქის წვეწვანს მოჰარბებულობა სტანჯავდა, ბუხრის პირას მუთაქებში იჭდა

და წამდაუწუმ დადარბი იბურქებოდა. ყადს არ უყვარდა იქ მოჭრულ უთვლის მოგვარე და შორეულ ქმედებებთან შეხვედრას ყოველნაირად ერიდებოდა, მაგრამ, მისდა საშუხაროდ, სახელმწიფო და სასამართლო საქმეები განმარტოებისა და კარჩაეკტილი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. სელიმი, თავდაჯერებული მორწმუნე და მუსულმანობის შეუვალი ბურჯი მთელს წინა აზიაში, ყველა სხვა სარწმუნოებას და უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, მაჰმადიანური შეურიგებლობით სდევნიდა და საერო ხელისუფალთაგან მუდამ გადამწყვეტი ზომების მიღებას მოითხოვდა. სელიმის ღრმა რწმენით, ჰაჯი-აჰმადი მერყეობას იჩენდა, ჯეროვანად ვერ ასორციელებდა თავის სარწმუნოებრივ აღთქმას და მართლმადიდებელ ქრისტიანებს გულში ვგონებ კიდევაც თანაუგრძობობდა. ეს უკანასკნელი ექვი ჯერ კიდევ ექვი იყო. ვაი მის მოსწრებას, თუ ეს ექვი გამართლდებოდა სელიმი, ქვეშარიტი მორწმუნე და მუსულმანობის ურყევი ბურჯი, წამსაც არ დააყოვნებდა, მიუხედავად ავადმყოფობისა, ბოლო დროს სიცოცხლე რომ ჯოჯოხეთად უქცია, დაუყოვნებლივ ეახლებოდა დიდ ვეზირს კონსტანტინოპოლში და ქვეყნისა და სარწმუნოების მოლაღატე ჭაყელს ფარისეველურ ნიღაბს ჩამოგლეჯდა.

ჰაჯი-აჰმადის სარწმუნოებრივი მერყეობის დამადასტურებლად მისივე წიგნსაცავეი კმაროდა. იქ ალაჰის შეურაცხყოფელი ბეგრი თხზულება იყო თავმოყრილი. ყადმა ორჯერ საგანგებო წიგნი გაგზავნა, სადაც ჯერ არს და იმპერიის უზენაეს ხელისუფალთ ჰაჯი-აჰმადის არაკეთილსამედლობა პირუთვნელად აცნობა, მაგრამ იქიდან ჯერჯერობით პასუხს არავინ იტყობინებოდა. ჩანდა, ფაშას ზურგი მაგარი ჰქონდა. იქნებ სულაც ბეგებმა შეიპყრეს ყადის მალემსრბოლი და თავისი ერთგულების დასადასტურებლად ფაშას მიჰგვარეს?

სელიმს ერთი მოუწორებელი ჩვევა დასჩემდა. ჰაჯი-აჰმადის თანდასწრებით წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარ უნარს ჰკარგავდა. ვარეული ტანხვით ღონიერი და უზადო ჯანმრთელობით აღადანებული ფაშა, რომლის მხრიდანაც მუდამ ჰარამხანიდან შემოყოლილი სურნელოვანი ზეთების გამაბრუებელი სუნის სცემდა, სელიმს აუხსნელ შიშს და მორჩილებას უნერგავდა. თავისი სენით გაწამებულ ბერძენსაც დღესაც სწორედ ასევე დაემართა. ჰაჯი-აჰმადის შემარჩენებელი აზრები მანამ უმღვრევედა გულს, ვიდრე ის დარბაზში არ შემოვიდა, ხოლო როდესაც იქ მყოფთათა ბაგის მობრძანება აუწყეს და ჰაჯი-აჰმადი მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარსდგა შეკრებილ ქვეშევრდომთა წინაშე, სელიმი წამოდგა, წელში გაჭირვებით გაიმართა და დამკნარი ტუჩები მავრად მოკუმდა, რადგან პირი კუჭიდან ამოსული მწარე ნერწყვით ჰქონდა სავსე...

სოლომონი და ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე საათნახევარზე მეტი ალოდინეს ნახევრადბნელ ტალანში. ბოლოს, როგორც იქნა, დიდებულმა ფაშამ მოწყალება მოიღო და დივნის ეფენდის პირით ორივე სხდომაზე დასასწრებად მიიწვია. აქამდე ვერც მეფეს და ვერც მის მრჩეველს ვერ აეხსნათ, ასე რატომ აგვიანებდნენ გამოძახებას. დივანში ამ დროს აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა სუფევდა. საკუთარი ყმა-მამულის მოსალოდნელი დაკარგვის შიშით აფორიაქებული ბეგები თავიანთი უბედურების ერთადერთ და უმთავრეს მიზეზად ბაშინაუკების ურჩობასა და ოტომანთა იმპერიის ღვთით მოვლენილ კანონებისადმი დაუმორჩილებლობას თვლიდნენ. თვით ფაშას აზრიც აქეთ იხრებოდა, მაგრამ ის თავს იკავებდა და სხვებს უსმენდა. ვილაიეთის უზენაესმა ყადმა სელიმმა სიტყვა მოგვიანებით მოითხოვა. ლაპარაკი უჭირდა. პირი წამდაუწყებ მწარე სითხით ევსებოდა და ამისაგან თავის დახსნის საშუალება კი არ იყო. აზრი მაინც ნათლად

და მკაფიოდ გამოთქვა. სელიმი დანარჩენების თათბირს იზიარებდა და დედა-ყოვენივლივ იმერეთზე გალაშქრებას მოითხოვდა. დარბაზში მყოფთაგან ერთი ორს ღიმი მოერია, პირი გვერდზე მიიბრუნა და სახეზე ხელი მიიფარა. იმერეთზე გალაშქრება სელიმის ამოჩემებული სიტყვები იყო. დივანში ყოველგვარად ამ სიტყვებით ამთავრებდა. ახლა მარტოოდენ მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა, თავისებური და საკმაოდ სარწმუნო საბუთებიც მოიშველია. ვიდრე დიდი სულთნის უმაღლესი იმერეთში ერთხელ და სამუდამოდ არ მოიშლებოდა გურჯების მართლმადიდებლური ეკლესია, ვიდრე ყველა მეტიჩარა ეპისკოპოსს არ გაპარსავდნენ და კინწისკვრით აქ არ ჩამოიყვანდნენ, არც გურჯი მეფეების ნაჩუმათევ ერთობასა და ვერაგულ დალატს მოეღებოდა ბოლო...

სელიმს სულ სხვა რამის თქმა სწავდა, მაგრამ ამჯერად თავს იკავებდა. დიდი ალაჰის დროშით მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ სამკედრო-სისიციოცხო ბრძოლა ძალზე შორს სცილდებოდა რელიგიის ფარგლებს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამბოზა ქართველებისათვის ერთმორწმუნე რუსეთის გზების მოჭრას უდრიდა და ამას დიდი ხანია ესწრაფვოდნენ ოსმალი ხელისუფალნი. დღეს, ამ გამწვავებულ ვითარებაში, როდესაც ევროპის ცაზე საომარი ღრუბლები იყრიდნენ თავს, საქირო არ იყო ყველაფრის ბოლომდე თქმა და ყალიც შუა გზაზე შეჩერდა, თუმცა სიტყვა იმგვარად წარმართა, რომ სათქმელიც აღარაფერი დარჩენია.

ყადის შემდეგ სიტყვა კარის ხაზინადარმა და ვილაიეთის გადასახადების განმგებელმა — მალ დეფთერდარმა წარმოთქვა. იგი წინასწარვე მომარაგებულიყო საქირო დავთრებით და დივნის წინაშე ერთობ საბუთიანი და დამარწმუნებელი მოსაზრებები წამოაყენა. მალ დეფთერდარმა რამდენიმე ციფრი დაასახელა და ყველა დამსწრისათ-

ვის ნათელი გახდა, თუ რაგვარ დაეცა ფულისა, ტყვე გოგო-ბიჭებისა და სხვა საეკლესიო გამოსაღების მოგროვება უმადნაფიცი იმერეთში და რა აუნაზღაურებელი ზარალი მოსდიოდა ამით. ბედნიერი სულთნის ხაზინას. ბაშიაჩუკები ტყეში გაიბიზნენ, ქალაქები და სოფლები დაიკალა, მეურნეობას აღარაინ ეწვევა... გადასახადების განმგებელიც. ამგვარად, უზენაესი ყადის გონივრულ მოთხოვნას იმეორებდა. მხოლოდ ავოლის მომცველ ლაშქრობას შეეძლო დანაკლისი ორწილ აენაზღაურებინა და ხაზინის ზარალი ნაწილობრივ მარცხ დაეფარა. რაც შეეხება იმერეთის ტაბტზე მეფე ალექსანდრეს ძე სოლომონის ხელახლა დაბრუნებას და მისი ზურგის გასამაგრებლად იმერეთში ლაშქრის გაგზავნას, ეს მოწყალე ფაშას ახალ საზღვრავს გაუჩენდა და მხოლოდ გააძნელებდა იმ მაღალი მოვალეობის პირნათლად შესრულებას, რომელსაც ბედნიერი სულთანი მას, ფაშას, აკისრებს...

სწორედ ამ დროს ბრძანა ჰაჯი-აჰმადმა, ბაშიაჩუკები შემოიყვანეთო. სოლომონი და მაქსიმე რომ კარის ზღურბლზე გამოჩნდნენ, ყველას აქეთ მოეპყრო სახე, დარბაზში თუთუნის კვამლი იდგა და სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. მაქსიმემ ღირსეულად დახარა თავი მდაბალი მისალმების ნიშნად, სოლომონმა კი გულზე მიიღო მარჯვენა ხელი და დამხვდურთ აღმოსავლური აღათისამებრ მიესალმა. პასუხი არავის გაუცია. ახლა ყველა შემადლებულ ადგილზე მარტოდმარტო მჯდომ ფაშას მისჩერებოდა. მაქსიმე აბაშიძის საეპისკოპოსო მანტიის დანახვაზე სელიმმა ზიზღით ადვსილი დამკვიცნარი სახე მიიბრუნა, დაჭდა და ბუხრის ყვერბზე დააპურკვა.

ფაშამ თურქულად მიმართა შემოსულებს, შემდეგ დივანის ეფენდის ანიშნა, გადაუთარგმნეო. ეფენდიმ მისალმების ჩვეულებრივი სიტყვები ქართულად გადმოთარგმნა და მისალმება კითხვით დაამთავრა. ფაშა ბაშიაჩუკებს ეკითხე-

ბოდა: რა სურდათ? აქ რა გაჭირვების გამო მოსულიყვნენ? *არქანსული*
სოლომონს ხახა გაუშრა. *ქართულად* ვერა უპასუხა რა. არ მოელოდა, თუ ფაშა გამოკითხვას თავიდან დაიწყებდა და უნებლიეთ თავის მრჩეველს შეხედა. მაქსიმე მიუხედა მეფეს გასაქირს და მსწრაფლ მიეშველა:

— ბედნიერი სულთნის უმორჩილესი ყმა, იმერთა ბატონი სოლომონი, მოწყალეო ფაშა, თქვენს შემწეობას ელის. მოგვხსენებათ...

ათბავს დამცინავად გაელიმა, მოწყურულ თვლებში გამოუცნობი ცეცხლის ნაპერწყლებმა იელვეს.

— მე, თქვენო მეუფეზე, — თქვა მან. — გადმომცეს, რომ ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე თურქული ენისა და მწიგნობრობის ჩინებული მცოდნეა.

— შემინდეთ, თქვენო აღმატებულეზე, — ქართულად მიუგო მიუღის მრჩეველი და თავი კვლავ მდაბლად დახარა. — მე მინდა, თუ ნებას მიბოძებთ, — მან დივანს გადახედა. — ისე ვილაპარაკო, რომ ჩემმა მეფემ თარქმანის დაუხმარებლად გაიგოს, რას ვამბობ.

დივანის ეფენდიმ პასუხი თურქულად გადათარგმნა. ბეგებმა ერთმანეთს გადახედეს. რას უპასუხებდა ამაზე ათაბაგი? ჰაჯი-აჰმადს განრისხებისა არაფერი ემჩნეოდა. პირიქით, დღეს ის მეტად მშვიდი, კმაყოფილი და მოწყალე ჩანდა. მაქსიმეს წარბების აწვეით და თავის ოდნავი დაკვრით ანიშნა, განაგრძეო და სმენად გადაიქცა. ამის შემხედვარე ბეგებსაც უმაღ შეეცვალათ გუნება-განწყობილება. ეს ორი ურჯულო თანამომე ახლა ისე დიდ დამნაშავეებად როდიდა ეჩვენებოდათ, როგორც ამ რამოდენიმე წუთის წინ...

სოლომონს წამიერმა შეკრთომამ და დაბნეულობამ გაუარა. ახლავა შენიშნა, რომ ფეხზე მხოლოდ ის და ეპისკოპოსი იდგნენ, სხვებს, გარდა ბუხართან მიყუდული სელიმისა, ამაღლებულ ადგილას მჯდომ ჰაჯი-აჰმადის გარეშე მო მოეკეცათ ხალიჩებზე. ღირდა კი ამდენი დამცირების მიღება და თავზე

ლაფის დასხმა? ვის წინაშე და რისთვის უნდა დამდაბლებულიყო?

„თავი შეიკავე! — საიდანლაც ჩაესხმა მზრძანებელი ხმა. — ეცადე, არავინ არაფერი შეგამჩნიოს. აქ სხვას რას მოელოდი? დღეს შენი კი არა, შენი სამშობლოს ბედი წყდება!...“

სოლომონი შინაგან ხმას დამორჩილდა, მწარედ იკბინა ქვედა ტუჩზე და გაიჩინდა.

მაქსიმე აბაშიძე მთელს იმერეთში სანდომიან მოსაუბრედ ითვლებოდა. რბილი და ძლიერი ხმა მის წყნარ, შთაგონებულ სახეს თავისებურ შინაგან წონასწორობას და სიღარბისლეს ჰმატებდა. ეპისკოპოსი რიტორიკაში, არისტოტელესეულ ლოგიკასა და სხვა საერთო საღვთისმეტყველო მეცნიერებებში განსწავლული კაცი იყო, მოქადაგის ხელოვნებასაც ზედმიწევნით ფლობდა და მსმენელთა გულისყურის მიპყრობა და დამორჩილება როდი ეძნელებოდა. სრული შთაბეჭდილების მოხდენას, მართალია, ის უშლიდა ხელს, რომ დროდადრო სიტყვას თარჯიმანი აწყვეტილებდა, რათა თქმული თურქულად ეთარგმნა, მაგრამ ეპისკოპოსი ამ წუთიერ შესვენებებსაც, ვიდრე ეფენდი მის ნათქვამს თარგმნიდა, თავის სასარგებლოდ, ახალი აზრის ჩამოსახმელად იყენებდა.

ღარბაშში ქართულის არამცოდნე არავინ იყო. გარდა ქართულისა, არც ბეგებსა და არც დივნის სხვა წევრთ, სხვა მშობლიური ენა არა ჰქონდათ და საქულველ თურქულს, აქამდე რომ ხეირიანად ვერ შეეთვისებინათ, მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის შიშითა და რიდიტ ებლაუჭებოდნენ.

ფაშა მოთმინებით უგდებდა ყურს მაქსიმე აბაშიძეს. ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმი ხამუშ-ხამუშ დაღარში იპურტყებოდა. სელიმის მხრივ ეს შეუძრავებლობის ერთადერთი გამოხატულება იყო. ფაშა სელიმს თვალს არიდებდა და ცდილობდა, მისი აქ ყოფნა საერთოდ დაევიწყებინა. ამით ის თავს იტყავდა და სელიმს, რომლის ფარული

შიში ყოველთვის გულ-მუცელს უღბავდა, ქვეწევრობების უწყვეტ წყნარ თომ არაფრად აგდებდა. მაქსიმე აბაშიძე, ჯავრი მაქსიმე აბაშიძეზე იყარა, სიტყვა შეუხე გუწვევითა და თარჯიმნის პირით მიმართა:

— ეგ ყველაფერი ჩვენ ვიცით მღვდელო, სოლომონსაც ბედნიერი სულთნის ნებით, ძმურ შემწევობას არ ვაკლებთ. აქაც ისე მივიღეთ, როგორც მის მეფურ ღირსებას ეკადრება.

სოლომონმა თავი დაუკრა ფაშას და კრიკაშეკრულმა. ზედმეტი არაფერი წამომცდესო, გულხელი დაიჭლო.

— სხვათა წყენინებასაც ვგონებ, არ მოვრიდებვართ, — ამ „სხვათაში“ ფაშამ, რასაკვირველია, ერთის მხრივ თვითურავს მაშუკას ძე ბატონიშვილი და მეორეს მხრივ აქ საიდუმლოდ მოსული ერისთვიშვილები იგულისხმება. — მაგრამ, უნდა გამოგირტყდეთ, სარწმუნო ცნობების მისაღებად, ალაპის წყალობით, ჩვენ მრავალი წყარო მოგვეპოება, მართო თქვენს ქადაგებას, ეპისკოპოსო, ვერ მივენდობით. მე, სიმატლე მოგახსენოთ, არა მსურს ყური ეუგლო ამ ცნობებს, თუმცა დივანი ფრიად შემფოთებულა და თქვენს დასახმარებლად ჩარის შეკრებას მიკრძალავს. სხვა რამეც მაფიქრებს: იქნებ ტყუილ ცნობებს მაწვდიან? ესეც ხომ უნდა იანგარიშო კაცმა. მტერი ვის არ ჰყოლია! აი, ფაშა ვარ და მეც კი მყავს მტერი... ჩვენთვის, რა დაგიმალოთ, — აქაურობის ბატონ-პატრონი ჰაჯი-აჰმადი კვლავ მაქსიმე აბაშიძეს და სოლომონს მიუბრუნდა, სწევბმა კი თვალი ბუხრისაყენ გააპარეს, სადაც სელიმი იჯდა. — ბევრად გვაედივება, როცა კანონიერ მეფეს ვუქერთ მხარს და არა ტახტის მაძიებელს. ვგონებ საჭირო არ არის განმარტება, რად ზღება ასე. ოღონდ ნურც ის გეგონებათ, — ჰაჯი-აჰმადი ეცებ მოიღუშა, შუბლი შეიკრა, მსხვილმა, ოღნავ წინ გამოხენქილმა ჰბია თვალემა ბზინვას მოუმატეს. — რომ კანონიერი მეფის თვითნებობას ფეხქვეშ ვავეგებით და ჩვენს მისნებს ვა-

ნაცვალბთ. კანონი დიდი ალაპისგან მოდის! გახსოვდეთ, — ფაშამ კიდევ უფრო აღიმაღლა ხმა — მეფე მანამ არც მეფე, კანონიერი, სანამ ჩვენი ერთგულია და ალაპის ნების აღმარულბელი ბედნიერი სულთნის მოწყალეა ასულდგმულბეს. მალ დეფთერდარი ახლა შეგახსენებთ, თქვენო უმაღლესობა, — ათბავმა სოლომონს დაადგა ტყვიასავეით მძიმე მზერა. — რის მოვალეც ბრძანდებთ. ამ ბოლო დროს იმერელი გოგო-ბიჭები ძალიან თვალში გვაკლია. ბაზრები დაცარიელდა. რა სდება? ჩვენს ყმადნაფიც ბაშიაჩუკების ქვეყანაში ნუთუ ხალხი გამოილია? მე მომასხენეს, წრეულს დიდი შიშშილობა ჩამოვარდაო, ხალხი თავის საცხოვრებელს სტოვებს და აქეთ-იქით იფანტებაო. მართალია ეს?

— მართალია, თქვენო აღმატებულბე-ბავ. — ძლივს გასავონად მიუგო სოლომონმა.

— მერე? — ფაშას მსუქანი ტუჩები აუთრთოლდა, თვალბი კი მრისხანებით აევსო. — თავი ამით ვიმართლო? როგორა გგონიათ, ჩვენ, მუსულმანები, ვისაც ზენაარმა დედამიწაზე მოსახლე ყველა ხალხის ბატონობა და წინამძღოლობა მოგვანიჭა, მოვალე ვართ, ყოველ ურჯულო კაცსა და ქალს, ბიქსა და გოგონს ტყე-ტყე ვდიოთ და მათ ხელში ჩასაგდებად ბედნიერი სულთნის წმიდა ტახტი მსახური ჭარისკაცების სიცოცხლე ზეარაკად შევწიროთ? ნურას უკაცრავად! გესმით? ნურას უკაცრავად! კეთილი ინებუთ და თვითონ გაისარჩეთ. ალაპს ჭფიცავ, თავს გაავადბინებ ყველას, ვისაც ამიერიდან იოტი-სოღენა ორგულობას შევამჩნევ. გვეყო, ბევრი ვითმინეთ. ყველამ დაიმახსოვრეთ და გულისფიცარზე დაიწერეთ ეს, შინაურმაც და გარეშემაც, ქრისტიან-მაც და მაჰმადიანმაც. ახლა კი მიბრძანებია: ბაშიაჩუკების ქვეყანაში სამოქალაქო წესრიგის აღსადგენად შედგეს საექსპედიციო კორპუსი, სამი ათასი რჩეული მხედარი, იანიჩართა და ლეკთაგანს, სამი საველე ზარბაზნითურთ.

კორპუსს უსარდლოს ოლთოსის ხანჯაყ-ბეგმა რუსტამმა.

სოლომონს აღმური, მტკიცე სახეების აქამდე მოუთმენლად ელოდა ამ წუთს. ფაშამ აიწია, დარბაზს ქორული მზერა მოავლო. მეფემ თვალი გააყოლა ამ მზერას. დარბაზის შუა სვეტთან, რომელსაც მკუნვარე ფერადონებით მოჭატული ჰერი ვყრდნობოდა, შინდისფერ ჩაქურაში გამოწყობილი საშუალო ტანის შავგვრემანი ჩაფსკენილი ვაჟაკი წამოღდა და თავი მორჩილად დასარა.

— ეს არის! — ჩაესმა შინაგანი ხმა სოლომონს. — დღესდღეობით მტერიც ეს იქნება ჩემი და მოყვარეც. ახლა კი მიფრთხილდით! მოვდივარ და, თუ გული გერჩით, მანდ დამხვდით ყველა!..“
მაჯი-ამჰმადმა დინჯად, ფიქრთანად განაგრძო, თითქოს სასიკვდილო განაჩეს კოხულობსო:

— ლაშქარი მზად იყოს ზევ ამ დროს. მე თავად შევამოწმებ. ბაშიაჩუკების მეფე სოლომონს, რომელიც თავის მხლებლებთან ერთად საექსპედიციო კორპუსს გაავყვება, ბედნიერი სულთნის და პირადად ჩემი სახელით ვუბრძანებ სასტიკად გაუსწორდეს არეულობის ყველა მონაწილეს და იკისროს მთელი პასუხისმგებლობა, რომ სამეფოში, ბოლოსდაბოლოს, სრული წესრიგი და მშვიდობიანობა დამყარდება. ვის რა დარჩა კიდევ სათქმელი? — ფაშამ დივანს მიმართა და უმაღ ისევ მეფეს მოუბრუნდა. — ეპისკოპოს მაქსიმეს, სოლომონ, ჩვენს კარზე ვიტოვებთ. დროებით, რასაკვირველია. მაქსიმე პატრივსაცემი კაცია და ჭეროვანი ყურადღება, მერწმუნეთ, არ მოაკლდება. ვიმედოვნებ, მოხარული იქნებით...

ამის გამგონე სოლომონს თვალბებ ბინდი გადაეკრა, მაგრამ თავს მალევე მოერიდა და ფაშას წინაშე უძრავად მდგომ მაქსიმე აბაშიძეს დამნაშავესავეით შეხვდა. ეპისკოპოსი სახის არც ერთი ნაკეთის შეტოკებითაც კი არ ამეღავენებდა თავის მღელვარებას. თავი ისე ექირა, თითქოს ყოველივე, რაც

ხლებოდა, საცხებით ბუნებრივად მიიჩნა და საქმის სხვაგვარად წარმართვას არც მოელოდა.

„ღმერთო, ეს რა ძნელი სასჯელი მომივიღე! — გაიფიქრა ყველაზე უარესი დასასრულის წარმოდგენით შეძრწუნებულმა მეფემ. — ჩემი უერთგულესი აღმამიანი მეფე უნდა გავწირო, აი, თურმე როგორ უსწორებენ თვალს გარდაუვალ სიკვდილს! ფაშა ვერაგა და დაუნდობელია. კაცის ეშფოტზე აყვანა და ჭიანჭველის გასრესა მაგისტრის ერთია. ეს მაღალფარდოვანი თავაზიანობა შხამგარეულ შარბათს მიაგავს. არ უნდა მიენდო, ჭიქას პირი არ უნდა მიაკარო, თორემ დაიღუპები. რა ვქნა ახლა? რა გზით გამოვიხსნა ეს უბედური?“

მალ დეფთერდარმა ცხვირი დაეთრებში ჩარგო და წინასწარ შედგენილი, უფრო კი ძველი ნუსხებიდან გადმოწერილი პირობის წიგნის მუხლობრივ კითხვას შეუდგა. ამ წიგნის თანახმად, დღეის ამას იქით რომ კვლავ კანონის ძალას იძენდა, ოსმალთა ყმადნაფიც იმერეთის სამეფოს შიმში ხარკი ეკისრებოდა. მეფე მოვალე იყო, წელსწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე — ფაშას მიერ თხმელისციხეში მოვლინებულ ქეჰასათვის უსასყიდლოდ ჩაებარებინა ას ოცი წყვილი ქალ-ვაჟი. ამას გარდა, თვით მეფესა და მის ქვეშევდრომებს, როგორც ოდითგანვე მიღებული ჰქონდათ, ჯანმრთელი, პირუტყვულ შრომისათვის გამოსადეგა აღმამიანებით უნდა მოემარაგებინათ ბაღადისა და ყულევის ტყვეთა ბაზრები, სადაც ყოველი მყიდველი საქონელს ნაღდ ფულზე შეიძენდა...

პირობის წიგნი, რომლისთვისაც მტრის ზაფანგში გაბჟულ სოლომონს თავისი ხელმოწერა უნდა დაერთო, იმასაც წინდახედულად ითვალისწინებდა, რომ, შესაძლოა, ქორეპტრებს ესარგებლათ დადგენილი ფასების სხვადასხვაობით და ალაგობრივ იაფად ნაყიდი საქონელი რომელიმე სხვა ბაზარში უფ-

რო ძვირად გაესაღებინათ. ეს უწყესრიგობა რომ აღკვეთილიყო, მწიკრბუნე წიგნის შემდგენელნი სასურველად მოქმედდნენ, თავიანთი საქონელი ბაშინათუებს პირდაპირ ახალციხეში გადმოეყვანათ და აქ მართლმორწმუნე მყიდველებს შორის ევაკრათ, ფაშა სრულ უშიშროებას პირადებოდა ყველას, თავადი იქნებოდა, აზნაური თუ გლეხი, ვინც კი შესუსტებული აღებმციემობის გამოცოცხლების მიზნით ღაღოს მთებს გადმოლაზავდა...

მყიდველ-გამყიდველთა წოდებრივ განსხვავებას პირობის წიგნი უყურადღებოდ სტოვებდა. ტყვის გაყიდვა ყველას შეეძლო, განურჩევლად სარწმუნოებისა და წოდებრივი მდგომარეობისა, მხოლოდ უიღვის უპირატესობა კი მართოდენ მუსულმანური სარწმუნოების აღმსარებლებს ეძლეოდათ.

პირობის წიგნში შემდეგ ჩამოთვლილი იყო ყველა სხვა გამოსაღების ოდენობა და გადახდის ვადები. საწყაოდ ხან ძარს იყენებდნენ, ხან კოდს, ხან კოკას, ხან ფუტს, ხან ოყას. მოხარკეთ თავიანთი ქვეყნიდან თავისივე ხარჯრით უსასყიდლოდ უნდა გაეზიდათ აურაცხელი აბრეშუმი, სელი, ტილო, მატყლი, სარბე მუდი, თაფლი, სანთელი, ენდრო, გვარჯილა, ტყვია, სპილენძი, რკინეული, ხორბალი, საკლავი ხარძროხა, ცხვირი... გადახდის ვადებს ყოველი წლის დამდეგს საგანგებოდ განიხილავდნენ და, თუ საჭიროება მოითხოვდა, შიგ აუცილებელ შესწორებებსაც შეიტანდნენ.

„გაჩიქება და ხელმოწერაზე უარის თქმა საკეთილოს არაფერს მოიტანს, — ფიქრობდა სოლომონი, როცა პირობის წიგნი ხელმოსაწერად წინ დაუდეს და მალ დეფთერდარმა მელანში ჩაწებული ბატის ფრთა მოაწოდა. — ჯახირი და წვალება, რაც აქამდე გავწიე, წყალში ჩამყარება. ფაშამ მისახვედრად თქვა და

მართალიც არის: ქვეყნის კანონიერ მეფედ იმას გამოაცხადებენ, ვისაც ამათი ერთგულება და მორჩილება ექნება. ტახტის მოცილე თეიმურაზი, ჩემი ბიძაშვილი, აგერ კარს უკან დგას და ფეხებში შემომჩერებია, აბა, სად წავეფორხილებ. ერისთვიშვილები, ჩემი ბატონსანი ბაბუის, დედისა და ბიძების მოციქულები, ალბათ, ამას უცდიან. თუ გავბედდე და წინააღმდეგობის გაწევა ან ყოყმანი ვანვიზრახე, ორივე მეტოქე თავს წამოჰკოფს, ყველა ვალდებ-

ულეობას სიხარულით ეცისრებს და ქვეყნას დაეპატრონება. — თან ქვეყნო და მტერს მოვეხმარო? არა, მოხდეს, რაც გარდაუვალია! — და მან პირობის წიგნის ქვეშ, იმ ადგილას, სადაც ჩილდირისა და ახალციხის ბეგლარბეგ ფანა ქაჯი-აჰმადის თურქული თუ არაბული ხელრთვა იჭდა, სწორი, შევირდული ხელით ქართულად მოაწერა: „მონა მლთისა, ყმა ზონთქრისა, მეფე სოლომონ“.

□ ზაზაშვილია იწინაა □

თვითგაკლავი

რომანი

• • •

სამი დღის წინ მე და გედეონმა მუშაობა დავიწყეთ. სამუშაოზე მოგვაცხოვრა გარაჟის ღამის განმკარგულებელმა, გედეონის შორეულმა ნათესავემა და მოგვარემ არჩილმა. ის ათი წლით გედეონზე უფროსია, მასავით ღამაზია და ბევრი ნაცნობი ჰყავს, რომელთაგან მთავარი... გარაჟის ერთ-ერთი მფლობელის ცოლია.

როდესაც მე და გედეონი, მაღალ, რკინბეტონის შენობაში შევედით, გარაჟის ზედ შესასვლელთან მდგარი შუშაბანდის ჯიხურიდან არჩილი გამოვიდა და სპირალური ესტაკადით ზევით, ჩვენს სამუშაო ადგილას აგვიყვანა.

— გაფრთხილებთ მანქანების გარეცხვა ცივი წყლით მოგიხდებათ. ჩვენ საქვებეს არემონტებენ.

— ეს არაფერია!

— მაგისტანები კი გვინახავს!.. — ეუბასუხეთ შრომითი ენთუზიაზმით ადვსილებმა.

რეზინის ჩექმები და წინსაფრები, თქვენ, რა თქმა უნდა, არა გაქვთ... მაშ, ძველებიდან უნდა ამოარჩიოთ, აგერიქ, კუთხეში რომ ყრია.

არჩილმა ქალაღზე ჩამოწერილი გასარეცხი მანქანების ნომრები მომცა, მითხრა, გასაღებები შიგ მანქანებშია.

და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ქვევით, თავისი ჯიხურისაკენ.

არცერთი რეზინის ჩექმა არ ვარგოდა, და ყველაზე ნაკლებ დაფლეთილი ამოვირჩიეთ. ჩემი ჩექმები სხვადასხვა ფერის აღმოჩნდა, გედეონისა კი — ორივე მარცხენა ფეხისა, რაც საკმაოდ სასაცილო იყო და ამან უფრო კარგ ხასიათზე დაგვაყენა. წინსაფრების შეკეთება კი არ გაგვიჭირდა.

მე, პირველი მანქანა სარეცხ სტენდთან მივიყვანე და ჩვენ ჯაგრისებითა და შლანგებით ვეცით მას.

მერე, ერთმანეთისთვის ხელი რომ არ შეგვეშალა, მე უკვე ორი მანქანა მოვიყვანე და თითოეული თავისას რეცხავდა.

ყინულივით ცივი წყალი უსიამოვნოდ გვიყვალა უნებდა დაგლეჯილ ჩექმებში, ბეჭებამდე გვისველებდა მკლავებს და გაქაფული ცხენებივით ორთქლი გვდიოდა — ძალიან ბევრი მანქანა უნდა გაგვერეცხა.

როცა ჩვენი სამუშაო დრო დამთავრდა და გარაჟის უკაცრიელი სიჩუნე დღის ცვლის მუშების შრომის გუგუნმა შეცვალა, მანქანების ერთი მესამედი ჯერ კიდევ არ აყო გარეცხილი. ჩვენ თითქმის შუაღლის შესვენებამდე მოვიხდა მუშაობა.

მუშაობისას ჩვენ მაინც შევამჩნიეთ

რა თვალწუნებით გვიყურებდნენ გარაჟის მუშები.

შემდეგ საარსებო ავანსი მივიღეთ და გათოშილება წავედით შინ.

შინ მოსული ვერაფრით ვერ გავთბი და როდესაც ჩემმა ვაგზაუნილმა ტოგომ მოიტანა მთელი ერთი კილო იაფფასიანი ძეხვი, პური და ერთი ბოთლი წითელი ღვინო, ღვინო თითქმის სულ მე დაველიე და ამან ცოტა მიშველა.

ჩვენი სამუშაო მესამე დღით მოთავდა და საკმაოდ უსიამოვნოდაც.

მუშაობის დამთავრებას სულ რაღაც ნახევარი საათი გვაკლდა, რომ ორნი შემოვიდნენ, ერთი — ახალგაზრდა და მეორე — ოცდაათიოდე წლისა, კედელს მიეყრდნენ და დაუწყეს ყურება ჩვენს მუშაობას.

ეს უფრო იმიტომ გვადიზიანებდა, რომ სიგარეტის წვესას, ისინი რაღაც ზიზლით ჩვენს მხარეს იფურთხებოდნენ ბოლოს ჩვენ ეს მოგვებურდა.

— ოთარ, ამათი ცემა მოგვიხდება... — ჩვეულ გაღიზიანებულ წრიბინს ახლა უჩვეულო ბოხი ხმა შეურია გედეონმა, რომელიც მომიახლოვდა და შლანგით გამწუწა.

— მეც ასე მგონია.

ჩვენ მდგრად მივუახლოვდით იმ ორს, მაგრამ არცერთმა მათგანმა პოხა არ შეიცვალა.

— რა ამბავია? — ჰკითხა გედეონმა.

— რა... ვანა არ იცით? — თქვა მან რომელიც უფროსი იყო.

— მე ვიცი, რომ მუშა კაცს ფეხებში არ აფურთხებენ! — ვთქვი მე.

— მუშა კაცს არა, მაგრამ შტრეიკბრებერს კი! — გამომწვევად თქვა ახალგაზრდამ.

— შენ ხომ არ გადაირიე?... საქვაბეში რემონტია, ჩვენ კი სამუშაო გვჭირდება... — თვითონაც არ ვიცი რატომ, ახსნა დავუწყე მე.

— ამ ჩამტვრეულ მინებშიც რემონტია?! — იკითხა ახალგაზრდამ და მერე რაღაც ისტერიულად, ფალცეტიით დაიყვირა: — და არც არავითარ საქვაბეში არ არის რემონტი!.. მეპატრონე-

ბი, ჩვენი ჯანმრთელობის ანგარიშზე ნახშირსა და მეცეცხლურის ეკონომიას ეწვეიან!

მომორებით შეგროვდნენ გარაჟის მუშები, რომლებიც აშკარად მზად იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგეების დასახმარებლად.

გედეონი ჩუმად იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცუდად იცოდა ფრანგული.

— ნუ ყვირიხარ, და აგვისხენი, რა მოხდა?... — ვთქვი მე. — და თუ კიდევ დაგვიძახებ შტრეიკბრებერს, ყბებს გვერდზე მოგიქცევი!

— ვის მოუქცევ შენ ყბებს!

— ეს კაცი მართალია! — წამომეჭო-მაგა ის, რომელიც უფროსი იყო. — მაგ სიტყვისთვის მეც ყველას სილას გავაწნავდი!

გედეონმა თვალეხი მომაშტერა და გაოგნებულმა ხელები გაშალა.

— შტრეიკბრებერი?! — წარმოთქვა მან.

უთუოდ მეც სახეზე გაოცება მეწერა, რადგან იმან, რომელიც უფროსი იყო, ახსნა დაგვიწყო:

— ერთი, ორი, სამი მანქანა შეიძლება გარეცხო ცივი წყლით... მაგრამ მთელი ღამე, მთელი ზამთარი, ეს ადამიანის ძალას აღემატება!...

— მეპატრონეებმა კი იციან, ასეთი უმუშევრობის დროს რომ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველა პირობას დათანხმდებიან. — დაურთო ახალგაზრდამ.

— ჩვენ ნამდვილად არაფერი ვიცოდით! — სერიოზულად ვთქვი მე. და მერე სიცილით დავუმატე: „ახლა კი ერთ წუთსაც აღარ ვიმუშაებთ შტრეიკბრებრებად!“

ჩვენს ირგვლივ მყოფთაგან ვილაცამ წამოიძახა: „მართალია, ყოჩაღ!“

— ეს რა თქმა უნდა, ჩვენი სინდისის საქმეა. — თქვა ხნიერმა მექანიკოსმა.

— უსინდისო არჩილია, რომ აქ მოგვიყვანა... — ქართულად თქვა გედეონმა.

— რა თქვა? — მკითხეს მე.

— მე თქვა... ჩვენ აქ მოდი, არჩილი არის! — უკვე ფრანგულად დაიწყო გედღონმა. — სად არის, აქ მოდი თქვით!.. მე იმ სალახანას კბილებს ამოვამტრევე.

უკანასკნელი ფრაზა გედღონმა სრულიად უშეცდომოდ თქვა, რადგან მისი გამოთქმის დიდი პრაქტიკა ჰქონდა.

— ა,ა,ა... მესიო აშილ!.. ის უკვე წავიდა, ეს ხომ დღის ცვლაა. — თქვა ხნიერმა მექანიკოსმა.

— ნუ შეწუხდებით, ჩვენ მოვდივართ!.. — ვუთხარი მე, ამ არსებითად სიმპათიურ ორ ბიქსს. — დეე, ამ გაურეცხავად დარჩენილი მანქანებისა გამოგვიქვითონ...

— წადით და მთლიანად გაასწორეთ ანგარიში... მხარზე ხელი დამარტყა მოხუცმა მექანიკოსმა, — ჩემი ბიჭები გარეცხავენ მანქანებს და თავის ადგილებზე დააყენებენ.

— გმადლობთ.. ნახვამდის...

— ბედნიერად! — გვიბასუხა რამდენიმე ხმამ.

როცა ანგარიში გავასწორეთ და ქუჩაში გამოვედით, კუთხის იქით ჩვენ ის ორი გვიციდდა.

— თურმე კარგი ბიჭები ყოფილხართ!.. წამო, თითო ჭიქა დავლიოთ.

— წავიდეთ.

მათ მერე ჩვენც დაეპატიყეთ ისინი ისე, რომ თითოს ოთხ-ოთხი ჭიქა მაგარი „მარი“ — ნამღვილი ჩვენებური ჭიქა ხედა წილად.

მერე ჩვენ დიდხანს ვართმევდით ერთმანეთს ხელს და ვემშვიდობებოდით.

— შენ იცო... საბოლოოდ ყველაფერი უკეთესისკენ მიდის, — შინ რომ მივდიოდით, გზაში დაიწყო გედღონმა. — მე რომ ის ჭიქა არ დამელია, უსათუოდ ავად ვავხდებოდი.

— ჰო, მეც ძალიან მიშველა, ძვლებიც კი აღარ მტყივა.

— მათ კი ჩვენ ისინი ვეგონეთ... აი, შენ რომ მოგიყევი მოკრივის ამბავი,

ძალაყინით რომ ხელები დაუმტრეცეს.

— შენ თუ შეამჩნიე, რა ვაჭერილი ჯიბეები ჰქონდათ?... აღმათქმნილ ვასალები, ან მილის მონაჭრები ეწყობთ, იმ შემთხვევისათვის, თუ...

— ჰო, შევამჩნიე და სწორედ მაგითომ ასე მალე არ უნდა წასულიყავი დათმობაზე! — მისაყვედურა გედღონმა.

— შენ გგონია, მე ეს შეშით მომივიდა?

— არა, რალა თქმა უნდა, არა!

— მაშ, შენ თვითონ რალას დაეთანხმე?

— მე რა... მე უკვე არჩევანის თავისუფლება აღარა მქონდა!

— არჩევანის თავისუფლება არა? ხა,ხა,ხა!.. არჩევანის თავისუფლება!.. შენ უდიდესი ფილოსოფოსი ყოფილხარ, გედღონ!

— რა იყო, შეიშალე?! ისეთი რა ეთქვი?

— აბსოლუტურად გენიალური რამ.

— მე შევამჩნიე, რომ ბოლო დროს, შენ ყველა სულელი გგონია.

— პირიქით, გუფიცები! შენ მხოლოდ ძალიან ჰკვიანური აზრი დაადასტურე... რომ, როცა ადამიანს არჩევანის თავისუფლება არა აქვს, მაშინ არც ეთიკა გააჩნია, არც ზნეობა და არც თავისი საქციელის პასუხისმგებლობა!

— მოიცა, მოიცა... ეს ვინ გითხრა?

— კი არ მითხრეს, ეს დაწერილი აქვს ჰეგელს, ფილოსოფოსს...

— დაწერილი აქვს, რომ თუ მე არჩევანის თავისუფლება არა მაქვს, პასუხს არ ვაგებ ჩემს საქციელზე?.. მაშ, შემიძლია ხალხი ეძარტრო?

— შეგიძლია.

— და არ დამაპატიმრებენ?

— როგორ არის იცი... მორალურად შენი თავის წინაშე მართალი იქნები. აი, პოლიცია კი, ესე იგი, საზოგადოება, ეცდება რომ დაგაპატიმროს.

— შენ რალაცას ურევ... — მწუხარებით ამოიხენემა გედღონმა. — შენთვის იქნებ მანებელია ბიბლიოთეკა?

ში სიარული, იქნებ გერჩივნოს კაფე-ში ჯდომას...

საჭირო იყო უკეთ განმეორება მისთვის ჰეგელის ეს პოსტულატი, რომელიც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო მიზიდავდა.

— შენ შეიძლება ერთბაშად ეს ვერ გაიგო... — საკმაოდ უტაქტოდ დავიწყე და, რაღა თქმა უნდა, გელეონმა შემაწყვეტინა.

— მე და, ვერ გაიგო? მე, რომელმაც ეს ყველაფერი გამოვიარე და აი სადმდე მივედი! მე სწორედ იმიტომ ვთქვი ყველაფერზე უარი, რომ გავიგე.

— რაზე სთქვი უარი?

— მაგისტანა ამბებზე... აბა, შენ თვითონ ხომ იცი...

ისე გამოდიოდა, რომ ის გამოიქცა იმიტომ, რომ ციხე აეცილებინა თავიდან... და არსებითად, მე მასზე სულელი ვიყავი.

— შენ სამშობლოზეც უარი სთქვი. — ბოროტად ვუთხარა მე.

— სამშობლოს თავი დაანებე! შენი ბინძური აზრებით, ნუ სერი მას — დავიყვარა გელეონმა და მერე სრულიად სხვა ხვით საცოდავად დაუმატა: — სამშობლო ხომ ერთადერთია, რაც ჩვენ დაგვრჩია...

ეს მე უიმისოდაც ვიცოდი, ბრაზი სულ უფრო მახრჩობდა.

— სამშობლო დარჩა... აი, ის ხალხი კი, ვინც მის გარეთ მოექცა, როგორც მე და შენა ვართ — თვითმკვლელები არიან!

გელეონს სახეზე შევამჩნიე, რომ ისიც მოთმინებლად გამოდიოდა.

— ნანობ, რომ გამოიქცევი? — დაცინვით მკითხა მან.

— ჰო, ვნანობ!.. და მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩასახეთქი არაფერი მაქვს! — დავიყვარე მე.

— შენ როგორ გგონია, მე არა ვნანობ?! — წამოიყვარა გელეონმა.

სამამოულებლივ მივედი ჩვენ კუთხემდე, სადაც უნდა დავმჯობნობოლიყავით ერთმანეთს.

— აბა, ჯერჯერობით.

— სალამომდე.

ნელა მივეყვებოდი განიერსა და უსიცოცხლო ბულვარს და ვეფიქრებდი რომეტაზე. რატომღაც მეგონა, რომ დღეს მის წერილს მივიღებდი. უკვე ორი თვეა, რაც არაფერს მწერს, ნეტავი, ხომ არაფერი დავმართა?

მონპარნასის სასაფლაოს შესასვლელის პირდაპირ მარჯვნივ ვიწრო, უღიმლამო ქუჩაზე გავუხევი, სადაც იყო საოცრად ჭუჭყიანი ოტელები, შავი, თხუნელას სორობივით ბნელი, დრომოქმული კაფეები და რამდენიმე დარაბა სადაც „ბუნები“ — ასე ეძახიან დაცინვით აქ ბრეტონელებს, ნახშირითა და შეშით რომ ვაჭრობენ.

შებინდებისთანავე ეს ქუჩა ცოცხლდება — დადიან ჩანთების ქნევით პროსტიტუტკები, სხედან კაფეებში კრელა-კრულად ჩაცმული სუტენიორები და თამაშობენ ბანქოს თავიანთი დედაკაცების მოგებული ფულით.

მონპარნასის სასაფლაო უკვე კაი ხანია ჩაკვდა... სიცოცხლე და „სიყვარული“ კი მის ირგვლივ გრძელდება.

მე უკვე შევეჩვიე ყველაფერ ამას და აღარ მიაოცებს, რომ აქვე, გვერდით ლათინური კვარტალია თავისი სორბონათი, აქვეა მონპარნასის ულტრათანამედროვე კაფეები, რასპაის ფეშენებელური ბულვარი თავისი ნატიფი მაღაზიებით და პარიზის ყველაზე ძვირი ოტელი — ლიუტეცია.

ვინ იცის, იქნებ სწორედ ამაშია მიმზიდველობის ძალა პარიზისა, რომელიც არ შეიძლება არ გიყვარდეს... თვით იმისთანა უმუშევარ უცხოელსაც კი, როგორც მე ვარ.

მე მარცხნივ, ლეხუის პატარა ქუჩაზე გაუხუციე, რომლის ცხრა ნომერში, უკვე რამდენიმე თვეა ეცხოვრობთ მე და ტოგო.

ჩვენი ოტელი, ვიწრო, ოთხსართულიანი შენობაა, რომლის პირველ სართულზე ცხოვრობენ დიასახლისი, მისი რკინიგზელი ქმარი და აპათიური, ავადმყოფურად გაფუხრული თვრამეტიოდე წლის ქალიშვილი, რომელსაც მთელი ყელი დაფარული აქვს ჭირკვლების ნაკრილობებით.

მეორე სართულის ოთხივე ოთახი ჩირაღდება „დროებით“ პროსტიტუტკებზე, და ამ საქმიანობას უფრო ხშირად ქალიშვილი ეწევა, მესამე და მეოთხე სართულებზე კი, წლების განმავლობაში ცხოვრობენ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახები, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ ბინის შოვნა.

მე და ტოგო ოტელში კი არა, ეზოს სიღრმეში მდგარ პატარა პავილიონის ერთ ოთახში ეცხოვრობთ.

პავილიონის მეორე ოთახი ელზასელ ცოლ-ქმარს უკავია.

ქმარი, მაღალი, სახეგრძელი და შავგერემანი, პარსისაგან ლოყებჩაღურჩებული ალბერტი, ალბათ დილაობით საღლაც მუშაობს, რადგან სპექტანსაც-მელში გამოწყობილი უთენია მიდის ხოლმე და შუადღისას ბრუნდება. მისი ცოლი გერტა, მაღალი, ტანადი, ოცდასამიოდე წლის ქერა ქალია... მას გაგიყვებით უყვარს თავის ალბერტი, და ნიადაგ ამაზე გველაპარაკება მე და ტოგოს.

ამ შეყვარებულ წყვილის ცხოვრების მიზანი პატარა კაფეს შექენაა და ამის გამო გრეტა პროსტიტუციას ეწევა. აქვე, ჩვენს ქუჩაზე შოულობს კლიენტებს და შინ მიჰყავს.

გრეტა ახალგაზრდაა, ნამდვილად ლამაზი ქალია და მუშაობა საკმაოდ მარჯვედ მისდის. ტოგოს ანგარიშით, ღღეში თორმეტიდან აბუთმეტ კლი-

ენტს ისტუმრებს, ხოლო შაბათობითა და კვირაობით — უფრო მეტს. ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ მახლობელ კაფეში ზის და სდარაჯობს, რომ მის ცოლს არავინ აწყენინოს.

ჩვენი ოთახის კარი ერთმანეთის მოპირდაპირედ არის ვიწრო კორიდორში და მე და ტოგო ხშირად ვხვდავთ „მუშაობის“ დამთავრების შემდეგ როგორ გადავხვებოდა ხოლმე საწოლზე ქანცგამოღებული გერტა და როგორ ალაგებს იქაურობას, ჰკვის. წმენდავს და გადასადრეულად გამოაქვს ნარეცხი ალბერტს.

მაგრამ ყველაზე შეუსაბამო რამ ჩემი აზრით, კვირაობით ხდება.

მთლიანად შევებში გამოწყობილი, ქებაქუდდახურული და განუყრელი ქოლგით ხელში, მორიდებულად თვალბდახრილი, უზომოდ ბედნიერი და ამაყი მეუღლე ალბერტს ხელმკლავით მიჰყავს ეკლესიაში შუადღის წირვაზე.

მე სრულებით არ შეპარება ეჭვი, რომ მათ ღმერთი სწამთ და რომ ექნებათ თავისი პატარა კაფე.

როცა მე შევედი, ტოგო და კაკუნა ისხდნენ და გუშინდელი ძეხვის ჰამას ამთავრებდნენ.

— მე კაკუნა მივიპატიყე... — დაიწყო თითქოს მობოდიშებით ტოგომ. — მაგრამ შენ შენი წილი სრულად დაავტოვე.

— როგორ არა გრცხვენია, ტოგო?

— ოთარ, დღეს თუ ბედმა გამიღიმა... — კაკუნამ ჩაახველა. — შენ მაშინ საქმელი საფიქრალი აღარ გქნება.

— ჰო, ჰო... აი, ჰამეთ კიდევ, ჩემთვის ეს ზევრია. — მესაამოვნა, რომ თავი ვეთილ მასპინძლად ვიგრძენი, — ტოგო, ფოსტალიონი ჯერ არ მოსულა?

— უკვე იყო. აბა, ჩვენ წავედით. კინოსთან ომარი და სტეკო გველოდებიან.

— მოიცა, ვიდრე შე ეოტას წაეძინებ, წადი და ერთი კილო ბრინჯა

ფიდე, ერთი ბოთლი რძე და ნახევარი კილო შაქარი. წყალს დავუმატებთ და დიდი ქვაბით ბრინჯის ფაფას მოვხარშავთ.

— არა, არ შემიძლია! — შეშინდა ტოგო. — ვაი თუ მე აქ დავრჩე და იმათ სწორედ დღეს იქ ბედმა გაუღიშოს!

— არა, მე, ომარი და სტეპკო მყავს მხედველობაში.

— არა, შენ უნდა დაიძინო. როცა კი დავბრუნდები, მაშინ მოვხარშოთ. დღეს მე რაღაცა წინათგონობა მაქვს...

— მართლა, რა იაფია აქ ბრინჯი... ერთი კილო პური ორი ფრანკი ღირს, კილო ბრინჯი კი, ერთი ფრანკი. პირდაპირ ვერ გამოვიყი... — ალაპარაკდა კაკუნა.

— ამას რა გაგება უნდა — ინდოხინეთი! — ვუთხარი მე.

მაგრამ კაკუნას საფრანგეთის კოლონია კი არ აინტერესებდა, არამედ ბრინჯის ფაფა.

— დღეს რომ არ წავსულიყავით? — მიმართა მან ტოგოს.

— მიანიცდამაინც დღეს რომ გავემართლოს იღბალმა? — ჩიუტად მოუჭრა ტოგომ.

ტოგოს და მის კომპანიას რომელიღაც გაზეთში ამოეკითხათ, რომ პარიზის ქუჩებში ყოველდღიურად იყარგება ასეული ათასი ფრანკის ღირებულების განძეულობა, სხვადასხვა ნივთი, ფული.

ჰოდა, უკვე ორი ვერაა, რაც ტოგო, კაკუნა, სტეპკო და ომარი ქუჩის ორივე მხარეს თავჩაღუნულები, ტროტუარზე დაშტერებულები დიდსა და ხალხმრავალ ბულვარზე წყვილწყვილად მიმავალნი ეძებენ...

ტოგოს ექსპლოატატორული მოღვაწეობის პირადი შედეგები ჩვენ ერთადერთი საწოლის ქვეშ, ფეხსაცმელის ყუთშია. ეს წარმოუდგენელი ხარახურაა, დაწყებული კორსეტების შესაკრავებით და დამთავრებული...

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი იმდენად სხვადასხვანაირია, რომ მისი აღწერა პირდაპირ შეუძლებელია.

— ჩვენ წავედით: მე შემიძლია ვუთხრა ომარსა და სტეპკოს, რომ ამ საღამოს საქმელზე ეპატიებები?

— ჰო, აი, ფული გამომართვი, შინ დაბრუნებისას იყიდი.

აზარტის ნაპერწკლებით თვალღებსავსენი და დიდი ნადირის მოსახელთებლად მიმავალი მონადირეებივით დაძაბულები, ტოგო და კაკუნა გავიდნენ.

ვისაუხმე და დავეჭვი, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიძინე. არ ვიცი, ეს იმ ოთხი ქიქა ჰაჰის ბრალი იყო, თუ იმ ორი საძაგელი დედაკაცისა, რომლებმაც მე და გედეონს წუპაკი უცხოელები გვიწოდეს.

მაშინ მე და გედეონმა ისე დავიპირეთ თავი, თითქოს არც გაგვეგონა, მაგრამ ორივეს გაგვიფუჭდა გუნება...

უპ, ყველაფერი ეს რამდენად საზიზღარია.. და სულელური!

თავდაპირველად კი, თითქოს არც ისე ცუდად მეწყებოდა ქალაქური ცხოვრება.

პარიზში ჩასვლისას, ზოგი ჩვენგანი ფაბრიკებსა და ქარხნებში მოეწყო. ნაწილი კი სხვადასხვა ქალაქში წავიდა.

რენოს საავტომობილო ქარხანაში მე მხოლოდ ერთი თვე ვიმუშავე შავ მუშად, მერე უკვე დიდ პილრაელიკურ წინებს ვუღეჭი და მანქანების ფრთებს ეტვირთავდი.

— ჩვენ სწორედ მაშინ ჩამოვაყალიბეთ არც თუ ისე ცუდი ფეხბურთელთა გუნდი.

მათ შორის, ვინც ჩვენზე ცოტა აღრე იყო ჩასული, რამდენიმე თბილისელი, ბათუმელი და ფოთელი ფეხბურთელი იყო, და აგრეთვე ორი ძველი ემიგრანტის შვილები, რომლებიც უნივერსიტეტის კლუბში თამაშობდნენ.

გუნდი, რომლის კაპიტანდაც მე ამირჩიეს, თუმცა რამდენიმე გამოუც-

დელი მოთამაშითაც დაკომპლექტდა, მაინც ახერხებდა მოგებას მოყვარულთა მეორე ლიგაში.

ჩვენი მოულოდნელად, პოპულარული გავხდით. მთელმა ქართველთა კოლონიამ კვირაობით ჩვენი თამაშის სანახავად დაიწყო სიარული და ძალიან დიდ გულშემატკივრობას იჩენდა.

ეს გვაღებებულედა და ჩვენ სერიოზულად ვვარჯიშობდით, ხან სტადიონზე სენტ კლიუს გარეუბანში, და ხან ბულვარ არაგოს სპორტულ დარბაზში... და კვლავ გულშემატკივრების თანდასწრებით, რომელთა შორის კარგი გოგონებიც იყვნენ.

და აქ, ორჯერ გამიღიმა სპორტულმა იღბალმა.

ნათქვამია, ბედი კაცს, ერთხელ მაინც გაუღიმებს, მაგრამ ყველას არ შეუძლია მისი შენარჩუნებაო. მე, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი არ გამეშვა ხელიდან, მაგრამ გარეშე ძალები ჩაერივნენ და... თუმცა, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული.

პირველი ჩემი იღბალი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ფეხბურთის მატჩით დაიწყო, თუმცა ეს, მას არც ეხებოდა.

ნოემბრის იმ მზიან კვირა დღეს ბურჯეს სტადიონზე ვთამაშობდით საფრანგეთის უნივერსიტეტის სპორტული კლუბის არც თუ ცუდი გუნდის წინააღმდეგ. საკმაოდ ბევრი მაყურებელი მოგროვდა, და, რაღა თქმა უნდა, მთელი ქართველთა კოლონიაც.

სტუდენტებმა, რომლებიც არც ისე „ღედას ბიჭები“ აღმოჩნდნენ, თავიდანვე გიჟური ტემპი შემოგვთავაზეს და პირველი ტაიმის დასასრულს ანგარიშით: ორით ნოლს გვივებდნენ.

გასახდელში, ვიდრე ჩვენ პირველი ტაიმის შეცდომებს ვარჩევდით, კუშტად შეჭვავებულიყვნენ ჩვენი თანამემამულენი და აშკარა საყვედურით

გვიყურებდნენ. ეს ძალიან საწყინი იყო.

მეორე ტაიმი ჩვენს სასარგებლოდ აეწყო. ანგარიში გავასწორეთ. მერე ტოგომ რამდენიმე დამცველი მოატყუა და ბრწყინვალედ გაიტანა მესამე ბურთი.

გამარჯვების ხელიდან გაშვებით შეშინებულმა მოწინააღმდეგეებმა ნერვიულობა დაიწყეს და ამას კიდევ დაემატა ტოგო, რომელიც სულ ერთავად ხელს უშლიდა მათ შეკარგს ბურთის გადმოგდებაში.

როცა შეკარის გადმოგდებული ბურთი, რომელსაც ტოგომ ფეხი დაუდო, კინაღამ არ შეეარდა კარში, შეკარემ ტოგოს გაართვა. და ტოგომაც გართყმით უპასუხა...

საშველად პირველი მე და გედონი გავიქეციით.

ციხფერმაისურიანი პარტნიორები უეცრივ მტრებად იქცნენ... როდესაც გაქანებულმა პირველ მოწინააღმდეგეს გაართვი, იგი, ალბათ ჯერ ვერ მიხვდა ვერაფერს და გაოგნებული დაეცა. სირბილს განუგარძობდი და მიწაზე დავანარცხე მეორე, მესამე და მეოთხე მოთამაშე.

ტრიბუნებიდან ქოლგების ქნევით, ერთსულოვნად გამორბოდნენ საშველად ჩვენი თანამემამულენი — ურთიერთ-მტრულად განწყობილ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლნი. გამოჩნდნენ ფრანგი გულშემატკივრებიც.

თვალის დახამხამებაში სათამაშო მოედანი სოფლის ბაზარს დაემსგავსა, სადაც ჩვეუ-ჩვეუვად მყოფი ხალხი ყვირილითა და ხელების ქნევით ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდა.

ჩხუბი თავისთავად შეწყდა.

თანამემამულეთა ექსკორტი გასახდელისაკენ გავემართეთ.

გასახდელში, თხელ ტიხარს იჭით, უსიტყვოდ იცვამდნენ ფრანგები, როგორც ლოიალურ სპორტსმენებს, მათ ესმოდათ, რომ ჩხუბის დაწყებანი

სინი იყვნენ და არ შეიძლებოდა, რომ რაიმე პრეტენზიები ჰქონოდათ.

ჩვენს შორის კი, სულ უფრო და უფრო ენთუზიუზი გადგინდა. იგი წრებიანი იმუქრებოდა ყველა მოწინააღმდეგის დასახიჩრებას და რამდენჯერმე მეზობელ გასახდელში შეეპარდნა კი სცადა, მაგრამ შეაკავეს.

მე მშვენიერად მესმოდა, რის შედეგი იყო ეს ყველაფერი მაშინ, როცა მან ერთი კაციც კი ვერ დაანარცხა. მე ოთხს ვაუწყებთ ნოკაუტი. მისთვის ეს ძალიან დიდი ტრამვა იყო — ჩვენი ფარული მეტოქეობა რომ გრძელდებოდა.

მე ჩუმად ვიხდიდი, მშვენიერად მესმოდა, რომ „მისმა უდიდესულესობამ“, შემთხვევამ მიშველა, როცა გასახდელში შემოვიდა უცნაურად მკერდგამოშვერილი, ცხვირმიჭყლეტილი საშუალო ტანის კაცი. პალსტუხის ნაცვლად მყვირალა ფერის „პეპელა“ რომ ჰქონდა გაკეთებული.

მას მაშინვე მიუახლოვდა რამდენიმე ჩვენი გულშემატკივარი.

— თქვენმა ფეხბურთელებმა პირველებმა დაიწყეს ჩხუბი, დანარჩენი უკვე... — გაასავსავა ხელები ერთმა მათგანმა.

— ვიცი, ყველაფერი დავინახე. მე არც თქვენი მოწინააღმდეგეთაგანი ვარ და არც პოლიციელი. — და „პეპელიანმა“ კაცმა თავისი სადარბაზო ბართი გაუწოდა.

ღმერთმა დასწყევლოს, რანაირა ხალხი აღარ არის ამქვეყნად. მე წუწუაობა დავიწყე და მას, ინგლისური კუბოკრული პალტო და საოცრად უგემოვნო, ნაირფერი ტუფლები დავუსველე.

— ხუმრობას თავი დანებებ, პაწაწავ! — დამრიგებლურად მითხრა მან.

— აბა, რას მომამტერდი, აი, იქით სხვა შხაპებია.

— სხვა მე არ მაინტერესებს, აბა, ერთი მარცხენა ხელი გამოსწიე!.. ნუ, გრცხვენია... მე ბუკ ჯონესი ვარ, ე-

როპის ყოფილი ჩემპიონი კოჩი და მსუბუქ წონაში.

— მე კი მსოფლიო ჩემპიონი ვარ... ახლავე ტრუსებს ჩავიცვამ და შევერკინოთ.

— შენ იუმორის გრძობაც გქონია... მაშ, მუშტებთან ერთად თავსაც კარგად ამუშავებ. — უკვე მფარველური ტონით მითხრა მან.

— მე შენ ჩემს თავლაში¹ ვაგიყვან. ნეტავი რა ჰქონდა მინდა მე ეს!

— თქვენ ისე მეუბნებით, თითქოს სულ იმის მოლოდინში ვიყო, რომ გულში ჩაგვსუტოთ. გთხოვთ, თავი დამანებოთ!

— რაო, იქნებ არ გინდა გახდე ჩემპიონი და გამდიდრდე?!

— არა... უმადისოდაც ძალიან კარგადა ვარ.

— შენი მონაცემებით, ჩემო პაწაწავ, ჩვენ მთელ მსოფლიოს მოვივლით და ფულებს ორივე ხელით მოვხვეტავთ!.. შენ გესმის, რას გეუბნები?!

ფული!... ბევრი ფული... როზეტა, რომელიც მელიან... ყველაფერი ეს თითქოს ზღაპარში იყო... მშვენიერი, აღამიანებისათვის შეთხზული ზღაპარი და რომელიც ზოგჯერ უცხადდებოდა მათ, ვისაც ამ ზღაპრისა სჯერა.

მე დავთანხმდი და ბრანშორეული სიჯიუტით ვარჯიშს შეეუდებო.

ექვსი თვის შემდეგ ჩვენს „თავლაში“ არც თუ ისე შეუმჩნეველი „ბედღური“ ვიყავი, ნოკაუტით მოგუგე რამდენიმე ნახევრად მძიმე წონის მოკრივეს, რომლებიც ბუკ ჯონესმა დამიპირისპირა.

— მთავარი ის არის, რომ შენ სპორტული ბრაზი გაქვს, და იმავე დროს გულშემიდი ხარ!.. — ბუკ ჯონესმა მუშტით მოისრისა მიჭყლეტილი ცხვირი, კიდევ რამდენიმე ასეთი გამარჯვება, ახლა უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და...

იმის მიხედვით, როგორ მელოლიავებოდა ბუკ ჯონესი, ძნელი მისახვედ-

¹ თავლა ამ შემთხვევაში ივლისსხმება მოგვიანებით სკოლა.

რო არ იყო, რომ ჩემით კი ფულის გაკეთებას აპირებდა.

მეორე, უფრო კონკრეტული სპორტული იღბალი, ჩემი, ტოგოსი და გედეონის რუს ფეხბურთელთა გუნდში მიწვევა იყო. ეს გუნდი, თუმცა საფრანგეთის პირველობაზე არ იღებდა მონაწილეობას, რადგან მთლიანად უცხოელებისაგან შედგებოდა და წესდების მიხედვით კი მათი რაოდენობა სამის მეტი არ უნდა ყოფილიყო, ამხანაგურ შეჯიბრებებში. საუკეთესო პროფესიულ გუნდს უგებდა. ამ გუნდში ბევრი იყო რუსეთის ცნობილი მოთამაშე.

ისე მოხდა, რომ მე ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, ტოგო და გედეონი კი — დუბლებში... და ჩემი გვარი ხშირად ჩნდებოდა გაზეთებში, ძირითადად ემიგრანტთა გაზეთებში, როგორც იყო „ასლედნიე ნოვოსტი“ და „ვოზროკედნიე“.

სხვადასხვა ეპითეტთა შორის, რომლითაც სპორტული კორესპონდენტები მაჯილდოვებდნენ, ძალიან ხშირად მეორდებოდა „ახალგაზრდული ტემპერამენტი“... გუნდი უიმედოდ ხანდაზმული იყო, მისი ყველა მოთამაშე ოცდაათი წლის ასაკს გადაცილებოდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სამნი რომ არ ვყოფილიყავით, ქართველების გუნდს საკმე ცუდად წაუვიდოდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს გაზეთში გაჩნდა კარიკატურა — კარში მდგარ რუსეთის მეფეს მე, ტოგო და გედეონი ბურთებს ვურტყამდით. კარიკატურას მიწერილი ჰქონდა საკმაოდ გესლიანი ლექსი.

სამივეს პირველად ეს საკმაოდ სასაცილო მოგვეჩვენა, მაგრამ მერე გედეონმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ის უფრო ბალერინას წაგავდა, ვიდრე ფეხბურთელს. ტოგომ იმას, რომ ძალიან მრუდე ფეხები ჰქონდა, მე კი — ჩემს პიპერტროფირებულ ცხვირს.

ჩვენ ძალიან გავბრაზდით კარიკატურის დამხატველზე, მაღალ, წითლ-
6. „მნათობა“, № 6

რა სილოვანზე, რომელსაც ხატვისა და პოეზიის ნიქის გარდა, მწვევე ნევრასტენია ჰქონდა... და ერთ-ერთი მწვევე ბეგვეთ.

მას გამოექომაგენ, უკვე წმინდა პატრიოტული გრძობების გამო და ნაცემი ხალხის რაოდენობა აღმატებოდა განაწყენებული ხალხის რაოდენობას.

მერე, მწვევე „აკადემიური დისკუსიების“ შემდეგ იმ პირებთან, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებაში, რუსების გუნდიდან წამოვდით.

მერე, ეს წყეული ტოტალური უმუშევრობა! ბევრი უსახლკაროდ ღარჩენილი ღამეს ათევდა ან უკეთესი ბედის მქონე ამხანაგთან, ანდა, მშვირი და იმედდაკარგული ღამეს სადგურებში და პარკებში ათენებდა. მერე კი შეციებული, მეტროს სასულეებზე თბებოდა...

კრივის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ბუკ ჯონსმა მითხრა, რაღაც ძალიან მალე იღლებო... და ნაცვლად იმისა, რომ მეთქვა უკვე რამდენიმე ღამეს მონპარნასის სადგურის დარბაზში ვატარებ და უკანასკნელი დღეების განმავლობაში პირში ლუქმა არ ჩამიდევამეთქი, მე ჩავიცვი და წავედი.

მერე ჩვენ ვიღონეთ რაღაც, რომ შიმშილით არ ამოვმწყყდარიყავით... და აი, ეს უკანასკნელი წერილები, რომლებშიც როზეტამ ისეთი სასიამოვნო სასიყვარულო სისულელები შეცვალა საყვედურებით, რომ მე მას თითქოს ვივიწყებ, ალბათ სხვა ქალით გატაცებული, რადგან არ ვასრულებ მიცემულ სიტყვას.

არა, სჯობს დავიბინო... თორემ წამოვებტები და თავს კედელს ვახლი. ანდა, გარეთ გავალ და მოვკლავ რომელიმე ჩაღაღაქებულ, კმაყოფილებით სავსე ბურკუას.

ნელ-ნელა მივყვებოდი „გეტის“ ქუჩას, კაფე „სამი მუსკეტერისაიენ“.

ზოგჯერ ვახერხებდი მონპარნასის სადგურის საბარგო განყოფილების დამის ცვლაში მემუშავა, მაგრამ დღეს ბედმა არ გამიმართლა.

დახლოებით საღამოს რვა საათი იქნებოდა, გაკაშკაშებული ქუჩა ხალხით იყო სავსე. მართლაცდა, უკეთეს სახელს, ვერ მოუძებნიდი ამ ვიწრო, სულ რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის ქუჩას: „გეტე“ — ბედნიერება! აქ იყო ყველაფერი ჭერამდე გამოტენილი სხვადასხვა სანოვაგით, მაღაზიები, კაფეები, რესტორნები წვრილი ბურჟუაზიისათვის და ვაჭრებისათვის, რომელთაც უყვართ ტრიუფლები და ლოკოკინები, პარიზში ყველაზე იაფფასიანი „პრი ფიქსი“, სადაც ღარიბ სტუდენტებს, მიდინეტებს, ნოქრებს, ტირაქიდან გამოსულ პროსტიტუტებს და ემიგრანტებს შეეძლოთ ესაღილათ და დაეყოლებინათ ერთი ჭიქა წყალნარევი ღვინო, სულ რაღაცა ხუთ ფრანკად. ამ რესტორნის მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ პური შეიძლებოდა იმდენი გუჭამა რამდენიც გინდოდა.

შხა ტანსაცმლის, სავალანტერიო, თავსამკაულების, ფეხსაცმლის, ბეწვეულისა და საიუველირო მალაზიები ერთმანეთზე იყო მიკრული და ყველაფერ ამას პატარა თეატრი ვარიეტე აგვირგვინებდა.

ამ ქუჩის არცერთი კვადრატული სანტიმეტრი ვაჭრობისათვის არ იყო დაკარგული. ორი მაღაზიის შუა ვიწრო საღარბოებშიც კი მეწვერილმანები ვაჭრობდნენ, რომლებიც ახერხებდნენ კონკურენციის გაწევას, როგორც მაღაზიებთან, ისე ერთმანეთისათვისაც.

ერთ-ერთ ასეთ საღარბოებში ქალისა და კაცის წინდებით ვაჭრობდა ჩვენი სტამბოლელი თანამგზავრი სარა.

ახლა იგი ბევრად უკეთ არის ჩაცმული და საკმაო ეფექტს ახდენს. დილის საათებში, ზოგჯერ დედას სცუ-

ლის ევა, რომელიც უკმდეგოდ მზითუნახავს დაემსგავსა და ჩვენთანავე იეტორღილოს, არონიც იქვე ტრიალებს.

მე მათ ბევრჯერ გამოველაპარაკე. ახლა უკვე — თურქულად კი არა, ფრანგულად. როგორც მითხრეს, სავაჭროს გახსნაში ებრაელთა საზოგადოება დახმარებია.

როცა გვერდით ჩავუარე, სარადიდი მონდომებით იქიმავედა ფუნთუშა ხელზე წინდას და მერე ვილაცა შეთითხნილ გომბიოს ცხვირწინ უტრიალებდა.

საფუნთუშე გავიარე და შევეზხვიე მარცხნივ, სადაც კუთხის იქით „ჩვენი“ კაფე იყო.

ვეება, მთელი მარცხენა კედლის სიგრძეზე გაჭიმული იყო ბარი, მის პირდაპირ უამრავი პატარა მრგვალი მაგიდა იდგა, მარჯვნივ, განმარტოების მაძებარი წყვილებისათვის გადაღობილი განყოფილება იყო, ვიტრაჟიანი, რომელზეც ეხატა მეფის მუსეეტერთა ცხოვრების სცენები, მთლად სიღრმეში კი ჭერიდან დაბლა ჩამოშვებული ლამპები, რომლებიც ანათებდა თხუთმეტობედ საბილიარდო მაგიდას.

ჩვენი „ქართული განყოფილება“, რომლის მარცხენა ნაწილი უკავია სპირტარემოს და მის გარეთა კედელზე მიდგმულ ორ სატელეფონო ჭიხურს, ვიწროდ არის გაჭიმული კაფესა და საბილიარდოს შუა, და ერთგვარად ასრულეებს ამორტიზატორის მოვალეობას ბილიარდის თამაშის ხმაურისაგან. აქ თითქმის არაფერ არ შემოდის და, ალბათ ამიტომ გვეძლევა უფლება მხოლოდ ერთი ჭიქა ყავის დაკვეთით დილიდან საღამომდე აქ ვისხედეთ.

როცა შევედი, პარალელურად დადგმული რვა ოთხკუთხედი მაგიდიდან, ექვსი უკვე ჩემს თანამემამულეებს ეკავათ, რომლებიც ბანქოს თამაშობდნენ, გაზეთებს კითხულობდნენ, ანდა მასლაათობდნენ.

ერთ მაგიდასთან ტოგო, კაკუნა,

ომარი და სტეპკო გამადიდებელი შუ-
შით რიგრიგობით რალაცას დიდი ყუ-
რადლებით ათვალეგრებდნენ.

— რა არი, ოქროა თუ პლატინა? —
ვკითხე მათ.

— სპილენძია... — მიპასუხა კაკუნამ.
მართოდ მჯდარი სტეფანე დაეინახე
და მიეუჭკეი.

— სად დაიკარგე, ბიჭო, პა, როგორა
ხარ, შე ძველო? — ვკითხე მას.

— ვარ, რა!... შენა?

— ვცდილობ შიმშილისაგან ფეხები
არ გავეჭიმო...

— ჰო... — სტეფანე საკმაოდ დიდ-
ხანს რალაცას ფიქრობდა, თან სადღაც
იქით იყურებოდა. — შემოძლია ერთ
ფინჯან ყავაზე დაგვატიყო.

— გმადლობთ, არ არის საჭირო...
მე ფული მაქვს. ძალიან დიდხანს კი
იფიქრე, ვიდრე დამბატიყებდი... —
გამეცინა მე.

სტეფანემ არაფერი მიპასუხა, მაგ-
რამ ვიგრძენი, რომ ეწყინა.

უკანასკნელ ხანს მე ყველაფერი
ძალიან ადვილად მწყინდა და ალბათ
ამიტომ სხვებსაც იოლად ვაწყენი-
ნებდი ხოლმე.

— გაგეხუმრე, ბიჭო!.. — ვუთხარი,
მაგრამ გვიანი იყო.

— მე მაინც მეგონა... — გაჭირვე-
ბით დაიწყო სტეფანემ, — რომ შენ
ყოველ შემთხვევაში, რალაცანიარად...

— რალაცანიარად რა?

— რომ შენ სხვებისაგან განსხვავე-
ბით, რალაცა ინიციატივას გამოი-
ჩენდი. ინიციატივას დიდი ქეჯა არ
უნდა, საჭიროა მხოლოდ იცოდე, რო-
გორ მონახო ოპტიმალური გამოსავალი
ამ სიტუაციიდან.

სტეფანე აშკარად იკბინებოდა და
ახლა ყველაფერი თავის თავს დააბრა-
ლოს!

— ეგ შენი დიატრიბა საკმაოდ სუ-
ლელურია და მოსაწყენია მისი მოს-
მენა... თუმცა მე აქ დროის მოსაყლა-
ვად მოვედი. — ვთქვი მე.

— შენ ხომ არ იცი, მე რის თქმას ვა-
პირებ?

— სამწუხაროდ, ვიცი. შენ იტყვი,
რომ ინიციატივის წყალობით სიტუაციიდან
საშუალო ადამიანები მილიონერები
გახდნენ, აი, ისინი კი, რომლებიც მათ-
ზე ბევრად ჰკვიანები არიან, მაგრამ არ
გააჩნიათ ინიციატივა, ღარიბები არიან.
ეგ ჩემო კარგო, ზღაპარია შეგიძლები-
სათვის და მიდინეტებისთვის!.. მე შენ
მაინც ცოტა უფრო ჰკვიანი მეგონე!..

— ზღაპრებისა არც მე მჯერა, მაგრამ
შემიძლია მოგიყვანო ასეული მაგალი-
თი ყოველდღიური ცხოვრებიდან.. ჩე-
მი ნაცნობებისა...

— რად ვინდა ნაცნობები, საკუთარი
თავი შეგიძლია მოიყვანო მაგალითად.

— მე აქ რა შუაში ვარ?

— როგორ თუ რა შუაში?! შენ ხომ
გამოიჩინე ინიციატივა, იპოვე ოპტიმა-
ლური გამოსავალი და აქ აღარ დადიო-
დი!

— ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა!

— შენ გადაწყვიტე, რომ, როცა თვი-
თონ მაძლარი ხარ, სისულელეა მშვი-
რების გაღიზიანება... თანაც, თუ კი
ისინი ვთხოვენ, „ასესხო“ ერთი ფრან-
კი პურის ფული!

— პირველ ხანებში მე ვაძლევდი,
მაგრამ მერე... მე თვითონ არ მყოფნი-
და საარსებოდ! — მოულოდნელად და-
იწყო თავისმართლება სტეფანემ.

— შენ მართალი ხარ, რა თქმა უნდა,
ჯერ საკუთარ თავზე უნდა იფიქრო.

— მაგ ირონიას თავი დაანებე... —
ვედრებით თქვა სტეფანემ. — რომ
იცოდე, რა კაპიკებისთვის ვწერ ხელით
ათასობით მოსაწყვევ ბარათს. ახლა კი-
დეე ხაზუნმა ფასი დააკლო და დღეში
თოთხმეტი საათი მიხდება მუშაობა.

— შენ ხომ მწერალი ხარ, და მწერ-
ლის შრომა კი დანორმილი არ არის, ის
შთავგონებაზე დამოკიდებული!..

მე გადავაპარბე. წყენამ სტეფანეს
ქუთუთოები აუკანკალა და თვალბში
ცრემლი მოჰგვარა.

საჭირო იყო, ვიდრე ის გონს მოვი-
დოდა, როგორღაც გამოემსწორებინა
ჩემი ბოროტი დაცინვა.

— მაშ, აბა, რა? — გამომწვევად დავიწყე მე. გადავწყვიტე ცეცხლი ცეცხლითვე ჩამეჭრო. — დამიწყე შენ აქ ფილოსოფია „მე თვითონ არ მყოფნიდა საარსებოდ...“ შენ იცი, რას ნიშნავს რამდენიმე დღე რომ პირში ლუკმა არ ჩავსვლია?! აი, მე და გედეონმა ცოტაოდენი ვიშოვეთ და არ დავგიწყია ფიქრი იმაზე, ჩვენ გვეყოფოდა თუ არა.

— ტოგო შენი ამხანაგია, ვოგი კი გედეონისა. ეს სრულიად ნორმალურია.

— მარტო იმათ კი არა. მე მივეცი ომარს, თუმცა კაცად არ ვაგდებ, კაკუნას, რომელიც მიყვარს... და აი, ის, იქ რომ ზის, ჰკითხე დათიკოს, ვეხმარებით მას თუ არა, იმ დღიდანვე, რაც პარიზში ჩამოვედით, დათიკო ხომ მამინაც არ მუშაობდა!...

— აბა, რატომ არის, რომ არასოდეს არ მუშაობს?

— ეგ ხომ ქლეჭიანია. იმ დღეს ისეთი ზეგლა აუტყდა, რომ მთელი ცხვირსახოცი სისხლით დასეარა.

— რაღაც არა ჰგავს ავადმყოფს...

— ლოყების სიწითლე, ეგ ტუბერკულოზური სიწითლეა შე ურწმუნო თომავე.

ორივემ დათიკოს შევხედეთ. იგი ჩვენს გასწვრივ მაგიდასთან იჯდა და ბიჭებს რაღაცას უყვებოდა.

სახის სწორნაკეთებიანი, ხუჭუჭუა, წაბლისფერთმიანი, სუფთა და კარგად გაუთოვებულ კოსტუმში გამოწყობილი, იგი უფრო წაგავდა რაღაცით მოვაჭრეს, ვიდრე უმუშევარ ავადმყოფს.

— ალბათ ახლა ის იქ ყურებს უქედავს ბიჭებს თავისი სამხედრო გმირობის ამბებით, რაც არ უნდა იყოს, ყოფილი იუნკერია... — სიძულვილით თქვა სტეფანემ.

— რას გადაეკიდე იმ საცოდავს, თავი დაანებე, იმას თავისი უბედურებაც ეყოფა!...

შემოვიდა და მაგიდებს შორის გასასვლელში, რაღაცა უცნაური პოზით გაშვდა გაუპარსავი, გამხდარი და სა-

შინლად დაქანცული, ორმოცდახუთიოდე წლის კაცი. მას ჭუჭყიანი და დაფლეთილი ლაბადის ჩიბუებიდან ქალაქის ნახევები მოუჩანდა, ხელში კი დიდი, დაფლეთილი საქალაღდე ეჭირა.

— ეს ვინ არის? — იკითხა წყენა-გადავლილმა სტეფანემ.

— ნუთუ არ იცი?... ეს ჩვენი განთქმული გრამიტონია.

— მაშ, ეს არის პერპეტუუმ-მობილეს გამომგონებელი...

— აბა, მაშ რა!.. ემიგრანტების ყოველ საზოგადოებას ჰყავს თავისი პერპეტუუმ-მობილეს გამომგონებელი. ქართველები ვისზე ნაკლებნი არიან?!

გრამიტონი ტოგოს მაგიდასთან მიიხმეს, იგი მოუხერხებლად ჩამოჯდა. მერე სწრაფად გახსნა საქალაღდე და თავისი მუღმივი ძრავის ნახაზების ჩვენებას შეუდგა.

— ბიჭები ამას აბამპულეებენ, არა? — იკითხა სტეფანემ.

— პირველ ხანებში მეც ასე მეგონა, მაგრამ აი, ტოგო რამდენიმე ღამის განმავლობაში რაღაცას ხაზავდა და მერე თავისი გამოგონება მიჩვენა.

— პერპეტუუმ-მობილე? — გაეცინა სტეფანეს.

— მერე რა, განა გამოგონება ინიციაციის გამოვლინება არ არის?

— კარგი რა, მოვრჩეთ ერთმანეთის წყენას. რა გამოგონება აქვს ტოგოს?

— გენიალური... გემი, რომელსაც ცხვირიდან კიჩომდე გასდევს რამდენიმე მეტრი სიგანის მილი. წყალი, ამ მილში გაელისას ატრიალებს წისკვილის ბორბლებს, მერე კი ყველა ბორბალი ერთად ატრიალებს გემის ხრახნს.

— ხა, ხა, ხა... ტყუიხარ!

— დედა არ მომიკედეს, რამდენიმე საათი ვიწვალე, რომ დამემტკიცებინა მისი მუღმივი ძრავის მთელი უაზრობა, მაგრამ არ დამიჯერა.

— და ვერ დაუმტკიცე?

— ბოლოს და ბოლოს დაუმტკიცე. ტოგო იატაკზე დაესხა, ვაიძულე თავის თმაში ხელი ჩაეელო და ვუბრძანე, რომ

ასეთი წესით თავი მალა აეწია... მან რამდენჯერმე სცადა, და ბოლოს მიხვდა. გაუქირდა საცოდავს უარი ეთქვა იმ მილიონებზე, რომლებიც მისთვის ამ გამოგონებას უნდა მოეტანა.

— არ ვიცოდი. თუ ასეთი ტალანტის პატრონი იყო. — ირონიულად გაიღიმა სტეფანემ.

— შენ არასოდეს არაფერი არ გამოგიგონია?

— მე, ჰო... ოღონდ ბავშვობაში.

— ეგ შენი „ინიციატივა“ ტოვოს გამოგონებაზე უფრო ჰკვიანური არაფრით არ არის!

— შენ ვინდა საბოლოოდ მომსპო?... — თითქოს პატიების თხოვნით გაიღიმა სტეფანემ.

გედეონი და გოგი მოვიდნენ და ჩვენს მაგიდას მოუსხდნენ.

გედეონი ვრცლად და ხატოვნად გვიამბობდა ერთხელ „მცხეთობაზე“ როგორ გაცოფდა კამეჩი, როგორ დაასახინრა ხალხი და ცხენები, მერე როგორ გადაეშვა მაღალი კლდიდან, როგორ წაიღო კამეჩი მტკერის მძლავრმა დინებაში.

კაფეში შემოდინდნენ ჩვენი ბიჭები, რომლებსაც არა ჰქონდათ რაიმეს დაკვეთის საშუალება და ხან ერთსა და ხან მეორე მაგიდასთან აყუდებოდნენ, მერე კვლავ გადიოდნენ ქუჩის ნესტიან სიბნელეში, თავისი და მხოლოდ თავისი ობოლი სევდით მოცულნი.

— სად არიან ფაშა და ყორა, უკვე რამდენი დღეა არ გამოჩენილან? — მკითხა გედეონმა.

— არ ვიცი.

— ზაქრო!.. — მოუხმო გედეონმა ახალშემოსულ მაღალ, კოხტა ბიჭს. — შენ ხომ არ იცი, სად არიან ფაშა და ყორა?

— არა, არ ვიცი, — რაღაც ვახარებულმა უპასუხა ზაქრომ.

— არ გინდა ჩემი ახალი ლექსები წაგიკითხო?

— მოიტა, — უხალისოდ თქვა გედეონმა.

— კელნერი რომ მოვიდეს? — გაიხედ-გამოიხედა ზაქრომ.

— რაო, ლექსებს უსასწილლოდ არ კითხულობ? — ჰკითხა გოგომ, რომელსაც ლექსები არ უყვარდა.

ზაქრო სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ჯიბიდან მოწაფის რვეული ამოიღო და ნელა დაუწყო გადაფურცვლა... აშკარად იგრძნობოდა, რომ ელოდებოდა სხვა მაგიდებიდან ხალხის მოსვლას.

ორი მინუტ მოვიდა, ესენი იყვნენ აბულა და ბობონდო.

დაბალმა, მსუქანმა და ქერა აბულამ გაცნობისთანავე ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამაოცა მისმა ცისფერი თვალების ჰკვიანურმა და გულშიჩამწვდომმა შემოხედვამ, სიღინჯემ, სუფთა და დახვეწილმა მეტყველებამ და იმ კეთილმოსურნეობამ, რომელიც მხოლოდ ძალიან კარგ ადამიანებს აქვთ-ხოლომე.

რა სავალალოა, რომ ასეთი გამოჩენილი პიროვნება აქ, ასე უწყალოდ იყარგება — მაშინვე გაეფიქრე მე... და მხოლოდ მერეღა შევიცანი, რა სწორუპოვარი პათოლოგიური ტუტუცი იყო.

აბულა ხელმრუდე და ძუნწი იყო და, რასაკვირველია, ძალიან კმაყოფილი თავისი თავით.

ადამიანის შეფასებისას ამ შეცდომამ კაი ხნით წამართვა რწმენა საკუთარი აზროვნების უნარის მიმართ, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემსავით ბევრი შემცდარა და ამან ცოტა დამამშვიდა.

მეორეს, რომელიც ჩვენ მოგვიჯდა, ბობონდო კი არა, ბონდო ერქვა. მას ენა ებმოდდა და თავისი სახელი, ალბათ ბორძიკით უთხრა ფრანგ მოხელეს, როცა ის პასპორტს აძლევდა, რადგან მას ბონდოს ნაცვლად ბობონდო ჩაეწერა.

ბონდოს გარდა, ეს ყველას მოგვეწონა და მის მერე მას ბობონდო შევარქვით.

ბოლოს თვითონაც შეეჩვია თავის ამ

სახელს... ისევე, როგორც ჩვენ შევეჩვიეთ მის გაუთავებელ მათხოვრობიას, როცა კი სულ უმნიშვნელო რაზე მოეწონებოდა ხოლმე, როგორც მაგალითად, იაფფასიანი ჯიბის დანა, სავარცხელი, ან თუნდაც კბილის საჩიჩქნი. მას შეეძლო კვირეების განმავლობაში ლაქუციტა და მლიქვნელობით იმდენი ეზვეწნა და ისე მოებზრებინა თავი, რომ ბოლოს მაინც იღებდა ნანატრს.

— დაიწყო კითხვა? — იკითხა ზაქრომ.

— ჯერ არა. მერე, როცა ნაკლები ხალხი იქნება, — თქვა ვოვამ.

ჩვენ ყველა ვლუმდით.

— ლექსები სწორედ მაშინ უნდა იკითხო, როცა ბევრი ხალხია! — განაწყენებულმა ზაქრომ რვეული დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

— აბა, ხალხი სად არის? — იკითხა გედეონმა.

ზაქრომ ადგილს და სხვა მაგიდისაკენ წავიდა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, ცუდ ლექსებს არა წერს... — უფრო თავის განამართლებლად ეთქვი მე.

— კარგი ლექსები აქვს... — დამიდასტურა სტეფანემ, — ოღონდ ცოტა პრიმიტიულია.

— ადამიანები ცირკის ცხენებს ჰგებნან... — ძალიან ჰკვიანური გამომეტყველებით დაიწყო აბულამ, — ორკესტრი უკრავს, ცხენები კი ცეკვავენ!

— მერე მაგას რა აქვს საერთო ზაქროს ლექსებთან? — ჰკითხა სტეფანემ.

— ლექსებთან არაფერია... მაგრამ თავისთავად ზომ შესანიშნავია, არა... ო, მუსიკა უკრავს, ცხენები კი ცეკვავენ! — ღირსებით უპასუხა აბულამ.

ჩვენ ერთხანობა ვლუმდით, ვცდილობდით გაგვეგო ნათქვამის არსი, აბულა კი ხან ერთსა და ხან მეორეს ამტერდებოდა თავის ჰკვიანური მზერით და ცდილობდა ჩვენს სახეებზე აღფრთოვანება ამოეკითხა.

— შე ღუნღუკო, შენა!.. — ვერ მო-

ვითმინე მე. — ცხენები კი ცეკვავენ, მაგრამ არა მუსიკის წყაროებით!... ეს კაპელმასტერი უთანხმებნ მუსიკის მათს მოძრაობას!

— მე...ე...ე...ეგ ა...ა...ა... არ — დაიწყო ბობონდომ.

— ეგ არ ვიცოდი! — დაასრულა მის ნაცვლად გედეონმა და მერე გულწრფელად დაუმატა, — მეც არ ვიცოდი.

— ნეტავ, საიდან მოქექე ეს ყველაფერი? — ღიმილით ჰკითხა აბულას სტეფანემ.

ამან მხოლოდ წააქეხა აბულა, რომელმაც ირონია ვერ გაიგო.

— რა, განა ეს ბრწყინვალე არ არის!.. — შთავონებით დაიწყო მან. — ყველა შენი მემარცხენე მოწინააღმდეგე ჯერ მაგრა უნდა მიბეთქო, მერე ძალით ერთი სავეს ბოთლი სასაქმებელი ზეთი დაალეწინო...

— ახლა ყველაფერი გასაგებია, — ეთქვი მე, — თქვენი ლიდერი ახლახანს დაბრუნდა იტალიიდან... და ეს ყველაფერი იმან გაიმბოთ!..

— ჰო. პირადი სტუმარი იყო კონტე ჩიანოსი, მუსოლინის სიძისა! — ამყვად წარმოთქვა აბულამ.

— სა... სა... საქმებელი ზე...ზე... ზეთი საე...საე...ეებია! — ბობონდო მიხვდა, რომ ვერ დაასრულებდა და გადავიდა სიმღერაზე, რომლის დროსაც არ ბორძიკობდა. — სასაქმებელი ზეთი საეეებია, ფალაბოს რომ არ იწვევდეს...

წაიმღერა მან ეს წერილი, ბავშვური სმით, რამდენიც არ ვეცადეთ თავი შეგვეკავებინა, მაინც ავხარსარდით.

არ იცინოდა მხოლოდ აბულა, მთლიანად მოცული მათი ლიდერის მიერ პირინეის ნახევარკუნძულიდან ჩამოტანილი იღებების სიდიდით.

აბულამ ღრმავაროვანი მზერა მიაპყრო საპირფარეშოს კარს, რომელიც თითქმის გვერდით იყო და დაიწყო:

— საქართველოს ტანტზე კი, ჩვენ ვაჭურთხებთ...

— გეყოფა! — ძალიან მშვიდად ეუთხარო მე და თან ვგრძნობდი, მახიდებდა. — აბა, ერთი ცეკვა-ცეკვით მოუსვი აქედან!

— სწრაფად! ისეთ მუსიკას ვაგი-მართავ, რომ... — დაუმატა გედეონმა.

ბბულა ადგა და წაეიდა, ვითარცა წმინდანი, ნაწამებზე, ბარბაოსთაგან.

საერთოდ, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როცა შეხედულებათა შეუთანხმებლობის გამო ვჩხუბობდით. ზოგი ამას პოლიტიკურ დავას უწოდებდა, მაგრამ მე და გედეონს საერთოდ არავითარი პოლიტიკა არ გვაინტერესებდა. ხალხი გვემატებოდა.

მოვიდა ენამახვილი ინტელიგენტი და ნიადავ უმუშევარი კოტიკო, მეტსახელად „მიყვარს სილამაზე“.

ძალიან გამხდარს, ოდნავ მოკუ-ზულს, ვეება, არწივისებრი ცხვირი ჰქონდა, რომელიც უფარავდა დანარჩენს, საქმოდ მიმზიდველი სახის ნაკეთებს. სარკვეში რომ იხედებოდა, იგი ყოველთვის ამბობდა: „მიყვარს სილამაზე!...“ და ამ, თავისივე ენამახვილობის გამო ეს მეტსახელად შერჩა.

კოტიკო ჩვენ არ მოგვიანლოვდა, რადგან უმძრახად იყო გედეონთან, რომელიც არა ნაკლები ენაკვიმატი იყო და ერთმანეთში ვერა რიგდებოდნენ.

მერე შემოვიდა ბრუტუსი — ბატონი აქვსენტი, თავი დამიჭინა და კუშტად მიუჭდა თავისუფალ მაგიდას.

ბუნებამ სამშენებლო მასალაზე ცოტა სიძუნწე რომ არ გამოეჩინა, მაშინ მას, ცირკის ხანდაშეული ათლეტის შეხედულება ექნებოდა. ბრუტუსს პატარა ფეხებზე დაყრდნობილი მძლავრი ტორსი, კალარა, დიდი თავი, ხარისებრი კისერზე მთლიანად გაპარსული სახე, გამოწვეული, ნებისყოფის მაჩვენებელი ნიკაბი და, რაც მთავარია, მსხვილი, ჩანისხლიანებული თვალები ჰქონდა, რომელთა შემოხედვას ბევრი ვერ უსწორებდა თვალს.

იგი თითქოს არავის ელაპარაკებოდა, რითაც ყველას თავის აშკარა ზიზღს

ამცნობდა, და თუ მე ცოტა მწყალობდა, ისიც მხოლოდ ფეხბურთის მოედანზე იმ ცნობილი ჩხუბის შემდეგ მხოლოდ შეფის არმიის ყოფილი ოფიცერი სამივე გიორგის კავალერი, ბეერს მიამბობდა ხოლმე თავისი ოფიციალური ცხოვრების წარსულიდან, სადაც სპარბობდა არა სამხედრო ეპიზოდები, არამედ სცენები მისი სასიყვარულო თავგადასავლებიდან.

მეც კარგად ვეპყრობოდი მას, თუმცა ვგრძნობდი, რომ ეს უფრო სიბრაღულით იყო გამოწვეული. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი არანორმალურად დიდი და გაშეშებული ჰქონდა, რის გამოც იგი ყველაზე ადრე დარჩა უმუშევარი.

ერთხელ მე ვვითხე კიდევ, რატომ არ იკეთებთ ამპუტაციას მაგ თითზე, რომელიც სიცოცხლეს ასე გიმწარებთ-მეთქი.

— არა, მე ისიც მეყოფა, რის ამპუტაციაც სოციალისტებმა გამიკეთეს! — მიპასუხა მან.

მე მაშინ ვერ მივხვდი, რომ ის სამშობლოს გულსხმობდა.

ერთობ მზიბლავდა მისი სიამაყე — არავის მიბატიყებას არ კადრულობდა, თუმცა ძალიან უჭირდა.

ჩვენ რამდენჯერ ვნახეთ იგი დიდ ბულვარზე „აღამიან სანდვიჩად“ მომუშავე, რაც დამცირების უკანასკნელი საფეხური იყო. ეს საცოდავი, სირცხვილისა და თავმოყვარეობის გამო, რომ არ ეცნოთ, ყალბ წვერს იწებებდა.

მერე შემოვიდნენ მომავალი მხატვრები ფილიპე და ვასო, და ბანქოს მოთამაშეებს მიუხსდნენ.

მე რამდენჯერმე გადავათვალიერე მათი პაკეტები, რომლებშიც მენატურეთა ესკიზები ეწყო და რამდენადაც ფილიპეს ნამუშევარი კარგი იყო, იმდენად ცუდი იყო ვასოსი.

ყველაფრის მიუხედავად, ვასო ჯიუტად ისწრაფვოდა მიედღია თავისი მიზნისათვის — გამხდარიყო უიღბლო მხატვარი.

საარსებო ფულს ისინი შოულობდნენ იმით, რომ სურათების „ძველებურ“ ჩარჩოებს აკეთებდნენ.

ეს რთული და შრომატევადი პროცესი იყო. მათ ჯერ უნდა ეშოვათ სათანადო ხის მასალა, მერე ზედ ამოეკვეთათ პრიმიტიული ორნამენტი, საფანტეანი თოფის სროლით დაეცხრილათ, რომ დამსგავსებოდა ქიანაქამ ხეს, მერე შეებოლათ და ზედ გადაესვათ რაღაცა ხსნარი, რომელიც საბოლოოდ დაემსგავსებდა ძველთაძველს.

სურათებით მოვაჭრემ შშვენივრად იცოდა რა სიძველეს იყო ეს ნაკეთობა და შესაფერ გროშებსაც უხდიდა, თვითონ კი... მაგრამ ეს უკვე მისი პირადი საქმე იყო.

უცებ, მე ჩემი თავი დავიპირე იმაში, რომ აი ისე, შორიდან ვაბიარებუბ ჩემს ამხანაგებს. რამდენად ეთიკურია ეს?

ამის შემდეგ მომხდარა ამბებმა დამიდასტურა, რომ ეს ზედმეტი სანტიმენტალობა იყო.

კარლო სწრაფი, ნერვული ნაბიჯებით შემოვიდა, ლაბადა სკამის ზურგზე მიაგდო და ყველას ჩამოთვლით ხელი ჩამოართვა.

— ეს რა მთვრალია? — იკითხა სტეფანემ.

— არა, კიდევ კარგი, რომ თან კოცნას არ აყოლებს, — უპასუხა გოგამ. — თანაც ჭლეჭინია.

— ისევ ეს ჭლეჭი!.. — აღშფოთდა სტეფანე.

— როცა რომელიმე ქვეყანაში მოსახლეობის ერთ ნაწილს სიმსუქნე აწუხებს, მეორე ნაწილი უსათუოდ ჭლეჭით ავადდება. — ვთქვი მე.

— საოცრად ჭკვიანი ყოფილხარ!.. — ირონიულად გაიციხა სტეფანემ. — შენ უსათუოდ უნდა დაწერთ წიგნი სოციოლოგიაზე.

— რა გგონია, დავწერ კიდევ და უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ის თქვენი ბუღბუღების გალობა მთვარის შუქზე, მიჯნურთა ოხერა და სხვა ჯანდაბა...

— კი მაგრამ, მაგისტრანა მე არასოდეს არ დამიწერია! — შემომედავა სტეფანე.

— შენ ალბათ უკეთესი ვარიაციები გაქვს.

— ჰო, მართლა, სხვათა შორის, კინალამ დამავიწყდა, — შეეცალა თემა სტეფანემ. — დავინახე აფიშას აკრავდნენ, რომ ორი თვის შემდეგ ზამთრის ველოდრომზე იწყება მსოფლიო ჩემპიონატი კეტჩში.

— ამ ერთ თვეს ხომ უნდა გაძლებოდა... — ჩაიციხა გედრონმა.

— როდის აქეთ გიტაცებს კეტჩი, ეკ ხომ შენთვის მიუწევდომელია?! — გაჭირდვით ჰკითხა პაწაწინა სტეფანეს გოგამ.

— შენც ერთი, ტარზანი მყავხარ, რა?!.. — მოუტრა სტეფანემ. — ეს იმით არის საინტერესო, რომ მსოფლიო ჩემპიონის მაძიებელი სულ სამი კაცია და ერთი მათგანი ჩვენი კოლაქვარიანია!

— რას ამბობ, რა ზორბა რამეა!

— დანარჩენი ორი ვინდაა?

— ამერიკელი, ლევისი მახრჩობელი, მეორე კი, ბულგარელი დან კოლოვი.

ახლა სალაპარაკო თემა მთელ საღამოს გაგვევებოდა, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო კელნერთან ძალიან ხმა-მაღალმა მოლაპარაკე კარლომ:

— რა, არ მენდობი? — გამომწვევად ეკითხებოდა იგი კელნერს.

— მე კი გენდობი... მაგრამ ოცდაათზე მეტი არიან და „ხაზეინი“ მე დამიქვითავს.. — თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა კელნერმა.

კარლომ ჭიბიდან ასფრანკიანი ბანკნოტი ამოიღო.

— აი, ეს საკმარისია?

— რა თქმა უნდა, დარჩება კიდევ. — უცებ გამოეცალა ლაპარაკის კილო კელნერმა.

— ჰკითხე ყველას, რას ინებებენ, სანდვიჩებიც შეგიკვეთონ!

კელნერმა მაგიდების შემოვლა და-

იწყო, თან სთავაზობდა სანდვიჩების დაკვეთას.

— აბა, რად გინდა ეს, კარლო?

— შეინახე ფული, დაგჭირდება!

— სისულელეებს თავი დაანებე, კარლო!

სხვადასხვა მაგიდიდან გაისმა ამოძახილები.

კარლოს რაღაც უცნაურად უთრთოდა გამახდარი, ჩაყვითლებული ლოყა. მერე წამოდგა და ყურადღება ითხოვა.

— ჩემო ძვირფასო... — თამადასავით დაიწყო მან. — სიამოვნებით გადაგვოცნით ყველას... —

— ეგლა გვაკლდა... — წაიბურტყუნა გოგამი.

— შემთხვევით ეგ სამშობლოში ხომ არ ბრუნდება? — გვკითხა ჩვენ გედონმა.

— თვითონ იმასა ჰკითხე!.. — წააქეზა გოგამი.

— შენ, შემთხვევით საქართველოში ხომ არ ბრუნდები? — ჰკითხა ბედონმა კარლოს.

კარლოს რაღაც უცნაურად შეაერთო, მერე კი საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა, ვიდრე პასუხს გასცემდა.

ჩვენ ყველა სულგანაბული ვიცდიდით.

— შეიძლება, ასეც იყოს... ყოველ შემთხვევაში, გამახარეთ და ჩემს მასბინძობაზე უარს ნუ მეტყვით.

კარლო დაჯდა, ცხვირსახოცი ამოიღო და სახე და თვალები მოიწმინდა.

კელნერმა სინით ჰიქები მოიტანა და შეკვეთილის მეთოდურად ჩამორიგება დაიწყო.

— გარსონ... — მიმართა კელნერს კარლომ და დათიკოზე მიუთითა. — ხომ არ დაგავიწყდა, რომ აგერ იმ ბატონს არაფერი არ უნდა მიართვა?

— არა, არ დამვიწყებია... — გამკვებიანი ღმილით უპასუხა კელნერმა.

ჩამოწვა გულისდამამძიმებელი სიჩუმე, რომელიც მერე დაარღვია წამოძახილებმა.

— ასე ანგარიშის გასწორება, რა წესია!

— თუ შენ მაგის ჯავრი გჭირს, ჩვენ რა შეაში ვართ?

მაშინ მეც არაფერი არ მინდა!... — ზედ ყურის ძირთან ამიწრიპინდა გედონი.

გედონის მიბაძვას ბევრი აპირებდა.

მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს კარლოსა და დათიკოს.

კარლო ნერვიულობისაგან სულ ერთთავად კბილებს კრეკდა და გამართულად იჭდა მკვდარივით გაფითრებული დათიკო.

— ამას შენგან არ მოველოდი, კარლო! — თქვა ვილაკამ.

კარლო წამოხტა და მოწაფესავით თითი ასწია.

— მაშ, ნება მომეცით, ყველას წინაშე დათიკოს ერთი რამე შევეკითხო. — თქვა მან.

დათიკო წასასვლელად იდგა, მაგრამ ისინი, რომლებიც მას მარჯვნივ და მარცხნივ უსხდნენ, თითქოს დივანის დერმატინზე იყვნენ მიკრულნი, და იგაკვლავ დაჯდა.

— ერთი მითხარი, დათიკო, გუშინ სალამოს შენ მონმარტრზე ქეიფობდი?

— მერე, რა მოხდა! — გამომწვევად თქვა დათიკომ.

— რაები ილაპარაკე იქ?

— რა ვიცი რა მახსოვს?

— ალბათ ძალიან მთვრალი იყავი... მაშ, მე მოგაგონებ! — კარლოს სახეზე ზიზღი აღებუქდა.

— შენ დასცილიდი ყველას, ვინც კი საშველად ხელი გამოგიწოდა... შენთვის, როგორც ავადმყოფისათვის უკანასკნელ სანტიმსაც კი არ იშურებდნენ!.. იქ კი მონმარტრზე, იმ ხალხთან პირი ვააღე, აჩვენე ყასიდად მოკვნიტილი ტუჩი, საიდანაც გამონადენი სისხლით კომედის თამაშობდი, ვითომ სისხლს ვანთხევო.

აგუგუნდა ხალხი, რომელთაც სიტყვის თქმა ჯერ კიდევ არ შეეძლოთ.

ვილაცამ ზურგზე მაგრად დამარტყა ხელი. ეს სტეფანე იყო.

— ხომ გეუბნებოდით... მე ვგრძნობდი ამას!... — სტეფანეს ღელვისაგან სული ეხუთებოდა.

დათიკოს გვერდით მსხლომებმა უნებლიეთ გაიწვიამოიწიეს.

ყალბი ირონიული ღიმილით ტუჩებ-მობრეცილმა დათიკომ ჰკითხა:

— მერე, შენ დაუჯერე იმ მოცეკვავეებს? იმ ადამიანებს, რომლებიც ქალებს თავს ასყიდებენ?

— იმ „ადამიანებთან“ და მათ ხარჯზე არ იყო, გუშინ რომ იქეიფე!..

კარლომ დაახველა და მერე ჩახლეჩილი, წასული ხმით განაგრძო: — შენ ხარივით ჯანმრთელი ხარ... და იმ დანმარებაში შეცილებოდი მე, ავადმყოფს...

ძლიერი ხველების შეტევამ კარლო ააცახცახა და აიძულა, რომ დამჯდარიყო, თან ორივე ხელით ტუჩებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

ახლა ყველა მხოლოდ დათიკოს უყურებდა.

— თქვი მართალია ეს? — ჰკითხა მას გედეონმა.

დათიკო ფრჩხილებს ძინჯავდა და ჩიუტად ღუშდა.

— მართალია? — წამოიყვირა დარბაზის სიღრმეში ვილაცამ.

— მოიცადეთ... — კვლავ წამოდგა კარლო. — მე სასწრაფოდ ტელეფონით უნდა დავრეკო... და თუ პატივსა

მცემთ, იმას ჯერჯერობით სურათვერს ნუ ეტყვი.

კარლომ მაგილებს მშორსს მსგებარა, ტელეფონის ჯისურთან მივიდა და ვიდრე შიგ შევიდოდა, ჩვენსკენ გამოიხედა და გაგვიღიმა.

— წავიდა, რომ დაურეკოს იმათ... მონმარტრზე. — თქვა სტეფანემ.

მე არცერთხელ აღარ შემინებდავს დათიკოსათვის, იმდენად მეზინებოდა ის.

შემდეგ გაისმა სუსტი ტყაცუნი, თითქოს მეზობელ ოთახში შამპანურის ბოთლი გახსნესო, ჯიხურის კარი გაიღო და იატაკზე წელა დაეშვა კარლო.

კარლო იწვა მოყუნტული, ხელში პატარა ბრაუნინგი ეჭირა და მარჯვენა საფეთქლიდან წერილ ნაკადად მოსდიოდა სისხლი.

მე თვალთ დამიბნენდა... ბევრნი ტიროდნენ. მერე დათიკო მოგვაგონდა, მაგრამ აღარსად იყო.

— ვისაც დოკუმენტები წესრიგში არა გაქვთ, მოუსვით, ვიდრე პოლიცია მოვა! — თქვა კაფეს პატრონმა, — თორემ მე მომხვდება.

როცა ერთი საათის შემდეგ მოწმეთა ჩვენებას ხელი მოვაწერეთ და კაფედან წავიდით, რომელიც მუშაობას განაგრძობდა, კარლოს გვამი უკვე შეემოწმებინა ექსპერტს, საბილიარდოს კარიდან ეზოში გაეტანათ და მორგში წავლათ.

სერიდა ნისლისებრი წვიმა, და გარეცხილი ასფალტის ტროტუარებზე ირეკლებოდა მრავალფეროვანი ნეონის რეკლამები

ვერობის ღიმილი

რომანი

17

მავე დღეს, ნასადილეს თავის ოთახში ჩაკეტილი დარჯვანი როგორც არასდროს დაბეჭითებით იცვამდა, ამოწმებდა რომელი კაბა ან ფეხსაცმელი უფრო მომთხებდა, მომერგებოდა. სარკესთან ტრიალებდა, მორთულ-მოკაზმულობაში ყოველ წერილმანს ღიღ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამასა და წარბ-წამწამს ისწორებდა, ხვეწავდა. ახლა, ამჟამად არც უნივერსიტეტი, არც წიგნები და გამოცდები აღარ ახსოვდა: ყველაფერი გვერდზე გადადო და მხოლოდ ერთადერთი საზრუნავი და გასინჯოდა ახალგაზრდა ქალს: როგორ დახედებოდა, როგორი სახით წარსდგებოდა არჩილის წინაშე; რა სათნო სიტყვებს გაიგონებდა ან თუითონ რას ეტყოდა მის ცხოვრებაში ამ ვალამწყვეტი შეხვედრის წუთებში. როცა სამზადისი მოათავა, სასადილო ოთახის კარი ფრთხილად შეიღო, შევიდა და მავიდასთან პირშეკცევით მჯდარ დედას შეხაერეფათ წამოგებარა, — მოეხვია:

— დედი!

— რა იყო, შეილო?

— შემოიხვედი, ვანა ისევ სტუდენტი ვარ?

— არა, შეილო, დასრულებული ქალი ხარ

სუსტად.

— დასრულებული... — გაიმეორა დარჯვანმა და დედას შებლზე ავსოცა.

— შეილო, ვინმეს ზომ არ მოეღი, აჯრე სავალდაველოდ რომ გამოწყობილხარ.

— მოველი დედი, არჩილს მოველი.

— არჩილს... ჰო, კარგი შეილო.

— საცაა მოვა, ჰო... — აღარ დაასრულა,

მეისვე გაბრუნდა. ისევ თავის ოთახში გულ-აპართოლებით მიმოდიოდა. ზოგჯერ სარკმელ-

თან მიდგებოდა, ქუჩიას თვალშეპარვით შორს გახედავდა, შერე ისევ წრეს მოხაზავდა ოთახში, ყოველ ნივთს რაღაც დაბეჭითებით ათვალეგრებდა, ხელითაც ეხებოდა უაღერსებდა. განჯინის ზემოდ დაწყობილ, პავშვობის დროინდელ სათამაშოებს უღიბოდა, და იგონებდა ამ განუმეორებელ, სამუდამოდ ეკან დატოვებულ ბედნიერ დღეებს, როცა თუითონაც იმ თვალბდაყლიბულ თოჯინასავით გულბრყვილო და პატარა იყო: „მაშინ რა ვიყავ, ახლა რა ვარ? ჰო, „დასრულებული“ და აქედან გასაქცევად გამზადებულ... და ვანა ეს შეპატეიბა? საუვარელი მშობლების დატოვებას ვაიბრებ და ეს მიხარია? როდის გადავეწყვიტე მე ეს? არც მიფიქრია და ისევ გადავეწყვიტე? რა საუვარელია აქ ყველაფერი და მაინც ფრთები ვახაფრენად მაქვს აწვართული. რა არის ეს? — ფიქრობდა, პასუხს ვერ პოულობდა თუშეა ვულში შექად ჩამდგარი სიხარული უფრო უღვიოდა, უთბობდა სხეულს. კედლის საათმა გაიწვარუნა, და შეიდგერ დარეკა. დარეკანი შეცბა. სარკმელთან მიიჭრა, ქუჩას გახვდა. არჩილი არ ჩანდა. გულ აუძვერდა. ტრჩეები აუთართოლდა. გამობრუნდა: „ვანა არ მოვა? მომატყუე? ვის ვაუგონია არჩილის ტყუილი? შეუძლებელია, ვერ დაეიქვრებ“. — ოთახში ფეხბრევით მიმოდიოდა.

ტელეფონის ზარი გაისმა: დარჯვანი მივიდა, მილი აიღო და უცხად გაფითრდა. „კარგი“-ო ძლივსლა თქვა და ხელი აუთართოლდა, თვალები მივლულა და ტელეფონის მილი ფრთხილად დასდო.

ოთახიდან გამოვარდნილ დარჯვანს დედა მიეცება. ხელი მოხვია:

— რა დაგემართა, ცუდი ზომ არაფერი ვაიბე შეილო!

— ყველაფერი გაევიდა დედა, ყველაფერი და როგორ გვიან!

— რას ამბობ შეილო, მითხარი რა მოხდა? — დედამ ტახტზე გვერდით მოისხვა, გულში ჩაიყრა.

— არაფერი, დედი, არჩილმა დამირყვა: დღეს ვერ მოვალო და ვგრძნობ ამათ ყველაფერი გათავდა...

— რატომ შეილო? თუ დღეს არა, მერე გინახულხარ!

— არა, არა, ისე არა, როგორც მე მეგონა, მე ვგრძნობ, მე ვიცი.

თმა შევერცხლილმა დედამ შეილს ხელი გაუშვა, საკონიბელს მიეცა და მიიმდ წამოიღვა:

— აქ რაღაც მომხდარა და ვერ გამოვიდა, რა თქვა ისეთი? ან რა უბასუხე?

— არაფერი, ტელეფონის მალი დავდე და აქედ გამოვივიერ, რა უნდა მეთქვა? მიზეზს ხომ არა ვკითხავდი.

— რათ შეგვარცხნივ, აგრე უეცრად რად მიიტოვე.

— რაღა მექნა, აღარ შემეძლო!

— აგრე როგორ იქნება შეილო, — უთხრა დედამ, თმა გასწორდა, და იმ ოთახში კარი შეაღო, რომელშიაც დარეჯანმა ტელეფონით არჩილს ელაპარაკა.

— მაპატიე დედი, ვანა მე მინდოდა? ვერ გავუძელი, ვერ ავიტანე!

— კარგი, ახლა დაწყნარდი და როცა ნახავ, ბოდიში მოუხადე. არჩილი წესიერია ახლაგაზრდა კაცია, ცუდს არ გეტყობდა.

— ცუდს არ მეტყობდა? — და დედას ცრემლიანი თვალები გაევირევათ მიაკყრო.

— შენც აგრე, დედი?

— იფიქრე, შეილო, იქნებ არჩილი არ გაამტყუნო, — უთხრა დედამ და სამხარეთლოში უბნოდ გავიდა.

დარეჯანი თვალგაშეშებით წამოიღვა. საჩქმელთან მიდგა. განითარდებულ ქუჩას გახხედა. კარგაბანს უცქერდა და უსმენდა ქუჩას. მერე იმ ოთახში შესვლა ვაბედა, რომელშიაც არჩილს ტელეფონით ელაპარაკა. ბნელოდა. ქუჩიდან შემოსული მომკრთალო შექი მხოლოდ აქა-იქ ანათებდა ქერსა და კედლებს. ოთახში უპროდ სიარული დაიწყო. შექს არ ანთებდა, აქ არადრის დანახვა ახლა არ უნდოდა. ოთახში ჩამოწოლილ ჩემ სიბნელებს ახლა უფრო იტანდა. თავისივე ფეხის ხმას ისე უსმენდა, თითქოს თვითონ დრო საათივით აკაუნებს და და ამათ სადღაც სხვა ქვეყანაში გადასვლას უკარნახებდნო.

„ვინაა დამნაშავე, მე თუ არჩილი? არც მე, არც არჩილი?“ — ფეხს ისე იფიქრებდა, თითქოს დაჯარივულ ოცნებებს მისდევს. ხან ერთ კედელს მიაწყდებოდა, ხანაც მუკარეს, მაგრამ კედელი კედლად რჩებოდა და უკაცურად

დედი კედლად რჩებოდა და უკაცურად/გასაქცევ ვხსა. აშე ვიცი, ვიცი, არჩილი-სამდამოდ წავიდა, სამდამოდ წავიდა.

საჩქმელთან დაჯდა. თავი დასდო სარკმლის რაფაზე და მიეღუთა ცრემლმეშვარალი თვალები. ბურანს მიეცა. ნაოცნებარს და სინამდვილე ერთმანეთში აერია. ჩურჩულდება: „გამოთვთხოვე დარეჯან ოცნებს. ცაში ნაშენ სრა-სასხლეების ყველა კარი დახურე, რომ არასოდეს ვინილო ფუქი ოცნებით ნაშენი ხუხულა. ახლა რომელი ქარი საათ წამიღებს ჩემთვის სულერთია, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რა-მე მოვალეობა მეც ხომ მაქვს ამ ქვეყნად და როგორ გავიქვე? ვანა შემოძლო გავიციო არჩილი იმისათვის, რომ ჩემზე თავს იყავებს? არ შემოძლია; გაიცივის არავითარი უფლება არა მაქვს და, დაჩუმიდი, ხმა ჩაიკმინდე, დარეჯან: ჩემად, შეუმჩნეველად, მოვალეობის წინაშე თავდაპირილი ვაატარე წუთისოფელი, მერე ამ ქვეყნად დარჩენილები პატივით მოგიგონებენ, არ შეგიგონებენ. სამუდამოდ ვანსვენებულს შურიატყოფას არ მოგაყენებენ და იყმარე, დარეჯან“ — ამგვარი ფიქრები შორს მიაქროლებდა ბურანში წასულს. მოიქანცა. თვალები დახუტა. ახლა ახრი უწყდებოდა, გულის სიღრმეში სადღაც შორს ჩამარბულ სიტყვებს ბუტბუტებდა: „დედა ფეხს მბანდა“. „ჩვილი ყველივით ფეხები გაქვს, შეილო“, „გაიზარდები, რა იქნები“. „ვილიმბოდი“. „გაიზარდე“. „შეუთუნახავი ხარ, კარგი ხარ, შეილო“. „წელში გავიმართებოდი, გავბოდი“. „ავთვალს მზეს დავუბნებულა“. „ავაწყობდი, საჩქმეში ჩაიხუდავდი, ვამოწმებდი, ვანა ასეთი მშვენიერი ვარ?“. „გული სიხარულით ფუტყავდა“. დედა მილიზოდა. „მერე არჩილი? ბაღში დავინახე. ჩააბრა, უნივერსიტეტში გამოჩნდა“. „რა მოხდა? მოჩვენება იყო ყოველი?“. „გაუჩინარდა“. „რა-დავინი ახლა?“. „გამოწარდა დედის ჩვილი ყველი, მოტყუების დედა“. „დედა!“ — ხმაძილა წამოიძახა.

— აქა ვარ, შეილო! — დედამ ხელი მოხვია, წამოაყენა.

— აქა ხარ, დედი?

— ყოველთვის, ყველგან შენთან ვარ შეილო!

იმ დღესაც ქუჩაში გასული არჩილი შედგა ერთხელაც თვალი შეავლო სახლს, რომლის დანახვა შეუძამ ახარებდა; გამოღებულ საჩქმელში დარეჯანი გამოჩნდებოდა, ხელს დაუქნებდა, გადმოსახებდა:

— აქა ვარ, არჩილი!

ახლა იმ საჩქმელში ბნელოდა. დარეჯანიც იქ აღარ ჩანდა. მისი წყრილა ხმაყ აღარ ისმოდა. და იმ ჩამოვებულ საჩქმელი დედი ხნის მკედარივით თვალჩაყარდნილი გამოიყურებოდა. თვალს მოაბრიადა. ფილაქმზე თითქოს დაქუ-

ღლი ფეხი ძლივს მოიკვალა. რაღაც აწუხებდა. მაგრამ შანიც გულის სიღრმეში თავისი ქცევით კმაყოფილი იყო: სხვაანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო. „ჰო, ენახოთ რას ეტყვის გიორგის. მაშინ კველსფერი გამოირკვევა... რაც მე შემეხება, თუ აუცილებელი იქნება, გავუძლე, ვადავიტან როგორმე“. — ფეხს აუჩქარა, ფექრობდა; რაც უფრო მეტი შანძლით აქაურობას გაეშორდებო, მით უფრო მდგომარეობა შემოსულბუქვებო, მაგრამ მოხდა პირიქით, რაც უფრო შორდებოდა, მით უფრო ეწოდა გული, ხერდებოდა, სულს მოიბრუნებდა; ფეხს მოიცვლიდა.

შინ ისე შეივლია. არ გავიჯი. ახლა გამოერკეა. მიმოიხედა: „ფეხებს საეკთარი ჰქონა ჰქონათ, მოსულვარ და ესაა“ — ღამით ბორკავდა, თვალებს თუმცა ხეუკავდა. მაგრამ არ ეჯინა... —

ღლით ფეხისცერებზე შემდგარი ციცი წამოეპარა, არჩილის წინ იატაკზე დაიმოქა და პაწაწინა თითები შეაპარა აწილ ქორიარში.

 კაციც ჩანს სანდოდ დამაგრებული,
 კუნძთან გოლით დგას დაბნეული.
 იქვე მიპყრიან მტრები ლაბადებს,
 და ოცდათორმეტ ნაბიჯს მხედრულად,
 შარეცკი ზუსტად და ჩინებულად
 გადათვლის, მერე სწრაფლ განალაგებს
 საპირისპირო ხაზზე შეგობრებს,
 დამბაჩებს იღებს ერთიც. მეორეც.

XXX

„ახლა შევბით“. მტრებმა გულგრილად
 და ჯერ მიზანში სროლის ვადამდე
 მტკიცე სვლით, დინჯად, ხმისგაუღებლად
 ოთხი ნაბიჯი როცა გადადგეს
 მოუსაველეთის ოთხ საფეხურად,
 მშინ პირველი, წინდახედულად
 თავის დამბაჩას ჩვენი ვეგენი
 შემართავს ნელა, შეუსვენებლივ.
 ხუთ ნაბიჯს ორი ისევე გადათვლის,
 ლენსკი მარცხენა თვალს რომ მიჭუტავს,
 იწყებს მიზნებას, მაგრამ იმ წუთას
 ვეგენი ისერის. რეკავს საათი
 აღსასრულისა... და სდუმს პოეტბი,
 უხმოდ ვარდება ძირს პისტოლეტი.

XXXI

ხელს იგი მკერდზე ფრთხილად იფარებს
 და ძირს ეცემა. ნანისლ თვალებით
 სიკვდილს ასახავს განა სიმწარეს.
 ასე მთის კალთას აციალებით
 მზეზე მბრწყინავი, მწველნაპერწყლება
 ზეგვი თოვლისა ნელა ეცლება.
 და იმ წამს, ცივ წყალგადასხმულივით,
 ვეგენი ლენსკის ნახეის წყურვილით
 მიეჭრა, უხმობს, მაგრამ ჭაბუკი
 გათავებულა. ვინ გაუგონოს?
 ყრმა მომღერალი გაქრა უდროოდ.
 ასე მშვენიერ ყვავილს ქარბუჭი
 აწრობს რიფრაფში გაუთვველში
 და ცეცხლი ქრება საკურთხველში.

XXXII

უძრავად იწვა და დასწრდით
 სახე საოცრად მშვიდი, დაღლილი,
 მკერდქვეშ გასელოდა მას ღრმა ჭრილობა,
 ორთქლით უჩქვდა სისხლი დაღვრილი.
 ერთი წამის წინ მისი მხნე გული
 მკერდში ფეთქავდა შთაგონებულ
 ტრფობით, იმედით, მტრის სიძულვილით,
 სიცოცხლის ეშხით, სისხლის დუდილით.
 ახლა, ვით სახლი უკაცრიელი,
 ბნელი, დარაბებგადაარაული;
 ჩუმი, სარკმლებზე ცარცადასმული,
 სამარადისოდ სდუმს ცარიელი,
 დიასახლისიც არ ჩანს, უფალო,
 ვინ უწყის, საით გაქრა უკვალოდ.

XXXIII

გაამებთ, ოდეს წინდაუხედავ
 მტერს ეპიგრამა ცოფავს მახვილი,
 გაამებთ მზურა, ოდეს უტებად
 აქვს მარქენალი რქები დახრილი
 და უნებლიეთ სარკვს შესცქერის,
 სცხენია თავის ცნობა შერცხეილს.
 წეტად გაამებთ, ძმანო, ბრიყუულად
 მე ვარო! მან თუ წამოიყმუელა.
 უფრო გაამებთ მისთვის დუმილით
 პატიოსანი კუბოს მზადება,
 მიზნად ფერმკრთალი შუბლის აღება,
 შუა მანძილზე, დიდებულებით,
 მაგრამ თქვენ, ალბათ, ნათელ მამებთან
 მისი გაგზავნა არ გეამებთ.

XXXIV

რას იზამთ, ოდეს თქვენი დამბაჩით
 განგმირულს ნახავთ ჭაბუკ მეგობარს.
 ვინც სმაში ანდა ცხარე კამათში
 თქვენთან იჩენდა დაუღვერობას
 უდიერ მზერით, უკმეხ პასუხით
 ან გაგამწარათ შურაცხყოფით,
 ანდა თვითონვე დაგრჩათ ნაწყენი,
 ორთაბრძოლაში თქვენი გამწვევი,
 ბრძოლის დამწყვეტი ფიცხლად, თამამად.
 ბრძანეთ, როგორი გრძნობა მოგიცავთ,
 როდესაც შუბლზე სიკვდილს მოისჩამს
 და გაქვავდება იგი თანდათან,
 ოდეს არ ესმის ყრუს, ხმაგამენდილს
 ძახილი თქვენი სასოწარკვეთის?

XXV

დგას სულის ქენჯინით გაოგნებული,
 ხელში დამბაჩის ტარჩაბლუჯული,
 ლენსკის დასცქერის თავს ონეგინი.
 „რას იზამ, მოკვდა“, — ესმის ჩურჩული.
 მოკვდა! შეზარავს ეს გულსაკლავი
 სიტყვა ვეგენის, იგი კანკალით
 განზე გადგება და ხალხს გასძახებს,
 საშინელ განძად სახლში წასაღებს
 ცხედარს გაყინულს და გაჭყავებულს.
 ზარეცკი ფრთხილად დასდებს მარხილზე.
 ცხენებმა მკვდარი იგრძნეს სამხილზე,
 გახელდნენ: თრთიან დუეს აქაფებულს
 რეალის ლაგმებზე ღვრიან ფრუტუნით
 და ჯა, გაფრინდნენ, როგორც შურდული.

XX XVI

ძმანო, პოეტი თქვენც გეცოდებათ:
 ნათელ იმედით, რწმენით აღსავსეს
 ოცნება დარჩა შეუმოსველად,
 ოდეს იცვლიდა მრწემის ტანსაცმელს;
 დაჭკნა! საღლაა გზნება, ნდობანი,
 კეთილშობილურ მიზნით ლტოლვანი
 ვმაწვილკაცობის ფიქრთა, გრძნობათა,
 მაღალთა, ნაზთა და უპოვართა?
 სად გაქრი შმაგო ტრფობის სურვილო,
 წყურელო შრომის, სიბრძნე-ცოდნისა,
 შიშო ხირცხვილის, სიძვა-ცოდვისა,
 სად ხარ ოცნებავ, დღემწიწურვილო,
 ლანდო იმიერ ქვეყნის — ვდემის,
 სისზრებო წმიდა შემოქმედების.

XXVII

გვებ ის ქვეყნის სიკეთისათვის
 და ამ დიდების ღირსად შობილა;
 ვგებ აწ ჩუმი ჩანკით სიმართლის
 სწავრებ გუგუნად, ხმაშეწყობილად.
 საუკუნეებს გადასწვდენოდა,
 ვგება პოეტს ხვედრი სწვეოდა
 და ღირსებოდა მზით გაჩაღებულს
 ცხოვრების კიბის მაღალ საფეხურს.
 მოწამებრივმა მისმა აჩრდილმა
 ვგებ წაილო თან ხვაშიადი
 წმიდა, და ჩაჭრა ჩვენთვის დიადი,
 ცხოველმყოფელი სმა საფლავს შინა,

სად დროის ჰიმი ვეღარ მისწვდება,
 ვერც თაობათა ლოცვა-ღიგნება.

XX XVIII. XX XIX

ანდა შესაძლო არის: პოეტსაც
 ჩვეულებრივი ხვედრი უცდიდა,
 დრო სულ ჭაბუკად არ დასტოვებდა,
 გაუნელებდა ცხელ სულს გულცივად.
 ყოფა შესცვლიდა მასაც ერთთავად.
 მუზებს გააყრიდა და ცოლს შერთავდა,
 ბედნიერს, რქოსანს — ცივი დალატით
 ტანთ ეცმევოდა თბილი ხალათი.
 სოფლად ცხოვრების აკვარჯს იწუნევდა,
 ორმოცი წლისას ქარი ნიკრიბის
 დასცვლიდა ჭამით, ჭარბი ღვინისსმით
 გასუქდებოდა და მოიწყენდა,
 ბოლოს ლოგინის ყმა ხუღს დაღუევდა,
 მტირალ ცოლშვილთან და მკურნალებთან.

XL

მაგრამ მკითხველო, რა გ'სას მოგძებნით,
 ვაგლას! ჭაბუკი შეეყარებულო,
 პოეტი ფიქრის, მაღალ ოცნების
 წვეს მეგობრისგან წესაგებულო!
 და სოფლის მარცხნივ, სადაც ეღირსა
 ცხოვრება პირშმოს შთაგონებისას,
 ერთურთს ფესვებით გადასღართული
 დგას ორი ფიჭვი. მათ ნაკადული
 ახლო ველიდან უვლის ჭაელებით,
 იქ დასვენება უყვარს შეგუთნეს,
 წყალში წყარუნით ნთქავენ ხელდუნებებს
 მოწყურებული მკელი ქალები,
 იქ ხშირ ჩრდილოში წყარო უვალობს
 ქანდაკებიან საფლავს უბრალოს.

XL I

ფიჭვებქვეშ (როცა ცრის გაზაფხულის
 წვიმა საყანე ვრცელ ნათესებზე)
 მწყემსი თავისი ჭრელი ბანდულის
 ბლანდვით უმღერის ვოლგელ მეთევზეთ.
 და მონებიერე ყრმა-ქალს, ქალაქელს,
 საფხულში სოფლად მოაგარაკეს,
 ოდეს გაუწევს გული მინდვრისკენ,
 იგი ტენებით ძველთან მიიბრუნს,

აღვირს ათოკავს, ცხენს დააგანებს.
ქუდის ვუალის მაღლა აწევით
იგი უბრალოდ ქვეზე წარწერილ
ეპიტაფიას თვალს გადააუღვებს,
ფერმონებს წუთიერ დაგვას გულისას,
ნაწ თვალებს ცრემლი გადაუწინსლავს.

XLII

მისდევდა ტრიალ მინდორს ნელინელ,
ოცნების ტვირთით და გახსენებით,
დიდხანს სტკიოდა ქალს უნებლიედ
სული აესილი ლენსკის სვე-ბუდით,
ფიქრობდა: „ოღვას რა დაუმართა,
გული ხიმწრისგან დიდხანს გვემედა,
თუ ცრემლის წვიმამ სწრაფლ გადაიღო,
ნეტაეი ასლა ხად ყავს დაიკო?
ამ ქვეყნისგან და კაცთგან გამდგარი,
აბღლად მავალი ნისლის მობურეთი,
მოდურ ლამაზთა მტერი მოდური,
ჭაბუკი მგოსნის მკვლეელი ხად არის?“
ცოტაც მადროვეთ, არ გაწბილდებით,
გაცნობებთ ღინჯად და დაწვრილებით.

XLIII

ოღონდ ჯერ არა... თუმცა გულწრფელად
მიყვარს მე ჩემი გმირი, ღირსია,
რომ დაგებრუნდე აუცილებლად,
ნაკრამ ჯერ მისთვის ვერ მომიცლია.
მკაცრი პროზისკენ წლებით ვიხრები,
წლებს გაუყარა ცეტი რითმები,
და — ნწარე ოხვრით გამოგიტყდებით, —
მათ ზოზიალით, ზანტად მივეყვები.
კალამს არ ძალუქს ძველი უნარით
ფრთამალ ფურცლებზე მელნის მოცხება,
ასლა სხვაგვარი ცივი ოცნება,
ასლა სასტიკი სხვა საზრუნავი
ქვეყნის ხმაურში და სიჩუქისას
აკრთობს სიმშვიდეს ჩემი სულისას.

XLIV

ხმა შევიცანი სულ სხვა სურვილთა,
ცენი ახალი სხვა კავშნები,

ვერ ვანუგეშებ პირველს სრულად
და ძველ კავშნებს აღატყვევებთ
აჰ, ოცნებანო! გააქრა დეტაქობა
და მისი რითმა „ახალგაზრდობა?“
ნუთუ დასასრულს მართლა დამტკნარა
მისი გვირგვინი ცხადად, აშკარად?
ნუთუ ნამდვილად სადღაც დაქანდნენ
უელეგიოდ გამოსახული
დღეები ჩემი გამოზაფხულის 10
(რაზეც ვხუმრობდი ლაღად აქამდე)
ნუთუ მიყვეები მათ სელას მარადისს?
ნუთუ ვსრულდები სხვალ ოცდაათის?

XLV

ჩემი შუადღეც დადგა ამჯერად
და ვხედავ, მმართებს ახლა განდობა.
მაშ ჩამომართვი ძმურად მარჯვენა;
მშვიდობით, ჩემო ახალგაზრდობა,
მადლობას გიხდის სიამეთათვის, 18
სევდისთვის, უტკბეს სიმწარეთათვის,
ზართა, გრიგალთა გამო, ლხინთათვის
და ყველა, ყველა წყალობისათვის. 20
მადლობელი ვარ შენი, შენითვე
კიდევ ვღუმიღი და კიდევ ვღელავდი.
სიამოვნება ვიგრძენ ყულამდი.
კმარა, სიამე ბევრი შევიტკბე!
ნათელი სულით სხვა გზა მეხსენება,
წარსულისაგან მსურს მოხსენება!

XLVI

ერთსაც მოგებდავ და გაგცილდები
ვერან ვანს ჩემი მიქეფარ დღეების,
აღვსილს ფიქრიან სულის სიხმრებით
მცონარეობით, ვნებათღელეებით.
შენ კი, ჯერ ჩვილო შეშთაგონებავ,
ქროდე ხილვათა შემათრთოლებლად,
გამიფხიზლებდე გულსაც მთელუმარეს,
ხშირად სწვეოდე ჩემს არემარეს,
რომ არ გაციდდეს სული პოეტის,
რომ არ გამკაცრდეს, რომ არ გააადეს,
და ბოლოს იგი რომ არ გაქვაადეს 5
ამქვეყნიური მკვდრულ სიტკბოებით,
რომლის მორევში, დღეს სავალალოდ,
ძმებო, მეც თქვენთან ერთად ვბანაობ.

თარგმნა ოთარ ბაღჩიანი

ტარიელ ჰანტურის ლირიკა

წესად გვაქვს დღის გაღმერთება!
საკუთარ სისხლის გამეტება!
ხილო თუ სისხლი გათავდება —
სორცს დაეწვაეთ, სანთლად აენთება —

გვეუწყებს პოეტი. სანთელი იგი არაა თაფ-
ლის, არისტოკრატიულ ტაღანებს რომ აშშვე-
ნებს, მოვარაყებულ შანდალთა მოციმციმე,
მღრქვევი ამო სურნელისა. მძაფრია იგი, თვალ-
თა მომწყლავი, რამეთუ ღრმა კრილოზიდან
ჩამოღვენილი სისხლიდანაა ჩამოქნილი. ციხის
ნანგრევთა და ჩაბნელებულ ტაძართა წიად
მღვარი, მჭროლავე მოთარეშე ქარბოროისას,
გარანა მარად ნათებადი, სულის ზეობის მომ-
ნიჭებელი. პოეტის სულის წეა, უჩინარო და
ფარული. ნათებაა, სვეტად რომ იღვა
ქართველში მარად, კელატარია, მამულის გა-
მამშვეებელი. იგი არაა ოდენ სამშობლოს
ტრფალი. უფრო ღრმაა და უოღის მომცე-
ლი, მამულის სვედაზამღვარი ხილვაა, სინამდ-
ვილის წაღვი განცდაა. ეს ორი ცნება ღრმად
გაღიჭვეულა ერთიმეორეზე. პოეტს ის საშუა-
რებელი აქვს მოკებნილი, საიდანაც უტომ-
ლად მოჩანს მამულის დანისლული თვალსაწი-
ერი.

ტარიელ ჰანტურია მძაფრად გრძნობს დრო-
ის მიმოქცევას. არაა ძალა, მის გუნჯვეთელ
კავშირს რომ მოადუნებს ეპოქისეულ რიტმ-
თან, გარესინამდვილესთან. დაეინებით მიოღ-
ვის ამ მიმოქცევის წარმოშობი არსის გასა-
თავიებლად, მხოლოდ ამ ნიჭით მომადლებულ
ხელოვანთ ხელწიფებლად ჩასწვდნენ საშუაროს
მოკუნებს, აღმართის უთფერების არსს, სი-
კვდილისა და სიციცხლის იდუმალებას.

ო, ღმერთო! შედამ მტკიოდეს შურა
და მამრმავებლეს მტანჯველი შექი.

1
ამ „მტანჯველის შექის“ წარმოსაინად ტა-
რიელ ჰანტურია ისტორიულ და ლეგენდურ
ამბებს განფენს თავის შემოქმედებაში. მაგრამ
ისტორია მისთვის მხოლოდ გარდასული მასა-
ლა კი არაა, სტილიზებული და მუხეუმიერი
ხასიათისა, არამედ მარად მოძრავია და ცოც-
ხალი, განათებული არა „აქაღმეიური“ განს-
წავლულის მიერ, არამედ გარდატეხილი პოეტ-
ლირიკოსის შინაბუნებაში, თანადროელობა
და ისტორიული წარსული ერთ მილიან, გა-
ნუკვეთელ სხეულადაა ქცეული. პოეტა ის-
ტორიის თანადროელობის შერას შიამკრობს
და თავის ინდივიდურ შინაშამყაროთი წარ-
მოსახავს. ასეა შესრულებული „სულხან-საბა-
დაეით აღმაშენებლის საფლავთან“. ისტორიუ-
ლი პიროვნებანი თქვენს წარმოდგენაში თავი-
სი ინდივიდურობით წარმოჩნდებიან. გვირათ
ტარიელ ჰანტურისა პოეტური ხილვისა, მისი
პოეტური გეგმისა, რამეთუ ბუნებრივად მი-
განნიათ ლექსში გამხვდელი აქტი, თენდაც
ისტორიულად სინამდვილეში არ ეყოხ დადას-
ტურებული. უცოთმელია და დამაქვრებელი
მხატვრული მრწამსის განსხვავებისათვის პო-
ეტის ისტორიული ასოციაციები: საბა — სვე-
გამწარებული დაშლილი საქართველოს სიმ-
ბოლოა, დაეითი — ერთიანი ძლიერი საქარ-
ველოსი.

... ტარის გელათის ცა. გელათიუ მოთქვამს
ზარგანხილი. სიმინლად ლქორაგს მის სიერ-
ცდროში, ძეხორციელის არაა ქვაწინება. და-

ნათლით. დადგმულ ტაძართა ხილვა პოეტ-
ში აღძრავს ყოვლადღებურულ მამულიშვილურ
კრძალვას:

ჩაღმან სპარსთა, უქედო ლეთა
ხმალი და ხმალი რეკდა და რეკდა...
ჩაგვესმა ეს ხმა ბავშვობის ძილში,
გაჩინდებული ტაძარი შერთა.

ლოცვით — ათასი ღელუნა სანთლით,
და ანაფორის ამარა სარდლით,
და კიდევ — გმირთა შალაი ნებით
და ერთნებობით — გადარჩა ქართლი.

და დგას ამიტომ მინდორში სახტად
საყდარი — შენ რომ უყურებ საყდარს —
როგორც სიზმარი ათასში ერთი,
მოულოდნელად რომელიც ახლას.

„მთაწმინდელის დბრუნების“ რიტმში, მის
ოღნავ ზეაწველ და ექსპრესიულ ტონლობა-
ში, მთაწმინდელის მოწამებრივი, მოციქულებ-
რივი სახეა წარმოსახული. სახე ამ კაცისა,
რომლის მთელი შინაგანი არსება სიჭარბე-
ლოს ტრავმატულ ბედთან იყო დაკავშირებული:

ათია ლამე, იარა ბევრი,
ახლა მამუელს მოივლის ბერი,
თქმეა უპოვარს მამული საღ აქეს —
ბრუნავს და ბრუნავს
წამების კვერი..

თითქო განხმულიყოს გარდასული სამყაროს
მაგიური წიაღი და ვხედავდეთ ვით შთანთქმებს
ჩვენსკენ მთაწმინდელი — მთაწმინდელი სიჭარბე-
ველოს სულიერი კედლების ხატი, ისტორიე-
ლი წარსული მოიღრტვის ჩვენდა შესარწყმე-
ლად. გარდუვალია: მთაწმინდელის სულიერმა
ზეობამ უნდა შემოაღწიოს ჩვენში:

ათასი ველი, ათასი სერი,
რამდენი ფიქრი, რამდენი ფერი...
ზევით და ზევით,
აღმა და აღმა
იღის და აღის ქოუტი ბერი..

გაცრეცილი კაბით
გალეულ ქორით —
მოღის და მოღის
შორის და შორით..

ტარიელ ჭანტურისათვის მითოლოგიაც ცოც-
ხალი და მარად ქმედითი ფენომენია. უწინა-
რესად, ის სპარსდენი არაა, რომლის მეოხებით
მკვთოდად ჩამოყალიბებულ მიმართებებს აე-
ღვნს გარესინამდვილესთან.

ქართული პოეზია მრავალგზის დაწვდებია
ამირანის მიოს. პოეტი ამ მიოს სხვა ელფერს,
სხვა მხატვრულ და აზრობრივ გადაწყვეტას
„მნათობი“, № 6

ანტიკებს, სხვა სიბრტყეზე განდევნის. თუ მიოს
მიხედვით უროს ცემისგან რამდენიმე წინა
ღრმად იჭრება, ამ შემთხვევაში მისი მნიშვნე-
ლობაა: „ისმის ქუხილი, უროს ცემა, ხმები ჯაფ-
გურის, და გვარძობ, ნელ-ნელა როგორ ამოდის
პალო, რომელზეც ამირანი ყავთ მოწყვეტილი“. აქ
უროს ცემა უმაღლეს სამკვედრში უროს ცემას
მოგვაგონებს, ქუხილიც განბრძნობილ მსხა-
ტებაზე მიგვანახებს. ამჟამა პოეტის მისწამ-
სი: უნდა გაიმარჯვოს ამირანმა — სიკეთემ,
თავისუფლებამ, ჭეშმარიტებამ.

ასევე თავისებურ პოეტურ სამოსელში ჰყვებს
ტარიელ ჭანტურია სურამის ლეგენდას, აზოგა-
ლებს და ღრმა აზრობრივ ქართულითულობას
ანუგებს: „მეც ზურაბივით, დაბრუნდა კედელში
ჩაშენებულ გუფარ შეამდე... ნახევრად შინაც
რახან გადავრბი — ნახევრად შინაც ვიგვრძობ
ჭრუანტელს!“ სამშობლოს განცდა პოეტის
გონებრივ — ემოციურ პრიზმაში გადატყდა და
ინდივიდუალი მხატვრული სახეშისილება მიი-
ღო. ამ მხატვრული ინდივიდუალიზმით ზერხ-
დება მისი სივლა ზღურბლთან, საიდანაც
„ქართლის კედელში ჩაშენებული“ პოეტის
გონებისთვალა გადაიხედავს მომავლის იდეა-
ლურ სამყაროში, და თვისი მამულის კირთე-
ბათა უტყვ მოწმეთ — არმაზის მოთბმა მიმარ-
თავს თანამეზობლებს, რამეთუ ამ მოთბმა იგემეს
უწინარეს თავის ბებერ და დანებულ მკერდზე
მირიად ურჯულოთა ცხენთა ფლოკეების:

გაიჭრიალა მომავლის კარმა,
ჩავსო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაოშარ არმაზს,
ჩემო შვირფასო მთებო, სადამდე!..

ტარიელ ჭანტურისას პიროვნული და პოე-
ტური შინაბუნება, ღირსებები და სულიერი
ძალისხმევა, უწინარესად თავად მის შემოქმე-
დებაშია გამომავლებული. ქართულ სიტყვას-
თან ჭიდილით გამოკვეთა მან ორიგინალური
პოეტური სამყარო. ტარიელ ჭანტურისას ღექსი
გამოირჩევა. ეს ბევრს ნიშნავს. ღექსი რთ-
შელშიც ყოველივე დადგენილია და მხაშხარე-
ული, ვერასდროს აშლადდება პოეზიაში. რაც
საყმათობა, საინტერესოა, ღირებულება ასე
თუ იყო.

პოეზია დახვეწილი გრძობებისა და ნატიფი
გემოვნების მკითხველს მოიხიფებს. რადგან პო-
ეზია ზელოვნების უარესად სპეციფიკური
ფორმაა, ბუნებრივია, იგი ვერ იტანს ყოველ-
ნაირ მკითხველს. ხოლო კარგი მკითხველი თა-
ნამშემოქმედი პოეტისა. ეს მტკიცეული სა-
კითხა, თუ შთაქმედებით თანამედროვე სუ-
ლიერ ფასეულობათა განვითარებას ძალზე
დამაფიქრებელია. რა დასაძალია: მწირი შე-

მთვრელები, ოდეს ნამდვილი ხელოვნება მიუწოდებოდა, „მთვრელები“ რჩება, ხოლო თავდასიანი ნაწარმოები — დებამტები, სათავგადასავლო ან ბუღალრული რომანი, გემოვნებას რომ იმდაბლებს, ფართო გაერცელებას პოეტიკას. წამილია ზღვარი, გათანაბრებელია მხატვრული ხარისხი. ზოგჯერ ნამდვილი შეიხვედი დაბნეულობა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ტარიელ პანტურიას ლექსების წიგნი „დასასრული“, 1971 წელს რომ გამოიცა, დღემდე აწვია თაროებზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს კრებული ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო თავად პოეტის შემოქმედებაში, არამედ უმანსეველ წლებში გამოცემულ პოეტურ წიგნთა შორისაც.

სულერი ავტორის ეს ხენი გლობალიზაციის და განსაკუთრებით საერთო ხდება დღეს — უმძლეურო ევოლიუციისა და მანქანის ეპოქაში. ჩერ კიდევ საბუნების დასაწყისში წინასწარპროგნოზირება ბლოკი მეოცე საუკუნე პოპულარობისაში დანიშნულია.

დღეს ბევრი იწერება ხელოვნების, კერძოდ პოეტიკის ხალხურებაზე (ხალხურ პოეტიკას არ ევლდისსობა). ხალხისათვის უცხო და გაუცხოებული პოეზია, რაღა თქმა უნდა, უსარგებლო, პრექუილია ნიუთა მსოფლო. მაგრამ ამ საკითხის ცალმხრივობასაც განვიხილავს შემორე უილფრედასამად მიეუფარო. ესაა პოეზიის პრინციპულია. მკითხველს გემოვნება უნდა აფაზდლოთ და დაეხვეწოთ. ეს იქნება საინდარი პოეტიკისა და შეიხველის წიაკონებასთან ერთობლივი ზიარებასა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ბრალო დადება“ არა პოეტს, არამედ მკითხველს მისს. ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ ელიტირ წრეებში აღიარებული პოეზია უცხო დარჩენილია ხალხისათვის. თიქს ელიტირ აზიბობა: მე კმაყოფილი ვიქნება, თუ ასი მკითხველი მაინც შევიკლვას. აღბათ ვასივებია, როგორ მკითხველს გულისსობდა პოეტს. ნებისმიერ ქართველს რომ ქეიბოთ, მეოცე საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტად ვალეკტორნი ტაბიძეს დაეისახელებო. თუ რატომ, ამას ვერ ვატყვით. მან უბრალოდ იცის ეს აღიარება და მეტი არაფერია, თუ „მესაჯღავისა“ და „მერისა“ მსოფლომეგონებას შედარებით თაღად მიხედება ვაუნთღებელი გულზეც კი „ღურჯა ცხენების“, „შთაწინდის შთარის“, „ფუმერის“, „თოვლის“ ფილოსოფიის შეცნობა უძირთ განსწავლულ სპეცილისტებსაც კი. ვალეკტორინის პოეზიის ღრმა შეგრძნება ერთველეს ხელეწიფებათ ოდენ. ამიტომაცა ვალეკტორინი რწველი რწველთა შორის.

ტარიელ პანტურია მამბებელი პოეტია. მისი ლექსების კითხვა უმაღლ მოულოდენლობის გრძნობით აღსავსებს მკითხველს, მისწინთ თუ

არ მისწინთ მისი ლექსი. მაგრამ პოეზია მიწინდება-დაწუნება არაა. (წინდის მიწინა) უნდა, ჩვენ, მკითხველებს, სრტტმს უცხლტტმს უცვლტტეს მოგვეწინოს ან არ მოგვეწინოს ესა თუ ის ლექსი. ახეთ ღროს ჩვენი შეგრძნებაც ისეთივე სპეციფიური იქნება, თავად პოეზია რომაა. მაგრამ, კატეგორიულად მტვიცება, რომ ჩვენს მიერ დაწუნებული ლექსი არ ვარტა (ან ზირიქით), მიუბტებელი ცოდვია. პოეტს სწირად საუვედობებენ „ეუნათური“ მხატვრული მეტყველებისათვის, „ვთვნილობობისათვის“, მიამბობა იქნება ვიფიქროთ, თთიქოს ტარიელ პანტურიას მიზანს უჩვეულო მხატვრული ახროვნებთა და უბრალო ტექნიკური ვთვნილოობით სურდეს მკითხველის გაოცება. საბტენიროდ, იგი არ ვეუთუნის იმ პოეტებს, საბტმელი რომ არაფერი აქეთ და მხოლოდ ფორმალური ძიებებით არიან გატაცებულნი.

ტარიელ პანტურია დაუდლავად იღწვის თივის ლექსის წყობის სტრუქტურაზე, მის ბუნებაზე, ფერისა და ბეგის, პლასტიკისა და რიტმის პარმონიულ შერწყმებაზე. პოეტს ვმეიება გამოსახვის ახალ ხერწებს, ახალ საახროვნო პრინციპებს. შესაძლოა, ამ ძიებებით ვართულმა პოეტმა ყოველთვის ვერ დაიკვის ზომიერების გრძნობა და კემპირიტმა შთავონებამ დაკარგოს პოეტურობა, მაგრამ თივისთავად ეს ძიება საველისსობა, რამეთუ მიზანი მისი კეთილშობილურია: ამშორის ქართული ლექსი სწორსაზომივობას, ტრევილობას, ღვემტარხმს. ამიტომაც სტოვებს ტარიელ პანტურიას ლექსი ზოგფერთა თვალში უცნაურობის შთამბქდილებას. ხაზხამით უნდა ითქვას: იმას, რასაც ტარიელ პანტურიას პოეზიაში უღტრავებობსახველ საწულუბებლად „ეუნათურ“ სახისმეტყველებად მიანიწვევენ, არის ვნა კემპირიტ პოეტურ ნაწარმოებთა შესაქმნელად. სწორედ ამ დაეიწებული სწრაფვით გამოიკვეთა ტარიელ პანტურიას ინდივიდული პოეტური საწყარო და დღეს, როცა პოეტო დასტრულებული სახით წარბუნება მკითხველს, ხაზი უნდა ვავსავს არა მის უქსეპირიმენტულ მხარეს, არამედ იმ მხატვრულ ხარისხს, რომლითაც ქართული პოეტური ავტორტა ვამბილდრბა.

ვიმიდენ ვამიზე რალაც წამიერ ვაკრთებია ზოლემ აღამიანის არხებში, ამ სოფლად უკვე ყოფნის რომ აგრამონინებს. ვარნა ეს წამიერი ხილვია ოდენ, მოღანდებია, სიხმარეულია. იქნებ იმ „ვახსენების“ წამიერი უნარია, ინდოელი იოვები რომ ფლობენ იღწმლად. ამიტომაც გვეონია აღბათ დღე დღევანდელი წარმავალი და ვანუფიორიბებელი. სინამდილემი ჩვენ მოვდივარს ან მივდივარს (სმოდინდ, მაგრამ მიდინდ წამხვე), და ეს პროეტისა მიმავლობისა და წამებლობისა ბიდებს ხვენთა ღრთის მიძი



რაობის შეგრძნებას. ხოლო დრო მდგრადია და გაყინული, წარუღინებელია იგი. წამიერია მარადისობა და თავად მარადისობა წამი:

მე გამოვედი ცისფერი წრიდან და ისევე ცისფერ წრეში შევედი.

გადავდიოდი ცისფერი წრიდან წრეში, და მინც: შედამ, ყოველთვის ვიყავი ერთ და იმავე წრეში...

თითქმის არაფერი არ იცვლება ადამიანის ბუნებაში, თითქმის არაფერი შეცვლილა დასაბამიდან დღემდე. არც აროდეს შეიცვლება რამე. ამის დასტურია ევგვიტური და შუმერული, შუამდინარეთის და იაპონური, ჩინური და ინდური ძველთშეველესი პოეზია: ისეთივე მიმართებანი სამყაროსთან, ისეთივე განცდა სიყვარულისა, ბოროტებისა, სიცივისა, სიბოლოცისა. ისეთივე ადამიანური, ჩვენითვის მახლობელი განწყობილებანი:

იქნება — ბელი! იქნება — ჩარხი!
იქნება — ყარა! იქნება — სელა!
ან იქნებ — ცრემლი! ან იქნებ — ჩანგი!
ან იქნებ — ძველით ახალი წელი?!

ვინ იტყვის, რომ ზელოვნებაში სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია მოქველდა, რომ იგი საუკუნეთა წილ შთაგონების წყარო იყო გენიოსთათვის და ამიტომ მასზე წერა ამთა ამქამად. ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, სიკვდილ-სიცოცხლის მარად ძველი და მარად ახალი ფილოსოფია იარსებებს. სავსე ისაა, ვინ რა კეთობთ და რა სიძლიერით წარმოსასვს, რა ხარისხში და მიმართებაში გადაწყვეტს გარესსამყაროსთან, რა სიღრმესა და ტრაგედობას მიანიჭებს მას, ის მარადიული საკითხები, ტარიელ ჰანტშერიაც რომ წამოჭრის თავის ლირიკაში, ძველია, მაგრამ მათ პოეტი თავისებური ტონალაობით, პოეტური და მხატვრული საშისვლით მოსაეს:

ვისმენ ტაძრების სიჩუმეს ტაძრულს, წარსულში ვარ და ვისხენებს წარსულს, როცა ვფერავდი სისხლით იარაღს და ვტრბა გულზე გადავიჩარა —

ჭარბული ეტლის წველია ბორბალმა, მზისა და მთვარის წველია ბორბალმა, დღისა და ღამის წველია ბორბალმა, მუხთალი ვამის წველია ბორბალმა.

ზემორე მსველობიდან შესაძლოა ვინმემ დასკენას: ტარიელ ჰანტშერიას ლირიკა „ფილო-

სოფერიკო“. სწორად გავგონებო: პოეზია — ზოგჯერ კაცობრიული, პოეზია — გერმანიული, მათი გავოცა ზელოვნურიც: გერმანიული პოეზიის — სუსტი, არც თემატური და მსოფლმხედველობრივი დაყოფა მიხანსწერილი, ვანი მამულის რეალურა განცდა და ძიება მისი უკეთესი შერჩებისა ისტორიული ძიებებს გააზრებით, ფილოსოფია არაა? ტარიელ ჰანტშერიას ლირიკაში ერთი განწყობილება მეორესთანაა შერწყმული, ერთი ახრი მეორეს აესებს. მისი მხატვრული დიაბაზონი ახრთა შევედარ მრავალფეროვნებაში როდი გამოიხატება, არამედ მათ ორგანულ განზავებაში და შენივთებაში, მათ ღრმა გააზრებაში, იქნება, ერთ რომელიმე მკაცრად ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობაში.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მსოფლმხედველობის, ან თუ იმ განწყობილების, ლტოლვის, ქცევის წარმონაღო ყოველთვის არაა განმარტებული გარესსამყაროს მოაზრებით, არც უამისობაა, მაგრამ ზოგჯერ, ან იქნებ უფრო ხშირადაც, იგი პოეტის შინასამყაროში ღრმად დანტქმით, სუბიექტური ფსიქიკით, მსოფლშეგრქნებითაა ნაზიარები. სუბიექტურს ვამზობ თორემ, ვანა ყოველი ადამიანის ფსიქიკის სუბსტანციური საფარველი ერთნაირი არაა? ამიტომია, დაახლოებით ერთნაირად რომ ვანიცდება სხვადასხვა ეროვნების ადამიანთათვის საშობლოს სიყვარულიც, ქალის ტრფალიც, სიკვდილის შიშიც, ბოროტებაც, სიკეთეც თუ სხვა გამოხატულებანი ადამიანის ენებებისა. ტარიელ ჰანტშერიას „ფილოსოფიური“ განწყობილებანი, უმთავრესად, მის შინასამყაროდანაა ამონათბული. თუმცა, ისიც შეიძლება ითქვას, ამ განწყობილებებს გარესსამყაროს პოეტური იღქმაც რომ ამძაფრებს.

ტარიელ ჰანტშერიას პოეზიაში ბავშვობის სევდიანი მოწოდება მტყავნეულად განიცდება. ისეა რ უაღრეს ამბობდა: „...ოღესსაც არსებული ბედნიერების მოგონებაშიც კი შედამ თავისებური სიმწარეა ჩამარხული. ხოლო სსოენა გარდასულ სიამეთა შესახებ მარადეამს ღრმა ტყვილებს ტოვებს გულში“.

... ამონათბულია მზე შემოდგომის და ოქროსფრად აფეარებმ ვვიოთელ ფოთლებს. ვრილ პაერს მოუთავს ბუნება, ოღნავ სუსხავს. აღმათ ნაადრევად დათოვა მთაში, თოვლის მოლოდინში გარინდებულა მიწა. ცა სუფთაა, ვითარცა ზღვა და უსასრულო, ვით მარადისობა. რალაც წამიერ განათდა თქვენი გულისა და გონების მოუვალ სიღრმეში. სასწაული განწყობილება გეუფლებათ, სიზმარული გერვენათ სამყარო თქვენი: პატარა ბიჭი სკოლისაყენ მიიჭპარის ჩანთით ზელში, ისეთივე ფერისაა ყოველი: ცა ღურჯი და დაუსაბამო, მზე თეთრი და მობრწყინვალე. შამანბასაეთი გაპქრა დრო იგი. მარადისობის გაუფაღმა უფსქრულმა დან-

თქა. ოდენ თქვენს მწუხარებულ მირაყებში თუ გაერთება ეამიდან გამად:

და სადაც სუფსას შვერთვის შუთი მუზობლის ზეართან ვყოვნდები წუთით: შიაქვს ბერკაცს ეკაზუბას აცმა და ყრმობის სეველა — ათასი ფუთი.

ეს განცდა აღსაყვია ამ მძაფრი ტყვილით, დღევანდელობასაც წარსულად რომ აქცევს ოდესღაც. იგი პოეტის მიერ ყოფნა-არყოფნის საკითხებთანაა გააზრებული („ნაწიშიარ ველზე გარბოდა ბავშვი, შევერთო... საყუთარ საფლავს ბეცნიდა...“). ადამიანის წარმავლობით გამოწვეულ ტრაგედულ განცდას ტარიელ ჰანტურია თავისებურად პოეტური ხილვებით წარმოსახავს. მანერულობას მოკლებული და სადაა ეს განცდა, პოეტი არ გაბეზრებთ თავს სენტიმენტალობით, მსგავს თემაზე დაწერილ ლექსებს თან რომ ასღავს განდრობებლად, წრფელი ღირსშენია ამ ლექსთა მიუცილებელი თვისება:

გვიქირს გარჩევა სტუმრის და კოხის — ისმის ფანჯრებზე კაცური სუსტი... გუზგუზებს კერა გამჟვარტლულ ქოხის — მოღერებულა სეველისთვის მუშტი.

მოწყენამ იციან — შევევით თამაშს... და ეფხიზლობთ თემცა მამა და შვილი — დადგება ზამთრის ეგება ღამე და ყველას, აველას გვეყოფა ძილი...

პოეტმა თავის ახალ კრებულში ეს ლექსი პირველი სტროფის გარეშე შეიტანა. ჩემი რწმენით კი იგი აუცილებელ პეიზაჟურ სურათს ქმნის მეორე სტროფში გატარებული აზრის განსაჯდლად და წარმოსახენად, ნამდვილად რომ მიიყვანს კაცს წარმავლობის სეველამდე. ამ ფერწერულ სურათში ასოციაცია ზუსტადა აღბრული და მისი უკუგდებით ლექსმა დაყარა განწყობილების მთლიანობა, განცდის სრულყოფილება, მხატვრულობა, იგი სრულადაც არ უშლიდა, ლექსი კრძობას რომ ამოკრებოდა და განსოგადების შარისხში ასულიყო (იქნებ ეს აფრთხობდა პოეტს). მითუშეტვს, რომ ტარიელ ჰანტურისათვის ეს მხატვრული წესი თვისებრივია:

ახლა ყველანი სახლში არიან, ქარგავს დაიყო ტილოზე კენტარის, და ერთად უოფნის სითბო და სეველა რეკავს... ეს ზარი — მენჯი ზარია...

და ყველაფერი, რაც გიხარია, რად გიხარია — არ იცი თვად, მე წავალ სადმე... ყველანი წავალთ, ჰერ კი ყველანი სახლში არიან...

აბა წარმოიდგინეთ, რა გამოშასხვლობითი სიღრმე ექნებოდა ამ ლექსის პირველ სტროფის გარეშე? შარტო სიტყვები „ქანტურნი“ ასოციაციურად მარადისობასაც აღძრავს და წარმავლობის შეგრძნებასაც ერთდროულად.

პოეტური ასოციაცია ეახსენეთ ზემოთ. ფანტაზიის შეზღუდულობის ნიშანია საგანთან თუ მოვლენასთან ასოციაციის ხელშეკრი სიახლოვე, ვადეპარბებული დამოკრება კი უაზრო, ბრმა ფანტაზიის; ტარიელ ჰანტურია ამ ორი უკიდურესობას ზომიერად ანზაუებს და ისე წარმოვისახავთ სიკვდილს.

... მზემ ფერი დაიღვა შემოდგომის, სელიც გადასხეფერი თითქო. გარეთ ქარია, რალც ივადმყოფური სიმწიფეს განიცდიო, ძემანი კაცისა სარკმელი მოივლინა სამეგრად. იქიდან პერეტს სამყაროს. ღრუბლები, ქარი რომ ფანტავს, ჩამავალ მშის ელვარებითაა ოდნავ დაფერილი და ეს ელვარება თქვენს თვალთა ციალში ირეკლება. მზე, შთათა მიღმა რომ მიეფენება, თქვენს ბნელ ვიღში ჩაილევნებება... ხეღ ნიათი ირხებს ფერგამევირეკულ ფარღებს. თითქო კოსმიური სიგრილე ბინადრობს თათბში. ზეცა და აზინდი მიგაქცეეთ წარსულში. და თქვენ ვრწმობთ, წარმავალი რომ ზართ: ... მავრამ ცხოვრება რაა? (იქნებ ცხოვრება არის სიკვდილის გამოსახმობად ჩამორკეცილი ზარია...)

ზზზ! — რეკავს და რეკავს! ზზზ! — რეკავს და რეკავს, ყველანი სახლში იყვენენ... ახლა არავინ არის!.. მარადიული თრთოლვა მტკრით დაფარული შთვარის, გართმევს კიბეზე ასელის ღონეს და ბავშვურ ხალისს!.. საით წავიდნენ შიინც... საღ იქნებიან ნეტავ!.. ყოველთვის სახლში იყვენენ... ახლა არავინ არის!..“

აქ ორგანულად ერწყმის ობიექტურ საგნებს სუბიექტური ხილვები, სიოცების წარმავლობას პოეტისეული განცდები. ადამიანს დაბადებითვე ჩასაფრება სიკვდილის ღანღი („ცხოვრების ხალხმთავალ მოსაყვდლში ბოლთას ეცემ ისე უხალისოდ, თითქო საყუთარ საფლავს ვტყუნიღო“). გაქვთ ადამიანთან ურთოვრობა, ცხოვრობს მის ვერანთან, მოწმე ზართ მისი სიხარულის, ურვის; იზიარებთ მის ყოველ ქვეყას, განცდას და უეტირად... კვდება. წარმოუდგენელი რამაა, ქარაც ვერ მომწიფებულა ალბათ ადამიანის ვონება, მსუბუქად რომ გაააზროს სამყაროს ეს სასტიკი, უღმობელი, ამოუსნელი ქიშკრა და ძრწილა და შემფოთება არ იგზრნოს მის წინაშე.

— დღე დღევანდელი აღსრულების ეამს მოწყენილა. ჩამავალი მზე სხივებს აფრქვევს უეითელ ფოთლებს შემოდგომისას. ეს დღეც მიიცვალა. აროდეს აღსდგება სამყაროს გაქვეებულ ეამთა დენაში. წამია იგი კაცთა მყოფობის, სამარადეამოდ შთაინთქმება წარმავლობაში. ბეზრეკმა და უნდობლადა წუთისოფელმა ყვლევეც ერთი დღე მიითვალა მირიად წელთა,

დადგება ხელო. ხელოც ამოერთება მზე. ჩვენ აღარ ვიქნებით ოდენ. ხელოც ისე, ვითარცა ვუშინ, თვის მისუსტებულ სხივებს ვითარქვევს ჩამავალი მზე უვითოდ ფოთლებს შემოდგომისას, და დღე დღეგანდელი განუმეორებელი გეგონია, რამეთუ ჩვენს უკანასკნელ ზოლაში ირეკლება იგი. კვლავაც მრავალნი დღენი მოველინებთან სამუაროს, მსგავსნი დღეგანდელ დღისა, გარნა თვალნი ჩვენნი ეღარ იხილვენ მათ ვეღარასოდეს:

როგორც კი მოვა ნოემბრის წვიმა და ყვითელ ზეინებს ნისლი დაშალავს, მამინეე მამის საფლავზე მივალ და ენახე — ქუთუღს ნაყვადმარად. ვერ დაიკავეს გვიორის ფესვებმა ცეშენტი, ღორღი, თიხა და სილა, აწვიმს და... გული დარღობ შევსება მათ გამო, ვისაც ლოდებქვეშ სძინავთ... წვეთავს და თითქოს კისერში ჩამდის წვეთები ცივი და უამერი, ავზილუ ფეხით სიკვდილის ღანდი და საყვედური მესმის მამური. სველდება გვირა, სველდება ბარდი, სველდება ბზის და ნვეერჩხლის ტოტი და მესმის: „შეილო, პო, ახლა წადა, და შერე... ერთხელ... ოდესმე... მოდი...“

პოეტი ამბობს: „სხვა საზრუნავი ბუნებას არ აქვს: სურს, ყველა ძილი — ერთ ძილად იქცეს...“ ეს სიტყვები თითქოს შეგვახსენებენ მორის მეტრატონის სიტყვებს: სიკვდილი ვანაგებს ჩვენს ცხოვრებას და ცხოვრებას არ გაანია სხვა მიზანი, გარდა სიკვდილისა; სიკვდილი ფორმია, რომელშიც ელინდება ჩვენი ცხოვრება, იცვეთება ჩვენი სახე. დიდი მწერლის ეს გამონათქვამი ასე მესახება: მას შერმე, როცა აღამიანი შეივინება დაღუპვის გარდუვალობას, მას წინაშე ორგვარი სახის შეშვებება აღიშარება. ერთია ამოვებით გამოწვეული უკიდურესი, ანუ „ესობველური“ პესიმიზმი, ზღვს რომ ჩაქნევივნებს და აოქმევიანებს: „ჩემს შერე ქვა-ქვაზე წელარ დარჩენილას“. აქვდა ეღება დასაბამი დაუსრულებელ ექსპანსიას ბოროტებისას, უზნებობისას, სიბილწისას. მეორეა, შეგნება აღამიანური მოვალეობისა, კეშმარტი ზრუნვა თვისი ერისა და შამელისადმი, კაცობრიობისადმი ამაშია აღამიანის აღმადლება. სიკვდილის ღრმა შეცნობა ასეთ აღამიანში ბადებს უკვდავების რწმენას, სიკვდილის ტრფობას. ასე მსურლობს: ეს წამიერი დრო, განტვამ რომ გეოწყალობა, აზრითმოსილი ვახადო უნდა, ვალამაზო ცხოვრება შენი. თავად შემოქმედებაც სხვა არაფერია, თუ არ წარმავალი ცხოვრებისათვის აზრის მინიკება, გამშვენიერება მისა.

ამ ესთეტიკური მრწამსითაა აღვსებული ტარიელ ჰანტაშვილის ლექსი „დასასრული დასას“.

რულისა*. ლექსის შესავალში პოეტი, განსოგადებული ყოფითი ნიუანსებით, ოდნე იტონიული ინტონაციით გვიხატავს სამშალოს, მიკეალებლის გაპატონუნებას რამ ქადაგის წინ. პოეტს ეს მოელენა უნებგებს სიკვდილსიკვებლისადმი თვისი მიმართების წარმოსარენად:

სით წაიღუნენ ძველი ურმები — ჩრდილების ამბავს ვერ გეტყვის ჩრდილი... სიკვებლე! — ისიც ლანდია თერმე, ლანდებზე ოდნე მძიმე და ზრდილი.

ყოველივე ამის ღრმა შეგვეცნება ტრავიკულ ელფერს ანიჭებს ტარიელ ჰანტაშვილის სტრიქონებს:

...სად არის ვნება, ცეცხლს რომ ანთებდა და გულს მხურვალე დალით დაღივდა! რისთვის გათენდა, როცა გათენდა, და თუ გათენდა, რისთვის დაღამდა ხომ მოვიტანეთ სული აქამდე — რად მიგვატოვეს ჩამქრალ კანდელთან! რისთვის დაღამდა, როცა დაღამდა, და თუ დაღამდა, რად არ გათენდა...

შაკრამ, რამდენადაც პოეტი მთელი საშინელებით შეიყნობს სოფლად სიკვდილის არსებობის არსს, მით უფრო მეტია მისი ლტოლვა სიკვდილისადმი, სიყვარული აღამიანისადმი, პოეტი გამოხატავს ცხოვრების აზრის ბაბათაშვილისეულ განცდას: „შაკრამ თენდება და დგება დილა, და დასასრული თვით დასასრულის, და დღია ამბობს: ივარგოთ უნდა... იცხოვროთ! იყოთ ივარგოთ უნდა კაცად! პატრონად! მსხვერპლად! მსახურად!“

ტარიელ ჰანტაშვილის აბასიათებს პოეტური აზროვნების სირთულე. ეს კი პოეტისაგან მომველებულ ფორმებზე უარის თქმას მოითხოვს. ღამაზე, შაკრამ აზრისაგან დაშრეტლი სახე, ვეღარ აგზაფოფილდება დღეგანდელი მკითხველის ამაღლებულ ესთეტიკურ გემოვნებას. ტარიელ ჰანტაშვილი 60-იან წლებში, თავისი თაობის რამდენიმე პოეტთან ერთად, იმ ძირეულ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, ამ დროის არსებითი გამომატველი რომ იყო. ვადაფასებელი გარესინამდვილის განსხვავებულმა მხატვრულმა წვდომამ განსხვავებულ პოეტურ სტილი მოითხოვა, რამეთუ ახალი სინამდვილე ახალი გამომსახველი საშუალებებით წარმოსახება სრულფასოვნად. უწინარესად, ამით უნდა შეფასდეს ახალ გამომსახველ საშუალებათა აკვარეი და არა მისი მიხედვით, თუ რა მანძილით დაშორდნენ ისინი თავიანთ წინამორბედებს.



თანამედროვე კართულ პოეზიაში არის ნაკადი, რომელიც, საბუნდევროდ, რთული საპრობლეო სისტემებისაყენ წარმართავს ძიებებს, „აზრის პოეზიას“ ამჟღავნებს. ეს პროცესი სულის ამ ზღვრებს ებჯინება, რომლის ექით საკუთარი შინასამუაროში დანთქმა იწყება. თავად აზრის სიღრმე და უცხოთმულობა იწყებს ემოციას. ისე არავენი ვამივოს, თითქოს ვამცირობდე ესპერიტი ემოციის არსებობას პოეზიაში. არც იმის მომხრე ვარ, ლექსი მოლიანად განსაზღვროს რომ გახდეს, მაგრამ მოზღვევებული ემოციერობა და ირაციონალიზმი, დღეს სედს შუეშლის პოეზიას სწორად აღქვას და გაააზროს, ზუსტ პოეტურ ხარისხში წარმოაჩინოს განარსიანადვეღ. პოეზია ვეღა განვიზარდვა ნაცილი გზებით, ვეღა აიღება გავენვულ თაილამომცრელ ბრწყინავზე, ვერსიფიკაციულად დამვეწილ, არტიკულ, მდიდარი რითმებითა და ალიტერაცია-ასონანსებით შემველ ლექსებით. პოეზიამ უნდა ჩამომიშოროს ყალბი დეკლამაცია, მომვენებით პოეტრია. ამ წინების უუთმგდება პოეტრ ბეწვის ხიდზე აღმომნდება, მხოლოდ ძლიერა მუხლებსა და ნებასყოფის პატრონს სელწიფება გოლა გახვლა.

ტარიელ პანტერიი არღვევს ზეაწეულ რომანტიულობას, საღინარს უსწნის მკაცრ სახისმეტყველებას. მისი ლექსი არაა რაღინირებულე, დამტკბარი, რაც ვსოლენ მოსაყენი გახდა დღეს. არც რიტორიკულია, ავლტორიისათვის განკუთვნილი, იაფფასიანი ვეკტებუით რომ აღწევს მიზანს. არცა ზერჩულია, უსაბერი, შინავღვებული. თვისის სულიერი წიაღიღამ პოეტს ამოაქვს ის, რასაც ვანიდლის და უღრმეს პლასტიკრობას და შინავინ ვსპარესებლობას ანიჭებს მას. ტარიელ პანტერიის მხატვრულ-გამომსახველობითი სერსებას შეფასებისას ხანი უნდა ვაესეს ვრთ არსებით თვისებას. ვსაა, მისი მეტაფორული ანუ სიმბოლური პოეტური ანტიონება. მისი ლექსი მეტაფორულ-სიმბოლური სისიაოსაა, მასში პოეტური შერველდება წარმართულია აღევგორიულ სახეებით, პოეტის რომელიმე სასოვადობრივ, ზნეობრივ თუ ფსიქოლოგიურ წარმოდგენებს რომ გამოსახავს, და ეს სახეები მეტაფორულნი რომ არიან, არამედ ცოცხალნი, ვითარცა სულიერნი.

ტარიელ პანტერიის პოეტრია აღსაესვია მოულოდნელი სახეებით, ასოციაციებით, მეტაფორებით, აბლებურად რომ ანათებენ მატერიის თავისებურებებს, ყოფიერების სახეს, სიტყვის პირველყოფილ არსს. პოეტრ ისწრაფვის კართული ვნის ბუნებიღამ ამოხიღოს ისეთი სტრისმებერი სერსები, მის პოეზიას ანდივიდურ, პანტერიისველ ვღვევს რომ შესწმებს. სიტყვითა შესამებით ასეთ ემოციურ-ფსიქოლოგიურ შეფასებებს აღწევს პოეტრ მეტყველებაში:

„გაქრეცილ კაბით, ვალეულ კართით — შოდის და შოდის შორით და შორიელ... ჩანველ დიხისომა, ჩანავო, ხმალე, ხმალე... ჩანველ მენვენ ვართ დორარება, დორარერი, წვენ ვართ დორარება, დორარები...“ „გვერდიან — სიკვდილია, უკან სიკვდილია, წინაც — სიკვდილია... მარჯენიე — სიკვდილია. მარცხენე — სიკვდილია“. ეს არაა უმიზნო სიტყვათთამაში, „არასიკვდილებრივი“ სახეებისა და ასოციაციების შობავებულიების შესაქმნელად მოხმებობისი. ამით პოეტრ ღრმად შეიმეცნება და ვაიაზრებს მოვლენებს, თავისებურ მხატვრულ სტილში წარმოუჩენს მათ მკითხველს.

ტარიელ პანტერიის სტილიზინი ხანდახან აბსტრაქციას უახლოვდება, მაგრამ მას მოეპოვება აბსტრაქციი განზოვადება, რამეთუ იგი პოეტის თავისებური მხატვრული ველთაა შინა და გარესსამეარსო, ინდივიდური პოეტური წარმოსახვია, ზოგჯერ არ ხერხდება ამ აბსტრაქტული თუ სიმბოლურ-მეტაფორული სტილიზინების აბსტრაქციი ამოსწნა, მაგრამ ეს არცაა აუცილებელი. პოეზია „იღვშალება“ და ამ იღვშალების დამსა შეუძლებელიც არის და ვსთეტეტურის თემათაველით, შინაშეუწინელიც. ლემის შთლიანობაში უნდა შევერჩობოდღეს. მისანი მამინ იქნება მიღწეული, როცა იგი განსხვავებულ განწყობილებებს და ასოციაციებს აღძრავს შერთებულში. კეშმარტრია პოეზია, მრავალნარიი წაეთვისის საშუალებას რომ მოეცემი. ეს ღირსება აქსიათებს ტარიელ პანტერიას მრავალ ლექსს. სადაც მისი სტილი ამ თვისებას შორდება, სტილიზინი კარავებს პოეტრობას და უხემ ასოციაციებს იწყებს. ასე: „შე ვინ ვარ, მაგრამ შინა იცოდე: თავი შესთვის შაქვს ვადღებულე...“ „ბრუნავს და ბრუნავს შინს პულაბუში;“ „კარავა ჩაი, კართული ჩაი, ცუდაი ფიქრი, სიკვდილზე ფიქრი“; „და ნიაგ, როგორც ეანგბადის ბალიშს, სუნთქავს ზვატისგან დამშუი ვადა“; „და შერი სული, სული თერმისი“; „ავევირდები ვალიმებულ ღმერთს და... რაღაცის იმიღე შაქვს შეც...“ „შინდა ჩამოვარბია ხელი მამით დომლებულ დღეველ...“ „მოკრიდა იგი (შობარე) შეღმებულ აბლის, ლდვის კანტიით მოგადგა კარზე;“ ტარიელ პანტერიის აქვს მეტაფორები, შედარებები, სახეები, მისი პოეტური საშეარო და მსოფლმხედველობა მღალმხატვრულად რომაა შათში წარმოთვნილი. ისინი ბვერა ტარიელ პანტერიის პოეზიაში. შათი ჩამოთულია შორს წაგვიტყვას.

ცნობილია, რომ ყოველი მწერლის, შით უფრო პოეტის მხატვრული ინდივიდურობა რიტმში ვლინდება. რიტმული თავისებურება ავლენს პოეტის პიროვნებას, მის შინასამეაროს, მის ტემპერამენტს, ფსიქიკას. ტარიელ პანტერიის მახვალ სმენას უცთომლად იქვს დამტბნილი ამ რიტმული ნიუანსები, თანდროულია

ცხოვრების რიტმს რომ აირეკლავს. რთულია ამის მიღწევა. ნაღდი პოეტური სმენით მომადღებულებს ზღაღმწიფებით უშთავრესად. მისი რიტმი მღელვარეა, შინაგანად დამაბული და ექსპრესიული, ზოგჯერ საღაღვე მიწვებული, ზნორად თაფდაჭერილი და დაურეგული. პოეტო კმნის თავისებურ რიტმულ-ინტონაციურ ხმოერებას, რომლის მეოხებით მყოხველი სწორად აღიქვამს მოვლენებს, ღრმად შთაწელება მის არსს.

ტარიელ კანტურია ბოლოდროინდელ ლექსებში აღწევს ახალ რიტმულ-ინტონაციურ ხმოერებას, აქცევს მას მისეულ, სისხლხორცულ თვისებად და პრინციპის ხარისხში აყავს. მისი ლირიკის ინტონაცია დრამატულია, უფრო სწორად, დრამატულ-ირონიული. ტარიელ კანტურის ლირიკას ამჟერად ატყევა ირონიული საფეწველით შეზავება. ეს მხატვრული ხერხი ორგანულია პოეტისათვის. ასეთი მიმართება გარესნიამდელიისადმი თავად პოეტის პიროვნებაშია საძიებელი. ეს ირონიზმი არ არის ზღვარგადასული, გარდაშავალი ცინიზმში. იგი ზომიერია, არაა გამოყოფილი სტილის საერთო ბუნებიდან. საერთოდ პოეტს იშვიათად დაღატობს ზომიერების გრძნობა. ამიტომაც არ გვენოთარება კანტურიახველი ირონია. ეს ინტონაციური თავისება ერთ-ერთ საიშველო პოეტურ ხერხად მიგვაჩნია დღეს გარე და შინასამყაროს გამოსაველნად. განსაკუთრებით იმ უსათერტური პოზიციის გასამვლავენებლად, რომლითაც ტარიელ კანტურის პოეზიაა გამსკვალული. სხვათა შორის ეს ტენდენცია სხვა პოეტთა შემოქმედებაშიც შეინიშნება. როგორც ჩანს, იგი ეპოქისეული საერთო ხასიათიდან გამომდინარეობს.

ტარიელ კანტურისა ახალ წიგნში არის განყოფილება „აღწერბელი გიტარებო“, რომელიც ჩვენი მოსარებების დამადასტურებელია, ასე:

აქ, N თასწლეულიდან
 III თასწლეულამდე
 ცხოვრობდა და მოღაწეობდა
 ა დ ა მ ი ა ნ ი ..

ლეკისის სათურშივე იგრძნობა ირონია: „გაფრთხილება ანუ შემორიაღური დაფა დეამიწაზე გასაკრავად“. როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს შერწყნია ადამიანის წარმავლობით გამოწვეული ტყეილი და ადამიანის უსუსურობით აღძრული ირონია. ლექსი სვედასაც მოგგვრით და ღიმილსაც ვრთდროვლად. ღიმილს, ამიტომ, რომ ადამიანი და დედამიწა ისეოივე მარცელია უსასრულო კოსმიურ სამყაროში, მიღარტი სხვა ცთომილი რომია, შესხა-

ლოა, დადგეს დრო და დედამიწაც მყოფვეს საკლეე არედ იქცეს, დღეს შთავარეს ან მარსს რომ იკლავენს.

გიგზლირთუქანა

ტარიელ კანტურია მყირე საღეკსო ფორმას ამლეეს უპირატესობას. იგი უფრო ესადაგება მის პოეტურ ბუნებას. ეს სულაც არ ზღვდაეს ლექსეის ანაშტაბურობას. პოეტი აღწევს სათქეელის სრულყოფას. მისი პოეტური შეტყეელება უაღრესად უსუსტია და სნაორი. სიტყვა უოველთვის თოიყე მინაბრისის დამტყეეია, მრავალგანზომილებიანია. საბოთმო სიტყეეაც კი დიდი სიფრთხილითაა მოძებნილი. ეს აღრმაეებს ლექსის გომზობათა სიმდიდრეს და სომეფრეს. ამიტომ თომელიმე უმნიშველო სიტყეეის ამოღებაასაც კი, სუეულია დარღვიოს სნერთო მხატვრული კსოეილა, ცვალება განაცდევინოს იღვეო მინართულებას. ტარიელ კანტურია რომ ნამდვილად ახერხებს თროთღატოიონში დიდი თოეულობის სათქმელის ხატეეას, ამას თოწყობის მისი სამსტრექონიხი ლეკი „შამთარი“:

ოცდასამი ღამეა უეეე:
 ცოლის მავლიო — ცოლის თაველში
 გასკეული აფერით თაყეიი..

ამ პატარა პოემაში, ადამიანური უოყის ტრეგედიაა დატყული.

ღეე ცოლცოთი ამბობდა: ასელოვანი თაეისა საეკესიო უმადღესი განთლებია დღესეე უსდა იღვესო“. დიდი მყოალი არ გულსინთადა აელოვანის წიგნიერ განთლებეეას. ხელოვანის თბელეკტმა, მისმა საღმა გონგასწეეოთაა, ღრმად უსდა შეიმეენოს ის თბიეკტეოი სინაადვილე, რომელსაც ცხოვრობს და თოეემედებს. თეე არ გამეგოთ, თითქოს ლირიკოსი აოეტის უპირკლეეს ამოცანად საზოგადოებრიემოლიციერ ვითარებების ძორღამირ განთახებეს ეთვლადე და ვაქეეითებდე შექოქმეღის უსეიეიკოს აოეტური განსხეულებას. შაგოამ, როცა დგება დრო თოა იღვიოსა, არამედ ჟერქისა და აზროთსოღებისა, როცა აუცოლეეელია მყორეე ნეარამ მართალი სიტყეეის გაფთხება, კეემაბრეტი პოეტი გაფერიდება გულბტყეეილო ოდების წერას და ღრმად შეიკრება ერის სულიერ საფიქრალში:

შენც ხომ გვეალება, ჩანგო,
 ეტრატებში თაეი ჩარგო,
 შენც იქნით სხვებთან ერთად
 სხაოღი სხაილი არ ჩაგო!

ამ გამძლეებულ მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციას პოეტისა, იმავ დროს, მთელი მისი შემოქმედებითი მრწამსის გამომხატველიცა. გამომხატველი იმისა, რომ შემოქმედება, პოეზია, არაა ოდეს „ავლონა“, ღლიანი ტუბოლოთა ხმათა, ამოდ სსმუნელი, არამედ იმ ტაიფილების გამოვლენა, ისტორიულ და საზოგადოებრივ ნიადაგში რომ აქვს ფესვები განტოტული. პოეზია, მისი რწმენათ, ხალხის ზნობრივი და ეროვნული შეგნების ამბილღებელი. ამიტომ, რომ ტარეულ კანტურთას თითქმის ყოველი ლექსის მიღმა შეიგნობა ეროვნული ტაიფილებით შემოქმედებული კაცის სახე. ზოგჯერ ამ განწყობილებას პოეტი ისეთ უკიდურესობამდე აეიფარებს, რომ ლექსი აშკარად შორდება პოეტურობას და მის ადგილს განგრვინებული აღმანიის შეტყულებას იყავებს („ძალდიო რა ბნელი ღამეა! ძალდიო! ძალდიო! როგორი წვიმაა! ძალდიო! აქ სადმე მათელს არ გამოვდიო! ახლოს არისო, ეს არის ახლოს?").

ტარეულ კანტურთას შემოქმედებაში არეკლილია ბუნად მღელღარ წინააღმდეგობებითი ისლავუე თანდროულობა, განდენდელია ობიექტული მზერა საშუაროსი. მისი პოეტური ხილვა ღრმადია შეტრილი გარესინამდვილის მიუხაღ შრეებში, ამოაქვს იქიდან არსებითი და განზოგადებული მხატვრულობით წარმოსახვას მას, ეს ხდის მის შემოქმედებას მოლიან განუყვეთი ფენომენად. მაგრამ, რადგანად ლირიული პოეზია ხელთენების უარესად სპეციფიური ინდივიდური ფორმაა, სინამდვილის ეს მოაზრება არა პირდაპირია, ზოგჯერ არცე უხადი ბოლომდე. უხილავი ნათება იგი. ტარეულ კანტურთასათვის ემპირიული საშუაროსი იმდენადია საინტერესო, რამდენადაც, უწინარესად, მისი სუღერის მღერმარეობის ემოციური გადმოცემას ემსახურება. ეს რაც უფრო ღრმად შეიგრძნობა, მით უფრო იქმნება იღუზია პოეტის შინასამყაროს სუბიექტივისტური წარმორჩენისა, სინამდვილეში, იგი ინდივიდუალურუბელ მთაზრებაა გარესსამყაროსი, ამანია ლირიკის ღერსება.

რა გზებით აღწევს ამას პოეტი? ეოდრე შემოქმედი თავისი მსოფლმხედველობის საბოლოო ჩამოყალიბებას და მომწიფებას შალწყვედს, მისი მიმართება გარესსამყაროსთან, უმთაგრესლ, ემპირიულია; მხატვრული ხარისხიე საშუაროსი. ამის შეცნობისას პოეტი წინააღმდეგობაში ემყევა სინამდვილესთან. თავისი შემოქმედების ემპირიულ დროსაც* მწევედ იხსენებს. ტარეულ კანტურთასაც განცდილი აქვს შემოქმედების ეს აუღენელი ხედრი. იგი ამბობს: „ის დრო სხვა იყო — მე მასხოეს ის დრო და სინანულით ვიგონებ იმ წლებს, ახლაკი ეხედავ ხასხასა მინდორს — მე ვაგეაპარებ მღეიმოდან სიბრძნეს...“ პოეტი საყუთარი სუღერი უღსკრულებსსაეენ წარმართავს მზერას,

იგი ინთქმება თავის შინასამყაროში. ეწეება ლეთაებრივი პოეტური ინსპირაციის მჭერწეა ინდივიდური პოეტური საშუაროსი, ეწეება ამის უნარი არ გაანინი, ემპირიუზმის ზედაპირზე იტეიტეებს მარად, ტარეულ კანტურთამ ვაღაღახა ეს საბედისწერო მერეა.

მწერალი ერთიანი ძალით წარმოსახავს თავის შინა თუ გარესსამყაროს. ამით აელენს იგი თავის ბუნებრივ აღამანურ ნატურას. იმავ დროს, საყოველთაო მისწრაფებების გამომხატველიცა. მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველი აღლად ეჭებს განსაზღვროს თავისი ადგილი საზოგადოებაში, გეგრევეს რთულ ვითარებაში, შეიმეცნოს უარესებითისი განზომილებაანი დროისა. ზოგჯერ მკითხველში რომელიმე მისწრაფება ან იღვა ჩამოყალიბებული, გაუზინგანებელი სახითა დაბუნებული, პოეტი თავისი შემოქმედებათ ფანტავს ამ ბუნდოვნებას, ამყარებს რწმენას. მაგრამ ამას დრო სჭირდება. რასაც ადრე ქვეყნობიერად გრძნობდა მკითხველი, მომავალში დაიწმინდება, გამთლიანდება, გაზენობიერდება, ფერგამჭეორველებსს შეიტენს, ხალხი პოეტის სიტყვაში ამოხსნის თავის თავს, აზრებს, მისწრაფებებს, იღეალებს.

მე ვაგეაპარებ მღეიმოდან სიბრძნეს — ამოცრობა ერეკმლის მეცელს, ჩაფერიღდება აწურულ კსერს, ჩებებულება მომავლის ფერცელს, ან როგორც ეაზი დაღერიელ ქიკოს — მიეტმსნება მხსნელსა და მკითხველს, რომ ვაგეაპაროს გულბორბტ ცუკლომს, გაყვეს ქალისეენ მიღენილ არეეს.

შეცნორულ-ტექნიკური მხალრი აღმაველობა ძლიერად ზემოქმედებს აღამანური საშუაროსი ყოველ სუფროზე. განსაეუთრებით, მის სუღერი სუფროზე. იგი ქმნის არა მატრო ახალ პირობებს, ახალ შეხედულებებსაც, ახალ თეილებებს, ახალ შოთხოვნებს, საყოველთაო თუ პირადულ მანამდე უცნობ წინააღმდეგობებსაც. ეს პირობემა უაღრესად სათუთ მიმართებას შოთხოვის შემოქმედისაგან. მასში ღრმად შთაწედიმაა საჭირო, რეალური ვააზრება მისი. ერთობლივად მოუწეეთ ბეწვის ხილუე „ავსეირნება“ პოეტს და მკითხველს („თეა, ვამგე“ ვაუჯებს ვამგებს“):

მოზიდა ღმერთიმა ჩალი — ხერავს ქვეყანას ჩალით. მეუ მატანს ღმერთი ძალას — მე მამუშავეებს ძალით: ეჭურავთ ქვეყანას ჩალით, ვიფენთ ჩალაზე ჩალს... ზეღავს კაცი და ქალი, ღმერთი რომ მატანს ძალას.

ეს ღმერთი არაა მითოლოგიური. არც სიკეთის სიმბოლოდ შემცველი ღმერთია. ადამიანის შინაგანი ობიექტური ვითარებით აღზრულ განცდებს აელენს პოეტი. შვითხელისათვისაც მასობრივი და ორგანული იგი. ადამიანი თავისი არსით ისეთი ფენომენია, რომელიც ვერ ვეუბნება შემოქმედებითს შეზღუდვას, შინაგანი თავისუფლების დაქვეითებას. ამ უქანსკენლის ვარუშე ადამიანის ცხოვრება ჰგავს აზრს, რამეთუ შინანი თავისუფლებისა, უზენაესია. ამას პოეტი ვრამოებს ყველაზე მწეივედ („შეუც მატანს ღმერთი ძალას, შეუც მამუშავეს ძალით“). იგი ვპყვეა ყრუ სულიერ ღებრესიანი. ვარესამყაროს ძალები ზეაედ აწვება პოეტის შინა ინდივიდურ საშეაროს. პოეტი იბრძვის მათგან თავის დასაღწეად. მამტრ კოლიზიას ქმნის ეს პროცესი. აქედან ეღება დასაბამი ტრაგიზმს. შემყოფიბელი პოეტი თავის „მფარველ“ ღმერთს შესთხოვს:

ღმერთო, ნუ მატან ძალას
 ნუ მარბენინებ ძალით,
 თორემ იქცევა ალაღ
 ერთ დღეს ხორცი და ძვალი,
 რომ წაეკიდოს ალი
 სიმწრით მოზიდულ ჩალას..

ნუ მამუშავეს ძალით..
 ღმერთო, ნუ მატან ძალას..

სამყაროსთან ეს კონფლიქტი უბიძგებდა სხვადასხვა დროის ხელთახანის სწრაფვას პარაშიონულობასთან, ღეთაებრიობასთან ზიარებისად.

ზედნიერია ვრი, მთელი სიღრმით რომ შეუცენია თავი თვისი ისტორიულ და თანადროულ მსოფლიოში; ესაა უწინარესი წინაპრობა მოძრაობისა, ქმედობისა, ერის სულიერი ზეობის დაშაბუნებისაგან ვანრიღებისა, სწრაფვა უზენაესისადმი, რამეთუ „... მიზანი ყოველი ვრიისა, მისი არსებობის მანძილზე, არის ოდენ ღმერთის ძიება, დიას, უთუოდ საკუთარი ღმერთის ძიება და რწმენა მისი, დთარცა ვრთარებისა კეშმარტებისა“ (ღოსტოვესკი). ამ კეშმარტებას ვანრიღებულ ვრზე ჟუნღლის კანონი ვრცელდება. ურყეფია ბუნების წესი: მინდია, ვიღრე შეჭურვილი იყო მადლი ოღეიღებით და შეგნებული ჰქონდა, რომ „... ეკლავთ იმას ვინაეა ჩვენსა დაარღვეეს შეებასა, ან მამულს ვვაროშებს ან ცოლსა, ან ვეშლის რეულისა ენებას...“ — ღევენდარული, ერის მთლიანობის ვანშასხოვენელი პიროვნება იყო. ზოლო, რეგორც კე დამკარგა მისი შეგნება, უბრალო. „მოკიდეა“ ზესტრად იქცა უშაღ, ყოვლად უსარგებლო თვისი ვრასთვის. ესაა თავი და თავი ვრთა თეიფემორტევესა. ილია

კავკაზებზე მთელი თავისი ცხოვრება ჟართე-ლი ხალხის ვროვნელი თეიფშეგნების ზეაღსკლას შესწირა. ჟერაც არ დამრულეწეულა ეს პროცესი. იგი კი საწინდარია სრეკანის, თეფსუფლებს, კეშმარტების მოახლებოს.

საქართველოს ისტორიაში იყო დრო, რიცეა ჟართევი ვრი ვმინაედა ურწელოთა უღელმევში, კელაენენ მის წმინდათა წშიდას, თეიფ არსებობაც კი მისი საბედისწერო იქეს იწევედა („მონა ვარ ხონტქრის და ისტამბულის, მოენა, ძალღვით ვეშე დაბული“). მავრამ შეგნება, რომ ეს არ იყო მათთვის „მესაყრცი“ მოეღენა, საჰირო იყო ბრძოლა და არა მონერი კედმოსრა, აროდეს ვანჟარვებული ჟართე-ლის სულში. მარადეამს ღეოიღა რწმენა ვანახლებისა, აღზევებისა, ვარდამოხსნისა („შეაშაყება რომ ჩემს ხერგმავს მონური მოზრა არ ხერგება“). ტარიელ კანტერის ღექსსა — „ოღისევისი ღამით“, და ზემორე მსჟელობას შორის, იქნებ, ვერ შენიშნოთ რაიმე ვარევენული კავშირი, მავრამ თუ ღრმად ვაიაზრებთ მას, უმალეე შეამჩნეეთ მათ შორის შინაგან, მიზეზობრივ ვანუყოფლობას. ღექსის საერთო ვანწყობილება ვაბლებთ ოფიქროთ არა ოღისეესზე, არამედ ოღისეესად ვარდასახულ მოვტზე, მის სულიერ მღელეარებაზე.

ასეა მის მრავალ ღექსში.

ღექსის ვარევენული პირობითობიდან პოეტს ელასტიურად ვადეყავართ იმ ფსიქოლოგიურ არეში, რომლის მეოხებით ზორციელდება ღექსის არსის სრულფასოვანი წარმოენა. თუ ეს ვერ შევიგარქენით, მის ღირიკაში ვააზრებელი მსოფლმხედველობა ხელიდან ვაგვისხლტება. ტარიელ კანტერია მხატვრული ვარდასახვის უნარიან აღწეეს ამას. ზოგჯერ იმდენად დამაწერებელია ეს ვარდასახეა, რომ ვეზვეენებთ, თითქოს ფრანსუა ვიიონის ნაყელად თეად პოეტი ვოდებდეს: „მე დავიღალე საფლავეში წოლით — რა მომიშეშებს ამღენ ნაწოლებს...“

ტარიელ კანტერის ხედვის არეალი არაა ვრთხასოვანი. თავისი იღური მრწამსის ვანხეულებებისათვის ირჩევს სხვადასხვავეარ, ოღონდ მისთვის ორგანულ მოეღენებს. „ქვათახევის მიმასტერს“ პოეტი ასე იწეებს:

მე ვადეედი მთეგარი გზიდან
 და ვეებე შენსკენ მოშაველ ბიღის.

რაღა თქმა უნდა, ეს ფრანა არაა მხოლოდ პოეტის ფიზიკური მოძრაობის ამხსნელი. ღრმად სიმბოლურია იგი, თითქოს მთელი საქართველო ღაღაღყოფდეს თავის საბედისწერო სატკივარი, — მართალს და ნამღელოს. ისტორიულმა აგებლითობამ საქართველო ვადეყენა იმ დიდი გზიდან, დავით აღმაშენებელმა რომ სწლითა და სიბრძნით ვეაყუთ, თამარმა

რომ შარავანდელით დაამშვენა. უკაცრელად დამდგარა ქვათახევი. უსასრულო სივრცედრო განფენილა პოეტსა და ქვათახევის მონასტერს — გარდასულ დიდებას შორის: „ველარ იმავრებს ღროს და წვიმის წყალს ისრით გამტვლარი ძველი კრამიტი. ღრმა კრილობისათვის მიკირს შეხედვა — ამ დამსკლარ კედლებს ჩემი სისხლი დის... ღრო გაკრილია სამარგავით!“

ამოხერხდა მისი მთების მიმწუხრის სევდა და დაიქანცა იმა მთათა იდუმალებით. მიღრეკილს მხეში მიწას ფარავს ეამი უკამო, ჩამოძარცულა დარბანდის დიდი კარები. პოეტისათვის თვითველი ქართული ციხე, მისნი ნანგრევნი, მისნი ლოდნი, ჩვეურობა მისი, თვისი მამულის გარდასულ დღეთა სიმბოლოა შეუღარები. ამიტომია სამშვილდზე მწუხრული დადი მისი:

ამ ლოდებივით — დიდი ცხოვრებაც
ჩაყარულია ყვითელ ბალახში.

ამ სტრიქონებში გამყდარებულია ტრაგიკული ბედი საქართველოსი. დიდრო ამბობდა: „თუ ნანგრევთა ფერმწერი არ აღმარავს ჩვენში მოგონებას ცხოვრების უკუღმართობისა და ადამიანის ნამოქმედარის ამაოების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მხოლოდ ქვების უფორმო გროვა დახატა“. .. წიად და წიად, ჩვენთა მთათა სევდათ სიღრმეში ინთქმება მისი მარტვილი სული. მას ემალება დაბინდული ქვესკნელის მწუხრი, თეთრი ფერის უსასოო გარდაცვალება, მსალმოზელი ეამი. ეული, ეამი უსახო და უსხეული. ეს გრძნობა ისე ღრმად ვამქდარა ქართველის სულში, ისე ჩაყარულა მის სისხლში, რომ მას ფარულ ლანდად თან დასდევს მუდამ იქვი და შიში ისტორიული ტრაგიკულობის

განმეორებისა. იქნებ ეს შიში წარმოასხვეთია, გარნა საფუძვლიანი განცდის განმეორებისა

მასსოვს, ეილაცამ მონად გამყიდა,
მერე ეილაცამ მონად მიყიდა.
ახლაც ყოიწა მესმის გაღმიდან,
ცეცხლის შუბები ელავს ციხიდან.

გინახავთ ალბათ ფერგიდნელ ქართველთა თვლები, ტრაგიკულობის დამლით ალბეკლიონი, მწუხარედ მზირალი თვლები. შიშინარევიანი ტრევილით გამშრალი მხერა, საუკუნეთა წიად მარტივლობით განაწამები, პასიურობისაყ რომ ითავსებს და ფარულ ენერგიასაყ, უმოქმედობისაყ და შურისკების უსაშველო წადილსაყ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ამ თვლებით მიმზერს ტარიელ კანტურობს პოეზია. და დაბრწის პოეტის უვარო სული ჩვენთა მთათა სევდათ სიღრმეში, ჩვენს დამეგებში ეიებებს ნათელს, ოდესღაც რომ შთაინთქა მწუხრში:

მეწვის სხეული...
უღეთოდ მიყრული

და მითასმული ცხენის ტატაზე —
მე ვწუხებარ შენზე, ვწუხებარ და ვფიქრობ
შურისკებაზე და გაღახდაზე.

ბერი სტრიქონი განქარდა ფამთადენაში, უამრავი განქარდება კვლავ. ტარიელ კანტურობას არაერთი სტრიქონიც დაიღვეება დაეიწეების უშორეს ფსევრზე. მაგრამ პოეტს აქვს ლექსები, ამაყად რომ წარათქმევენებს:

ზომ შეიძლება დიდ სამრეკლოზე
ხანდახან ჩვენიც რეკდეს ხარები,
და ღროს დაანდეს ჩვენი ლოცვები,
ვით ნაყველვეი დინოზავრების.

„როსა არწივი წაიშვა...“

ე. ჰონიგმანის გამოცელებით თუ ასე ვისარგებლებო, საერთოთა ერთდროის ეფემერულ ილუზიას კი შევექმნით მკითხველს მაგრამ შეცდომები მიინე ვაგვეპარება. რომელიმე შრომის დამოწმება, მისი ერთხელ სრულად მოხსენების შემდეგ დასაყვირებულია, შეიძლება ასე: „შემოკლებით: თსუ შრ., 59“ (წიგნის გვ. 79), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საერთოთა ამ შრომას ვეხებით, მაგრამ მასში დასახელებულ გამოცელებებზე მიითითებისა წყაროს პირველად მოტანის სახელი უნდა აღინიშნოს და „მღრ“ მერამე უნდა დაიწეროს. თა

ნაც: წყარო უნდა შემოწმდეს ორიგინალში წი-
ნაოდღევ შემთხვევაში არაოხებულ ავტ. 310-
ის მსგავსი რამ სწორად დაეწინაურება

2

ბ. ლოლაშვილი უმთავრესად და ვრცელად
გვება ორ საკითხს: 1) ბერტე იბერისა და ფსე-
ვდო-დიონისეს იდენტიფიკაციისა და 2) ფი-
ტიური „ზაქარია ქართველის“ ისტორიულად
არსებობის დასაბუთების უწყალო ცდას. შე-
ორე საკითხი ჩვენ ვადაქრალად მივაგნინია
მაგრამ იმედობელი ვართ შესაძლედ დაეუბრუნ-
დეთ მას.

წარ მივეყვით წიგნს კვლადაკვლ. შესავალს
(„წინაპე“) ავტორის იწყებს შემდეგი სიტყუ-
ებით: „ქრისტიანული ნეოპლატონური ფილო-
სოფიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი-
ფსევდოდიონისე არეობავლი ძველ ქართულ
მწერლობაში კარგად ცნობილი ავტორია“ (5).
იქვეა დამოწმებული ს. გორგაძე (სამართალი
ანად წერს!), რომლის აზრით ფსევდო-დიონი-
სეს ავტორი „ნეოპლატონური ფილოსოფოსი
ყოფილა“.

ბ. ლოლაშვილი არ განიხილავს ფსევდო-დი-
ონისეს „ნეოპლატონისტურ“ იდეებს, მისი მ-
ზანი ეს არაა, მაგრამ შიანე უნდა შევნიშნათ,
რომ ბიზანტიური ქრისტიანული მისტიკის
ექსპორტი მამათაყრის ნეოპლატონიკოსობის
საკითხი ვადისინჯვლია და კრივიშინის, ვლ.
ლოსკის, კოლდსონის და სხვათა შრომების ვა-
მოქვეყნების შემდეგ (თავი რომ დაენებოთ
ძველი რუსი ბიზანტიანისტების შრომებში) მცდე-
რი ტრადიციული შეხედულების განმეორება
ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეს არ შეე-
ფერება. ნეოპლატონიზმის ელემენტების არსე-
ბობა ფსევდო-დიონისეს ზოგიერთ ტრაქტატში
არ ეულისმისობს იმას, რომ ამ ტრაქტატებში
ავტორი „ნეოპლატონური ფილოსოფოსი“ იყო.
ქრისტიანი-ტრინიტარისტი არ შეიძლება ნეო-
პლატონიკოსი-ფილოსოფოსი ყოფილიყო. ფსე-
ვდო-დიონისე კი ქრისტიანული სამების მტერ-
ვალ აღმსარებელია. ქრისტიანობაში ნეოპლა-
ტონიზმის ელემენტების არსებობას კი არაეინ
უარყოფს.

ბ. ლოლაშვილი აცხადებს, რომ „ქართულმა
ფილოლოგებმა ფსევდო-დიონისეს ვინაობასთან
დაკავშირებით ობიექტური სიტყვა უნდა თქვან“
(6). მაგნი ამჯერ მინანს ისახავს ჩვენი ფილო-
ლოვის წიგნიც. მკითხველი გაიკვებს, თუ რამ-
დენად ვადაწყვეტილია ეს ურთულესი ამოცა-
ნა ავტორის მიერ.

მკვლევარი წერს, რომ „აზრთა ჭიდილში გა-
რდამწვეტა(?) მნიშვნელობა ეძლევა ბერძ-
ნულ-ქართულ საისტორიო და ბიბლიოგრაფიო
ცნობებს, სენაქსარულ საკითხაეებს, მიმწებს,
საერთ-მხატვრულ თხზულებებში დაცულ მასა-

ლებს და საერთოდ დიონისეს ვინაობასთან და-
კავშირებულ ლიტერატურულ ტრადიციას“ (6).
მაგრამ ძველი ბერძნული მწერლობის უმეტესი
ფსევდო-დიონისე ვინაობა ეუსწავლი დარბა
საუკუნეების განმავლობაში, ხოლო უშუა-
ლოდ მათგან მომდინარე ქართული წყაროება,
ბუნებრივია, რაიმე „გარდამწვეტა“ ცნობებს ამ
საკითხზე არ შეიცავენ. ბ. ლოლაშვილი მოიხი-
ლავს ამ ცნობებს (ბევრი მათგანი აქამდეც და-
ლიან კარგად იყო ცნობილი მაგ. დიონისეს
ნატყუარი ბიოგრაფიის ქართულ. ვერსია და
მასთან დაკავშირებული პრობლემები...), ამაკ-
რიველ მასალას, ბიზანტიური წყაროებიდან
მომდინარე ვადმოცემებს ახალი აღთქმის დიო-
ნისესუ და მის „მომღერა იორგოპაოსესუ“, ბერ-
ძნულ-ქართულ საგალობლებს მათ შესახებ და
ასკენას: „დიონისესა და იერიოთოსის ურთიკრ-
თობისა და მათი ლიტერატურული თანამშრომ-
ლობის შესახებ ძველ ქართული საგალობლები
არეობაგორულ წიგნებთან შედარებით ახალს
არაბერს იძლევიან. უველა ცნობა წარმადგენს
ტრადიციული ბიოგრაფიული მონაცემების უც-
ვალუდ განმეორებას“ (გვ. 43 დაყოფა ავტორი-
საა. ა. გ.). მამასადამუ. „გარდამწვეტა“ რამ მათ-
ში არაფერია!

მე-27 შენიშვნაში (გვ. 27) ფსევდო-დიონისეს
თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანების
ქართულ გამოცემაზე თქმულია: „სამწუხაროდ,
ეს ტერმინოლოგია ვერ არის სრულად ასახუ-
ლი ს. ენქაშვილის გამოცემის ლექსიკონში
(მრ. გვ. 0117-0121, 265-294)“. მაგრამ მითი-
თებული არაა ამ საკითხზე აკად. ა. შანიძისა
და პროფ. შ. ძიძიგერის ჩინებული რეცენზი-
ები. ჩვენი ავტორი ზომ ბიბლიოგრაფიულ სის-
რულეს მოითხოვს სხვისგან და განა შეიძლე-
ბოდა დასახელებულ შეცნობათა სპეციალურა
წერილების თუნდაც ბიბლიოგრაფიული წარტე-
ება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? რა-
საც ბ. ლოლაშვილი აღნიშნავს, იგი ვრცლად
და დასაბუთებულად აქვთ განხილული ა. შა-
ნიძისა და შ. ძიძიგერის. რატომ „აუთარ გვერ-
დი“ მათ?

ბ. ლოლაშვილი წერს: „...მაქსიმე ამლსარებ.
ლისა და გერმანე პატრიარქის კომენტარების
ქართული თარგმანი წერ კიდევ გამოცემელს
ვლიან. გამოქვეყნებულ ნაწილში დაცულია
ცნობები დიონისე არეობავლისა და მისი მოძ-
ღერის იერიოთოსის ვინაობაზე. მათ არეობავი-
ტიკის ქართული მკვლევარნი დუმილით
გვერდს უვლიან“ (34). უველა ქართულად თარ-
გმნილი ძველის გამოცემა აუცილებელია და
საკვირო, მათ შორის ეფრემ მცირის თარ-
გმანისათვის დართული კომენტარების გა-
მოცემა. მაგრამ რაიმე განსაკუთრებით
ღირებული და არეობავიტყვისათვის „გარდამწვე-
ტა“ ცნობების შემცველი ეს თარგმანები არ
შეიძლება იუენენ, რადგან მათი ბერძნული დე-

ღნები დაბეჭდილი და ზედმოწვევით შესწავლილია. აეროპატიტიკოს გამოჩენილ მკვლევართ მასშივე აღმსარებლის ან სხვა კომენტატორთა ნაწერებში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რამ არ უმოკვით (ვევლა კომენტატორს ფსევდოლიონისვე პავლე მოციქულის მოწოდებლ მიაჩნია). აეროპატიტიკოს რამდენიმე საუკუნეა იკვლევან დასავლეთში და იქ დღესაც ძალიან კარგად იხედებიან ბერძნულ წყაროებში.

ფსევდო-ლიონისეს ნამდვილი ვინაობის გარკვევის თვალსაზრისით დღემდე „გარდაწვევები“ ცნობისათვის ქართულ წყაროებში ი. ლოლაშვილის ვერ მიუგნია და შეეკუდება, რომ პან რამდენიმე მიაკვლიოს ასეთ რასზე. თუ ეს მოხდა — მსოფლიო მეცნიერების წინაშე მისი დამსახურების აღიარება გარანტირებულია!

ი. ლოლაშვილს მოაქვს ციტატა ეფრემ მცირის თარგმანის ზელნაწერებიდან იეროთეოსზე (დაყოფით): „ეითარმედ იეროთეოს ტაძრულ ღმრთისა გამოთარგმანების უნისაგან ბერძნულნი“ და უთითებს ზელნაწერზე „42. A 110. გვ. 45“ (გვ. 36). მაგრამ ეს ციტატა ხომ უკვე მოტანილია ბეჭდურად ეფრემ მცირის თარგმანთა გამოცემაში? და შესზე ხომ სავანეებოლ სწერდა შემდეგ შ. ნუცუბიძევი?! რაც სხვას ჩვენამდე მოტანილი და აღნიშნული აქვს — არ უნდა დაეიფიქროს ი. ლოლაშვილი ხომ „ფილოლოგიური დემიონს“ წინააღმდეგობა იგი დაუბეჭდავი კომენტარების გამო „დემიონს“ საყვედურობს მკვლევართ, თვითონ კი დიდი ხნის წინ დაბეჭდილი ცნობების აღნიშვნას გურბის!

შე-4 თავში „ლიონისე არეოპატიტიკოსი და ძველ-ქართული სასულიერო საერთო-მხატვრული მწერლობა“ (გვ. 43 და შმდ.) მიმოხილულია ცნობები ლიონისეზე და ისევე ნეგატიური დასკვნა გამოტანილი: „...ჩვენამდე მოღწეულ თარგმანებსა თუ ორიგინალურ ქართულ საკითხავებსა და პიმენტებზე, აგრეთვე ეფრემ მცირის წინააღმდეგობა“ და ძველ ქართულ საერთო-მხატვრულ ნაწარმოებებში ვერ ნახეთ ვერც ერთ ცნობას, რომელიც უპირისპირდებოდეს ლიონისეს ცნობებისა და მოქალაქობის ამსახველ ტრადიციულ გადმოცემებს“ (გვ. 46). მაშასადამე, ამ ხანოთაც ი. ლოლაშვილი ექსპერსს ამოდ ხაუვლია.

ი. ლოლაშვილი წერს: „ისმის კითხვა: სად არის ის შრომა, რომელიც პეტრე იბერის დაწერა (თუ უთარგმნია) ქართულად?—იგი არ დაწერია საერთოდ“ (გვ. 48). პეტრეს ქართულად დაწერილი შრომები არ ჩანს, მაგრამ რატომ არ შეეძლო პეტრეს ბერძნულად (ატიკურ დიალექტზე) დაწერა რაიმე შრომა, ეს ენა ხომ პალესტინურ-სირიულ წრებში ასე გავრცელებული იყო? ვანა რამდენსად დამოუკიდებელი არაა ის ცნობა, რომელიც პირველად

1936 წელს ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობა-ლი გახდა სიმონ ყაუხჩიშვილის „წყაროები“-ში იგივე ცნობაც, რომელიც პეტრეს „წიგნი“-შია. რა რატორს ეუთენის და რომელიც შემდეგ ხშირად იყო დამოწმებული სხვა მკვლევარების მიერაც (ამ ცნობის მნიშვნელობას დაეხმებებოდნენ ამირებებს ი. ლოლაშვილი):

„მათე თავი (ზაქარია რატორის „საეკლესიო ისტორიის“, ა. გ.) მოვეთხრობს ითანვე რეტორის მწველებლობის შესახებ ალექსანდრიაში, თუ რაში მდგომარეობდა ის და როგორ იქნა დაწვევლილი. — ითანვე იყო ალექსანდრიელი სოფისტიკოს პალაღის მიმდევარი... (და სწერდა ბევრ წიგნებს). და რადგან ის შიშობდა, რომ ის, ჩასაც სწერდა, ლანძღვის საგანი გახდებოდა, ამიტომ ის სწერდა თავის წიგნებს არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ ხან იერუსალიმელი ეპისკოპოსის თეოდოსის სახელს აწერდა მათ, ხან პეტრე იბერიელისას რათა მორწმუნენი შეეცდნათ შეეყვანა და ეს წიგნები მიეღებინებინა. მაგრამ ამბობენ, რომ ერთხელ პეტრე იბერიელი ერთ მონასტერში წააწყდა ერთ ისეთ წიგნს, რომელიც მისი სახელით იყო დაწერილი, და, როდესაც მან ის იხილა და წაიკითხა, გაჟავრდა და დასწყევლა ის ვისაც ეს წიგნი დაწერა, და არა მხოლოდ იქ, არამედ ალექსანდრიაშიც, პალესტინაშიც და სირიაშიც სწყველიდნენ ის (პეტრე იბერიელი) და თეოდოსი ამ კაცის წიგნებს“ („გეოგრაფია“, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1936. III, 5-6).

პეტრე იბერიელს, თუ ის მწერალიც არ იყო, რატომ დასკირდებოდა „წიგნის წაიკითხა“ მთლიანად და შემდეგ გაჟავრება თუ თვითონ არ სწერდა „წიგნებს“, რადგან ასეთ შემთხვევაში მას უბრალოდ იმ ფაქტის გაგებაც გააუკლებოდა. რომ ვინც მის სახელით ასაღებდა თავის დაწერილს, რომ პეტრე ამოწმებდა წიგნის შინაარსს, ეს მკონი იმაზე მიუთითებს, რომ მას უნდოდა გაეგო ხომ არ ჰქონდა მითვისებული რომელიმე მისი ნაწერი ან შეხედულება დასახელებულ „წიგნს“. სხვისი ნაწერებისა და მიგნებათა მიმოხილვებელნი უფლად დროში არსებობდნენ. არსებობდნენ დღესაც.

ყოველ შემთხვევაში, ზაქარია რატორის ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია და მკონი ამიტომ ცდილობს მის დამკირებას ი. ლოლაშვილი თავისი წიგნის ბოლოს. ვან გამოჩინა მხედველობიდან ერთი დეტალი: პეტრეზე წინ დასახელებული თეოდოსი იერუსალიმელიც, პეტრეს ეპისკოპოსად ზელდასმევილი, ეს კი პატარას ნიშნავს?

* პეტრე იბერი ბერძნულად რომ სწერდა, სწამს ზაქარია რატორის ცნობიდან — მას პეტრესგან მიუღია ბარათი (დაფარველი). „პეტრეს დღის ბებერ“ გვ. 9). ზღირიულ თარგმანში

ამასთან, რატომ არ შეეძლო პეტრეს ქართულად დაეწერა რამე? ავი მისვან მომდინარე შესანიშნავი პალესტინური წარწერები ქართულად და შესრულებული? მეგრამ ჩვენ მანუ ვფიქრობთ, რომ პალესტინაში მცხოვრებ ასევე პეტრეს ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ პასტიკური თხზულებანი შეეძლო დაეწერა მხოლოდ ბერძნულად, ამ ენის ბატონობის გამო სინაიტის პერიფერიაშიც (სირია, პალესტინა, ეგვიპტე...). ასეთი ხასიათის შრომების დაწერა ქართულ ენაზე მარტოოდენ იქ მცხოვრები ქართველი ბერებისათვის — სრულად წარმოუდგენელია: მონოფიზიტების ბელადი თავის ლიტერატურულ საქმიანობას ისევე არ შეზღუდავდა ვიწრო ფარგლებით, როგორც არ ზღუდავდა იგი თავის ასეუტერი მოლაყვობის ფარგლებს (ის არა მარტო მარტოობის მოყვარული იყო, არამედ „მოსეტრალეც“, — ასეთი თავიებური სიმბიოზი პეტრეს ხასიათის თვისებაა).

საესეებით გასაზიარებელია რენე როკის შეზღუდულება, რომ პეტრე თავის დროის თეოლოგიურ პაექრობებში დროდ იყო ჩამბული (ჩვენ როკი, თეოლოგიის სტრუქტურა. პარიზი, 1962, გვ. 92). ასეთი პიროვნების სამწერლო მოღვაწეობა (რახედაც ჩვენ არაფერი გვიწყრია) საეკლე არ უნდა იყოს, მიუხედავად ამისა, რომ ამ საკითხზე ვრცელი დოკუმენტური ცნობები არ მოგვეპოვება, რომელიც მოლაყვის ბიოგრაფია რომ ამოწურავდეს პერსონაჟის მიუღს ცხოვრებას, შეცნობებას საძიებლად არაფერი ეძენებოდა. ამ: შეიძლება წარმოიშვას მოუღწიოს, მაგრამ ავტორის ბიოგრაფიას არ ვიცნობდეთ. რა ეკლთ, მაგ. ჩახრუ-საქვზე?

ა. ლოლაშვილი ბევრ დროს ხარკავს იმის დასაბუთებლად, რომ მკითხველი დაეკაროს: ტრადიციული გადმოცემით ასაკი ისტოქოს დიონისე არეოპაგელის (I ს) მოძღვრად მინეუელია იეროთეოსი და მას საერთო არაფერი აქვს იოანე ლაზთან (V ს). როგორც ამას ფიქრობს ე. პონიგმანი. მაშასადამე — იეროთეოსი სხვა პირად უნდა ჩავთვალოთ მითრიადაც ლაზთან შედარებით. საზებები?

აღადღინოთ ავტორის მსჯელობა ამ საკითხზე.

შემორჩენილია წერილი პეტრესი მისი მოწაფისა და ბიოგრაფის იოანე რუფინოსისადმი, რომელსაც იგი შეუტანია თავის „პლერიფორიაგეში“. ქართულ ფილოლოგიაში ეს ფაქტი აღნიშნა ს. ყუბნიშვილმა („ვეორგია“, 1962, ტ. 2, გვ. 293). მას ეხება ედ. შვარტციც. ა. ლოლაშვილი ამ მეორე ფაქტის გამო განზრახ სდუნა. პეტრეს ეპისტოლარული მემკვიდრეობის ბუნებულად არსებობის ფაქტები კი პეტრეს მწერლობის მინიშნებელია „ზაქარია ქართულს“ თუ სწერდა ბარათებს პეტრეზე!

„...რაკი გიორგი მთაწმინდელის „ფიქს სეონაქსარში“ ან საეპოპულარულ კრებულებში 3 და 4 ოქტომბრის ქვეშ მისწავლელმა პირად დიონისე არეოპაგელი და იეროთეოსი, უნდა ვივარაუდოთ თითქოს დიონისე ყოფილა პეტრე იბერელი, ხოლო იეროთეოსი — იოანე ლაზი. ქრისტიანული კალენდარული ცნობები აკეთრის მიმავალი დასკვნების გამოტანის ეფლუბას არ გვაძლევენ“ (51). „დიონისე-იეროთეოსის დღესასწაულებს საფუძვლად დაედო პეტრე ხანტიერ სამეაროში წარმოშობილ ტრადიციას, რომლის განმტკიცებას, ეკვი არაა, ხელი შეუწყვეს არეოპაგეტული წიგნების სირიულად, ლათინურად და ქართულად თარგმანებმა“ (5). რადგან Vita Petri-ს გერმანულ თარგმანში შეედომით თქმულია რომ იოანე გარდაიცვალა 4 დეკემბერს და არა 4 ოქტომბერს, როგორც ეს „შეცვალის“ (?) ჟერ შაბომ და მერმე ედ. შვარტციცა (გვ. 53), ი. ლოლაშვილი, მეტწილად ენგებრდინგის ლიტერატურულ საზუთებზე დაერდნობით, დასკვნის, რომ იეროთეოსია გარდაცვალების თარიღად დატოვებულ იქნა 4 ოქტომბერს, ხოლო იოანე გარდაცვალების დღედ 4 დეკემბერი, თანაც აღნიშნავს: „...საეკლეგია მართლმადიდებლურ ეკლესიას ჟერ იეროთეოსის ხსენების დღე (4 ოქტომბერი) დაეწესებინა და მერმე ამ დღისათვის დაეხლოვებინა დიონისე არეოპაგელის დღესასწაულს (3 ოქტომბერი). არავისთვის სადგომ არაა, რომ ეკლესიისათვის დიონისე უფრო დიდი ავტორიტეტი იყო, ვიდრე იეროთეოსი“ (გვ. 54). „არც ქართული და არც ასურული მასალებიდან (?) ვერცხრობით არა ჩანს, თუ იოანე ლაზი განათლებით ვერ იყო, ან წერდა თუ არა იგი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრაქტატებს. უნეუბიმქ და ს. ყუბნიშვილმა ე. პონიგმანის მიზაქებით (?) იოანე ლაზი წარმოსახეს ფილოსოფიის პროფესორად და ისეთ გამოჩენილ მწერლად და მოძღვრად, როგორც იყო იეროთეოსი“ (გვ. 55. შემდეგ მიღის ამონაწერები ს. ყუბნიშვილისა და შ. ნეუბიძის ნაშრომებიდან. ა. ე. ე.

ამ თვის მე-6 დასკვნა ასეთია: „6. უძველეს დროიდან XIX საუკუნემდე ქართველებმა იტოდნენ დიონისეს ვინაობაზე მხოლოდ ტრადიციული გადმოცემა, ე. ა. ის რომ არეოპაგეტული წიგნების ავტორი ყოფილა არეოპაგის მოძღვარი, პავლე მოციქულისა და იეროთეოსის მოწაფე, რომელიც ასაქმე მოციქულთას“ მისედებით ცხოვრობდა პირველ საუკუნეში. მისარება, თითქოს XI-XII საუკუნეების საქართველოში უკვე კარგად იყო დნენ „ფსევდო-დიონისეს საიდუმლოება“, რომ არეოპაგეტული წიგნები დაწერილია არა დიონისეს, არამედ სხვა პირის მიერ, ზემოთ განხილული ქართული წყაროებით არ დასტურდება“ (74-75). განვიხილოთ ეს მოსასრებაანი.

ვერ ერთი: **ა. ლლაშვილი** მეთხველებს ისეთ შთაბეჭდილებებს უქმნის, თითქოს **ა. პონიგმანს** გათვალისწინებული არ ჰქონდეს ეს ფაქტი, რომ ბერძნულ ენაზე არსებულ სენიქსარებსა და მენოლოგებში იეროთეოსის გარდაცვალების დღედ შეტანილია 4 ოქტომბერი. პონიგმანი საგანგებოდ წერს სირიულ მარტიროლოგ „**საბანა სლიბა-ში** (დაახლ. 1300 წ.) აღნიშნული თარიღის (4 ოქტომბერი) მნიშვნელობის დახასიათების შემდეგ, რომ იგივე თარიღი შეტანილია ორთოდოქსულ სენიქსარებსა და მენოლოგებში და მითითებული აქვს ფრ. პიპლერის წიგნი, (იხ. თსუ შრ. 59, გვ. 37-38). **ა. ლლაშვილი**მ არსებითად გამოიყენა ე. პონიგმანის ჩვენებანი (ფრ. პიპლერის წიგნიდან მოტანილი აზრით მის შრომაში პონიგმანის გამოკვლევის წყალობით გაჩნდა, ვიმეორა მისი გამოკვლევის რუსულ თარგმანში დაშვებული ზოგი შეცდომა) და ამ ჩვენებათა საფუძველზე დაუბრუნებია თავისი „**არგუმენტები**...“ მთავ. ე. პონიგმანს, რომლის შესვლობას „**ნარტიკუმბრუნე ლოკიას**“ უწოდებს! არა მგონია, ასეთი რამ ფილოლოგიაში დასაშვებია იყოს.

შემდეგ: ენგბურდინკის ან გრიუმელის კამათს ე. პონიგმანთან, შეტწილად ლიტერატურული საბუთების ნიადაგზე, მაშინ მიენიჭებოდა „**ვარდაწყვეტი**“ მნიშვნელობა, რომ „**იეროთეოსი**“ მართლაც რეალური პირი ყოფილა და ესეველი-დიონისეს წიგნებამდე იგი ერთი სიტყვითაც ყოფილიყო სადმე მოხსენებული. **ა. ლლაშვილის** განცხადებას მე-რ დასვენაში, მთლად არა მიაფიოს, შეუძლია მეთხველს აფიქრებანოს, თითქოს „**სამეფო მოციქული**“-ში პველ მოციქულის მოწაფე დიონისესთან (I ს.) ერთაჲ იეროთეოსიც იყოს მოხსენებული. არაფერი ამის მსგავსი, რა თქმა უნდა, აღნიშნულ ძეგლში არ გვხვდება და ეს **ა. ლლაშვილის**აც მოუხსენება. „**იეროთეოსი**“ დიონისეს „**მოძღვრად**“ განაღდა მპოლოდამპიროდ ფსევდო-დიონისეს თხზულებაში „**სამარტოთა სახელთათქს**“ („**დე დიონისის ნომინიბუს**“). ე. **ა. წ** საუკუნეში. „**იეროთეოსი**“, როგორც სახელი პიროვნებისა — ფიქცია, გამოგონილია და ამის საგანგებოდ აღნაშენავს ე. პონიგმანი. (თსუ შრ. 59, გვ. 36). „**იეროთეოსი**“ რომ ესეველი-დიონისეს (V ს.) ნაწერგში ვაჩნდა პირველად, ეს არავისთვის საღაო არაა (შდრ. **ო. ბარდუქვერის**, ტ. IV, გვ. 280-282), რამდენადაც რაიმე თვალსაჩინო საწინააღმდეგო საბუთი არ არსებობს!

ე. პონიგმანის ერთ-ერთი (და სრულიად უდავო!) დებულება თავისი წიგნის მეთხველებს სრულად არ გააცნო **ა. ლლაშვილი**მ, ზოლო საწინააღმდეგოს „**მეტაქცეპს**“ კი შეუდგამ რატომ? იმიტომ, რომ უარყოფს ფსევდონისეს გათიშვა რეალური პირისადაც, რომელიც ამ ფსევდონისის ქვეშ-მალდება. ვაღიარებთ პეტრე იბე-

რის მოძღვარ იოანე ლაზს ფსევდო-დიონისეს მოძღვრად ანუ „**იეროთეოსა**“ (ἱεροθεὸς ἰεροθεῖος) მას, იეროთეოსი მაინც რაზემაც შეგვიძინა და ამ ფსევდონისის მატარებელი რეალური პირი საიბეჭდილია და ისიც V საუკუნეში. არავითარ დავა ამაზე არ შეიძლება.

ა. ლლაშვილს უნდა ეჩვენებინა, თუ ვინ მოიხარბა პონიგმანის ზემოთ მოტანილი დებულების დარღვევა დამაყრებლად? **შ. ნუცუბიძე** მართალი იყო როცა აღნიშნავდა — 4 ოქტომბერი რეალური პირის გარდაცვალებადია მიჩნეული. **Vita Petri-ს** ჩვენება 4 ოქტომბერი. იეროთეოსი-ფსევდონისი კი ვერ გარდაიცვლება (და წიგნის რომელიმე დღეს, რადგან ფიქციის ფსევდონისის) დამბეჭდა და გარდაცვლება არ ხდება. მითიბდატე ლაზი კი მართლაც გარდაიცვალა 4 ოქტომბერს ეს ძალიან მარტოკი და განაგებია ლოკიურად!

თდევ: ფსევდო-დიონისეს ტრაქტატში „**სადმართოთა სახელთათქს**“ შეტანილია თავები, რომლებსაც ავტორი „**იეროთეოსი**“ მიაწერს, ზოლო ეს ნაწილი ამბელს უყენებ პირს, რომელიც **წ**ის ფილოსოფოსის პრეტულ დიადოხოსის ზოგერთ ნაწერს იცნობს. მაშასადამე, „**იეროთეოსი**“, როგორც ვითომდა რეალურ პირს I საუკუნეში ვერ გადავასახლებთ. ამ საკითხზე დაე. ე. პონიგმანთან (და მის წინაპრებთან აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით) უაზრო საქმინობია. უბრალოდ — ეს შეცნობების სტეროს არ განეკუთვნება!

იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღად „**4 ოქტომბრის**“ მიღება (შაბოსა და ელ. შვარტცის მიერ **Vita Petri-ს** რაბუნეული არასწორი თარგმანის სწორად წაკითხვის ნიადაგზე) მისაღება მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს ზუსტი წაკითხვა (და არა უბრალოდ „**შეცვლა**“) სირიული ვინის ორ გამოჩენილ მცოდნეს ვეუთენის, არამედ **a priori** იმიტომაც, რომ ვეუესისაში საერთოდ სენიქსარული ცნობები ხშირად ეწინააღმდეგებანი ერთმანეთს და როცა ფსევდონისი-იეროთეოსის გარდაცვალების დღედ 4 ოქტომბერი შეტწილად შეტანილი ბერძნულ სენიქსარებში და სირიულ „**საბანა სლიბა-ში** — შამინ ფსევდონისი-ფიქციისა და რეალური პირის გარდაცვალების თარიღთა დამთხვევას განსაუბრებელი მნიშვნელობა ენიჭება.

საერთარი „**კონცეპციისათვის**“ საწითითარი ამ საკითხებს **ა. ლლაშვილი**მ ოსტატურად იფარა გვერდი. მაგრამ „**იეროთეოსი**“, როგორც ცალკე პირი არ არსებობდა, იგი არსებობდა, როგორც უცნობი პირის ფსევდონისი ამის შემდეგ განაგებია თუ რა ღირებულებასა შეიძლება იყოს შტაკიცება, თითქოს იეროთეოსის მოხსენიებამ ვეუესისა დიონისეს გარდაცვალებას დღის მტემდეც არ შეიტანა. ამგვარ „**მეტაქცეპს**“ მაშინ ვქნებოდა ღირებულება, თუ იეროთეოსის სახელით ეინაშე მართლაც არსე-

ზღვით, „იეროთოსის“ რომ საერთოდ გამოგონებული პირია, ეს სადაო არ ყოფილა ჯერ კიდევ ილბერტ დიდისთვის, რაც 1962 წელს ცხადყო ფრ. რუელიმ. ესვედონიამდე მიმინეცდა „იეროთოსის“ არაერთი გამოჩენილი რუსი ბიზანტინისტიც.


ამასთან რატომ არ უნდა ვენდოთ რააბე ვერმანულ თარგმანში დაშვებული შეცდომის კერძოდ ე. შვარტცისეულ ამსოღებურად სწორ წყითხვას იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღთან (4 ოქტომბერი) დაკავშირებით? იგი ხომ უშუალოდ სირიული ტექსტის ციტატის აღდგენილ წყითხვას გვაწვდის? ამ ისიც „თუმცა ორიგინალში (ე. ი. სირიულ თარგმანში, ა. გ.) ვარკვევით არის (მიდის სირიული ტექსტი. ა. გ.), რააბე შინც 4 დეკემბრად თარგმნის“ [—Obgleich im Original deutlich... (მიდის სირიული ციტატა. ა. გ.) dasteht, übersetzt Raabe am 4. Dezember.], ი. ლოლაშვილს განზრახ არ მოაქვს შვარტცის შრომის ამ ადგილის თარგმანი, რადგან იგი მას ხელს არ აძლევს. ელ. შვარტცმა თვითნებურად კი არ „შეცვალა“ რააბეს მცდარი თარგმანი (ეს ტყუილია), არამედ ზუსტად აღდგინა სირიული დედნის სათანადო ადგილი (როგორც შაბომ უფრო ადრე, მაგრამ სპეციალური მსჯელობის გარეშე). ი. ლოლაშვილს კი მგონი მცდარი წყითხვანი და მცდარი თარიღები (მაგ. Vita Petri-ს დაწერის დროს?) უფრო ხელს აძლევს, ვიდრე სწორად აღდგენილი წყითხვები. ოღონდ, ელ. შვარტცს არ დაეთანხმოს და იგი მზადაა ამ უკანასკნელის მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტები უარყოს და ზოგი მათგანი ხშირად არც კი მიიხსენიოს (მაგ. ელ. შვარტცმა საბოლოოდ დაადგინა პეტრეს გარდაცვალების თარიღად 491 წლის 1 დეკემბერი, რასაც ე. კალანდაძის ზუსტი „უნივერსალური და მდომივი კალენდარი“ აღასტურებს). ამასთან, ელ. შვარტცის მიერ Vita Petri-ს სირიული ტექსტის გარკვეული ადგილის სწორი წყითხვის შემდეგ უოველგვარი ახრი ვარკვები აღნიშნულ თარიღთან (4 ოქტომბერი) დაკავშირებით „მსჯელობას“ ზამთრის ნადრევე „დადგომზე და სხვა „კლმატოლოგიურ საბუთებზე“ ამასთან: თუ „რააბან სლიბა“-ში (1300) 4 ოქტომბერი ზერძონული კალენდრების გადღენით განიდა ამიტომ Vita Petri-ს ჩვენება იოანეს გარდაცვალების თარიღზე (4 ოქტომბერი) მნიშვნელობას ჰკარგავს? თუ პირიქით?

ახლა ი. ლოლაშვილის კამათზე იმათთან, ვინც იოანე ლაზის განათლებაზე ან მწერლობაზე მსჯელობს, რა თქმა უნდა, უშუალო წყაროები ამ საკითხზე არ არსებობს (მაშინ საძიებელი არაფერი იქნებოდა). პირადად ამ პრობლემაზე წერს არსად არ შეეხებუვართ, მაგრამ ერთი საკითხი: იოანემ მართო „ემბოზიდან“ ამოუგანა“ მერმანი? აქ Vita Petri-ში აღნიშნულია,

რომ იოანე პეტრეს „მრჩეველი და თანმგზავრი იყო ცხოვნების გზაზე“, პეტრეს დიდი მტერი იყო კი საერთოდ ცნობილია, და იოანე ლაზი, ასეთი პიროვნების აღმზრდელი, თვითონაც როგორი ინტელექტის მატარებელი უნდა ყოფილიყო? თუ „იეროთოსისა“ და იოანეს იდენტიფიკაციის საკითხში ე. პონიგმანის მართალია, მაშინ იოანეს ფილოსოფოსობა და მწერლობაც აღარ იქნება სადაო.

ი. ლოლაშვილი წერს: „ჩემი დაკვირვების შედეგად ელ. შვარტცის ვითომცხად „შეცდომანზე“ — ეს მეცნიერი Vita Petri-ს სირიული თარგმანის ავტორად იოანე რუფესს აღიარებს. ა. გ.) სიტყვიერად გაეცანო ა. ვაწერელისა, მაგრამ მან მხარი დაუჭირა ე. პონიგმანს, ს. ყაუზნიშვილს და შ. ნუცუბიძეს, რომელნიც ავტორიტეტულად აცხადებდნენ: „პეტრეს ცხოვრების“ ავტორი რომ იოანე რუფესია, ეს საბოლოოდ დამტკიცა ელ. შვარტცმა“ (გვ. 22). ზემოთ ნაშთავლილ მეცნიერებთან ერთად ჩვენ ახლაც ვფიქრობთ, რომ ელ. შვარტცმა მართლაც საბოლოოდ დაადგინა Vita Petri-ს ავტორის ვინაობა. ამას დაეიანახეთ იმ საწინააღმდეგო „არგუმენტების“ განხილვისას, რომელნიც ი. ლოლაშვილს მოაქვს და რომელიც ისევე „ხსტრენი“ არიან როგორც შაბოს შრომის გვერდის დამოწმება, ან როგორც ელ. შვარტცის მიერ Vita-ში ზუსტად ამოკთხეული „4 ოქტომბრის“ იქნის ქვეშ დაყენება. შემდეგ: არ შეიძლება, მაგ. ასეთი გამოთქმების ხმაზე და „შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუზნიშვილმა ე. პონიგმანის მიზანმიმართულად დასაბუთებული ფილოსოფიის პროფესორად...“ და სხვ. (გვ. 58). დასაბუთებულ მეცნიერთა არავის „მიზანმიმართულად“ და სხვ. (გვ. 58). დასაბუთებულ მეცნიერთა არავის „მიზანმიმართულად“ და სხვ. (გვ. 58). დასაბუთებულ მეცნიერთა არავის „მიზანმიმართულად“ და სხვ. (გვ. 58). დასაბუთებულ მეცნიერთა არავის „მიზანმიმართულად“ და სხვ. (გვ. 58).

ამის შემდეგ ჩვენ არ გვაყვარს შემდეგი სიტყვები ელ. შვარტცის მიმართაც: „მას ვერც ფილოლოგიის ისეთი კერძოდ ვაქციეთ, რომ მისი სავარაუდო შეხედულება მივიღოთ, როგორც „უცილობელი პოსტულატი“ (გვ. 84), ან: „ეს საკითხი (ანონიმის ვინაობისა, ა. გ.) ელ. შვარტცმა ვერ გადაწყვიტა. მისი მისაზრება დასაბუთებულად მიუძღვნება, და მან დასაბუთების ამაოდ ცდილობს ა. ვაწერელია, რომელიც ვერობელი მეცნიერის წინაშე ქედის



მოხრა და მისი ქება-დიდება, ან მეტორულ შეკონება კემპარტებას ვერ გავვირყევს“ (გვ. 96).

ფრიად სამწუხარო ციტატებია!! თუ ი. ლოლაშვილმა „უცილობელ პოსტულატად“ მიიღო, მაგ. ნ. შარის გაუმართლებელი ვარაუდი პეტრეს „ცხოვრების“ „არქიტების“ არსებობის შესახებ (1896 წელს, შუარტის მიერ 1912 წელს რუფუსზე შრომის გამოკვეყნებამდე, ასეთი ვარაუდი დასაშვები იყო) და როგორც ქვემოთ დავინახავთ, სრულიად ამაოდ დაიწყო მისი დასაბუთება, რატომ არ შეგვედლო ჩვე უფრო დამაწმენებლად მიგვეჩინა იმავე ნ. შარის შარალად დიდი ინტელიციის მანკენებელი მეორე ვარაუდი — შეიძლება რედაქტორმა ან მთარგმნელმა აქცია „ზაქარია“ — ქართულად? „უცილობელ პოსტულატად“ შეიძლება მიიღო მოსაზრება, რომელიც ღრმა ანალიზს ან დიდ ინტელიციას ემაჯობა, რაჟე ჩვენს მიერ „კრპალ“ გადაქცეულ ვდ. შუარტის ვერ წყარობივეთ, რაინდ ამის სტრუქტურა და მისწრაფებანი ილგეჭრას. ვდ. შუარტის „ვერობელობა“ და მის წინაშე „ქედის მოხრა“ ან „ქება-დიდება“ აქ არაფერ შეიძლება. „ქება-დიდება“ ღირსი შეიძლება ვერობელ მეცნიერიც იყოს (იგი არ აქვს, მაგ. ანშტაინს) და ქართულად (ვის ქება-დიდებას არ იმსახურებს), მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი? ვდ. შუარტი გამოჩენილი მეცნიერია, ამას წარმოიდგინეთ ი. ლოლაშვილიც აღიარებს, შრავალი უტყუარი აღმოჩენების ავტორი ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტი საეკლესიო ინტორიის საკითხებში და ასეთი რამის აღნიშვნა ფაქტის კონსტატაცია და არა „ქედის მოხრა“ ვერობელის თუ ვერობის წინაშე. ქედის მოხრა არ ვარჯა, მაგრამ გამოჩენილი მეცნიერებისათვის ჰუკის სწავლება არაფერი მოსაწონია, მაგ. არ ვარჯა ე. პონიგმანის ანალიტიკური ნიჭიერების მონათულა „ნარკუმბტუნავ ლოკიად“, მითუმეტეს, თუ მისივე წყარობები უხეიროდ ვსარკებლობთ. ეს ფაბრიკაობაა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ი. ლოლაშვილმა „თავისი დავირებების შედეგები გამოცნა სიტყვიერად“, მაგრამ მე საწინააღმდეგო მოსაზრებებისათვის „დაძვიკრია შხარი“, — ამის გამო უნდა ვანაცხადოთ: მეკლევარს მხოლოდ ეს უთხარო: სანამ იეროთეოსის მაგარი სტვა რეალური პირი მოქმენილი არაა, ე. პონიგმანის პოპოლმა შთამაგონებელი-მეტი. ეგებ ი. ლოლაშვილმა დავისახელის მეკლევარი, რომელმაც ამ საკითხზე უფრო დამაჯრებელი არგუმენტები მოიტანა, ვიდრე ე. პონიგმანმა? ენგებრდინგი ან პუსსერი? მაგრამ მათ ახალი კანდიდატის ძენმა არ დაუწყიათ. რაც შეეხება იმის ფაქტს, თითქოს იეროთეოსმა „ტრადიციული გლოციუმის მიხედვით“ მკონი მართლაც არსებობდა (რეალური პირი ამ სახელითა და არა

ფსევდონიმი!) და ისიც I საუკუნის დიონისეს მოძღვრად ან ფსევდო-დიონისეს შემოღვრად ეს პაპოთეზაც არაა, ეს ფსევდო-ქრისტიანული ზღაპარია.

საერთოდ ვასიოცარია ი. ლოლაშვილის დამოკიდებულება წარსული ზოგი ქართული ვრუდტი მეტრლისადმიც. მაგ. ანტონ I-ის „შხა-მეტყველებიდან“ მას მოაქვს ციტატი დიონისეზე და დასტენს: „აქედან ჩანს, რომ ანტონმა არეოპაგიტულ წიგნთა ავტორზე სცოდნია ტრადიციული გადმოცემა, რომ დიონისე არის მაკლე მოციქულის მოწაფე („მის მიერ კანათლებლი“), რომელიც თავის მოძღვარს „ეთანი-მოლენა“ (გვ. 73). ე. ი. ლოლაშვილი „აღგავს“ შემდეგ ფაქტს“: საქართველოს დიდ იერარქს და განთქმულ ლეთისმეტყველს თურმე „სცოდნია“ ფსევდოდიონისეზე არსებული „ტრადიციული გადმოცემანი“!!! მაგრამ ვის უნდა სცოდნოდა უფრო ზედმეწივენით ასეთი გადმოცემანი, თუ არა ანტონ ბაგრატიონი?! ასეთ საკითხებში ანტონ I-ის ვრუდების ხაზგასმა მიამიტობაც არაა: ანტონ I-ს ცოდნას ლეთისმეტყველებისა და ეკლესიის მოღვაწეთა ცხოვრების საკითხებში ჩვენი ატესტაცია არ სჭირდება.

წიგნის მეორე თავის დასაწყისში ნათქვამია: „მხებეთ საუკუნის დიდი ქართული საეკლესიო მოღვაწის — პეტრე იბერიელის, ცხოვრების და მისი მოქალაქობის ამსახველი წყარობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ასრუელი დაქართული რედაქციები, მათი პროტოტიპი (თავდაპირველი რედაქციად), რომელიც აქამდე დავარგულია“, შეიქმნა V საუკუნის მიწურულში (პეტრეს ვარაუცვალეების ახლო ხანაში) და ჩვენამდე მოღწეულია ნაწილობრივ ასრუელი ტექსტით (?) (ივლისსებება რ. რაბეის გამოცემა 1895 წ. ე.წ. Vita Petri, ა. გ.) და გვიანდელი გადამწეებელი თარგმანი“ (76).

ამასთანავე ი. ლოლაშვილის კატეგორიული ვანცხადებები (ნ. შარის ერთ-ერთი ვარაუდი აცლობაზე!) არსებობდა „პროტოტიპი“ Vita-სი, იგი დაწერილი უნდა ყოფილიყო 500 წლამდე, 9 წლის ფარგლებში (პეტრე გარდაიცვალა 491 წელს, 500-491-9). მაგრამ როდის მოხდა ამ „პროტოტიპის“ სირიულ ვანზე თარგმნა პეტრენელიდან, ან როგორ შეეწიქმნათ — ვავტობილია იგი, მართლა რადიკალურად გადამწეებელი და „ნაწილობრივი“ ასეთი შედარებისათვის ხომ დოკუმენტური საბუთი არ არსებობს („არქიტები“ „გამქრალა“!). აქამდე დასავლეთის მეცნიერება იმ აზრისა იყო, რომ ჩვენამდე მოღწეული Vita-ს სირიული ვერსიის ერთი ბერძნული ორიგინალი არსებობდა, ახლა კი შარისეული (1896 წლის) „ქიპოთეზა“ წამოყენებულია Vita Petri-ს ბერძნული ლექსანი „პროტოტიპის“ გადამწეებელი სირიული თა-


რემია ყოფილა (გ. ი. ან „პეტრე იბერის ცხოვრება“, რომელიც რაბემ გამოსცა 1895 წელს). 9 წლის მანძილზე გაჩენილა „პროტოტიპი“, მისი რედაქციები, მათი სირიული თარგმანება და ა. შ.

როდის გაუნდა ეს ახალი „პიბითეზა“ ი. ლოლაშვილს? თვდაპირველად იგი მგონი ასეთ რამეს არ ფიქრობდა? „პროტოტიპის“ არსებობის კატეგორიულად აღნიშვნა, რომელიც მის ნაშრომშია, განიდა განსაკუთრებით ჩვენი წარკვების „ინეე პეტრე იბერიელის ქართული ცხოვრების გამო“ („მნათობი“, 1971, № 8) გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც დადგინდა შემდეგი ფაქტები: 1). თუ „ზაქარია ქართველი“ ქართლიდან 422 წელს გაყვია მერძამს (პეტრეს), როცა ეს ექანასკნელი თორმეტა წლისა იყო, იგი მასზე უფროსი ან თანატოლი მიიწე უნდა უფილიყო, 409 ან 410 წელა დაბადებული. პეტრე გარდაიცვალა 491 წელს. Vita დიონერა (პეტრეულად) 518 წლამდე, რაბებს მდღარი ვარაუდით — 500 წელს, მაგრამ ბირობითად დაეუშვათ ეს თარიღი, რადგან იგი ხელს აძლევს ი. ლოლაშვილს, გამოდის რომ, „ზაქარია ქართველი“ თავისი შრომა („პროტოტიპი“) დაუწერია დაახლოვებით 90 წლის ასაკში მიიწე. და თუ ვიფიქრებთ, რომ თავისი თხზულების დაწერის უმაღლე „იგი“ სულს არ დაღუვდა, მაშასადამე მათესალასავით დიდხანს უცხოვრია (მდრ. „მნათობი“, 1971, № 8, გვ. 166). ი. ლოლაშვილი ჩვენი ამ მისაზრების (ჩასაც მის დაუსაბუღებლად თვალსაწიანებს!) დასაბირსპირებლად აგებს ახალ „პიბითეზას“, არსებითად ახალ ზღაპარს: „ზაქარია ქართველი“ მათეში ჩასულა გვიან (482 წელს?) როცა პეტრე იერუსალიმიდან დაზაში იყო გადასახლებული და მათეში ბერად აღკვეცილი. ყველაფერი ეს უფრო ცუდი ბელეტრისტიკა, ვიდრე ფილოლოგია.

2) მიიწე რომ გამოიწვია „პროტოტიპის“ დაკარგვა? თუ ზეანაშიე მოღწეული სირიული ექარსიის დეკარგული „პროტოტიპი“ 500 წლის ახლო ხანებში შედგენილი, მაშინ როდის მოხდა „პროტოტიპის“ გავრცობა, შევება და „გასწორება“? ვფიქრებ „ზაქარია ქართველის“ გარდაცვალების შემდეგ? თუ 500 წელს? მაგრამ „ახალგაზრდა“ ზაქარიამ მარტო 18 წელი იცხოვრა მათეში (482-500 წ.)? როგორ მოხდა, რომ სირიულ წრეებში „პროტოტიპის“ გავრცობა და გადაცემება დაუშვეს. ე. ი. აიღეს „პროტოტიპი“ თუ „არქიტეპი“, გამოიყენეს ვრცელი რედაქციისათვის, „მოიწებეს“ მას დამატებითი ადგილები და ასეთი კონტამინაციით დადგენილი ტექსტი (ყერ ბერძენულად შედგენილი (?) და ბერძენულად თარგმნილი) გავრცელდა, ხოლო „პროტოტიპი“ უცვალოდ დეკარგა? ეგებ „ზაქარია ქართველი“ ყერ სირიულად დაწერა იგი, მერზე ბერძენულად თარგმნეს და ხელახლა სირიულად? თუ „პროტოტიპი“ ან „არქიტეპი“ უფრო ძველი სირიულად თარგმანი სირიულ ექარსიაში ნააწებებს?! ნუთუ ი. ლოლაშვილი სერიოზულად ფიქრობს, რომ ასეთი თარგმანი ნაატარებს „პროტოტიპი“ და ამაზე იპოვითარე ფაქტური ცნობა არ შენახება ან თვითონ Vita Petri-ს ანალიზი საამისოდ რამე საბუთს შეიცავს? ი. ლოლაშვილი ფიქრობს, რომ ასეთი „სახელები“ არსებობს. ქვემოთ დავინახავთ, თუ რა ღირებულეზისა ეს „სახელები“.

3) თავა რომ დაადწინოს „ზაქარია ქართველის“ ფანტასტიური ასაკის საკითხს, რაზედაც ჩვენ ემსჯელობდით „მნათობი“ 1971 წელს და რაც ზემად გაითვალისწინეს (იხ. ზემოთ) ი. ლოლაშვილი ახალგაზრდაებს „ზაქარია ქართველი“: ის თერზე ქართლიდან გვიან ჩასულა პეტრესთან მათეში (დაახლ. 482 წელს!) ეს კი განზრახ ფაღა წაეთხევა მკარისებელი ექარსიის ყალბი ცნობისა „ქართლითგანე ექანა შევეუღაე წმიდასა მას...“ (გვ. 98). გამოდის რომ მართლმადიდებლურ ქართლში, ქალაქდონის კრების (451 წ.) შემდეგ ცხოვრობდა ვიღაც ახალგაზრდა „ზაქარია“, მას გვიგობა, რომ მათეში (ლუზასთან) ცხოვრობდა მონოფიზიტი ასეტი პეტრე იბერი, შორიდან აღტაცებულა მისი სანაწილებით, წასულა მასთან, და მისი ახალგაზრდა „მესენაეც“ და მხერვალე მონოფიზიტი გამხდარა. და ყველაფერი ეს მას მოუწერია რამდენიმე წლის მანძილზე! მთელ ამ „სქემას“ არ ეტოვის როდენ გამოვინილი ფილოლოგიური ლანდის, „ზაქარია“-კიგეს მოგზაურობის სამარშრეტო რუკა ქართლიდან მათეშიამდე! თუ ფანტაზიას უსაზღვრო ვასაქანს მივცემთ, რატომ არ შეიძლება ასეთი რამის შეღავნა?

4) „ზაქარია ქართველად“ მიიწენეს ი. ლოლაშვილი „ანონიმის“ (რუფესის) Vita Petri-ს სირიულ რედაქციაში (რაბებს გამოცემა) და ზაქარია რიტორის შიერ მოხსენებულ, ერთგორ მესენაეც დასახლებულ ზაქარიას, ჩვენ ვწერით („მნათობი“ 1971, № 8, გვ. 166): „ზაქარია რიტორი წერს, რომ პეტრე იბერიელის თანამესენაკენი იყენენ იოანე კანოპიტე, ზაქარია, ანდრია, თეოდორე (ასკალიონელი) და იოანე რუფუსი (იხ. „სევერისის ცხოვრება“. კუგენერის გამოც. გვ. 86, მდრ. ს. ყაუზინიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 119). იოანე რუფუსი (ანონიმის) ასახელებს: ანდრიას („ანდრეასი“). თეოდორე ასკალიონელს, ზაქარიას და „დიდ იოანეს“ (კანოპიტეს) (რაბებს გამოცემა, გვ. 123).“ არსად „ზაქარია ქართველი“ არ ჩანს, რადგან არ არსებულ „მესენაეცს“ ბოგორაფები ვერ დასახელებდნენ. ეგებ ზემოთ ირყერი ნახსენები „ზაქარია“ მიიწინოს ვინმემ ქართველად? ვაი



თუ ასეთი „შეხედულება“ გაუჩნდეს ვისმეა სწორედ ასეთი შეხედულება გაუჩნდა ი. ლოლაშვილს. განვიხილოთ იგი „არქიტების“ საკითხთან ერთად.

ი. ლოლაშვილი წერს: „ა. გაწერელამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული „პეტრეს ცხოვრების“ უშუალო წყაროა ასურული ტექსტი. მართლაც მაკარის ხელთ ჰქონია „ანონიმის“ „პეტრეს ცხოვრება“, მაგრამ არა ის რედაქცია, რომელიც რ. ჩაბუძე გამოსცა(?), არამედ მისა არქიტები(?)). რომელსაც გვიანდელი რედაქტორის ხელი არ შეხებია, როგორც ნ. მარს და ი. ჯავახიშვილი ფიქრობენ. ამხვე ქვემოთ ვცალკე ვიშკვლავთ. ოღონდ აქ შეიძლება უფრადულებას შევუპირებთ ესაიას განსივების სასწაულზე, რომელიც ასურულ-ქართულ რედაქციებზე, რედაქციებზეა აღწერილი“. (გვ. 121).

ნ. მარსა ასურული Vita Petri-ს „არქიტების“ არსებობის მცდარი პირობება წარმოადგინა 1896 წელს „პეტრე ივერის ცხოვრების“ შესავალ წერაში. მას შემდეგ დიდად დრომ განვლო. ავტორიტეტების დამოწმება ამ საკითხში უღმერთია, რადგან 76 წლის მანძილზე „არქიტების“ არსებობაზე ბიზნორი არ იმისა და არც „ანონიმის“ თხზულების „გვიანდელი რედაქტორია“ აღმოჩენილი. ამასთან ნ. მარს „ანონიმის“ თხზულება არ შეუდარებია რუფისის „პლუროფორებიან“. ამ სფეროში დასავლეთისა და ქართული ფილოლოგიის (ს. აუზნაშვილი და სხვ.) მიღწევები ი. ლოლაშვილსათვის ანგარიშგასაწევი არ აღმოჩნდა, ის უნარტყლისაა ანიკებს ნ. მარის მიერ 76 წლის წინ გამოთქმულ ერთ-ერთ ვარაუდს და არა უშუალო ფაქტებს (მართალი აღმოჩნდა ნ. მარის მხოლოდ მეორე ვარაუდი: შეიძლება რედაქტორმა ან მაკარიმ აქციეს ზაქარია ქართველად!).

არავითარი „არქიტები“ „პეტრეს ცხოვრების“ სირიულ თუ მისი ბერძნულ ორიგინალსა — არ არსებობდა. იმიტომაც არ შენახულა მის შესახებ არავითარი ცნობა, — არც ბერძნულად, არც სირიულად!

თუ ერთი ი. ლოლაშვილისეული „არგუმენტი“, „არქიტების“ არსებობის „დამამტკიცებელი“:

„ანონიმი“ 96-ე გვერდიდან ჰყვება ამხვეს, თუ პეტრე როგორ მივიდა და დაბინადდა ესაიას მონასტერში, პეტრესა და ესაიას მგობრულ ურთიერთობაზე და, როდესაც მან გაიხსენა ზენონისაგან ამ ორივე ასკეტის დაბარებისა და დამოღვა-განსივების ამბავი, პეტრეზე ყველაფერი ვივითრო, ესაიაზე კი დაღუბდა. ეს რაღაც დაუტყრებელი ფაქტია(?) ცხადია(?) ასურული ტექსტი ნაყლელია რატომ? იმიტომ, რომ აქ ასურული ტექსტის რედაქტორის(?) მანიპულაციასთან(?) გვაქვს საქმე. მოყვანილ ეპიზოდში მითითებულია, რომ „პეტრეს ცხოვრების“ ავტორმა აღწერა „ესაიას ცხოვრება“. ეს არის

მინიმუმაც თხზულების ავტორზე(?) რედაქტორმა(?) ჟერ შეაწერა „ანონიმის“ ცნობა(?) „აღვწერიან სხვაგან“ ანუ ავტორი არცერთ შემსწავლამ, ი. ლ.) შესახებ მოწმობენ ნარკვევები და მოთხრობები“ („Wie... die Abhandlungen und Erzählungen über ihn bezeugen“), ხოლო შერმე ესაიას განსივების სასწაული ტექსტიდან მოლიანად ამოიღო(?) ასეთი გასწორების(?) მიზანი ის იყო, რომ „პეტრეს ცხოვრების“ ნამდვილი ავტორის ვინაობას ვადასტურებდა საიდუმლოების ბერუსი(?). ქართულმა „ცხოვრებამ“ კი შემოგინახა „პეტრეს ცხოვრების“ არქიტებში დაეცულ ეპიზოდს და უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა, რომ ზაქარია ქართველს დაუწერია „ესაიას ასკეტის ცხოვრება“, რომლიდანაც რამდენიმე ეპიზოდი პეტრესა და ესაიას ურთიერთობაზე „პეტრეს ცხოვრებაში“ ჩართეს“ (გვ. 121-122). ამ სრულად უნოდავო ვარაუდების შემცველ შეფასებას მისდევს შემდეგი რეპლიკა შენიშვნაში (№ 48):

„48. შეიძლება ვინმემ(?) იფიქროს, რომ ქართული „პეტრეს ცხოვრების“ ვალმიწვეთებულ უსარგებლოა ზაქარია რატორის ე. წ. ესაიას ცხოვრებით, რომელშიც მოთხრობილია ესაიას განსივების ეპიზოდი (I.G., გვ. 272-273), მაგრამ ეს შესაძლებლობა გამორიცხებულია(?), რადგანაც ქართულში პეტრესა და ესაიას ურთიერთობა (გვ. 250-251) აღწერილია „პეტრეს ცხოვრების“ ასურული ტექსტის მიხედვით(?). ამასთან ასურულსა და ქართულში ვსვდებით ამ ურთიერთობის ამსახველი ისეთ ფაქტებს, რომელთაც არ იცნობს ზაქარია რატორი“ (იქვე).

შთელი ეს შეცდომა ისევ გაუგებრობათა ვაბზული ჩაგვიდა და მართლაც „პეტრესში“ ხვევს საყიბებს. იმ მიზნით, რომ როგორმე დააქროს მკითხველი „ზაქარია ქართველის“ რეპლიკაში. ავტორი „არქიტების“ არსებობაში ი. ლოლაშვილი იძულებულია ჩვენამდე მოღწეული ასურული Vita Petri („ანონიმის“ ანუ რუფისის თხზულება, რომელიც ჩაბუძე გამოცემა 1895 წ.) გამოაცხადოს არ არსებული „არქიტების“ დამახინჯებულ და ნაწილობრივ ტექსტად: თორემ მასში გვხვდება ამ უცნობი „რედაქტორის“ „მანიპულაცია“: მის ვადასტურებია Vita-ს ბერძნულ ორიგინალში (თუ მის სირიულ თარგმანში?) „ზაქარია ქართველს“ სიტყვები: „აღვწერია სხვაგან“ [ესაია ასკეტის ცხოვრება], ასე: „როგორც ამას მოწმობენ ნარკვევები და მოთხრობები“. მაშასადამე ქართულში პეტრედა პირთი ნაოქვანი „აღვწერია“ სხვაგან, თორემ „არქიტებში“ (ფეხპირულ „ზაქარია ქართველის“ მიერ სირიულად დაწერილ“ თხზულებაში.) იყო და იგი Vita Petri-ს სირიული ვერსიის უხვედო „რედაქტორს“ შეუცვლია!!!

ეს მორიგი ზღაპარია და ძალიან მოავებს V.I.

ის 80-იან წლებში ქართლიდან ღაზში „ზაქარია“ „გამგზავრებას“.

„ანონიმის“ Vita Petri ბერძნულიდან არამ სირიულად თარგმნილი. ი. ლოლაშვილს კი სჯერა მკაყარის ცნობა, თითქოს ზაქარიას (მაცლე ხეცის ანდერქით „ქართველს“) ეშუალოდ „აღწერიან“ იგი „ასურულად“. მაგრამ ანონიმის „პეტრეს ცხოვრება“ ზომ თავდაპირველად ბერძნულად იყო დაწერილი და ეს მკაყარამ არც იცის ი. ლოლაშვილის „შტაკეების“ თანახმად, უნდა ვივარაუდოთ:

ა) „ზაქარია ქართველს“ ასურულად დაწერიან „არქეტაბის“ და ეს „არქეტაბი“ უთარგმნია მკაყარისმ. ეს არარსებული სირიული „არქეტაბი“ ალბათ უთარგმნიანთ ბერძნულად და შემდეგ ისევ გადმოვიღათ სირიულად, რომელშიაც შემდეგ „რედაქტორს“ შეუტანია შესწორებანი (თუ ვერ ბერძნულად და ისინი მერმე სირიულშიც ვადმოსულა?). არ ვიცით როდნი — ეს ფილოლოგიური პეტრეტუზმობილი როგორ ხდებოდა „არქეტაბის“ მიმართ და რაშელო წლების ფარგლებში?! რაბესა და ი. ლოლაშვილის თანახმად „ანონიმის“ თხზულება 500 წელსა დაწერილი, პეტრეს სიკვდილს შემდეგ, ე. ი. 492-500 წლების ფარგლებში „არქეტაბით“ არსებობდა, მისი სირიულიდან ბერძნულზე თარგმნისა დედანი და ბერძნულიდან ისევ სირიულად თარგმნილი და ისიც სირიული „არქეტაბის“ გვერდით?! ჩვენი გონება სრულიად ეძღურია ამგვარ მართლაც მანიპულაციების, ლაბირინთში ვარჯევისას!

ქართული ვერსიის ნატყუარი ცნობა „აღკვეციანიან სხვაგან“ [(ისაიას ცხოვრებათ) — ი. ლოლაშვილისათვის იქცა „საფუძვლად“ იმისა რომ ავკოს ასეთი ფანტასტიკური სქემა:

1) „ზაქარია ქართველს“ ასურულად დაწერიან „პეტრეს ცხოვრება“ (ყურდნიბა ქართული ვერსიის ნატყუარ ცნობას!). მისი „არქეტაბი“ არ შენახულა!

2) ცნობილია რომ ჩვენამდე მოღწეული სირიული Vita Petri ბერძნულად იყო დაწერილი (ორიგინალი დაკარგულია), მაშასადამე — ი. ლოლაშვილის სიოციის თანახმად იგი „ზაქარია ქართველის“ სირიული „არქეტაბის“ თავდაპირველი ბერძნული ვერსია უფილავ მაგარ სირიულ Vita Petri-ში რატომაც გადმოსული ბერძნული ონომასტიკონი? „ზაქარია ქართველი“ სირიულად სწერდა ბერძნულ სახელებს? („ბოზმარიოსი“, „ბაქრიოსი“ და სხვ. მისთ.) ვეგბ „რედაქტორმა“ შეიტანა ეს სახელები Vita-ს სირიულ თარგმანში? მაგრამ ასეთი რამ წინამოედგენულია თვით ი. ლოლაშვილის „კონცეპტის“ თანახმად: სირიული თარგმანის „რედაქტორი“ ბერძნულ ონომასტიკონს ვერ შეიტანდა თარგმანში, ხოლო „ზაქარია ქართველის“ „არქეტაბიდან“ იგი ვერც ამ „არ-

ქეტაბის“ ბერძნულად გავრცობილ და შესწორებულ ვერსიაში განდევნულ ვერც ბერძნულიდან თარგმნილ სირიულად „რედაქტორებულ“ ვერსიაში! ვეღვაფერა ეს (უნდა დაგვეფეროს მკვლევარმა) უსაშველოდ დიდი ზღაპრია და მერც არაფერი!

ამ მომენტზე ი. ლოლაშვილა სრულიად არ უცვირდება და ვერც ამხნევს.

ისტორიული სინამდვილე კი ასეთია: 1) Vita Petri თავდაპირველად ბერძნულად იყო დაწერილი „ანონიმის“ (რუფუსის) მიერ ე. ი. იმ კაცის ხელით, რომელსაც ბერძნულად იქვს დაწერილი „პლუროფორიები“ და „თბრაბა თოლოსი იერუსალიმულზე“, რომლებიც პეტრეს ეხებთან. ბერძნულიდან მომდინარეობს Vita-ში პეტრეს სახელად „ნაბარნეგოსი“ ისევე, როგორც რუფუსის „პლუროფორიებში“. არაფერი ამის მსგავსი „ზაქარია ქართველის“ „არქეტაბში“ არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ეს „არქეტაბი“ საერთოდ არ არსებობდა. ეგებ ფიქტორმა „რედაქტორმა“ გადასწორა „ზაქარია ქართველის“ სავარაუდო „არქეტაბში“ დაცული სხელი „მურვანი“ — „ნაბარნეგოსისად“? ვანა ასეთი ზღაპრის დაყრება შესაძლებელი? და ვეღვაფერა ეს ხდებოდა „ზაქარია ქართველის“ სიციცხლშივე, 500 წლის ახლო ხანებში? ავი „ანონიმის“ Vita Petri-ს დაწერის თარიღად რაბესთან ერთად ი. ლოლაშვილი 500 წელს თელის?) ან შემდეგ საუკუნეებში?!

4). თუ ისაიას განსივების სანწიული „ანონიმის“ თხზულებაში (Vita-ში) ქართულის მსგავსად არაა, ეს იმას ნიშნავს, რომ „არქეტაბში“ არსებობდა იგი იმიტომ, რომ ქართულ ცხოვრებაში იგი შეტანილი? ქართულ ცხოვრებაში „ისიკაა მოთხოვნილი, თუ როგორ დასდევნ „მწეალებელი“, ე. ი. მონოფიზიტები... მონოფიზიტი პეტრეს მოსაკლავად, მაგრამ ასეთი აბსურდი ზომ „არქეტაბში“ მოსალოდნელი არ იყო? ქართულ ვერსიაში VI საუკუნის „იკაობიტნი“ მოქმედებენ, მაგრამ ისინი პეტრეს ცხოვრების დროს საერთოდ არ არსებობდნენ, ეგებ ეს აღვილიც „ამილი“ რედაქტორმა „არქეტაბიდან“? ამასთან ესაიას განსივების ეპიზოდი ქართულ ცხოვრებაში შეტანილია ზაქარია რატორის „ესაია ასკეტის ცხოვრების“ მიხაძეთ, რასაც სრულიად უსაბუთოდ უარყოფს ი. ლოლაშვილი. მაგრამ ამ ფაქტზე თავის დროზე (1936 წელს). ზუსტად მიუთითა ს. ყუბნიშვილმა და მისი უარყოფა — გაუგებრობაა. სწორედ ეს ფაქტი (ესაიას ცხოვრებიდან მომდინარე ეპიზოდი წმინდანთან კოჰმას მისვლისა). ერთერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ მკაყარი მესხი ზაქარია რატორის სირიულ ენაზე შემორჩენილ თხზულებებს (ყურად ესაიას) იცნობდა „ანონიმის“ ავტორწაწერელი თხზულება

ავტორადაც მას ეს ზაქარია მიუჩნევია, ხოლო რედაქტორს იგი გაუქმებულა. მაგრამ ამას ზე ზევ დარწმუნებით ვერადი წერია „ისევე“, რომელსაც ი. ლოლაშვილი თითქოს არ იცნობს, თუმცა არა პირდაპირ ეკამათება იქ მოტანილ საბუთებს!

ქართული ვერსიის ცნობა, რომ „ზაქარია ქართველმა“ სირიულად აღწერა „ისიის ცხოვრება“-ს ყალბია (თუ იგი ზაქარია რიტორის არ გულისხმობს). ამ „ცნობის“ საფუძველზე „არქეტების“ არსებობის მტკიცება უკლებლად საფუძველს მოკლებულია. თუნდაც ნ. შარის ავტორიტეტს მივმართოთ ცალმხრივად.

ყოველივე ამის შემდეგ ი. ლოლაშვილი იწვევს „ზაქარია ქართველის“ აღვლილსაყოფელის „დადგენას“.

თუმცე ზაქარია რიტორის „სევეროსის“ ცხოვრებაში“ და „ანონიმის“ (რუფუსის) „პეტრეს ცხოვრებაში“ დასახელებული პეტრეს ხანკელის, ვინცე ზაქარია არის ის „ზაქარია ქართველი“, რომელსაც „არქეტები“ დაწერია, ეს ზაქარია სეინგელოზი არის პეტრეს შემევიდრე, „პეტრეს ცხოვრების“ (Vita-ს, ა. გ.) ავტორად აქამდე მიჩნეული რუფუსი კი — არა. (გვ. 122). მკვლევარი განაგრძობს: „პეტრეს ცხოვრების“ იმ რედაქციის (არქეტების) ავტორი, რომელიც საფუძველად დასდებია(?) ქართულს, სწორედ ერთ-ერთი ამ ზაქარიათაგანია თუნდა(?) იუსი“ (იქვე). „ხოლო ზაქარია — ავტორი, პეტრეს მოწვევ — დადასტურებულია ქართული „პეტრეს ცხოვრებით“ და მისი ქართველობა ირკვევა თვით ზაქარიას(?) და მკარბ მესხის ანდერძებიდან. ეს არის დოკუმენტური ფაქტი“ (გვ. 122). პაულე ხუცესის ანდერძი რატომღაც აქ დასაბულებული არაა!

პეტრეს ერთ-ერთი (ხუთიდან) მესხნავე ზაქარია რომ ამ შეიძლება იყოს პეტრეს ზოგრაფი, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვწერთ. მაგრამ ვერ გავცნობთ ი. ლოლაშვილის სხვა „არჯუმენტებს“. მას საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხის განსწავლად „პეტრეს ცხოვრების“ ასრულ და ქართულ რედაქციათა ურთიერთობის საკითხის განხილვა. მკითხველს ისევ და ისევ მოუხდება მკვლევრის მსყელობის ისეთ ლაბირინთში მოხვედრა, რომლისგან თავის დაღწევას საკითხას სპეციალური შესწავლის გარეშე იგი ვერას გზით ვერ შესძლებს. მაგრამ ამ მკითხველს ჩვენ უნდა დავუხმაროთ.

ვერ მოტანილია ნ. შარის აზრის „ქართული ტექსტი ლამის ანონიმის ასრული“ (ცხოვრებიდან“ ცნობით გადმოკეთებულად“ (ასე ფიქრობდა ი. ბარდენჰევერიც 1924 წელს). მაგრამ საწინააღმდეგო მისი შეხედულებაც იქვეა დამოწმებული: „პეტრეს ცხოვრების“ ასრული ტექსტი, რომელიც ანონიმს ეკუთვნის, არ არის ჩვენს მიერ გამოყენებული ქართული ტექსტის დედი“ (123). ი. ლოლაშვილს ხელს აძლევს

(მსყელობის ამ ეტაპზე) ნ. შარის ეს შეორე, 1896 წლიდან და მედარი ვარაუდს: თითქოს ასრულ და ქართულ რედაქციებს შორის ერთობა წყარო. ი. ლოლაშვილიც [მის] სწავლას ეძებს: ესაა ისევე არასებულ „ზაქარია ქართველის“ არ არსებულა „არქეტები“.

ი. ლოლაშვილი ითვალისწინებს ამ ფაქტს, რომ „ქართულ „ცხოვრებას“ „ზოგი რამ აკლადენის დეფექტურობის გამო“ და „რომ ასრულთან დასაპირისპირებულად მოგვეპოვება პაულე დეკანოზის რესტავრირებული ტექსტი“, და რომ ამ უკანასკნელს „ზოგი რამეც (ხოლოც „ზოგი“? ა. გ.) რესტავრირების წყალობით მიმატებია“ (გვ. 125). შემდეგ მიდის ვრცელი ამონაწერი პაულე დეკანოზის „ანდერძიდან“, რომელშიც თუმცე „ეკთლიანდისიერადა აღნიშნულად პაულე მიერ მოხდენილი ძირითადი ცვლილებები“ (125). (ესაა „ზოგი რამის მიმატება“? ა. გ.). ამ ანდერძში, რომელიც ჩვენ სრულად გადმოგებულად ნ. შარის გამოცემიდან წერილში „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ („მწათობი“, 1970, № 3), საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მას (პაულე ხუცესს) „გაუფრცელაბია „ტექსტი“ „შესავლისა და სასწაულების“ დართვით, რადგან ხელნაწერს შესავალი არ ჰქონია, ვიდაცას „დაუწერა წინაუქმო“ და იმეორებს, რომ „არცა შესავალი რა იყო და არცა დასასრული“. ამ რამდენი რამ გაუქმებია რედაქტორის და განა ყოველივე ეს „ზოგი რამეს“ მიმატებია?!

ე. ი. ლოლაშვილი უწონებს რედაქტორს იმ მუშაობას, რამაც ქართული „პეტრეს ცხოვრებას“ ყოველგვარი ისტორიული ღირებულება დაუკარგა (ე. ბონიგმანი) და საერთოდ „არა ისტორიულ თხზულებად“ (ბარდენჰევერი) აქცია.

ი. ლოლაშვილი აცხადებს, რომ „მკარისეული ტექსტის დეფექტურ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომ ძნელია განსაზღვრა, თუ რა ხასიათისა და შინაარსისაა პაულის ყველა გასწორება“ და რომ მისი ანდერძისა და ასრული „ცხოვრების“ არსებობა შესაძლებელს ხდის ქართული ტექსტიდან პაულის ნახელაუის გამოყოფას ძირითადად (თუ მიახლოებით)“ (126).

ე. ი. ლოლაშვილი გრძნობს რომ „ახელა განსაზღვრა თუ რა შინაარსისაა პაულის „ყველა გასწორება“, ოღონდ ჩვენს მიერ აღწერ ვამოქმედ ამვე მოსაზრებას რატომღაც მინც ეკამათება შენიშნაში:

„49. გაუგებარია ა. გაწერელის განცხადება: „ჩვენ ვერ გაეთვალისწინებთ პაულის გამოკლებათა მიმატებას, აგრეთვე გამოგონებათა და ფანტაზიათა სრულ მასშტაბს (სანამ სირიელი ტექსტი არაა შედარად თარგმნილი“) (საკითხები, გვ. 152-153). საყვირულია(?). მკვლევარი რატომ აქ არას ამბობს იმაზე, რომ „პეტრეს

ცხოვრების" ასურული ტექსტი მთლიანად თარგმნილია გერმანულად რ. რაბეს მიერ? თუ მას არ აკმაყოფილებდა ს. ყაუხჩიშვილისმიერ ქართული ფრანკმენტული თარგმანი, რომლიდანაც მის ქართულ „ცხოვრებასთან“ შესაძარბისირებელ ციტატებს იმეორებდა, მას შეეძლო პავლეს „გამოცხვენებათა და ფანტაზიათა“ მასშტაბი გვათავალისწინებინა გერმანულ თარგმანის მიხედვით“ (გვ. 126). ამ განცხადებით იგი თავისავე ნოსაზრებას უპირისპირდება, მაგრამ ამას მოვეუვათ. „საკვირველ“ რამეს მოტანილი რეპლიკის გამო აქვე მოვახსენებთ ჩვენს მკვლევარს (მან ხომ იცოდა რომ რაბეს თარგმანი ჩვენს ხელთ იყო?):

1). ქართული „ცხოვრების“ დახასიათებისას ასურული ტექსტის რაბესეულ გერმანულ თარგმანთან შედარება თუ ყოველთვის აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ მაკარი მესხს ძირითადად „ანონიმი“-ს სირიული ტექსტი (რაბესს გამოცემის) გადმოუღია (და ეს ასეა!) და არა „არქიტაი“, როგორც ლოლაშვილი ზემოთ ამტკიცებს“. ნუ თუ ამ ლოგოურ შესაბამიზის იგი ვერა გრძნობს, ე. ი. თუ როგორ აწვრცევს თავისავე კონცეპციას!? ამასთან ქართული ევერსია ხომ ძალზე მოკლეა Vita Petri-ს ვრცელ ტექსტთან შედარებით?!

2) რაბესს გერმანულ თარგმანი ცუდადაა შესრულებული და ამას ერთხმად აღიარებენ ასურული ტექსტის მკოდნენი (შაბო, კლერ. მონ-განო, ნოლდეკე, გამსაკუთრებით ელ. შვარტცო, ი. მარკვარტი, ე. პონიგმანი და სხვ.), ბევრი რამ მასში შემდგომმა მკვლევარებმა დაახსენებენ (მაგონ ეს რად ღირს რომ რაბესს ასურულში სწორად ვერ ამოიკითხა ვერც იოანეს „ლაზიკელობა“ და ვერც მისი გარდაცვალებას თარიღი — 4 ოქტომბერი?). შედარებისას უველა ფილოლოგიურ ნიუანსს აქვს მნიშვნელობა, თვით ამხანაგ თანმიმდევრობისაც, ხოლო ს. ამისი ს. სულთველს, სპეციალისტებს ერთობლივი აზრით, რაბესს გერმანულ თარგმანი არ ექმნის. საკვირველი სწორედ ისაა, რომ თვით ი. ლოლაშვილი არ ითვალისწინებს ამ სპეციალისტების ზოგიერთ გასწორებებს. ერთი მაგალითი:

სირიულ-გერმანული თარგმანის ზეგველენით ი. ლოლაშვილს პეტრე იბერის გენეალოგიურ შტოში მერმანის (პეტრეს) დის (მეზმირის ივა ხარქისაგან შესქენია) სახელად შეაქვს „ბომბროსპარია“ („არეობ. პრიობლ.“, 155. შდრ. Vita Petri ანუ „პეტრეს დერ იბერერ“, 1895, გვ. 16). მაგრამ სირიული ტექსტის სათანადო ადგილი ვასწორა ი. მარკვარტი 1931 წელს („დი ბეკერენგ“... 128, შდნ. 6) „ბუსმირიდერია“-დ. (ნიშნავს „ბუსმირის ასულს“). ეს ფაქტი ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ი. ლოლაშვილს დაკვირვებით არ მიუღწევნებია თვალა

მის წინ მდებარე ზოგიერთი ნაშრომისათვის. ამასთან, ელ. შვარტცის ნარკვევებს (კომპლ. ტრუფესი, მონოფიზიტი მწერლები, 1932) სპეციალური დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ რაბესს გერმანული თარგმანით სარგებლობა ამ ნაშრომის დახმარების გარეშე ამერიიდან ყოველად შეუძლებელია, რასაც მართებულად აღნიშნავს ე. პონიგმანი (იხ. მისი Pierre l'Iberien, P. 53. შდრ. თსუ შრომები. ტ. 59, გვ. 65). ეს თუნდაც იმ მაგალითითაც დასტურდება, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი Vita Petri-ს სირიული დედანში ნაწევრები იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღის რაბესეულ მკვლარ წაკითხვასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ მკითხველმა გადაწყვიტოს — გვირინდა თუ არა უფლება გამოგვეთქვა სირიული ტექსტის ქართულად თარგმნის სურვილი (აქი ქართული „ცხოვრება“ ასურულადანაა გადმოღებული?) და რით შეიძლება გამართლებული იქნეს ი. ლოლაშვილის გაკვირვება ჩვენი განცხადების მისამართით („საკვირველია“)? რაბესს თარგმანის მიხედვით თუ მან, ფილოლოგმა, პეტრეს გენეალოგიურ შტოში დასტოვა სირიული წაკითხვა, არა ფილოლოგ პავლემ დეკანოზისაგან ან შთარგმნილისაგან მეტი შეცდომები არ იყო მოსალოდნელია? ან რატომ ვთვლით საქართველს VI ს-ს სირიული ტექსტის ხუცელი ფილოლოგიური თარგმანის გამოჩენას (უველანე ადრე ეს სურვილი თვითონ ს. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა), რადგან რაბესს თარგმანით სარგებლობა ხშირად სახიფათოა, იმაში „4 დეკემბრის“ მაგალითიც გვარწმუნებს. ამასთან, აქი თვით ი. ლოლაშვილი აცხადებს იმასვე, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით: „ძნელია განსაზღვრა, თუ რა ხასიათის და შინაარსისაა პავლეს უველა გასწორება“. აუ რაბესს გერმანულ თარგმანს უველანერში ენდობო იგი, მაშინ ასეთი რამ თვითონ მიიწე არ უნდა დაეწერა: ავი მას წინ უღვევს ეს თარგმანი? ამასთან: ჩვეთთან კამათში სიტყვა-სიტყვით იმეორებს... ჩვენსავე სიტყვებს!!

მოწენა“) კი არ არის, არამედ—დაუსაბუთებელი პაპოთეზა, რომელსაც ვერ გავიზიარებთ, და აი რატომ: ეფიქრობთ, სწავლენა უნდა იყოს, რომ „პეტრეს ცხოვრების“ (სწავლის) შესახებ Vita Petri-ს სირიული თარგმანი, ა. გ.) ავტორის ვინაობის განხილვა და ვადამუხევა შეუძლებელია მხოლოდ ასურული წყაროების საფუძველზე, ქართული მასალების (უპირველესად ქართული „ცხოვრების“ ანდერჰა) გათვალისწინებლად. როგორც აღვნიშნეთ ედ. შვარტცი არ იცნობს „პეტრე ქართველის ცხოვრების“ მარისეულ გამოცემას, საერთოდ არც იცის, რომ „პეტრეს ცხოვრება“ პეტრეს მშობლიურ ენაზეც არსებობს, თუ თავს დაენებებთ იმის არ ცოდნას, რომ ქართულ „ცხოვრებას“ მოკლებულია ევროპის ავტორის ვინაობაზე, რომელთა გათვალისწინება ედ. შვარტცისათვის აუცილებელი იყო. არცოდნა არც ცოდვად, — ამბობს ჩვენებური ანდაზა, ამიტომ ედ. შვარტცს, თითქოს (!!) „წყაროების კოლოსალური ცოდნით აღჭურვილ მკვლევარს“, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურას საერთოდ არ იცნობს, ქართული მასალების უცოდინარობაში ვერ დაეანაშაულებთ“ (82-84), შემდეგ მიღის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მისი „კერპად“ მიიჩვეა არ შექმნიდა, რაზედაც უკვე ვთქვი. მოტანილი ადგილის შესახებ შევნიშნავთ:

1). „დაუსაბუთებელი პაპოთეზა“ ედ. შვარტცს არ წამოუყენებია. ამაზე ჩვენ წერდით „ლიტ. საქართველოში“ და იქ მოყვანილ საბუთებთან ერთად სხვა არგუმენტები იჩენება აქ მოტანილი.

2). ედ. შვარტცმა არ იცოდა მარისეული გამოცემა „პეტრე ივერის ცხოვრებისა“. მაგრამ ეს გამოცემა იცოდნენ ო. ბარდენივერმა (1924 წ.), მ. — ა. ევგენერმა (ზაქარია რიტორის „სევერესორის ცხოვრების“ სირიული თარგმანის ტექსტის ფრანგული თარგმანითურთ გამოცემელმა) და ი. მარკვარტმა. ევგენერი და მარკვარტი კი (მგონი შესანიშნავი შეცნობები) ფაქრობდნენ, რომ ქართული ცხოვრების დედინის ავტორი („ზაქარია ქართველი“) მიმოვისებელია სხვისა, ზაქარია რიტორის მიერ ბერძნულად დაწერილი „პეტრეს ცხოვრებისა“ (რომელიც დაყარველია სირიულ თარგმანთან ერთად). რასაკერაველია, არარსებულ „ზაქარია ქართველს“ არაფერი არ მოუთხოვია (ეუკენერსა და მარკვარტს მხედველობიდან გამორჩეული შვარტცის შრომა), მაკარის თარგმანი შემოკლებული ვადამუხევათა-თარგმანია „ანონიმის“ (რუფუსის) Vita Petri-ს სირიული თარგმანისა („მნათობი“, 1971, № 8, გვ. 161). ყოველ შემთხვევაში — ქართული „ცხოვრების“ ნატიუარი ანდერჰებს ეს შეცნობები (ეუკენერი და მარკვარტი) არ შეუეღვინათ, როგორ ფაქრობს ი. ლოლაშვილი — ედ. შვარტცს რომ სცოდნოდა ნ. მარის თარგმანი, იგი ეუკენერზე ან

მარკეტზე ნაკლები დაკვირვების უნარს გამოიჩინდა? ნიკო მარზე, კ. კველიძეზე (ესენი ხომ კარგად იცნობდნენ ძველ ქართულ მწერლობას და შგონი ლოლაშვილზე უკეთ) ან გერმანულ მკვლევარებზე (ე. პონიგმანი, პოლ. დე-რო, ი. შაუსბერი...), უკვე აღარაფერს ვამბობ. ამ არგუმენტის წინააღმდეგ ანდაზების მოშველიება უკვე აღარ დაგვიშარება.

3). პეტრეს ქართული „ცხოვრება“ დამახინჯებული, შემოკლებული და ზოგ ადგილას თვითმებრად გავრცობილი ტექსტია, ამაზე გარკვეულ წერს თვითონ რედაქტორი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ მან შაკარი მესხის ფურცლებზე აწლილი ნუსხა დააღაჯა და მასი ბოლოც „ვეთილად დაასრულა“. ვინა ასეთი ქართული თარგმანი შეიძლება ასურული Vita-ს სტრუქტურას შესწავლისას გადამწყვეტი უმოფილოთ ედ. შვარტცისთვის? ეს უკანასკნელი თუ არ იცნობდა ქართულ რედაქტორის მიერ „ვეთილად დაბოლოებულ“ „ცხოვრებას“ ნ. შარის გამოცემაში, მას ხომ კარგად იცნობდნენ სხვა ევროპელი მკვლევარები, მათ შორის ე. პონიგმანი, რომელიც ქართულ „ცხოვრებას“ „გაფუძვლებულ“ ტექსტად და „ისტორიულ ღირებულებას მოკლებულ“ ჭეცხად თვლის?! მაგრამ ი. ლოლაშვილს არც პონიგმანის „შარხებმბრუნავი ლოგიკისა“ სჯერა და მასთან დავისას ამ სახელის დამოწმება ზედმეტია. მასთანამე გამოდის, რომ ჩვენ ერთმა ედ. შვარტცმა ვაქციეთ „ვერბად“, ხოლო ი. ლოლაშვილი შარავლი „ვერბის“ (ნაწილობრივ ნ. შარის, ს. ყაულჩიშვილის, თ. შარდენკევერის, კ. კველიძე, ე. შვარტცი, ე. პონიგმანი და შრ. სხვ.) შემწესებულად გვევლინება. ამრიგად ქართულ ფილოლოგიამ იგი „ეკრატაქსისისმოცილობის“ წინააღმდეგ უმბრძოლეს პოზიციას იკავებს.

მაგრამ რამდენად მუაია ეს „პოზიცია“? მკვლევარს მიზნად დაუსახავს ედ. შვარტცის ნაშრომში — „იოანე რუფუსის-ჰომონიფიკტი მწერალი“ (1912) — დადგენილი ფაქტის — Vita Petri-ის ავტორი („ჰომონიმი“) რომ იოანე რუფუსია — უარყოფა და, მასთანამე, იმათი მოსაზრებების გაქარწყლებაც. რომელიც ედ. შვარტცის ამ აღმოჩენას იზიარებენ.

ი. ლოლაშვილი წერს:
 „მიანც რა წინამძღვრებს ევრდნობა ე. შვარტცი, როცა „პეტრეს ცხოვრების“ ავტორად იოანე რუფუსის აცხადებს? — უპირველესად იგი არკვევს, თუ ვინ არის „ჰომონიმი“ და სადაურია. საამისოდ ის იმომწებს ცერტანს პეტრეს ცხოვრებიდან“ ასურულ ენაზე ბერძენული თარგმანითურთ (გვ. 3-4) და წინასწარვე შეინაშავს: აქ ავტორი „გვეყვება, თუ როგორ მოხვდა იგი პეტრეს წრეში“ და იქვე „თავისთავზე გვაწვდის დამწერლებითის ცნობებს და აღსარებებს“ (გვ. 2-3). (გვ. 84, შდრ. ჩვენი წერილი, „ლიტ. საქ.“, 1970, 21 ავგუსტო, სექტი 3). შემდეგ

მიდის ამონაწერი, რომელშიც მოაზრობილი იოანე რუფუსის დიდ პეტრეგოგონე (უბრალოდ) ჩასვლა ანტოქიიდან „სტრუქტურული“ „პეტრე იბერიელმა ის თავის ვარემოში მოაქცია და სეინველონი გახადა“ (84-85).

მკვლევარის დამტყნა:
 „ამის მიხედვით ედ. შვარტცი აღნიშნავს: „ამრიგად, ის (თხზულების ავტორი, ი. ლ.) ეუფენობდა ბეირუთის იმ შრავალ რიცხოვან სტუდენტთა წრეს, რომლებიც ბერ-მონაწუნობის ციებ-ცხელებით იყვნენ შეპყრობილნი, სქოლასტიკოსის წამოსახამზე უარს ამბობდნენ და ბერის ტანისამოსს იცემდნენ“ (გვ. 4), (შრომის გვ. 85).

ედ. შვარტცის შრომის ეს ადგილიც პირველად ჩვენ მოვტანეთ (იხ. „ლიტ. საქ.“, 1970, 21 გვ. სექტი 3). ი. ლოლაშვილმა ამწერადეც არ ჩათვალა საჭიროდ ამის აღნიშნა, ვიმეორებთ — ეს არაფერია, მივეჩვენეთ, მას ბევრ სხვა ადგილას კიდევ მოაქვს ჩვენს მიერ პირველად მოტანილი ადგილები (ზოგჯერ მარტო შინაარსის ცალმხრივად გამოცემით) და გასაყვირი ასეთი რამა მისგან უკვე აღარაა. საკითხი მხოლოდ ისაა — როგორ აუქმებს ჩვენი ფილოლოგი ედ. შვარტცის „პოზიციას“.

ედ. შვარტცი, რა თქმა უნდა, ზედმიწევნით (სირაულ დედნებში!) იცნობს „ჰომონიმი“-თხზულებებსა და ზაქარია რიტორის „სევეროსის ცხოვრების“ სათანადო ადგილებს, რომლებიც იოანე რუფუსის ბიოგრაფიას შეეხება. ერთ ადგილას, რომელიც პეტრესა და მის მესვენაეებს ეხება, ზაქარია რიტორის ამ ნაწარმოებიდან მოაქვს ი. ლოლაშვილს (გვ. 86), რაზედაც როგორც ვთქვით, ზუსტად მიუთითა ქერ სიმონ ყაულჩიშვილმა, შემდეგ ჩვენც.

ი. ლოლაშვილი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გამოკვლევის შემდეგ გაიხსნო უმეზლოდ ზაქარია რიტორის „სევეროსის ცხოვრება“ (მიბლიოგრაფიულად იგი დღეი ხანია ცნობილია), თავი უნდა შეეწუხებინა და ფაქტებზე პირველად მიმითიებული დაუსახელებინა. მაგრამ არც ესაა მანცდამანც გასაყვირი — ჩვენს ნარკვევებზე („სიყე“...) ტაბზე დაღუბა მისი შეგნებული გადაწყვეტილება.

ი. ლოლაშვილი პირდაპირ გვეცამათება ამ საკითხთან დაკავშირებით:

„კითხვა ისმის: შესძლო თუ არა ედ. შვარტცი დასახუთება, რომ თხზულების ავტორია იოანე რუფუსი? ა. გაწერელია წერს: ედ. შვარტცი „რააბეს მიერ გამოცემულ „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ სიბრელი ტექსტის... ღრმანალიზს ევრდნობა... ის იქმითებულად ადგენს, რომ „ჰომონიმი“, ე. ი. რუფუსი ბეირუთიდანაა, ან „რომ „ჰომონიმი“ (ე. ი. რუფუსი) ბეირუთიდანაა, ეს მტკიცდება რააბეს გამოცემაში გერმანული ტექსტის არაერთი პასაჟით, რომლებიც არაერთაზრ ეჭვს არ სტოვებენ ედ. შვარტცის

დაცვირების სისწორეში (მაგალითისათვის შერ. „პეტრუს დერ ბერერა“, გვ. 78-79, 107 და სხვ., რომლის ქართული თარგმანები დიდად გაზრდილია ზევის წერალს) მხოლოდ და მხოლოდ ბერიუთის შექმნილი დაწერა“ (ლიტ. 33). ერთი შეხვედრითაც კაცმა მართლა შეიძლება ამგვარად იფიქროს, მაგრამ საერთო ასე იოლად(?) არ წყდება. იოანე რუფუსი რომ ბერიუთში სწავლობდა. ეს ფაქტი „სუვეროსის ცხოვრებიდან“ დასტურდება და ამას დადგენა არ სჭირდება, მაგრამ „ანონიმი“ ბერიუთელობა არსიდან არ ირკვევა, არც მასი თხზულებიდან და არც სხვა წყაროებიდან“. (გვ. 87, დაყოფანი ტექსტში ავტორისაა. ა. გ.).

ამ ცნობების გამო, რომელიც „პეტრუს ცხოვრებაშია“ მოთხრობილი ბერიუთზე ავტორის მიერ, ი. ლოლაშვილი შენიშნავს, რომ „პეტრუს მოწაფეთაგან ბერიუთელები(?) ბერიუთელი სტუდენტები, რომელთაც სკოლასტიკოსის ტოვა გაიხადეს და ბერად შედგნენ მათგან მონასტერში“ (87), ამასთან მოაქვს ადგილი VI-ს-დან იმის შესახებ თუ როგორ დასცილდა ტრაპიზონში „ანონიმი“ თავის მოძღვარს და არ გააქცა ბერიუთში (88), „ხოლო ის ამბავი, რაც ბერიუთში მოხდა მწერალმა სხვისი ნაამბობის მიხედვით აღწერა“ (89) და განმეორებით წერს: „ის რაც „პეტრუს ცხოვრებაში“ ბერიუთელ სკოლასტიკოსთა შესახებაა ნათქვამი, უშეძლებელია ეცოდინებოდით(?) პეტრუს მოწაფეებსა და მემკვიდრეებს, რადგანაც, როგორც აღნიშნული, მათგან მონასტერში მრავალი სკოლასტიკოსი იყო შემდგარი (ამ „მრავალთაგან“ თეოდორესა და რუფუსის გარდა კიდევ დაესახელებინა ვინმე, უკვე ცნობილი პირთა გვერდით ა. გ.) და თხზულების აღმწერელს(?) ბერიუთის ამბები მათგან შეეძლო მოესმინა“. „ანონიმი“ რომ ბერიუთელი ყოფილაყო(?) პეტრუს თან გასუკვებოდა მშობლიურ ქალაქში, რადგან ის იმ ხანად მუდამ თან ახლდა თავის მოძღვარს. მეტიც: „პეტრუს ცხოვრება“ რომ იოანე რუფუსს ეკუთვნოდეს, იგი თხზულებაში ასე სქემატურად(?) არ წარმოადგენდა ბერიუთის სტუდენტთა ცხოვრებას და იდეალებს, რადგან მან, ზაქარია რიტორის თქმით, დიდი სახელა დატოვა იქაურ „სკოლასტიკოსთა შორის“ და ა. შ. (89).

და ასე — „ეცოდინებოდით“ და „შეეძლოა“: მაინც საიდან მოიტანა ლოლაშვილმა რომ მათგან მონასტერში, საკუთრივ პეტრუსთან, ბევრი ბერიუთელი სტუდენტი იყო ბერად შემდგარი. მათ შორის მხოლოდ ორი — თეოდორე და იოანე რუფუსი იყო ბერიუთელი სტუდენტ-ყოფილი. საიდან გამოვიდა „ბერიუთ ბერიუთელი“ ჩვენმა მკვლევარმა? („ორი“ — არაა „ბევრი“: 80-იან წლებში პეტრუს 5 მესენიადიან მხოლოდ 2 იყო ბერიუთელი).

ან კიდევ:

„იმის კახეა: თუ „ანონიმი“ ბერიუთელია, რატომ დატოვა პეტრე ტრაპიზონში და ის თან არ გააქცა ბერიუთში? ეს კითხვა „ცხოვრებასა“ ნათლად მიანიშნებს(?), რომ თხზულების ავტორი არც ბერიუთელია და ის არც სკოლასტიკოსი ყოფილა(?), თორემ ასე გულცივად(?) არ შეხვედებოდა პეტრუს გადამწვეტილებას ბერიუთში გამგზავრებაზე“ (90).

ი. ლოლაშვილი თითქოს შეცდომამი „პეტრუს“ ედ. შვარტცს და ამბობს: „მოსაზრება, თითქოს იოანე რუფუსი „პეტრუს ცხოვრებაში“ თავის თავზე გვაწვდის დაწერილებით ცნობებსა და აღსარებებს“, ედ. შვარტცის მიერ დამოწმებული ციტატებით არ დასტურდება. თხზულები 78-80 გვეჩვენებს ლაპარაკს არა იმაზე, თუ თხზულების ავტორი როგორ მოხვდა პეტრე ბერიუთის წრეში, არამედ — პეტრე ანტიოქიელისა და თველოზე სკოლასტიკოსის ურთიერთობაზე და აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ მოხვდა თეოდორე სკოლასტიკოსი ბერიუთის წრეში“ (90). — არსაიდან არ დასტურდება, რომ იოანე რუფუსი არის „პეტრუს ცხოვრების“ ავტორი. არც ის ირკვევა, რომ „ანონიმი“ ბერიუთელია და არც ის, რომ იგი პეტრე ბერიუთელისა და ანტიოქიელისაგან მოვიდა. ეს მხოლოდ ედ. შვარტცის ვარაუდი(?) დასაბუთებული იმისათვის, რომ „ანონიმისა“ და იოანე რუფუსის ბიოგრაფიული მონაცემები ერთმანეთს დამთხვობს. ამრიგად, ედ. შვარტცის შრომას ფილოლოგიური აღმოჩენის ბრწყინვალე ნიმუშიად ვერა ეცნობთ. მასში „პეტრუს ცხოვრების“ ავტორისა და იოანე რუფუსის იგივეობა დამტკიცებული არ არის არც თვით „ცხოვრების“ ღრმა ანალიზით და არც ზაქარია რიტორისა და იოანე რუფუსის ცნობებით“ (91).

მაშასადამე, ედ. შვარტცი (და მისი გავლენით ე. პონიგმანი და სხვებიც) „იოლად“ და „არაღრმად“ წყვეტს საკითხს, ი. ლოლაშვილი კი — „შეიშველ“ და „ღრმად“! Vita Petri სასწაულების აღწერებს შეიცავს და რატომ არ შეიძლება ქართულ ფილოლოგიაშიც ხდებოდეს სასწაულები? მაგრამ მართლა ასეა საქმე?!

რა თქმა უნდა არაფერ სიახლეს არ შეიცავს იმის აღნიშვნა, რომ რუფუსი ბერიუთში სწავლობდა. რუფუსზე ეს ცნობა ზაქარია რიტორიდან მომდინარეობს. მაგრამ იმ გარემოებას, რაც ზაქარია რიტორს აღნიშნული აქვს, ედ. შვარტცისათვის სხვა ფაქტებითან ერთად აქვს მნიშვნელობა. ამას კი ჩვენი მკვლევარი განწინაობს არ აქცევს ყურადღებას. რომელიმე მეცნიერის მიერ ყველა ცნობების თავმოყრა და მათი ერთმანეთთან შედარება, სათანადო დასკვნის გამოტანით, წარმოადგენს ვისავე ვინაობის საბოლოოდ დადგენის საფუძველს. ზაქარია რიტორის ჩვენებას („სუვეროსის ცხოვრებიდან“) იზოლირებულ მნიშვნელობა არ აქვს ედ. შვარტცისათვის და განცხადება, რომ რუფუსი ბე-

ირთუმი განსწავლას პერიოდზე ცნობას დადენა არ სჭირდებოდათ — უადგილო ფრაზაა. საკითხი ეჭვა რუფუსის ბეირუთში განსწავლულობას, ე. ი. მისი ბიოგრაფიის იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ იგი არა მარტო სწავლობდა ბეირუთში, არამედ გუთუნოდა იმ სქოლასტიკოსთა წრეს, რომელიც მონოფიზიტ პეტრე ებერის დიდი ზეგავლენით ბერძონმანქნობის ცემა-ცხელებით იყო შეპყრობილი. ასეთი ცალკე-ნა Vita Petri-ს ავტორის ვინაობის დადგენის დროს უადრესად ანგარიშგასაწევი ფაქტია, რადგან „ანონიმი“ მებრძოლი მონოფიზიტია, ხოლო „ზაქარია ქართველი“ რომელი ასეთი აღზრდილია და ვაულის შედეგად უნდა გამხდარიყო მხურვალე მონოფიზიტი, ისე გვიან მართმადიდებლურ ქართლიდან შიშვენი „გამგზავრებულა“? რატომ არ დაუსვა თავისი კონცეპციისათვის ფრიალ საბუდისწერო ეს კითხვები ი. ლოლაშვილმა საკუთარ თავს?

ი. ლოლაშვილი ბევრ სიტყვებს ხარკავს იმის „დასამტკიცებლად“, თითქოს „ანონიმი“ ბეირუთელი არ ყოფილა, გულგრილი იყო ამ ქალაქისადმი, რომ ის პეტრეს ტრიპოლისიდან ბეირუთში არ გაჰყოლია, ძენწად ჰყუება ბეირუთზე (ისეც სხვისი გადმოცემის მიხედვით) და, მამსადაც, ყოფილი ბეირუთელი სტუდენტობა და ანტიოქიიდან პეტრესთან ჩასული იოანე რუფუსი სხვა და „ანონიმი“ (ე. ი. „ზაქარია ქართველი“) კი — სხვა. ეს „სხვა“ პირი, როგორც ზემოთ „დავინახეთ“ — თურმე „ქართული ვრთა“, Vita Petri-ს დაწერია!

ყურ ვრთი: რატომ უნდა მოეთხრო ვრცლად „ანონიმი“ ე. ი. იოანე რუფუსის ბეირუთში მასი ყოფნის წლებზე ან სხვა ეპიზოდებზე, იგი ხომ პეტრეს ბიოგრაფიას სწერდა და არა თავისას? მერმე: განა „ანონიმი“ (ვითომც „ზაქარია ქართველი“) ყველგან დასვედა პეტრეს და ასეთი რამ უაქვევლად იოანე რუფუსს უნდა მოთხოვოთ იმ მიზნით, რომ მათი სხვადასხვა ვინაობა ვამტკიცოთ? თუ „ანონიმი“ ბეირუთში ვრთხელ არ გაჰყვა პეტრეს, ამიტომ თავისთავად ეს ფაქტი მისი სტუდენტობის პერიოდის ქალაქის მიმართ გულგრილობაზე მეტყველებს? აქი იოანე რუფუსი ძალიან უუვარდათ ბეირუთში (ზაქარია რიტორის ცნობა), მაგრამ ამაზე იგი არაფერს ამბობს თავის „პლურისტორიებში“, მამსადაც, პირველ „არგუმენტს“ იმდენივე ძალა აქვს, რამდენიც მეორეს. განცხადება — „ანონიმი“ რუფუსი რომ ყოფილიყო, იგი უსათუოდ გაჰყვებოდა ბეირუთში პეტრეს, უენაურად გამოიყურება: „ანონიმი“ განა ყველგან დასვედა პეტრეს ან ყველგან მასთან ერთად იყო? ამასთან, Vita-ს 78-80 გვ. 23-ზე მოთხრობილი ამბავი — თეოდორე ბეირუთელის ჩასვლაზე პეტრესთან — მისი კოლეგის ანალოგიურ ბედზე არ მეტყველებს?

ი. ლოლაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელო-

ბას არ ანიჭებს ედ. შვარტცის მიერ შემწეულ და არსებითად გადამწყვეტურ მნიშვნელობას ფაქტს (გვ. 76-87): პეტრეს მქსენეცხედა შორის ზაქარია რიტორი „სვევეროსის ცხოვრებაში“ ასახელებს ხელს — იოანე კანოპიტეს (კანოპელს, შ. კლერმონ — განის მიხედვით იგი ფსევდონიმი. ა. გ.), ზაქარიას, ანდრეას, თეოდორესა და იოანე რუფუსს, Vita Petri-ს (რახბეს გამოცემა) ჩამოთვლის 4-ს: იოანე კანოპიტეს, ზაქარიას, ანდრეას და თეოდორეს, რატომ „გამორჩა“ „ანონიმი“ მიხედვით იოანე რუფუსი თუ იგი თვითონ რუფუსი არაა და სხვა პირია? ი. ლოლაშვილს შიშად აქვს პასუხი: პეტრეს სხვა ბევრი ბეირუთელი მოწაფე და მესენაყე ყავდა. ეს მართალი არაა. ზაქარია რიტორისა და „ანონიმის“ ურთიერთშემავესებელი ცნობებით პეტრესთან უშუალოდ, შიშვენი მონასტერში და მის გვერდით მხოლოდ ხუთი მესენაყე იყო 80-ან წლებში და რომ მასთან ეიდვე ბევრი ბეირუთელი თუ ქართველი მესენაყე ყოფილიყო (პეტრესთან მხოლოდ ორი ბეირუთელი, რუფუსი და თეოდორე ჩანს) ზაქარია რიტორი და „ანონიმი“ (რუფუსი) მათ უპყველად დასახელებდნენ. ამასთან როგორ მოხდა რომ „ანონიმი“ ხუთ მესენაყიდან იოანე რუფუსს (ე. ი. თავისთავს, ა. გ.) საგანგებოდ არ ასახელებს, დანარჩენ ოთხს კი — ზუსტად და უკლებლივ? ედ. შვარტცის დაყვირების სიღრმეც ამაშია: ეს მას („ანონიმი“) ბერ-მონაზვნური მოკრძალებით მოსდის — თავისთავს იგი უბრალოდ იმიტომაც არ დასახელებდა ტექსტის შიშით, რომ Vita Petri-ს სწერდა თანამედროვეებისათვის, რომელთაც მისი ვინაობა ძალიან კარგად იცოდნენ. ვიშვირებ: „ანონიმი“ რომ რუფუსი არ იყოს, მაშინ რატომ „გამორჩნებოდა“ ეს რუფუსი Vita-ს სხვა ავტორის და არ დასახელებდა პეტრეს მესენაყეთა შორის? კიდევ ვიშვირებ: Vita Petri თუ სხვა მესენაყის მიერია დაწერილი (და არა რუფუსის მიერ) ამ „სხვა“ რატომ არ დასახელებდა იოანე რუფუსი ისევე, როგორც ზაქარია რიტორისა? თუ „ზაქარია ქართველი“ Vita-ს „არქიტეპოს“ ან მლიანად Vita-ს ავტორი, 482-491 წწ. ამბების თხრობისას რატომ ვერ დაინახა თავის გვერდით მყოფი იოანე რუფუსი, ხოლო საკუთარი თავი ზაქარია [ქართველი] კი არ დაივიწყა? და ბერ-მონაზვნური იდეალები არ უშლიდა ხელს ნეკრატის სახელის განზრახ დაიწყებისას? თუ ნეკრატურულად გვიჩვენებოდა მას? (Vita-

* შ. კლერმონ-განო. პეტრეს ბეირუთელის ცხოვრებაში მოხსენებული პალესტინის რამდენიმე ადგილის ლოკალიზაციის შესახებ. „სადმო-სავლური არქეოლოგიის ეტრუდები“, პარიზი, 1897 წ. ტ. II. სტუც. იხ. გვ. 14-15. ფრანგ., საერთოდ ამ შრომას: ვანსონი ფვილიუბელია. მღრ. „პეტრეს დერ ბებრე“, გვ. 122.

მი ერთობით მივხედავ, ვინმე ზაქარია „ანონი-
მის“ (ე. ი. ნაწარმოების ავტორის, სხვა პირის —
რუფუსის) მიერაა დასაბუღებული, ასე რომ მის
ავტობიოგრაფიულ ან ქართულურად ლამარაკი ზედ-
მეტყვითა), რაინდ „ზაქარია-ვამბრონი ლოვიკო“
ამ კითხვებს ითან რუფუსის ავტობიოგრაფის სა-
წინააღმდეგო პასუხებს ვერ ვუპოვი. ვერც ი.
ლოლაშვილი შესძლებს შევძლებულს.

„პლეროფორიების“ შესავალში ავტორი, ე. ი.
იოანე რუფუსი დასაბუღებულია, მაგრამ ამ
წიგნის მთავარი პერსონაჟი პეტრეს არაა და ამუ-
ტომ ზერ-მონაზვნობა მასში საკეთარი პერსონ-
ის დასახელების (თუ ეს შესავალი მართლაც
რუფუსის ეთენილება) ხელისშეშული არ
ქნებოდა. Vita Petri კი მოძღვრის ღრმა შთა-
გონებითაა დაწერილი და მოწვევთ ვინაღუ-
რი პაროქიების წარდღივია ი. ლოლაშვილს,
რომელიც სტილისტიკაზე მსჯელობს, განაჩნ
თავისებურებებზე და ავტორის სხვადასხვა
ფსიქოლოგიურ სიტუაციაზე მგეტი დაკვირვება
მოეთხოვებოდა. ამასთან „პლეროფორიების“
ტექსტშიაც, მივხედო, რუფუსი არსად არ ასაბუ-
ღებს თავის სხელსა და ვერა, ე. ი. იოანე
ბეთ რუფინას.

მაგრამ ი. ლოლაშვილს ქვემოთ, ამ კითხვებზე,
დაე მიიღე მზად აქვს „პასუხი“: სირიელი Vi-
ta Petri დამახინჯებულია, ნაწილები და გაუა-
კეთებული. ქართული „პეტრეს ცხოვრება“ რომ
დამახინჯებული, გავრცობილი და გადაკეთებუ-
ლია, ეს მართლაც ფაქტია, მაგრამ სირიელი
Vita-ის რადიკალური გადაკეთება, გადასწო-
რება და მასში „ზაქარია ქართველის“ ვაჟის
ვაქრობა „აქციტიპის“ „გამოყენებისა“ და „გა-
დამუშავების“ შემდეგ (თქმაც „პროტოტიპისა“
თუ „აქციტიპის“ ნიშანწყალიც არა ჩანს) —
ეს უკვე ქართული „ცხოვრების“ რედაქტორ-
დგენისა და მისი თვითიველი „მესესნაის“
შეხვედრებაა!

დავარწმუნებთ ი. ლოლაშვილს, რომ იმეკარა
„ავტორიებით“ იგი „ზაქარია ქართველს“ პეტ-
რეს მესხენაყელ ვერ გადააქცევს, მან იოანე
პეტრიწი „გამოღვევა“ პეტრიწონის მონასტრი-
დან, მაგრამ არ არსებულ „ყრმა“ „ზაქარია
ქართველს“ იგი ქართულიდან მიაღწიო ვერ ვა-
დასახლებს V ს-ის 80-ან წლებში, ვერც ამ
ეფემერულ არსებას მონათლავს მონოტიზიტატა
და ვერც მისი მოგზაურობის გარშტეტს დაად-
ვენს! იმეკარი ჩამ — წყლის ნაყვან!

არავითარი კრიტიკის არ უძღვებს განცხადება
„ავტორი არც ბეირუთელია და ის არც სწო-
ლასტიკოსი ყოფილა, თორემ ასე გულცივად არ
შეხედებოდა პეტრეს გადამწყვეტილებას ბეირუ-
თში გამზავრებაზე“ (90) და თითქოს — ანონი-
მის ანტიოქიიდან არ მისულა პეტრესთან? (91).

უნდა ვთავისებოთ — მართლა ასე ბეირთ ძაფე-
ბითაა დაკავშირებული „ანონიმი“ ბეირუთთან
და მას სწოლასტიკოსისა არაფერი ეცხვო? ი. ლო-
ლაშვილს, 16 6.


ლოლაშვილს მოაქვს სათანადო პასუხი ეს ადგა-
ლი მთლიანად პირველად მხედრულ-მხედრულ-
ში „ისევ“ ზაქარია რაბინის ქართული
ცხოვრებიდან“ (იხ. გვ. 86), რომელიც პეტრეს
მესხენაყელს ეხება და რომელშიაც იოანე რუ-
ფუსი სულ ბოლოსა მოხსენებელი, რასაკვირ-
ველია, როგორც ახალგაზრდა — აი რუფუსი
VI საუკუნის 20-ან წლებშიაც ცოცხალია, ე. ი.
რუფუსის ახალგაზრდობა სადავო არაა.

შეუფერება თუ არა ეს ცნობები „ანონიმის“
(ე. ი. რუფუსის) ბიოგრაფიას? ზედმიწევნით შე-
ესაბამება!

ი. ლოლაშვილი ეს წერს რომ ედ. შვარტცი
„არსად არ ამბობს, რომ ის („ანონიმი“) იყო
ბეირუთელი“ (გვ. 91). ეს მთლად გაუგებრობა-
ბაა! ედ. შვარტცი „ანონიმი“ ბეირუთელ სწო-
ლასტიკოსთან წარს წყარად თვლის (იხ. ციტატა
ზემოთ) ამიტომ ახლავს იგი Vita-ს ავტორად
ყოფილ ბეირუთელ სტუდენტ იოანე რუფუსს.
განცხადება: „ანონიმი“ რომ იოანე რუფუსი
იყოს, რომის იტყოდა იმაზე თუ როგორ დაე-
კავშირდა იგი პეტრეს ასკალონში თეოდორეს
„მეშვიობით“ (გვ. 93) — უსაფუძვლოა, რადგან
„ანონიმი“ (რუფუსი) სრულიად არ იყო ვილა-
დებული „პეტრეს ცხოვრებაში“ თავისი ბიო-
გრაფიის ყველა დეტალები მოეხირო — მისი
გმირი პეტრეა და არა საკეთარი პერსონა, ვა-
ნა თვით „პლეროფორიებში“, რომლის წარ-
წერაში რუფუსის ანტიოქელობა აღნიშნული,
ავტორი ყველა თავის ბიოგრაფიულ სტრი-
ტებს გადმოგვცემს? ხოლო თუ რამდენად არ
შეუფერება (აბსოლუტურად არ შეუფერება)
„ანონიმი“ ქართველობა, ამაზე ჩვენ უკვე ვწერ-
დით „ლიტ. საქართველოში“, ეწერათ ზემოთ
და ზოგი რამის დამატებით აღნიშვნა ამ
საკითხზე ისევ მოგვიტდება ძალაუნებურად.

„ანონიმი“ რომ ბეირუთიდან „გამოღვევის“,
ი. ლოლაშვილი თარგმნის Vita-ს იმ ადგილის
დასაწივის, რომელიც ბეირუთში პეტრეს ჩასე-
ლას ეხება (რამბეს გამოცემა, გვ. 107) და რო-
მელიც „ანონიმის“ (რუფუსის) თხოობას წარ-
მოადგენს და უმირისპირებს ჩვენს თარგმანს.
„მოვიდა“ სხვა ვიღერ „მოვიდა“ ან „ჩამოვი-
და“. თქმაც არც ამით შეიცვლებოდა ჩვენი არ-
გუმენტის მიზნელობა. მაგრამ რომელი თარ-
გმანი დაახლოებით მიიღე სწორი? ი. ლოლაშ-
ვილმა სირიულ დედამს შევღარა იგი?

სათანადო ადგილა რამბეს თარგმანში იწუე-
ბა ასე: „Und als er nach Beryt kam, erführen
dies sogleich junger Scholastiker...“ ვთქვარბ
სწობია ითარგმნის არა „მოვიდა“. არამედ
„ჩამოვიდა“ ან „მოვიდა“, რადგან რა-
ცა მთელ პასაჟს ვაკვირდებით, იმეკარად ჩანს,
რომ ირი შესაძლებელი წყაითხვიდან („მოვიდა“
ან „ჩამოვიდა“ ან „მოვიდა“), კონ-
ტექსტისათვის უფრო შესაფერია მეორე წყაითხ-
ვა, რადგან რუფუსი ერთხანს ბეირუთში სწავ-



ლობდა, ვფემერულ „ზაქარია ქართველს“ კა მკონა ბეირუთში არ უსწავლია ბეირუთზე თხრობა Vita-ში სხვისი ნაშრობის არავითარ კვალს არ ატარებს. ავტორი მიხედვლადა ორი-ენტარბეული ბეირუთელ სკოლასტიკოსების ცხოვრების საკითხში. მოსაზრება, რომ „შეიჩინება“ ან „საფიქრებელია“ ბეირუთში პეტრეს ჩასვლის ამბავი „ანონიმმა“ („ზაქარია ქართველმა“) სხვა პალესტინელი სკოლასტიკოსები-საგან გაიგოთ—ძალზე ხელთვეტრა კონსტრუქცია. მიიღწემა პეტრესთან უშუალოდ იმყოფებოდა ორი ბეირუთელი სტუდენტყოფილი — იოანე რუფუსი და თეოდორე და რაღა მთელი ღაზის ფარგლებში უნდა ეცია „ანონიმს“ (იმავე რუფუსს) ინფორმაციები ბეირუთის ამბების არველია? „ანონიმი“ „ზაქარია ქართველის“ შესაძლებელია ურთიერთობანი ღაზში მცხოვრებ ყოფილი ბეირუთელ სკოლასტიკოსებთან— ი. ლოლავილის ვარაუდია, უკეთ—მისი ფანტაზიის ნაყოფი.

ამასთან, კიდევაც რომ დავუშვათ გამოთქმა „მიედიკა“, ამით არაფერი იცვლება რადგან Vita Petri დაიწერა VI საუკუნის 20-ან წლებში და მისი ავტორი, ბენედიკტა, ბეირუთის ამბებს ჰყვება, როგორც ამ ქალაქიდან დიდი ხნით აღ-რე წამოსული. ნუ თუ ამ ფაქტის შემწნება ასე მწელია? ან რა გამოჩინა ი ლოლავილს და არ გამოჩინებია ელ. შვარტსს, რომელსაც ფაქტების „ღრმა ანალიზის“ და „აწონ-დაწონვის“ უნარს ვერ წაუარბმევთ, რაგინდ ამას არ ვუცადოთ.

უნდა ეციოთხოთ: თუ „ანონიმი“ არ გააკე- პეტრეს ბეირუთში, რატომ „ზაქარია ქართვე-ლი“ არ გააკევა მას, თუ იგი „ანონიმი“? ან შეფერება კი ჰბაზე „ზაქარია ქართველს“ ბეი-რუთელი სტუდენტებისა და პეტრეს ურთიერ-სობის შესახებ გადმოცემის ის ინტიმური სტა-ლი, რითაც „ანონიმის“ (ბეირუთის ყოფილი სტუდენტის) კალმიდან გამოსული თხრობაა აღ-ზექლილი? ან ღრმა თეოლოგიური განსწავლუ-ლობა, ან კიდევ ვრცელი და უშუალო ცოდნა ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე ამბებისა. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს ეინაზის შესა-ხებ ზუსტი ინფორმაციების მარაგი, თვითონ პეტრეს კონსტანტინოპოლში და იერუსალიმში ყოფნის პრეპიეტების გამო თხრობა, რითაც Vita Petri-ა მდიარია? ან „ანონიმის“ ართო-დოქსული მონოფიზიტობა, რომელიც ასე შეე-ფერება ყოფილ ბეირუთელ სტუდენტს, მკვიდრ ანტიოქელს და შემდეგში პალესტინაში ჩასულს, მაგრამ არა „ქართულე ჰბატუს“? როგორ მოასწ-რო 482 წელს ქართლიდან შაიქში „ჩასულმა“ „ჰბატუსმა ზაქარიამ“ ვველაფერი ზემოთ აღნიშ-ნელის მოსმენა, მონოფიზიტობის წილში მოქ-ცევა და ბერძნული და ასრული ენების თუ შესწავლა, რომ შესანიშნავი ფზუელბების და-წერაც შესაძლო ბერძნულზე— „დაჯახლ“ 500

წელს“? და ვველაფერი ეს — 482-500 წლებს ფარგლებში?

(მე არ მინდა დავიქერო, თუ რა მიზეზები ამ საკითხებზე არ დავიქერებულა, არც იმაში ვარ დასწმუნებელი, რომ იგი იქვით არ უც-ჭრის თავისი ფიქტიური პერსონაჟის არსებო-ბას).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინე-ბის საფუძველზე მნიშვნელობა ენიჭება იოანე რუფუსის „პლერიფორიებს“ და „პეტრეს ცხოვ-რება“-ში იდენტური ადგილების არსებობას, მათ-ში ინონასტიკოსის ერაფეროვნებას და ა. შ. რუ-ფუსს პეტრეს შესწავლე და მონოფიზიტო-მწერ-ლია, მოძღვრის ბიოგრაფი, ხოლო „ზაქარია ქარ-თველის“ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ცნობე-ბი მართოდენ მაყარი-ჰაელეს „ცხოვრებაში“ და მათი ერთგული მიმდევრის ი. ლოლავილის შრომებში გვხვდება, ორიენტალურ მეცნიერე-ბას კი არავითარი ასეთი „ცნობა“ არ მოეპო-ვება. ამასთან ქართული „ცხოვრების“ მიხედვით ეს ვფემერული „ზაქარია“ დიოფიზიტია ისე-ვე, როგორც თვითონ ეთომცე „მართალიდებ-ბელი ქალაქდონისტი“ პეტრე, რაც უფრო მე-ტია ვიდრე ისტორიული ასტრუდი.

ი. ლოლავილი წერს (და ამ ფაქტს „გარ-დასწევრებ“ მნიშვნელობას ანიჭებს. იბ. გვ. 96): „სვევეროსის ცხოვრებაში“ იოანე რუფუსი მოხ-სენებელია პეტრეს შემყვიდრულ (PO, II, 86-87). „პეტრეს ცხოვრების“ ავტორი კი თავის-თვეს პეტრეს შემყვიდრულ არ სოვლის, იგი წერს: „ივენ და ის მოხუცი ბერები დანარჩენი მძებოთურთ ერთ პატარა ქალაქში გეგნერდით, რადგანაც ეს ცხოვრების შემყვიდრებმა ასე განსაზღვრეს თავისით“ და უმატებს: „შვარტსს იგი მხედველობიდან გამორჩა“.

არაა მართალი! და შვარტსსაც მხედველობი-დან არაფერი გამორჩენია!

ზაქარია რიტორის „სვევეროსის ცხოვრების“ 86-87 გვერდებზე თქმულია, რომ მონასტრის წინამძღოლობა „მოხუცებმა“ მიანდეს თეოდო-რესა, „დად იოანეს“ (კანონიკეს და არა იოანე რუფუსს!), ხოლო „საეპურთხვეული იოანეს, მეტ-სახელად რუფუსს ჩააბარეს“, ე. ი. ზაქარია რი-ტორის თხზულების ეს ადგილი ი. ლოლავილის სწორად ვერ გაუგია: რუფუსი პეტრეს პირველ შემყვიდრებთან უშუალოდ დასაძღვლებული არაა, იგი მოხსენებელია ბიოსი, როგორც „სა-ეპურთხვეულის“ მსახურს. აქედან ყარვად ჩანს, რომ ზაქარია რიტორი მას მოხუცებში არ თვლის, რადგან იოანე რუფუსს მართლაც ვეე-ლაზე ახალაზრდა იყო პეტრეს შესენაეცებს შორის (პეტრეს ვარდაცეალების შემდეგ „მო-ხუცებმა“ დიდხანს მკონა არც უცოცხლობათ). ამასთან, იგი Vita-ს ავტორი „ანონიმი“ (რუფუ-სი) მხოლოდ 482 წელს მიედიკა პეტრესთან და მას VI საუკუნის 20-ან წლებშიაც გხვდავით? ან Vita-ს მხედვება რატომ უნდა დიდებოთ, რომ

პეტრემ რომელიმე მოხუცი პირდაპირ დანიშნა მემკვიდრედ და მათვის განსაკობსად, ეს პოსტი ხომ სწორედ რუფუსმა დაიკავა პეტრეს ვარდაყვლების შემდეგ?

ამ მომენტებს ი. ლულაშვილი ანგარიშს არ უწყის ასევე, როგორც „პლუროფორიებისა“ და Vilas-ის იდეურ და ეპიზოდთა ერთიანობის სასახლს! იგი წერს: „და აი ეს „თხრობანი“, რაკი თანე რუფუსს მიეწერება, ა. ვაწერელიამ გამოიყენა იგი დამატებით პეტრეს ცხოვრების“ (იველ. რაბზე ვაშოკვაძე, 2. ვ.) ავტორის ერთიანობის დასადაგენად. მან ელ. შვარტცის ნარკვევში „იპოვნა“ (?) „რამდენიმე სხვა არგუმენტი“, რომელნიც ათიქოს „საბოლოოდ საფუძველს აცლიან ყოველგვარ სეპტიკონს და „ანონიმის“ მიღმა მხოლოდ და მხოლოდ თანე რუფუსის სახეს აჩვენებს“, იგი წერს: „ეს არგუმენტები ადასტურებენ პეტრეს ცხოვრებას“ და „პლუროფორიებს“ შორის არსებულ უკვე იდენტურობას“, რადგანაც ელ. შვარტცის მოსაზრებით, ორივე ძეგლში ერთნაირი „ახროვების საშუალო ელინდება“ და აქვთ „რამდენიმე ასოლუტურად იდენტურია პარალელი“, რომლებიც „ასოლუტურია სიზუსტით ემხვევიან ერთმანეთს“. თერმე(?) ეს პარალელებია: 1. პეტრეს მიერ ქრისტეს ხილვა. 2. იუდეულისაგან პეტრეს მღვდლად კურთხევის ცლა და პეტრეს გაქცევა ნერაიდან და 3. აღნიშვნა იმისა, რომ პეტრეს ერთკაცობის სახელი ყოფილა ნაბარბეგი. რა თქმა უნდა, ესეი ერთმანეთს შენაარსობრივად ემთხვევიან, მაგრამ ვითი დამთხვევა გამოიწვევლია არა იმით, რომ „პეტრეს ცხოვრება“ და „პლუროფორიები“ ერთ ავტორის მიერაა დაწერილი, არამედ იმით, რომ „ანონიმი“ და თანე რუფუსი არიან პეტრეს მოწაფეები და პეტრეს ცხოვრების ეპიზოდები. მათ იციან მოძღვრისა და ქმთაგან ნაშრომის მიხედვით. ისიც საფიქრებელია(?), რომ შეიძლება(?) თანე რუფუსს ზელთ ჰქონდა(?) „პეტრეს ცხოვრება“ და „პლუროფორიების“ წერისას ვისით სარგებლობდა(?), რაც შეეხება ამ პასაჟთა „ასოლუტური სიზუსტით“ დამთხვევას, ამაზე ლანარკი ზედმეტია(?). დაუშვებელია ასრულ თარგმანებიდან გადმოქართულებული თხზულებების სტილია და ლექსიკოს ერთიანობაზე ვიშკელით, ან ღვთაებთა საღმი მიმართვის ტრადიციული გამოთქმით („ჩვენო უფლო და ჩვენი ღმერთო“) ემატოკოთ სხვადასხვა ნაწარმოებთა იგივეობა“ (ვახროშის გვ. 92-93).

ისევე „საფიქრებელია“ და ისევე „შეიძლება“! თუი დეანებოთ ავრთვე ჩვენს კვლევის შეთოდის ლულაშვილისეულ დახმარებებს სიტყვა „იპოვნა“ წინწყლებში შერანის გზით. აღნიშვნათ მხოლოდ, რომ კარგი ექნებოდა თუ მკვლევარს, სანამდე ასეთ წინწყლებს მიმართავდა, ვახსენებოდა თუ როგორი ზერხით „იპოუ-

ნა“ მან არ არსებული „გვ. 310“ შაბონ შრომაში! არც სტილისტიკის საყრდენებზე წყნის შეკონებანი შეეფერება მკვლევარს რომელიც „რაიტი“-ს სახელი „ეროვტად“ გადმოაქვს!

შემდეგ: ჩვენ არ ვიცით ეინ „გადმოქართული ასრულიდან“ (?) „პეტრეს ცხოვრება“ ან „პლუროფორიები“. ორივე ამ ძეგლის ის პასაჟები, რომლებიც პეტრეს ეხებიათ, სიტყვა-სიტყვით სთარგმნა სიმონ ყუხნიშვილია („გეოგრაფია“, 2), პირველი — სირიულიდან რაბზესული გერმანული თარგმანიდან, მეორე კი — ელ. ნოს ფრანგული თარგმანიდან. რამე „გადმოქართულდება“, ე. ი. თავისუფალ გადმოღებაზე და ისიც „სირიულიდან“, ლანარკი ზედმეტია. საყრდენი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ თარგმანის სიზუსტეს. მაგრამ ჩვენს მიერ მოტანილი პარალელების მიმართ ამ კითხვის დასმა ზედმეტია, რადგან ს. ყუხნიშვილის თარგმანები ასეთი რამის განცხადებისათვის საფუძველს არ ქმნის, ჩვენს „გამხედლობაზე“ კი მოითხოვს ს. ყუხნიშვილის ამომწურავად აქვს გათვალისწინებული გერმანული და ფრანგული თარგმანებში დაშვებული უცულომები (მაგ. ნელდევს გასწორებანი და სხვა). ეგებ ი. ლულაშვილს არ აქმაყოფილებს, მაგ. ელ. ნოს თარგმანის მიხედვით შესრულებული ქართული თარგმანი? მაგრამ ამისთვის საჭიროა სიმონ ყუხნიშვილზე უკეთ თუ არა, დაახლოებით მასავით მაინც ვერკვევითად ფრანგული ენის ნუანსებში! ასე მსჯელობა ბოლოსდაბოლოს ტაქტის საყრდენია!

მაინც რატომ ფიქრობს ი. ლულაშვილი, რომ ქრისტეს ეპიზონი (ხილვა), რომელიც პეტრეს სწევია და რომელზედაც მოთხრობილია პეტრეს ცხოვრებაში“ და „პლუროფორიებში“ მკვლევარობაში არაა მისაღები, ისიც ორი ძეგლის იდენტურობის დასამტკიცებლად სხვა საფუძვლთან ერთად? მკვლევარი აცხადებს, რომ პირველი ძეგლის მიხედვით პეტრემ ქრისტე იხილა კონსტანტინოპოლში, ხოლო მეორე ძეგლის მიხედვით — იერუსალიმში, „ცხოვრება საბანელოს გულენასში“. ეს ჩვენც გვაქვს აღნიშნული მაგრამ განა პეტრეს მხოლოდ ერთხელ ეწვია ასეთი ეპიზონი. და მხოლოდ კონსტანტინოპოლში? იგი ხომ ზმირად იყო აღსასვე ასეთი ხილვებით, სწორედ ესაა აგიოგრაფიული „ტრაფარეტი“. საქმე ისაა, რომ აღნიშნული „ხილვების“ გადმოცემის სტილი ერთნაირია და სწორედ ამ კონტექსტში ენიჭება მნიშვნელობა პეტრეს ფრანს, რომელიც უფლისაღმია მიმართული ორივე ძეგლში ერთნაირად („ჩვენო უფლო და ჩვენი ღმერთო“). სხვა რომელი აგიოგრაფიული ძეგლიდან მოიტანს მკვლევარი ანარაფიერ დამთხვევებს? ავტორი (რუფუსი) სრულიად არ იყო ვაღდებულ პეტრეს უბნულ ხილვების ლოკალიზაცია; ერთი ადგილით შემო-

ფარგლა და ისიც სხვადასხვა თხზულებაში. დიდი ფილოლოგიური დაჯიჯივება არაა საკმარის იმისათვის, რომ ასეთ დეტალებში გავერყევთ, ხოლო ვარაუდები და ვარაუდობა (სამატივობა) „შეიძლება“ და სხვა ამგვარ რამე აქაც სრულიად ზედმეტია.

მერმე: აღნიშნული პასაჟები თერმე „სიხარისობრივად ისე დიდად განსხვავდება“ ერთმანეთისაგან, „რომ შათი გვერდიგვერდ დაყენებულ ერთ სვეტიწოდება, თუ ერთ ტენდენციურ მსჯელობას(1) შეეუფლები, ხოლო მის მიზანდასრულ მათ ავტორთა იდეების მტკიცება ხომ უსაფუძვლო იქნება შეტყობი. „პლურთფორიზმი“ და „პეტრეს ცხოვრების“ აუკვეთ იდენტურობაზე“ ლაპარაკი საერთოდ გამოიციხეულია, რადგანაც პირველი თხზულება პოლიგრაფიკური ანაგლოციების კრებულია, მეორე კი — პეტრეს ცხოვრებისა და მოქალაქეობის ამსახველი ერთეული საყოფაცხოვრებო. თანაც „პლურთფორიზმი“ მოთხრობილია მრავალი ისეთი რამ, რაც „ცხოვრებაში“ არ არის და პირიქით“ (გვ. 92).

სამწუხაროდ, ამ ტრადიციის პირდაპირ გასაოცრად „ტენდენციური“ (მეტრე რომ არა ვთქვათ!) მსჯელობა თვითონ მკვლევარს ახასიათებს. მას განზრახ არ მოაქვს პარალელები მთლიანად, თორემ შეიძებელი ჩვენს მიერ „პლურთფორიზმიდან“ მოტანილი ამონაწერის თავში წაყოფილად სიტყვებს. რომელიც ხაზგასმით გვაქვს დაძევილი: „ამ დროს მოხდა მეორე სასწული დაახლოებით იმავე სახისა, როგორც გეიაშო ჩვენმა შამამ პეტრემ, შამონ როდესაც ის ჯერ კიდევ იერუსალიმში ცხოვრობდა“ („ლიტ. საქ.“ 1970, 21 აკვიტო, სვეტი 7). ამის შემდეგ ენიჭება მნიშვნელობა ანალოგიურ გამოთქმებს („ჩვენი უფალი და ჩვენი ღმერთი“ და „ჩვენი უფალი და ჩვენი ღმერთი“). „დაახლოებით იმავე სახისა“ სწორედ ის ეპიზოდია, რომელიც ჩვენ „პეტრეს ცხოვრებიდან“ მოვტანეთ. რაც შეეხება „უკვეთ იდენტურობას“. ჩვენი ეს განცხადება ემყარება აგრეთვე მეორე ადგილს. უკვე ადგილისა და სიტუაციების უცვლად და აბსოლუტურად ერთიანობაზე ფაქტის გადმოცემის ორივე რეგლში — „პეტრეს ცხოვრებას“ და „პლურთფორიზმი“. იგი მოგვყავს ხელშეორგულ, რაღვან ო. დიდაშვილს სრულიად შეგანებულად არ მოაქვს ეს ადგილები და საჭიროდ არ თვლის მათზე საყენებლად მსჯელობას, რადგან ეს პარალელი მას ხელს არ აღუვს.

რეფერსის „პლურთფორიზმი“ მოთხრობილია:

„ერთ დღეს, როდესაც კრება იყო სიონში (იუვენალი) გაგზავნა კაცები, რათა ის (პეტრე ა. გ.) გამოეყენებინათ მისი სენაიდან, რომელიც მეზობლად მდებარეობდა და მასთან მოეყვინათ. როდესაც ეს გაგზავნილი კაცები მის სე-

ნას მიადგნენ, პეტრეს მოეხსენებო, რომელმაც უთხრა: ადგილი (და) გაოქმულ ქვეყნებში უნდა იყოს, რადგან იუვენალი კაცები გვეუწყებოდა, იუვენალი სადა (და) ამას შერებს იმ მიზნით), რომ შენ მივლელად გაუტოხოს“. ის მაშინვე აღგა: და ვინსხტა ამ ხალხს“ („გეორგიკა“, 11, გვ. 294. „პლურთფორიზმი“-ს თავი 42).

„პეტრე იბერეთის ცხოვრებაში“ (იმევე რეფერსის თხზულებაში Vita Petri) ზუსტად მეორედვე: ეს პასაჟი:

„როდესაც ის (პეტრე, ა. გ.) ჯერ კიდევ წმინდა ქალაქში ცხოვრობდა, და იუვენალი, რომელიც მაშინ ამ (ქალაქის) ეპისკოპოსი იყო, ბევრჯერ ეცადა ის აერორობებინა, შავრამ ვერ შესილო ამის შესრულება, რადგან ღმერთი მას (პეტრეს) იმისაგან იცავდა. სახელდობრ, შემდეგანარად: როდესაც წმინდა სიონის-ეკლესიაში მიდიოდა ღვთისმსახურება, გაბედა იუვენალია რამდენიმე ყოჩაღი კაცო გაეგზავნა, რათა იგი (პეტრეს) მისი იქვე ახლოს მყოფი სენაკიდან გამოეღვანა. როდესაც მათ განიზრახეს მისეღა, მას (პეტრეს) ეჩვენა ანგელოზი და უთხრა მას: ამა, მოდიან ისინი, რათა შენ წაყვანაონ საეროთხებლად, შავრამ ადგილი, გაიქციე! და ასე რომ გაიპარა, მან თავი შეინახა ზედმიწევნით“ („გეორგიკა“, 11, გვ. 262. შტდრ. „პეტრეს დერ იბერეთი“, გვ. 51-52 და „ლიტ. გახეუი“, იქვე, სვეტი 9).

ერთნაირია ადგილები (იერუსალიმი, სიონის ეკლესია...), პერსონაჟები (იუვენალი და მისი კაცები...), სიტუაცია (ჩვენება, პეტრეს მივლელად ერთსხევის ეცა...) და ლექსიერის მასალა („ადგილი და გაიქციე“ და სხე...), სინტეტიკის ვიციტხოზი: მეტა რაა საჭირო პარალელების აბსოლუტური იდენტურობის დასამტკიცებლად? ან შე ვერ ვერცევეი სტილისტიკის საკითხებში, ან ვივლდ სხეა!“

თანაც: ასეთი დუბლიკატები ან ერთ პირს ეუფთვნის, ან ავტორსა და მის პლაგიატს. მაგრამ პლაგიატორები პეტრეს წრეში განა საეულებელია? ან პეტრე მოითმენდა ლიტერატურულ კურბდაცაცვებს თავის წრეში? ის რაც ჭართლ ფილოლოგიაში ხდება ზოგჯერ, მსგავსი რამ შეეხება მონასტერში არ ხდებოდა!

რაც ადგილებს „პეტრეს ცხოვრებას“ და „პლურთფორიზმს“ შორის თანართბივ განსხვავებებს (თუმცა ძირითადად ორივე სასუღიერო

* ამ რამდენიმე თვის წინ მივიღეთ ე. ჰონიგმანის შრომა იუვენალზე (Ernest Honigmann, Ivenal of Jerusalem. Harvard University Press, 1950), რომელშიც ავტორი სწორედ ამ ეპიზოდს ანიჭებს გადამწვევტ მნიშვნელობას ჩვენთვის სინტეტიკის საკითხში (იხ. გვ. 263). აქაც იგი ემყარება ედ. შვარტცს და პ. მასას. ის რაც დამოუყარებლად შევიხსენეთ ჩვენ, უკვე დიდი ხნის წინ ყოფილა ხაზგასმით მითითებული.



განის განეკუთვნება, ეს გარემოება სრულიად არაფერს არ ნიშნავს. მაგ. ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია“ არაა ავთოგრაფიული ნაწარმოები, მაგრამ მისი დაკარგული Vita Petri ავთოგრაფიული ნაწარმოები ყოფილა, ზაქარია რიტორი კი „საეკლესიო ისტორიაში“ ეგება პეტრეს. თუ თვითონ ა. ლო-რაშვილი უხვბოლად არ მიიჩნია ვეფხისტყაოსნისა და „ისტორია და ბმანის“ სტილისტიკურ „იგივეობათა“ „დადგენა“, ამ მეთოდს სხვას რატომ უკრძალავს? ყოველშემთხვევაში — პოე-მა და საისტორიო პროზაული თხზულებები უფრო დამირბეული არიან ერთმანეთისგან ვინაობრივად, ვიდრე ორი პროზაული თხზულება — „პეტრეს ცხოვრება“ და „პლუროფორიები“, რომლებიც ერთსადაიმევე პირის, პეტრე იბერიელის ცხოვრების ეპიზოდებს (სწრაფ ზუსტი და ილუსტრირებული) გადმოგვცემენ!

ამ როგორი პარალელები ვიპოვეთ ჩვენ იოანე რუფუსის ორ თხზულებასში! ეს პიპოთეზა კი არაა, არამედ უდავო პარალელებით ილუსტრირებული ფაქტობრივი.

რაც შეეხება განცხადებას, რომ პეტრეს ცხოვრების ეპიზოდები მათ („ანონიმის“ და რუფუსის) „შეიძლება“ ან „საფიქრებელია“ „იოანის“ „მოძღვრებისა და მართვის ნაშრომის მიხედვით, — მონუვებითა „არჯემენითა“. იოანე რუფუსი არა მარტო პეტრეს მესვენავს არამედ მისი ბიოგრაფიის-შეწარმის. პეტრეს „ქმეში“ რამდენი შეწარმის უნდა ვეძიოთ? ან ეს ქმეტი ერთნაირი სტილით სწარმდენს და ერთნაირად ამკობდნენ? ყურადღებას ისეთ ეპიზოდებზე, რომელთა გადმოცემის დროს ერთსადაიმევე გამოთქმებამ მიმოთავდნენ! როგორ დეკლარაციით პეტრესთან შრავალიცხვანის „ალტერატიული წიგნი“ არსებობს? და თუ ასეთი წიგნი ან მთელი „შეწარმის“ კავშირით? არსებობდა, მისი წყარობა ერთმანეთის ნაწერებში იხვედობდნენ და ზუსტ ვარიანტებს ქმნიდნენ? თუ ისინი პეტრეს ნაშრომს მაგნიტოლონის სიზუსტით იწერდნენ? ვედაფერი ვსცე ზღაპარია.

პეტრეს მესვენავთ შორის არსებობდა მხოლოდ ერთი შეწარმის-ბიოგრაფიის — იოანე რუფუსის. „პეტრეს ცხოვრების“ და „პლუროფორიების“ (და ზოგი სხვა ნაწარმოების) ავტორი „ზაქარია ქართველის“ ეფემერული ლანდი მათ შორის არ ციფიკებდა. ამ ლანდს Vita Petri-ს „პროტოტიპი“ ასევე არ დაეწერა, როგორც ზაქარია რიტორს არ უნარკვებდა „ესაია ასკეტის“ „არქიტეტიპის“, „ზაქარია ქართველის“ თხზულებით. არც იოანე რუფუსს, არც ზაქარია რიტორს გამოვლინა „ზაქარია ქართველის“ ეფემერული „არქიტეტიპები“ არც გამოუვლინებიათ. და არც განუტყვიანებიათ: სტრატეგიკულ-მელოდრამის; დანა შევფარება კითხვის ასე დასაძა — პირველ ნაწარმოებში

პეტრე ისეთი ეპიზოდია, რომელიც მეორეში არაა და პირიქით? Vita Petri-ს სტილისტიკური მონოგრაფიაა, „პლუროფორიების“ სტილისტიკური ცხოვრების ეპიზოდები — ერთ-ერთი შემავალი მასალა.

კიდევ: რა მიხედვითაა „ზაქარია ქართველის“ მიერ დაწერილი „არქიტეტიპები“ (პეტრეს ცხოვრებისა და „ესაია ასკეტის ცხოვრების“) გაქრენ უხვბო-უეკლოდ (ორიგინალები თუ მათი აღმნიშნული სირიელი თარგმანები)? რატომ ამ „ფაქტზე“ ბიბლიური არ ისმის ბერძნულ და სირიულ წყაროებში?

ი. ლოლაშვილია არსებითად წაუტრია (დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა) იმ ფაქტს, რომ პეტრეს არსებულ ბიოგრაფიულ წყაროებში მხოლოდდამხოლოდ იოანე რუფუსის „პლუროფორიების“ და „ანონიმის“ (იმავე რუფუსის) Vita Petri-ში ეწოდება პეტრეს საერთო სახელად ნაბარნევი (ეს ფაქტი ქართულ ფილოლოგიაში პირველად სომხ ელენისტიკაში აღნიშნა). თუ „ანონიმში“ ქართველი იყო, მას ავიწყლებოდა ან არ ეცოდინებოდა პეტრეს ერობის სახელი მურმანი (მალესტინურა წარწერების „მარტინი“)? ან რატომ დაავიწყდა მცხეთისა და შტეტის სახელები, როგორც ეს Vita-შია და ისიც კმავე „ზაქარია ქართველის“? მანა პეტრეს მოხელე ბერიარული „ქმეზიდან“ გაიგონა საერო სახელი („ნაბარნევი“) მოძღვრისა და მათი შეუდომა გაიმეორა ქართველმა? ან რატომ წერს: პეტრესა და იოანეს „მათი ქვეყნის ენათა მიხედვით ერკვეთ ნაბარნევისი და ბიორიდატე“-ო („გეორგია“, 2. გვ. 266). ან რატომ წერს: „ხელდასხმელობა“ და არქეა მათეს სახელები ნაცულად სახელებსა. რომლებიც მათ თუიანთ ქვეყანაში ჰქონდათ“ (იქვე, გვ. 265). ვანა ქართველი „ზაქარია“ ასე დაწერდა?! და ვედა ეს ადგილი Vita-ში სირიულმა მთარგმნელმა „გდაასწორა“ და თავდაპირველი წყაროებში „აღმოგვჩვენა“?!

ი. ლოლაშვილი აქვს აქვს მკონი მომარჯვებული ასეთი მასლები: სირიული Vita Petri რედაქტორის(?) მიერ დამახინჯებული და გადაკეთებული. მაგრამ თუ „რედაქტორმა“ „Vita“-ში გადაასწორა მურმანი „ნაბარნევი“. „პლუროფორიების“ საიდან გაჩნდა იგი?

მონოგრაფიის ეს თემა თავდება განცხადებით, თითქოს — „პირიქით, იოანე რუფუსი არ შეიძლება ვცნოთ „პეტრეს ცხოვრების“ ავტორად. ეს საფუძველი ელ. შეარტემა ვერ გადაწყვიტა. მისი მოსაზრება დაუთხარებელი პიპოთეზაა და მის დასაბუთებამ ამაოდ ცდილობს ა. გაწერულია... და ა. შ. (გვ. 96).

ომიქტურ მეთხველს შეუძლია ჩვენი ნარკვევების (ისევე „ზაქარია ქართველის“ ტექსტი) დანახე-პეტრე: ნებარტლან-ქართულ-ცნობარების-გამოვლინება-ფელოდრამის-ზემოთ. თქმულია შემდეგ თვითონ გამოიტანის დასაქვანა ასეთა

განცხადების სისწორეზე. ამ საკითხზე ამირა-
დან აღარ გავაგრძელებ სიტყვას, ჩვირთა
დავა — ქვიშაზე აგებული.

მთხედრად ამისა, ზაქარია ქართული? რეა-
ლურ პირადად წარმოდგენილი. ი. ლოლაშვილს
წყლობა ეს ფილოლოგიური ღანი დაუს-
რუდებლად მოგზაურობს ქართლიდან მოიშვე-
და აქედან უნაწევ ბრუნდება. ოღონდ... ქარ-
თულ ფილოლოგიაში კიდევ ერთხელ გაიკვია,
თუ რამდენად საფუძვლიანია მისი? ასეთი ფი-
ლოლოგიური „პეტროლი“. ამ უფროდღებოლ
ფერ დავტოვებთ აგრეთვე რამდენიმე ზეპოლას.
ი. ლოლაშვილი წერს:

„1970 წლის მარტში ამავე საკითხებს შევბო-
ი. გაწერულია, მან განათარა საყმათ მოძვე-
ლებული შეხედულება, რომ ზაქარია ქართული
გამოგონილი პირია“ (ვე. 104. ტექსტში დაიუფა
ფტროსია. ა. გ.). შემდეგ მიღის ვრცელი ამონა-
წერი ჩვენი წერილიდან („მნათობი“, 1970, № 2;
შდრ. „არკობ. პრობლ.“. (104-105).

„ზაქარია ქართული“ რეალურ პირად მან-
ნდათ შარი ბროსეს (იხ. მისი Hist. d. la G. 1, 138-
139), 3. იოსელიანს 1849 წელს (დაწერ. „მნათო-
ბი“, 1970, № 2, ვ. გ. 136-137), დ. ბექრაძეს
1885 წელს (იქვე, ვ. 137), რომელიც ფიქრობ-
და რომ პეტრეს ცხოვრება აღუწერია სირი-
ულ ენაზე იმის მოწაფეს ზაქარია ქართველს და
ქართულად უთარგმნა მღვდელ მყარისო“
(იქვე). სწორედ ასეთ, უადრესად მოძველებულ
შეხედულებას ანუთარგმებს ამჟამად ი. ლოლაშ-
ვილი და არა ჩვენ. მ. ბროსესა, 3. იოსელიანისა
და დ. ბექრაძისათვის „ანონიმის“ (რუფესა.)
Vita Petri-ს სირიული თარგმანი ამ მისი რაა-
ბესებელი გერმანელი თარგმანი ცნობილი არ
იყო (რამდემ ორივე ერთად გამოვიდა 1893
წელს). ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერებს წარ-
მოდგენაც არ ქონდათ ასეთი ძველის არსებობა-
ზე და ამიტომ ისინი ენდნენ ქართული „ცხო-
რების“ ნატყუარ ანდერძებს“ და „ზაქარია
ქართველი“ რეალურ პირად მიიხიეს. ის აბრი
ეი, რომელიც ჩვენ „განავითარებთ“ „Vita“-ს
კრიტიკობაზე, მკვლევართა (მ. კუბენერი, ი. მარ-
კვარტი, კ. კეცელიძე, ვ. პონიგმანი, ს. ყაუხჩიშ-
ვილი, ი. პეტსერი, პოლ დევი და სხვ.) და ნა-
წილობრივ ნ. მარის შეხედულებების გაღრმავ-
დება განა ოდნავ საუკუოა, რომ მ. ბროსე, 3.
იოსელიანი (1849 წ.) და დ. ბექრაძე (1885 წ.),
მათ რომ სირიული Vita-ს არსებობა სყოფნო-
დათ და სავანებოდ შეეღარებინათ იგი
ქართული „ცხოვრებისათვის“, ბრმად ენდობო-
დენ ქართული ევანგელის „ანდერძებს“? ი. ლო-
ლაშვილი არც ქრონოლოგიას უწევს ამ-
გარისა, არც სირიულ Vita-ს გამოქ-
ველებისა და შესწავლის ისტორიას. სა-
კვირველია, რომ „იგი ახალ შეხედულე-
ბებ თელის მარტოობა მ. ბროსეს და 3. იოსე-
ლიანის ხარის (1849 წელს „გამოთქმულს“) ზო-

ლო ჩვენი საუფენის მეცნიერთა შეხედულებებს
— სასამაოდ მოძველებულად დასწავლეს. უფრო
კი — სრულიად საწინააღმდეგის წესს სწავლეს და
ლოლაშვილი სერიოზულად ფიქრობს, რომ მისი
„კონცეპტია“ უფრო ახალია ვიდრე შეხედუ-
ლება 3. იოსელიანისა, რომელმაც სირიული
Vita Petri-ს არსებობა არც იცოდა (უკეთ —
არც შეეძლო. სყოფნობა)?

ჩვენ არ გვესმის ი. ლოლაშვილის ქრონოლო-
გიური ანგარიშისა, დაუფთხ აწურობილი მისი
უსაფუძვლო სიტყვები ჩვენი მისამართით ვხო-
ლოდ დაუცვირებლობის შესებგია (ასე ვერა
ვიფიქრობთ)

ი. ლოლაშვილის წიგნის 81 გვერდის 12 მე-
ნიშვნაში მოტანილია „კალედონის რეპბის“
შესახებ გერმანულად გამოცემული შრომათა
სერის მეორე ტომიდან ფრაზა ჰაინრიხ ბაქ-
ტის წერილისა და მისი თარგმანი ასე: „იონე
რუფესი, ავტორი „პლუტოფორიებისა“ და ანო-
ნიმი ავტორი „პეტრე იბერის ცხოვრებისა“.
რომელიც გამოქვეყნა და თარგმნა რ. რაბაზე
(ვე. 272). აქედან ირყევია(წ), რომ ჰაინრიხ ბაქ-
ტის მოსაზრებით, იონე რუფესი და — „პეტ-
რეს ცხოვრების“ ავტორი სხვადასხვა პირია“.

3. ბაქტი სპეციალურად არ ურყევია Vita
Petri-სა და „პლუტოფორიების“ ერთობაშია-
მართების საკითხი (როგორც ედ. შეარტცის). აა-
ნე ავ შეიტდება ითქვას, რომ 3. ბაქტი კატე-
გორიულად წინააღმდეგია ედ. შეარტცის აღმო-
ჩენისა. თავისი წერილის სხვა ადგილას (იხ.
Das Conzil von Chalkedon. Geschichte und
Gegenwart. Herausg. Aloys Grillmeier S. I.
und Heinrich Bacht. S. I. Band II, S. 246, n. 15).

3. ბაქტი აღნიშნავს, რომ ედ. შეარტცის მიხედ-
ვით, რომელსაც პონიგმანი უფროდებდა (მითი-
თებელია ამ უნანასენელის შრომაზე „იქვენად
ეურესლიმევი“). რუფესიდან მომდინარეობს
„პლუტოფორიები“, რასაც თავისებურად არ
უწერენ მხარის ბ. ბარდენვეერი და ბ. ალტა-
ერი, „მეგრამ შეადარე H. Opitz in Pauly-
Wissowa, RE klass. Altertumsw., I, R. 19, 1296-
როგორც ვხედავთ. 3. ბაქტი კატეგორიულად არ
ემხრობა რომელიმე თვალსაზრისს. ი. ლოლაშ-
ვილმა ცალმხრივად გადმოსცა 3. ბაქტის შეხედ-
ულება. სხვა ანალოგიური მავალითების მისა-
ტანად ჩვენ ადგილს არ გვჩვენება.

ცნობილია, რომ ზაქარია რიტორის დაკარ-
ველ პეტრეს ცხოვრებიდან“ მოღწეულია
ფრაგმენტი რომელიც დემილის აღოქმას შეი-
ცავს. შოაქეს იგი პონიგმანს. მისი თარგმანი
(ტერსტლებული ბანაზ ბრეგვათის მიერ) მოი-
ტანეთ ჩვენ და დაუფთხეთ განმარტება; ად-
ვემტებთ, რომ გადარჩენილი სტრიქონები
ზაქარია რიტორის პეტრეს ცხოვრებისა“ გამო-
რიცხავს ამ დაკარგული ნაწარმოების ძიებას
ანონიმის თხზულებაში (პეტრეს იბერიელის
„პლუტოფორის“ საკითხებზე, „მნათობი“, 1970,

№ 3, გვ. 153. შენ.), ი. ლლაშვილი თავისებურად იმეორებს ჩვენს აზრს (დუბლირება!). „ჩვენთვის ცნობილ ასურულ და ქართულ(?) რედაქციებს ეს ფრაგმენტი არ მოეპოვებათ“ („არეოპ. პრობლ.“, 108). მეკლავარი აღბნთ ფიქრობს, რომ მას შეუძლია სისტემატურად დაიმეოროს სხვისი შეხედულება და ამის გამო არასოდეს არაფერს ეტყვიან.

ასევე უსაფუძვლოა განცხადება: „რაც ასურული „ცხოვრების“ ავტორი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში არ არის აღნიშნული, შეუძლია, თუ ვიფიქრებთ, რომ მაკარისაც ხელთ ჰქონდა ავტორსაწინააღმდეგო ხელნაწერები, თუ ქართულმა ავტორმა იცოდა, რომ ზაქარია რიტორის სახელით არსებობდა „პეტრეს ცხოვრება“ და „ესთა ასკეტის ცხოვრება“. მაშინ ამ ზაქარიას იგი ქართული „ცხოვრების“ ანდერძში მოიხსენიებდა სქოლასტიკოსად, ან რიტორად ანდა მიტილენის ეპისკოპოსად. შეუძლებელია, ეს უცხო ავტორი მაკარი მესხს ქართული მკითხველსათვის გაეცნო უბრალოდ, როგორც „ერთხელეულ ზაქარია“ და იქვე არ აღუნიშნა მისი ზედწოდება ან საეკლესიო თანამდებობა. ამასთან მის ანდერძში არ განიხილება ცნობა, რომ ეს ზაქარია არის პეტრეს მოწაფე, რომელიც ასურებრივი(?) ენის ატრიბუტ მეცნიერ უფილა“ (117-118).

კიდევ (და მერამდენს!) გაუგებრობა!

1). თუ საქართველოშიაც XIII საუკუნეში მოაღწია (ვარაუდით!) ავტორსაწინააღმდეგო ტექსტმა“, რაღა ასეთივე ტექსტები არ შეგვიჩინებთ Vita Petri-ის უფრო ადრინდელმა ასურულმა ხელნაწერებმა თვით სირიაში?

2). ზაქარია რიტორმა „პეტრეს ცხოვრება“ (დაკარგულია) და „ესთა ასკეტის ცხოვრება“ დღევანდელი დაახლ. 488-492 წ.წ., ხოლო 527 წელსაც კი იგი ვრისაკეთა. მიტილენის ეპისკოპოსად ის ჩანს 536 წლიდან, ხან რომ ზემოთ დასახელებულ ბიოგრაფიებს ზაქარია რიტორი თავის სასულიერო წოდებას ვერ დაურთავდა თითქმის 44 წლით ადრე!!!

3). განა თვით ქართულმა ტექსტმა სრულად და თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე, რომ ამ საკითხზე კატეგორიული ტონით ვიპყრელით? იგი (ფურცლებამდელი ტექსტი!) ხომ პაველ ზეციელის მიერაა რედაქტირებული და ჩვენ როგორ გავიგოთ — რა ამოგდო მან ამ ტექსტიდან (თვით ტექსტის „სასწაულებით გაურცობის“ პროცესში) ან რა ჩაეშატა შიგ, ვარადა სასწაულებისა და ზაქარიას „ავტორთელებისა“? ან საიდან ვიცით — თვით მაკარიმ პირველი პირით თარგმნა ასურული ძეგლი? ან როგორ იყო მოხსენებელი ზაქარია მაკარის ორიგინალში, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებებს ასურულიდან ქართულად გადმოღებულ ორიგინალზე კატეგორიულად. ვამტიციოთ რამე, ეჭრთად მისი თავდაპირველი სტრუქტურა

არის და სხვა მხარეების შესახებ. (მაგ. ვინ ნაუმათა ძეგლში ცნობები წმინდა ნინოზე — მთარგმნელმა თუ რედაქტორმა?) — ისეთი მართვლია ფილოლოგიას არ მართებს, ზოგი ფილოლოგი კი — მაგნი ამ სფეროში თავისუფლად გრძნობს თავს.

მაკარის ტექსტთან დაკავშირებით ხელახალ და იძულებით საუბარს ვამთავრებთ ერთი კურიოზის შიკრიანით.

მაკარის ვერსიაში მოთხრობილია ეპიზოდი, თუ როგორ განიზრახეს ბიზანტიის იმპერატორ მარკიანეს სიკვდილის შემდეგ პეტრეს მოკლამწივლებლმა“ (მაკარი გულისხმობს „მონოფიზიტებს“, რაც ისტორიული აბსურდია ა. გ. კ. „ანონიმთან“ (რუფუსთან) კი დიოფიზიტი პროტერიუსი, რომელიც მონოფიზიტების მტერი იყო, პეტრეს უგზავნის მკვლევებს (ეს კი ლოგიკურია). ი. ლლაშვილი კი ასე მსჯელობს:

„ეს ეპიზოდები ერთმანეთს საგრძნობლად ემთხვევათ. სხვათა ისაა, რომ ასურულში ამბავი ლოკალურებულია, ქართულში — არა. სამაგიეროდ, უკანასკნელში ამბავს ჰყვება ზაქარია („ქართული“. ა. გ.)! რომელიც დევნულობის დროს პეტრეს თან ახლდა(?). პირველში კი ეს ფაქტი წარბოცილია რედაქტორული შემოქმედის(?) გამო“ („არეოპ. პრობლ.“, 119).

მკვლავარი ვერც ამწვეს თუ როგორ მორავ უხემ შეედომებს უმეებს იგი ქართული ვერსიის ნატურალ ცნობებზე დაყრდნობით და რამდენად ანგრებს ეს შეუდობა მთელ მის „კონცეპციას“.

1). „ანონიმის“ (რუფუსის) ცნობა ეხება პეტრეს ალექსანდრიაში (და საერთოდ, ეგვიპტეში) უოფნის პერიოდს. პეტრე კი ეგვიპტეში იმყოფებოდა 455-457 წლებში. დიოფიზიტი პროტერიუსი ალექსანდრიის პატრიარქის ტახტიდან გადააყენეს და მოჰკლეს სწორედ 457 წელს და პეტრემ იმავე წელს აურთობა მის პოსტზე მონოფიზიტი ტამოთე ელარი (დაწერ. მის შესახებ იხ. ბარდენკევეტი, ტ. IV). „ანონიმის“ (რუფუსის) ჰყვება დიოფიზიტ პატრიარქ პროტერიუსის მიერ „პეტრესთან მკვლელების მიგზავნაზე“ გაფინილის მიხედვით, რადგან „ანონიმი“ (რუფუსი) ეგვიპტეში პეტრესთან არ უფილა. მიუხედავად იგი (ანონიმი ან რუფუსი) 80-იან წლებში ჩავიდა, ამიტომაც კონსტანტინუპოლში, იერუსალიმში და ალექსანდრიაში პეტრეს ბიოგრაფიის ამბებს თვით პეტრეს ნაამბობის მიხედვით მოგვითხრობს. ქართული „ცხოვრების“ მიხედვით და ლლაშვილის თანხმობით კი „ზაქარია ქართველი“ „დევნულობის დროს“ თურმე „პეტრეს თან ახლდა“ (ალექსანდრიაში!), მაგრამ მაშინ ეს „ზაქარია“ უკვე იერუსალიმშიაც პეტრესთან ენდა უოფილიყო (ე. ი. 460 წელზე ადრე!). ასეთი რამ კი გამორიცხებულია, რადგან მაშინ „ზაქარია ქართველი“ ფანტასტიკური ასაკისა გამოდის. (თუ „არქეტიპა“. მან 500 წელს ა-

ლოს დასწვრას). ეს ხომ საცხებით ეწინააღმდეგება თვით ი. ლოლაშვილისავე ახალ „კონცეპციის“ — „ხაჭაპია“ გვიან წავიდა „ქართულიანი“ წიგნით! (თუ „ხაჭაპია-ქართული“ აღქმის-წიგნით პეტრესთან იმყოფება 457 წელს, მაშინ „ფი“ 482 წელზე ადრე ჩასული მასთან!).

გასიოცარია, რატომ არ ჩაუყვირდა ღრმად ი. ლოლაშვილს თავისი „არგუმენტის“ შინაარსს და არ შეამოწმა. იგი ისტორიულ რეალიის სისწორის თვალაზრისია?! და განა მართო ეს მავალითყვე არ ემარა იმპატიოს, რომ შეკლავარსა-შედამოდ გამოეთხოვოს „ხაჭაპია ქართულად“ ვფიქრებულ ლანდს და „არქიტაბის“ „თეორიას“?! და აღიარებს ამას საყაროდ?!

დასასრულთ ორიოდ სიტყვა ი. ლოლაშვილის მხრივ წყევბით-პირიგამანის თეორიისადმი სრულად უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, რადღაც „არქიტაბის პარობლემებში“ ი. ლოლაშვილი ეხება ფსევდო-დონისესა და პეტრე იბერის იდენტოფიკაციის საკითხებსაც და ნუკატრით პოზიცია უქირავს წყევბით-პირიგამანის პიპოტუნს მიმართ.

